

K 129 923
3

33763033

VII

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XX

ბეორგიკა ტ. VII

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Комиссия по публикации иностранных
источников о Грузии

Институт
Востоковедения

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

ГЕОРГИКА

СВЕДЕНИЯ ВИЗАНТИЙСКИХ ПИСАТЕЛЕЙ О ГРУЗИИ

ТОМ VII

Греческие тексты с грузинским переводом издал и примечаниями снабдил
С. Г. Каухчишвили

GEORGICA

SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA AD GEORGIAM PERTINENTIA

TOMUS VII

Textum graecum cum versione iberica edidit commentariisque instruxit
Sim. Kauchtschischwili

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ — 1967

SUMPTIBUS „MEÇNIEREBA“
TBILISIS, MCMLXVII

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული
უცხოური წყაროების კომისია

აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი

გეორგიკა

გიზანგიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი მეშვიდე

ტიპტები ქართული თარგმანით გამოცემა და განმარტებები დაურთო
სიმონ შაუხჩიშვილმა

ბაზომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი—1967

შთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთუჩიძე, ს. ქაუხჩიშვილი,
ბ. შიჩიძე (მთ. რედაქტორი), ს. ჯიძია

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი
ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი

შინაარსი

VII ტომისა

წინასიტყვაობა	VII
კორიდეთის ოთხთავის ბერძნული მინაწერები	1
მინაწერები X—XIII საუკუნეებისა 1. — კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის 11. — დამა- ტება 16.	
იოანე ცეცი	17
იოანეს ბიოგრაფია 17. — იბერები, აბაზგები და ალანები ერთი ტომისა არიან 23. — მასაგეტები არიან აბაზგები 25. — ხალიბები 27. — ქალაქი ალიბე 27. — ამოჩაღები და საგრომატები 27. — დედოფალი კირკე ოდისეესის მეუღლეა 29. — იასონი და პელიასი 29. — იბერიის ქსოვილები 31. — კოლხეთის ქალაქი კატაია 32. — ოჭროს საწმისი 33. — იასონი ჟვან იბრუნებს ოჭროს საწმისს 34. — მედეამ თავის მამას საეფო ტახტი კვლავ მოაპოვებინა 35. — კოლ- ხური დრაკონი 35. — მედეა აქილევისს მეუღლეა 35. — არგონავტე- ბის ღამჭრობა 36. — კოლხები ეგვიპტიდან არიან გადმოსახლებული 36. — კოლხების ქალაქი პოლები 37. — ანა კოლხეთის ქალაქია 37. — ხალიბები—სკვითური ტომია 37. — კოლხები—ღახური ტო- მია 37. — კოლხეთის ქალაქი კატაია 38. — კოლხების ქალაქი პო- ლები 38.	
გიორგი აკროპოლიტე	40
შრომის სათაური 41. — ისტორიის მიხანი და დანიშნულება 41. — დავით ტრაპიზონის მბრძანებლის აღექვისი ემა 43. — სილონი 46.	
გიორგი პახიმეტე	48
გიორგი პახიმეტეს ავტობიოგრაფიიდან 49. — საქართველოს მეფე დავით VII 52. — კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანე, წარმო- შობილ ღაზი 58. — მონღოლების შემოსევა შავი ზღვის სანაპი- როებზე 65. — ღახთა არქონტი იოანე 67. — ღახთა მთავრის იოანე II კონსტანტინის გარდაცვალება 79. — ტრაპიზონის მეფე აღექსი II 81.	
ეფრემის ქრონიკა	89
ეფრემი ბასილი II აბაზგების წინააღმდეგ 90. — თურქების შეჭვა ბიზანტიაში კავკასიის გზით კონსტანტინე IX მონომახოსის დროს 91. — ბიზელი VII პარაქინაეი. მისი ცალი მარიაშ მართა-ყოფილი 91. — კონსტანტინე გაბოა 93. — ხალდიის მმართველი ალტუხი 94. — იბერიელები ბიზანტიის ჯარში 94.	

- ნიციფორე ქსანთოპულოსი** 97
 ბიოგრაფიული ცნობები 97. — იბერთა მოქცევა 100. — ევაგრი პონ-
 ტოელი 106. — ნიციფორე ქსანთოპულოსის ცნობები ევაგრი პონ-
 ტოელის შესახებ 107. — ანდრია მოციქული საქართველოში 115. —
 აბაზგების გაქრისტიანება 117.
- ნიციფორე გრიგორასი** 119
 ბიოგრაფიული ცნობები 119. — კოლხიდის მპყრობელი ალექსი კომ-
 ნენოსი 123. — სკვითები 124. — სკვითების ლაშქრობანი. ჯიქები,
 აბაზგები 129. — სკვითების ლაშქრობა კოლხიდაში და იბერიაში
 131. — კოლხეთი—მართლმადიდებელი ქვეყანაა 133. — კოლხთა და
 ლახთა ქვეყანა 134. — პომპეუსის ლაშქრობა კავკასიაში 135. —
 იოანე ლახის გარდაცვალება 136. — ეგვიპტელი ჯამბაზები იბერიასა
 და კოლხეთში 142. — ტრაპიზონის მეფე ბასილი 142. — დედოფალი
 იოინე და ანახუტლუ 143. — ტრაპიზონის მეფე ბასილი 147.
- მიქელ პანარეტოსი** 161
 ბიოგრაფიული ცნობები 161. — ალექსის მეფობა 165. — ანდრონიკის
 მეფობა 166. — იოანე აქსუხოსის მეფობა 167. — მანუილის მეფობა
 167. — ანდრონიკის მეფობა 168. — იოანეს მეფობა 169. — ალექსის
 მეფობა 172. — ტრაპიზონის „ქრონიკის“ დანარჩენი ცნობები
 173—224.
- დამატება: ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტარებული ლექ-
 სიკონი** 1—69

წინასიტყვაობა

„გეორგიკის“ VII ტომში, ძირითადად, მოთავსებულია XII—XIV საუკუნეთა ბიზანტიურ-ბერძნული მასალები საქართველოს შესახებ. იმ ბიზანტიელ მწერალთა შორის, რომელთაც ეკუთვნის ეს მასალები, პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ისტორიკოსები გიორგი პახიმერე, ნიკიფორე გრიგორასი და მიქელ პანარეტოსი. პირველი ორი მწერლის „ისტორიები“, სხვა ცნობებს შორის, შეიცავენ მდიდარ მასალას ტრაპიზონის სამეფოს ცხოვრების შესახებ, ხოლო მესამე ისტორიკოსის მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“ მთლიანად ტრაპიზონის სამეფოს ისტორიას წარმოადგენს, ამ სამეფოს დაარსებიდან მისი არსებობის ბოლო წლებამდე. თუ მიქელ პანარეტოსი, რომლის მოღვაწეობა უმთავრესად იოანე-ალექსი III-ის მეფობას (1350—1390 წ. წ.) ხვდება, უთუოდ ჩანს ტრაპიზონში არსებული ქართული ორიენტაციის დასის წარმომადგენლად, ამის თქმა არ შეიძლება გიორგი პახიმერეზე და ნიკიფორე გრიგორასზე (ბიზანტიის კარის ისტორიკოსებზე), რომელთა ბიზანტიური ორიენტაცია არავითარ ეჭვებს არ იწვევს. როგორც ბიზანტიის კეისრები არ სცნობდნენ მეფეებად ტრაპიზონის მეფეებს და მათ მთავრებს (ἄρχαι, ἀρχηγός) უწოდებდნენ, ისე გიორგი პახიმერესთვის და ნიკიფორე გრიგორასისთვის ტრაპიზონელი მეფეები მხოლოდ მთავრები არიან (τῶν Λαζῶν ἀρχοῦν; გვ. 67, ὁ τῶν Λαζῶν ἀρχηγός გვ. 79, ὁ τῆς Τραπεζισης τοῦ ἔξιστοῦν მიწωαμῆνος „ტრაპეზუნტის მპყრობელი“ გვ. 143), იმ დროს როდესაც მიქელ პანარეტოსი მათ ყოველთვის βασιλεῦს-ის ტიტულით იხსენიებს. მიქელ პანარეტოსი ტრაპიზონის მმართველის მიმართ ყოველთვის ამბობს βρασιλευσεν (გვ. 166), ნიკიფორე გრიგორასი კი ამბობს: ἡρχε („იმთავრა“, გვ. 142). ნიკიფორე გრიგორასი, მსგავსად მიხეილ VIII პალეოლოგოსისა გულსწყურებით ამბობს ტრაპიზონის მმართველებზე: ძალიან გათამამებული იყვნენ თავიანთი ადგილების სიმტკიცით და მიითვისეს ძალაუფლება, დღემდე ფლობენ მას და თავიანთ შეილებსა და შეილთა-შვილებს გადასცეს იგი, ვითარცა რაღაც მასიყული მემკვიდრეობა (გვ. 24).

მიუხედავად ამისა სამივე ზემოხსენებული ისტორიკოსი ერთნაირად ასახავს ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებს, ისინი ერთნაირის ზედმიწევნით გვიამბობენ ფაქტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამივე ისტორიკოსის განკარგულებაში იყო პირველწყაროები, რომელთა მიხედვით ფაქტიურ მასალას გადმოგვცემენ, ხოლო ამ მასალას თავისი (პროქართული თუ პრობიზანტიური) ორიენტაციის მიხედვით აშუქებენ. და, ამრიგად, ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის შესასწავლად სანდო დასაყრდენს ქმნიან.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის მასალაზე, რამდენადაც ჩვენი დღევანდელი ისტორიოგრაფიის ერთერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის გაშუქება. მაგრამ წინამდებარე VII ტომში ბევრი სხვა საყურადღებო მასალაც არის (იოანე ცეცე, ნიკიფორე ქსანთოპუპულოსი და სხვ.).

* * *

დამატების სახით დავურთეთ ჩვენ „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის“ დასაწყისი ნაწილი. მართალია, „გეორგიკას“ ჰქვია „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ხოლო ჩვენს „ლექსიკონში“ ამის მსგავსი არაფერია, მაგრამ რამდენადაც ეს „ლექსიკონი“ ასახავს ბიზანტია-საქართველოს ენობრივი (და, ვიტყვოდი, ლიტერატურული) პარალელების შესასწავლად საჭირო მასალას, ჩვენ შესაძლებლად დავინახეთ ადგილი დაგვეთმო „გეორგიკაში“ ამ მასალისათვის და მოგვეთავსებინა, როგორც ნიშნულში, „ლექსიკონის“ ერთი ნაწილი (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ, „ლექსიკონის“ შესავალ ნარკვევში).

ხიმ. ყაუხჩიშვილი

თბილისი

1967 წლის დეკემბერი

კორიდეთის ოთხთავის ბერძნული მინაწერები

(X—XIII საუკ.)

კორიდეთის ოთხთავი ეწოდება ბერძნული სახარების იმ ნუსხას, რომელიც IX საუკუნით თარიღდება და გადაწერილია საქართველოში ქართველი კალიგრაფის მიერ. უკვე X საუკუნეში, კეისარ ნიკიფორე ფოკას მეფობაში (963—969 წ. წ.), ეს ხელნაწერი დაცული იყო სოფელ კორიდეთში, რომელიც მდებარეობდა კოროხის შესართავის, მდინარე მურლულის მარჯვენა ნაპირას. კორიდეთში ეს ხელნაწერი XV საუკუნემდე იყო, ხოლო შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ის წაღებულ იქმნა სვანეთში, კალაში, კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესიაში.

1869 წელს ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა ეს ბერძნული ხელნაწერი ჩამოართვა სვანებს და წაიღო პეტერბურგში: აქ გაიცნო ეს ხელნაწერი აკად. მ. ბროსემ, რომელმაც უძღვნა მას გამოკვლევა: *Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles, rapporté du Souaneth-Libre et appartenant au comte Panin (Mélanges Asiatiques, t. VI, Octobre 1870, 269 — 286)*. გაბრიელ ეპისკოპოსისა და ლევან დადგეშქელიანის შუამდგომლობით ხელნაწერი საქართველოში იქნა დაბრუნებული და გადაეცა გელათის მონასტერს, სადაც ის ინახებოდა 1901 წლამდე, ხოლო ამ წელს ის გადმოიგზავნა თბილისში და საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში შევიდა. ამჟამად იგი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია: **A—993**.

კორიდეთის ბერძნული ოთხთავი იმთავითვე იქნა შეფასებული (ჯერ კიდევ მ. ბროსეს მიერ ზემოთ აღნიშნულ გამოკვლევაში) როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ნუსხა ოთხთავის ტექსტის დასადგენად. ამით იყო გამოწვეული, რომ გადაწყდა კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ტექსტის დაბეჭდვა და 1907 წელს კიდევ გამოიცა ფოტოტიპიურად მარკოზ მახარებლის თავი (*Материалы по археологии Кавказа, вып. XI, под редакцией графини Уваровой*).

კორიდეთის ოთხთავის ხელნაწერის აშიებზე (ზოგჯერ შიგ-ტექსტში) მოიპოვება მინაწერები, როგორც ბერძნულ ისე ქართულ ენაზე. ეს მინაწერები თარიღდება X—XIII საუკუნეებით და შუქს ჰფენენ საქართველოს ისტორიის რიგ საკითხებს.

ხელნაწერის ქართული მინაწერები შესწავლილი და გამოცემული აქვთ მ. ბროსეს, მ. ჯანაშვილს და აკად. ნ. მარსს:

1) მ. ბროსე, იხ. ზემოთ დასახელებული ნარკვევი Note sur un manuscrit...

2) М. Джанашивили, Описание рукописей церковного музея духовенства грузинской епархии, книга III. Тифлис 1908, стр. 233—250.

3) Н. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия на Коридии: ИАН 1911, стр. 211—240.

ხელნაწერის ბერძნული მინაწერები გამოკვლეულია შემდეგ შრომებში:

1) ბროსეს ზემოთ დასახელებულ შრომაში მოჰყავს მხოლოდ სამი ბერძნული მინაწერი და ორი სხვა მინაწერის შინაარსს გადმოგვცემს.

2) Weermann und Gregory, Die Koridethi-Evangelien 038. Leipzig 1913, mit 12 Tafeln u. 2 Karten.

3) Г. Ф. Церетели (чл. корр. АН СССР), Коридетская рукопись и ее греческие приписки. Тбилиси 1937. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. 73 გვ. და პალეოგრაფიული ტაბულეები.

პროფ. გრიგოლ წერეთელმა ზედმიწევნით შეისწავლა კორიდეთის ოთხთავი, ხოლო მის ბერძნულ მინაწერებში ამოიკითხა ბევრი ახალი ცნობა იმის მეშვეობით, რომ წინამორბედთა მიერ გაშიფრულ მინაწერთა ტექსტებში შთილი რიგი გაუმჯობესება და კონიექტურა შეიტანა.

ასეთ ახალ წინაკითხებს და კონიექტურებს წარმოადგენენ, მაგალითად:

1) II მინაწერში საკუთარი სახელის *Κυριαχου*-ის ამოკითხვა, ნაცვლად *αρχαίου*-ისა (სიტყვისაგან *αρχαι*), როგორც სხვებმა ფიქრობდნენ.

2) II მინაწერში სიტყვისათვის *δχιος* ახალი მნიშვნელობის („მგზავრი“, „მოგზაური“) დადგენა.

3) IV მინაწერში კაცის სახელის *Σαβιανου*-ს ამოშიფრვა ნაცვლად გრეგორის მიერ მოწოდებული *δβιανου*-სა.

4) VI მინაწერში გარკვეულია მნიშვნელობა სიტყვისა *σῆμα*.

5) VI მინაწერში კაცის სახელის ბუღუ-ს ამოკითხვა (და არა გეოგრაფიული სახელისა, როგორც წინათ ფიქრობდნენ).

6) გამორკვევა იმისა, რომ VIII მინაწერში მოხსენებულ *Καυα-
xένis* არის გურგენ კლარჯი.

7) V მინაწერში სხვების მიერ ამოკითხული უაზრო წინადადება *οὐκ ἔχουσιν*: *ἐξῆλατταμειος* გაიმართა ნათელ წინადადებად; *ὡς ἔχουσιν* *ἐξῆλατταμειος*.

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ კორინდეთის ოთხთავის ბერძნულ მინაწერებს პროფ. გრიგოლ წერეთლის გამოცემის მიხედვით. ზოგჯერ ვუროთავთ ჩვენ საკუთარ შენიშვნებს ტექსტის გაგებისათვის.

I

Ἡμεῖς ¹ οἱ ἄμαρτωλοὶ καὶ ὠ-
γμένοι, ἡγούμενοι τῆς ἁμαρτίας ²
θεοτόκου τοῦ Κορινθίου πρε-
σβύτερος Μιχαήλ, ὁ ἀδελφός μου
Στέφανος καὶ σὺς αὐτὸν ³.

ჩვენ, ცოდვილნი და დევნილ-
ნი, წინამძღვარი კორინდეთის
ზეწმინდა ლეთისმშობლის [მონა-
სტრისა] ხუცესი მიხაელი, ჩემი
ძმა სტეფანე და მისი ვაჟი.

II

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς καὶ
τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου πνεύματος.
Ἐγὼ ἱερὸς ¹ Γρηγόριος Ὡσλῆν
(.) ἡγόρασα ἀπὸ ² τῶν Ἰωάν-

სახელითა მამისათა და ძისა-
თა და სულისა წმიდისათა.
მე, ხუცესმა გრიგოლ ოლთ-
[ისელმა], ვიყიდე იოანესგან და

¹ სწერია: *εμεις* (= *εμεις* || *ἡμεεις*). იხ. მინაწერი VII, შენ. 1.

² სიტყვა *ἁμαρτίας* ნიშნავს სიტყვა-სიტყვით „ზეწმინდა“-ს, მაგრამ ქართულ ენაში მიღებული ნომენკლატურით აქ, რასაკვირველია, უნდა ითქვას „ყოვლად წმინდა“. რომ ეს მართლაც ასე ესმოდათ, ჩანს კორინდეთის საბარების ქარ-თული მინაწერებიდან. ასე, მაგალითად, პირველ მინაწერში ვკითხულობთ: «დაწერილი ეს თქონ ყოლა წმიდასა ღუ-მშობელსა კორინდეთისასა...», რაც ზედმიწევნით გადმოგვცემს ბერძნულს *τῆς ἁμαρτίας θεοτόκου τοῦ Κορινθίου* (იხ. H. Marr. Грузинские приписки греческого Евангелия из Коринда: ИАН 1911, გვ. 223).

³ გრ. წერეთლის აზრით ეს მინაწერი შეიძლება X საუკუნით დათარიღდეს.

⁴ ეს მინაწერი გრ. წერეთლის მიერ XI საუკუნით არის დათარიღებული.

⁵ სწერია *ἱερὸς*, უდრის *ἱερὸς*. ახალ ხალხურ ბერძნულში შენიშნულია სიტყვა *βασιλῆς* (ე. ი. *βασιლῆς*).

⁶ ახალ ხალხური ბერძნულიდან მომდინარეობს თანდებულ ძაბ-ს ხმატება აკუბატივის ბრონასთან: ძაბ ἔδ' Ἰωάνηυ „იოანესგან“.

νην καὶ τὸν Κυριακὸν¹ Ἐρητόπου-
λον τόπον μετόχιον² καὶ ἔδωκα
ταύτην ἑλοικότευνα³ βοτανάτα⁴ ἔμο
ἔμπρὸς τῶν προγεγραμμένων μαρ-
τύρων· ἔμπρὸς πρεσβυτέρων τὸν

კვირიკე სერიტოპულოსგან ადგი-
ლი მეტოქი (მონასტრისა?) და
მივეცი საფასურად ორი ოქროს
ბოტანიტი ზემოხსენებულ მოწ-
მეთა თანადასწრებით, თანადა-

¹ სწერია *κῆριαιον*. ამ სიტყვაში Beermann-მა დაინახა აკუზატივის ბრუნვა სიტყვისაგან *κῆρις* („მაცნე“, „მქადაგებელი“), იმ დროს როდესაც აქ გვაქვს საკუთარი სახელი *Κυριακός* („კვირიკე“, „ვიყიდე იოანესგან და კვირიკესგან“). თანაც *κῆριαιον* იქნებოდა არარსებული აკუზატივი (უნდა ყოფილიყო *κῆριαια*).

² *τόπον μετόχιον* — ამ გამოთქმაში *μετόχιον* არის ზედსართავი სახელი *μετόχιος* („საფერმე“, „სამეურნეო), რ. მ. — „საფერმე ადგილი“. ძველქართულში კარგად არის ცნობილი „მეტოქი“. ეს არის „მონასტრის კუთვნილი, მაგრამ სხვაგან მდებარე დროებით სამყოფი სახლი“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, იოანე და ექეთიმეს ცხოვრებისათვის დართული ლექსიკონი, თბ. 1946; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1946, გვ. 87). „იოანეს და ეფთემეს ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: «გინა შინა მონასტერსა გინა გარე მეტოქთა კელრისა გასაგებელნი იყვნეს».

³ *ἑλοικότευνα βοτανάτα* ოქროს ბოტანიატები, სიტყვა *ἑλοικότευνα* ძველს ბერძნულში არ გვხვდება, იმით აღინიშნება პაპირუსებში და ზოგიერთ ბიზანტიურ ტექსტებში «სოლიდია», «ოქროს დინარია» (იხ. Sophokles).

⁴ *βοτανάτα* (ბოტანიატა) აღნიშნავს ნიკიფორე III ბოტანიატის მეფობაში (1078 — 1081) მოჭრილ მონეტას.

ნიკიფორე ბოტანიატეს მონეტები, როგორც ჩანს, საქართველოში მიმოქცეული იყო. საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდში საკმაო რაოდენობით მოიპოვება მონეტები წარწერებით: *Νικηφόρος Δεσπότης, Νικηφόρος Δεσπότης Βοτανιάτης, Κύρις φάλαττε Νικηφόρου Δεσπότην* (იხ. თ ა მ ა რ ა ბ რ ა შ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ. 1965, გვ. 108 — 110).

¹ მონეტა „ბოტანიტი“ ნახმარია იმავე კორიდეთის ოთხთავის ქართულ მინაწერებში, ისეთივე ორთოგრაფიით როგორც ბერძნულში:

X 39—40: «...პირითა ღრთისათოჲ შემოგადგე პირველ სამოცი, მაგრა ათი გაგიშოი და ორმოცდაათისა ბოტანიტისაი ავიღე» („ჯერ სამოცი [ბოტანიტი] დაგარიცხე, ხოლო შემდეგ ათი ჩამოგაკელი და მხოლოდ ორმოცდაათი ბოტანიტი გადაგაბდევინე“).

XII 13—14: «და ვინცა ესე დაწერილი შალ[ოს], ათი ბოტანიტი ზღოს» („ვინც ეს ზელშეკრულება დაარღვიოს, გადაიხადოს ათი ბოტანიტი“).

ეს მონეტა ცნობილია აგრეთვე ათონის ქართველთათვის. ათონის ალაპებში ვკითხულობთ:

1) *ათუესა იანვარსა ი*დ: ...ალაპი იოანესთჳს და მიქელისთჳს... ესე ძმანი კახელნი მოვიდეს დიდისა სიყუარულითა მონასტერსა ჩუენსა და დაყვეს რაოდენიმე ეამი, და მოსცეს ველესიასა ლიტრაჲ ერთი დრაჰკანი ვოტანიტი...».

2) *ათუესა ოკლონბერსა კ*გ: წ¹სა იაკობ ძმისა უფლისასა ალაპი არს იაკობ იაყუთი ყოფილისაჲ; მოსცა ველესიასა დრაჰკანი სტავრო-ვოტანიტი რ.

παπᾶν Ἰὸβην καὶ τὸν Μάρκον
καὶ [τὸν π]απᾶν Μιχαήλ καὶ
τὸν Κυριακὸν καὶ τὸν Ματθεῖον
[.....]τῆς βίας Κουρτζέκης. Μάρ-
τυρες ἀπέγραψαν.

სწრებით ხუცებისა, მამა იობისა
და მარკოზისა, მამა მიხაელისა
და კვირიკესა და მატესისა.....
ძევას კურძეკისა. მოწმეებმა ხელი
მოაწერეს.

III

Ἐγὼ ἁμαρτωλὸς¹ Ματθαῖος
δουλὸς² τῆς καὶ ξένος κατέλαβον
ἐν τῇ ἀγίᾳ μονῇ τῆς ὑπεραγίας
θεοτόκου τοῦ Κοριδαίου³ ἐπὶ βι-
σλῆως Ἀγδρονίου... διη⁴ τῆς
Ῥωμανίας.

მე, ცოდვილი მათე, მოგზაუ-
რ^o და უცხოთესლი, მოვედი კო-
რიდეთის ყოვლად-წმინდა ღვთის-
მშობლის მონასტერში რომანიის
მეთის ანდრონიკეს დროს.

IV

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς καὶ სახელითა მამისათა და ძი-
τοῦ ἁγίου καὶ [ἀγίου] πνεύματος. სათა და სულისა [წმიდისათა].

¹ ეს მინაწერი, განსხვავებით დანარჩენი მინაწერებისაგან, ყველაზე უფრო მეტ ორთოგრაფიულ შეუსაბამობებს იძლევა: *αμαρτωλως*, *της* (*εις*), *κλειστος* (*κατέλαβον*), *της* (*της*), *ηπεραγιας* (*υπεραγιας*) და სხვ.

² *δουλος* — ასეთი სიტყვა სხვაგან არსად გვხვდება. მინაწერში სწერია *οικη*. თუ ჩვენ ამას წაიკითხავთ *δουλος*, რაც ნიშნავს „დაყოვნებას“, „დაგვიანებას“. შინაარსობლივად არ არის ნათელი. გრ. წერეთელს მოჰყავს პ. ივანშტედტის მიერ მისი დაეალებით შეკრებილი მასალა, რომლის მიხედვით, კოპტური და ეგვიპტურ-ბერძნული ლექსიკის გამოყენებით, შესაძლებელი ხდება მეზობელი სიტყვის *ξῆσις*-ის მოშველიებით გაგებულ იქნეს *მაიცა* როგორც „მოგზაური“, „მოგზაური“.

³ ასე სწერია.

⁴ სიძნელეს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ *διη* რომელი სიტყვის დაბოლოებაა. ბერძნული ფიქრობდა, რომ აქ უნდა ყოფილიყო *θεοποιη*, მაგრამ. მართალია, ახრით მიუდგებოდა, ხოლო დაწერილობით არ შეესაბამება. გრ. წერეთლის ახრით, იქნებ აქ *χριστιοδιη* (= *χριστιοδιης*) „მწყალობელი“ ეწერა!

ან დ რ ო ნ ი კ ე შეფე შეიძლება იყოს:

1) ანდრონიკე I კონსტანტინის — ბიზანტიის კეისარი 1183 — 1185 წ.წ, ან

2) ანდრონიკე გილონი — ტრაპეზუნტის კეისარი 1222 — 1235 წ. წ.

რადგან დამწერლობის მიხედვით, ეს მინაწერი, გრ. წერეთლის ახრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება XII საუკუნეს მიეკუთვნოს, რჩება, მაშასადამე, XIII საუკუნის ანდრონიკე გულონი (თუ გულოსი). ასოების მოზაზულობანი. ამბობს გრ. წერეთელი, უძველად მოწმობენ XIII საუკუნის სასარგებლოდ (*Die Formen der Buchstaben zeugen unbeding t für das XIII Jahrhundert*).

Ἐμὲ Σαδόνιν¹, κάρει, συγγάρει² შეგვიწყალე, უფალო, მე სადუნი
καὶ τὸν Λάζαρον³. და ლაზარე.

V

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς, υἱοῦ
καὶ ἁγίου πνεύματος. Ἐγὼ δὲ δια-
τάσσω τὸ πρῶτον⁴ μὲν, ἢ ἰσ-
χάτηρ τοῦ πρῶτον⁵ Μιχαήλ
τοῦ ἁγίου⁶, [ἢ] ἄστραχ⁶
ἀπὸ τῶν τέκνα ἄνευ⁷ τέκνων ἀ-
έμεινε, καὶ ὁ μετὰ ἀναστήσει εἰς
τὸν γόνιαν τὸν πατέρα ἀπὸ

სახელითა მამისათა, ძისა და
სულისა წმიდისათა. მე, ასული
მიხეილ ხუცესისა, წინამძღვრისა,
რომელიც დაერჩი უშვილოდ,
მოკლებული შეილებისა, ვბრძა-
ნებ ჩემი მზითვი—ღმერთი იყოს
ჩემი მამის მშობლიური ადგი-
ლის აღმდგენელი—კუატი...კორის

¹ გრ. წერეთლის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ ადგილის სწორი ამოშიფრვა (Σαδόνιν). მინაწერში სწერია: εμε|σιδόνιν. ბევრმანმა ასე გათიშა: εμεσ α δόνιν და გაიგო როგორც: ἡμεῖς α δόνει („რაც ჩვენ გვაღულებს“), ხოლო გრეგორიმ, რომელმაც აგრეთვე გამოაცალკევა αδόνინ, გაიგო ეს უკანასკნელი როგორც αδόναι, და ახრი გამოიტანა „შეგვიწყალე, აღონაი—უფალო...“.

(კალკე გამოტანა სიტყვისა εμεს და მისი გაგება როგორც ἡμεῖς შეუწყნარებელია შემდეგი მიზეზის გამო: ამ დროისათვის (ca. XIII საუკუნისათვის) შეუძლებელია ე უდრიდეს η-ს (η უდრის, უეჭველად, o-ს), ისევე როგორც შეუძლებელია εε გამოიზატოს e-თი (εε უდრის აგრეთვე o-ს).

გრ. წერეთელს ამ ადგილის სწორად ამოშიფრვა გაუადვილა იმ გარემოებამ, რომ, რამდენადაც კორინდეთის ამბები ქართულ გარემოს ჰგულისხმობს, მან გამოიყენა საქართველოს ისტორიაში ცნობილი მასალა საადუნ მანკაბერდელის შესახებ. სწორედ XIII საუკუნეში არის ჩვენში ცნობილი საკუთარი სახელი საადუნ ო. «მანკაბერდელსა სადუნსა, რომელი იყო კაცი ბრძენი და გონიერი, და კეთილის-განმზრახი... და მორკინალი რჩეული საჩინო» (ქ. ცხ. II, 1959, გვ. 237); «სადუნი, რომელსა უბოძა მეფემან დიმიტრი ათაბაგობა» (იქვე, გვ. 270, 3—4). სადუნ მანკაბერდელის მოღვაწეობა ხდება 1268—1288 წლებს.

² მინაწერშია: σιχορι κα τον Λαζαριος.

³ გრ. წერეთლის ახრით ეს მინაწერი უნდა დათარიღდეს არა უგვიანეს XIII საუკუნის ხანისა.

⁴ სწერია: τω προημεον, საყურადღებოა η (o) უდრის o-ს.

⁵ სწერია: υγιου μημεσος. გარდა ორთოგრაფიული აღრევისა, ყურადღებას იქცევს სიტყვის დაბრუნება თითქოს III კანკლედობით (ἡγούμεσος, როგორც ἡγεμῶν, ἡγεμόνος).

⁶ უცნობია სიტყვა ἀστραχ. გრ. წერეთელი ფიქრობს, რომ იქნება აქ უნდა ვივარაუდოთ ἀστοχος („რამეში შემცდარი“, „შიფლწვეელი“) და გამოთქმა ἀστοχος ἀπὸ τῶν τέκνα გაეიგოთ „შვილებს მოკლებული“, „უშვილო“.

⁷ სწერია: ἀνα τέκνον (ἀνευ⁷ τέκνω).

τόπον ζεῦγον¹ τὸν Κουατ...αορ, ἔπειρ ἡγέδωχα τῆ ἐκκλησίᾳ τὸν Κοριθῆσιον, καὶ τίς ποτε οὐκ ἔχει ἐξουσίαν² ἀλλάσσειν. Ἐν τῇ βασιλείᾳ τὸν κυρίου Φωκᾶ³ τὸν βασιλέως μῆνι Φελαρίῳ⁴ ἰνδικοῦνος ἡ. Χεῖρὸς διαγραμμένον πρῶτον⁵ Μιχαήλ Τξαλάνις.

ულეული (?), რომელიც ვუბოძე კორინდეთის ეკლესიას, და არავის აქვს უფლება ოდესმე შეცვალოს (ჩემი ბრძანება). ეამსა უფალ ფოკა კეისრის მეფობისასა, თებერვლის თვეში, მერვე ინდიქტიონს. დაიწერა ხუცესის მიხეილ ძალანის ხელით.

VI

Σίγνο⁶ Κυριακόπουλος Μιχά-
λιν: σίγνο Κωριθέλις: σίγνο Πέτ-
ρος⁷ ἀνεψιὸς⁸ τὸν Μιχάλιν.

ვამოწმებ კირიკობულოსი მიხალისი: ვამოწმებ კორინდელისი: ვამოწმებ პეტრესი, მიხალისის იმისწული.

¹ სიტყვა ζεῦγον კლასიკურ ბერძნულში არ გვხვდება. მე ვადმოვეცი ეს „ულეულით“ და შესაძლებელია ამით აღინიშნებოდა ადგილის ზომა, „ერთი ულეულით მოსახნავი მიწის რაოდენობა“.

² სწერია: ἐξέουσιαν.

³ „ფოკა კეისრის მეფობა“. ბიზანტიის სამეფო ტახტზე ცნობილია ორი კეისარი, ამ სახელის მატარებელი: 1. ფოკა უზურპატორი (602 — 610 წ. წ.) და 2. ნიკიფორე II ფოკა (963 — 969 წ. წ.). დამწერლობის ხასიათით ეს მინაწერი X საუკუნისა უნდა იყოს. მაშასადამე, მინაწერის ფოკა არის ნიკიფორე ფოკა და ამ ინდიქტიონიც ხვდება 965 წელს.

⁴ თებერვალი აღნიშნული ხალხური ფორმით; იხ. *Φλεβάρη* (Русско-новогреческий словарь, составила А. А. Иоаннидис. М. 1966, გვ. 756).

⁵ ეს სიტყვა შემოკლებით სწერია: πρ.

⁶ ბევრმანი ფიქრობდა, რომ *σίγνο* არის შემოკლებული *συγγνωστω* („ვეთანხმები“). მნიშვნელობით არ არის უარსაყოფი ეს მოსაზრება, მაგრამ ლექსიკურად ამ ორ სიტყვას შორის საერთო არაფერია. *Σίγνο* არის ხალხური ფორმა, უდრის *σίγνω*-ს, რაც თავისი მხრით არის ლათინური *signum*. ამ სიტყვით იწყება ხოლმე საშუალო საუკუნეების საბუთები და აღნიშნავს იმ პირთა ხელწერას, რომლებიც საბუთს შეადგენენ ხოლმე; მაგ., *Вазелонские акты* 3, 4 და სხვ.

⁷ *Πέτρος* — ეს უნდა იყოს ადგილობრივი ფორმა სიტყვისა *Πέτρος*. შდრ. ქართული „პეტრე“.

⁸ სწერია: *ανψιος*, ე. ი. „ანიფსეოს“: ხომ არ არის ხმოვნები გადასმულ-გადაადგილებული, უნდა იყოს *ἀνψιός*. ვფიქრობთ, რომ გრ. წერეთლის მიერ დაბეჭდილი *ἀνψιός* შეცდომა უნდა იყოს: პირველი ე უდრის მინაწერის *ψ-ს*, ხოლო მეორე ე მინაწერის *ψ-ს* მაგიერ არაფრით არ არის გამართლებული. ჩვენის აზრით:

ανψιος ← *ανψιος* ← *ἀνψιός*.

გრ. წერეთელს კი მოჰყავს პ. იერნსტედტის მიერ მიწოდებული ახალბერძნული *ἀνψι*, მაგრამ ვერ ხსნის *ψ-ს* წარმოშობას. ახალბერძნულ ლექსიკონშიც სწერია: *τὸ ἀνψι, ὁ ἀνψιός*.

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς καὶ
τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου πνεύμα-
τος. Ἐπαρέδωκα[ν] Μεγαλόστρα-
τα τόπον τέταρτον¹ διὰ τὸν Βου-
δου² ἐμοὶ σὺν τὸν πρεσβύτε-
ρον, παπᾶ Ἰάνε, καὶ τὸν [αὐτο]ῦ
ἀδελφόν. Ὁ θεὸς καὶ ἅγιος θεο-
τόκος γὰρ σὲ χάρις, [καὶ ἴποι]ος
ἀναστρέφει, μὴ ἔχη μέρος τοῦ
θεοῦ.

სახელითა მამისათა და ძისა-
თა და სულისა წმიდისათა. გად-
მომცეს მეგალოსტრატის მეოთ-
ხედი ადგილი ბუდუს ხელით მე,
ჩემთან ერთად ხუცესს მამა ივა-
ნეს და მის ძმას. ღმერთმა და
წმიდა ღვთისმშობელმა მოგახმა-
როს, და ვინც უკუნაქციოს, ნუ
ჰქონდეს ნაწილი ღვთისა.

VII

Ἐν ὀνόματι τοῦ πατρὸς καὶ
τοῦ υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου πνεύματος.
Ἔμεῖς³ τὰ τρία ἁγρίδια ἔσυν-
άγαμε⁴ διὰ τὸ[ν] συσῶρι⁵ καὶ

სახელითა მამისათა და ძისა-
თა და სულისა წმიდისათა.
ჩვენ, სამი სოფელი. შევიკრი-
ბენით საზღვრისა და ტყის გა-

¹ სწერია: τόπο¹ τεταρτ².

² ბეგრმანი ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება ადგილი Budin—Budiet (7 კი-
ლომეტრით არის დაშორებული მაგარა-სო). მე ვაგებედავ და ვიტყვი; როგორც
Πέτρος უნდა იყოს ქართულთან დაკავშირებული „პეტრე“, ისე აქაც შესაძლებე-
ლია ვივარაუდოთ კაცის სახელი „ბუდუ“, თუმცა ამ დროისათვის (XII საუკუნი-
სათვის, როდესაც ეს მინაწერია დაწერილი) „ბ“-ბგერისათვის B-ს ხმარება ანა-
ქრონიზშია.

³ Ἔμεῖς (სწერია: εμοις). კლასიკური ფორმა ამ სიტყვისა არის ἡμεῖς, რაც
ბიზანტიური გამოთქმით იქნება „იმის“. რადგან ეს უკანასკნელი ემთხვევა გამო-
თქმაში ἡμεῖς („თქვენ“), შემუშავდა ἡμεῖς-ის ნაცვლად ἔμεῖς (εμου, εμοί, εμε-ს
გავლენით) და ἔμεῖς-ის გვერდით (ἐ)οἰς („თქვენ“).

⁴ სწერია: εσηναγαμε, რაც უდრის ἐσυνάγαμεν. შემოკლების ნიშნად ნახ-
მარი " ტიპიურ ხელნაწერებში აღნიშნავს *u-s*, ხოლო *v* აღნიშნება ჰორიზონ-
ტალური ხაზით — (იხ. გეორგიკა, ტ. V. გვ. 281). გრ. წერეთელი ფიქრობს,
რომ ჩვენს შემთხვევაში " არის *v* (ἐσυνάγαμεν). ახლა, საკითხავია, თუ რას წარ-
მოადგენს *συνάγαμεν*. მნიშვნელობის მხრით არავინ დავობს, რომ აქ ნიშნავს
„შევიკრიბენით“ (собрались, გვ. 9 წერეთლის გამოცემისა; wir haben uns ver-
sammelt, გვ. 58), ხოლო თვით ფორმა ამ ზმნისა მითითებულია გრ. წერეთლის
მიერ 1 p. pl. aor. pass. *συνάχθω*. ნიშნავს თუ არა *συνάχθω* „შეკრებას“. ჩვენ
ფიქრობთ, რომ არ ნიშნავს. არის ორი ზმნა; 1) ძწა „ვებმობ“, pass. „ვებები“;
2) ძწა, ძწομαι „ვეთავყვანები“. ასე რომ ამ სიტყვებიდან, *συν-*ის წინ დართვით,
ვერ მივიღებთ „შეკრებას“. უერჯერობით უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ
აქ არის ზმნა *συνάγω* („შეკრება“), მისი ერთ-ერთი ნამყო დრო *ἐ-συνάγαμεν*
(თავისებური აუგმენტუმით *ε* პრევერბის წინ და არა მის შემდეგ, როგორც ამას
წესი მოითხოვს), ხოლო, თუ რა დროა, ამის შესახებ უერჯერობით ვერაფერს
ვიტყვით.

λόγγον¹, ἱερεῖς καὶ κοδικοποι-
γέροντες², ὅστις ἐξέδουσαν³ κα-
τὰ φόβου θεοῦ καὶ τῆς ἀληθείας,
ἵνα ψέμα⁴ μὴ εἴπωμεν ἐνώπιον
τοῦ θεοῦ καὶ τῶν ἁγίων ἐπὶ μέ-
ρος τοῦ Ὁσμαλίου.

Κάτου εἰς τὸ παραπόταμον
στέκει⁵ τίμιον σταυρὸν ἁγίου
Γιώργι⁶, ἀπὸ κάτω συνορί εἰς
τὸ σταυρὸν ἐπάνωθεν ἁγίου Γιώρ-
γι⁶ καὶ ἄνω ἅγιος Γρηγόριος
ἔθετο ἀρχιστράτηγος, μέγα τὸ
λίθον.

Χωρὶς τὰ μετόχια ὀνόματι
Ψιλάφυμα. Οὐδὲ ...εσσυ συγχω-
ριο[ν] τὴν Δουρατζα δικάτιμον
ἔχουσαν διὰ τὸν λόγγον τοῦ Νο-
καλανέθι⁷ Μεχαηλίφ Φατζιჯას,
Ἰωάννη Ὀστჯაκα, ὄνο γεωργოῖς
᾿Ωλολοβ⁸ Ἀσკას... καὶ εὐραν τοῦς
μαρτύρους, ἄξιους πιστοῦς μαρ-
τύρους, οἱ ἄδικοι⁸ (?), ὅτι καὶ

მო, [შევიკრიბენით] ხუცები და
სახლთუხუცესები, რომლებმაც
გადაწყვიტეს ღვთის და ჰეშმა-
რიტების შიშით, რათა ტყუილს
არ ვიტყვით წინაშე ღვთისა და
წმინდანთა შესახებ ოსმანლისა.

ქვემოთ, მდინარის გასწვრივ,
დგას პატროსანი ჯვარი წმიდისა
გიორგისა, ქვემო საზღვრიდან
ზემო ჯვრამდე წმიდისა გიორ-
გისა. და ზემოთ წმინდა გრი-
გოლი დგას, არხისტრატევოსი,
დიდი ქვა.

ცალკე [არის] მეტოქები ფსი-
აფიმას სახელით. არავითარი (სა-
საზღვრე ნიშანი) არაა მეზობლად
ღურსძასი, რომელსაც ჰქონდეს.
დავა ნოქალანეთის ტყის გამო
მიხეილ ფაძუსთან, იოანე ოსძა-
კასთან, ორ მიწისმუშასთან ოლო-
ლოვ-ასკეს... და იპოვეს მოწ-
მენი, ნდობის ღირსი მოწმენი,

¹ სწერია: *ლოკონ*, ე. ი. *ლოγγონ*. ლექსიკონებში ეს სიტყვა დამოწმებული არაა.
გრ. წერეთელი თარგმნის: *lec*, Wald.

² სწერია: *კოდისკოპიგერონტეს*. ე. ი. წინ ჩამოშორებია მარცვლი *დი*.

³ *ἐξέδουσαν*, ე. ი. *ἐξέδουον*. ამის ანალოგია გვაქვს მთელ რიგ შემთხვევებში:
ἤλιθοσαν (= *ἤλιθον*).

⁴ ეს არის ხალხური ფორმა: *ψέμα*, *ψέμμα* ← *ψεμμα* (= *ψεσμα*).

⁵ *στέκει* (სწერია: *στεκου*) ხალხური ფორმა ზმნისაგან *ἵστημι*. წარმოდგენს
ἔστηκα-სგან გაკეთებულ მეორად აწმყოს, საყურადღებოა, რომ *ἔστηκα*-ს მიხედ-
ვით უნდა ყოფილიყო *στήκει*. რაც მართლაც აქვს ოლიმპიოდორეს (აბ. წ. V ს.)
πίπτει, οὐ στήκει (HGM I 468, 6, 8).

⁶ ყურადღებას მივაქცევთ, რომ *Γιωργι* (სწერია: *Γιοργιον*, *Γιοργης*) ზედმი-
წვენით გადმოგვცემს ადგილობრივ ფორმას ამ სახელისას (შდრ. კართული
„გიორგი“. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ ნახმარი *εἰθέρθει* (სწერია: *εἰθέρθει*)
წარმოდგენს პონტოელ ბერძნებში ხმარებულ 3. sing. aor. pass.

⁷ *Νοκαλανέθι* ძალიან მიაგავს ადგილობრივ კანურ-მეგრული გარემოს საკუ-
თარ სახელის ფორმას (შდრ. ნოქალაქევი).

⁸ ამ ფორმასაც მივყავართ პონტოს ბერძნების სამყაროში: *ადიკოი* (სწერია:
ადიჯი): პონტოს დიალექტში დადასტურებულია *οἱ λῦτζοι* (= *οἱ λῦκοι*). იხ.
A. Th u m b, Handbuch der neugriechischen Sprache. Strassburg 1910, § 62.

ἔμεντο ἀσπιρόταμον, οὐκ ἦσαν
οὐδὲ κλάσμα(?) τόπου κατὰ φέ-
βου φεσὲν καὶ τῆς ἀληθείας.
Ψέμα οὐκ ἐρρέθεν. *Ὅστις ἀνα-
στρέψει, μὴ ἔχη μέρος τοῦ
φεσο¹.

უსამართლოებმა, რომ მათ დაე-
დოთ [სახლვრად] თეთრი-წყალი;
[მაგრამ] არ წაიღეს არც ადგი-
ლის ნაგლეჯი ღვთისა და ქვეშა-
რიტების შიშით. ტყუილი არ
აღმოჩნდა. ვინც შესცვლის, ნუ
ეკნება ნაწილი ღვთისა.

VIII

Ἐγὼ² Κορυχένις³ κόμης ἀπό
τῆς ταξιαρχίας τῆς Τεφρικῆς⁴
ἦλθα εἰς τὸ κάστρον [Παυλί]κλα-
νῶν, Τίχαιτιν καστροφυλάκιον,
μηγὶ Μαρτίῳ ἐνστασῆς ἐν[δευκτιό-
νοσ...].

მე, ტეფრიკის სამხედრო ოლ-
კის კომსი გურგენი, მოვედი
[პავლი]კიანთა ციხეში, ცხიეთის
ციხე-სიმაგრეში მარტის თვეში,
მიმდინარე... ინდიქტიონში.

ეს მინაწერი ჩვენ სპეციალურად გვაქვს განხილული ცალკე წერილში:
„კორინდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღე-
ბისათვის“ (ჩვენი მეცნიერება 1924, № 11—12, გვ. 84—86), რომელ-
საც აქვე ვათავსებთ.

¹ ამ მინაწერის კავშირს ქართულ გარემოსთან მოწმობს ისიც, რომ აქ რომ
ლაპარაკია ქვა-ჯვარებზე, როგორც სასახლვრო ნიშნებზე, ის ანალოგიას
პოულობს „დასტურლამალის“ ტექსტში მოხსენებულ ქვა-ჯვარებში.

იხ. აგრეთვე: ვ. თოფურია. ქვაჯვარანი საქართველოში: მასალები საქ.
და კავკ. ისტორიისათვის, 1942 წ. ნაკვ. IV.

² სწერია: εΓο. ასეთივე γαμμα ნახმარია ფოკას მეფობით დათარიღებულ
მინაწერში. იხ. აქვე ქვემოთ შენიშვნა.

³ როგორც გრ. წერეთელს გამორკვეული აქვს. აქ უნდა იგულისხმებოდეს
გურგენ კლარჯი, რომელიც საქართველოს მეფემ ბაგრატ III კუროპა-
ლატმა დაატუსაღა და რომელიც 1012 წელს გარდაიცვალა პატიმრობაში, თმოგ-
ვის ციხეში. «ამან ბაგრატ კუროპალატმან — წერს სუმბატ დავითისძე — მოიყ-
ვანა კლარჯნი კელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელი-
სანი, თჳსნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანას-
კერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი
მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყვნა ციხესა შინა თმოგუსასა. და მუნ ციხესა
შინა თმოგუსასა გარდაიცვალა სუმბატ ანტანუჯელი კრონიკონსა სლ^ა
[231+780=1011]. და ვგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიც-
ვალა, ემა სუმბატისი, კრონიკონსა სლ^ბ [232+780=1012]» (ქ. ცხ. I [1955],
382, 21—27).

⁴ Τεφρικῆ — ახლანდელი „დივრიგ“, მცირე აზიაში, ბიზანტიის სახლვართან.

კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის¹

I

კორიდეთის ბერძნული სახარების ქართულმა მინაწერებმა იმთავითვე მიიპყრო მკლევართა ყურადღება. პირველად მათი წაკითხვა სცადა აკადემიკოსმა მარტი ბროსემ (Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles, rapporté du Souaneth-Libre et appartenant au comte Panin: Mélanges Asiatiques, t. VI, 1870). შემდეგ მოსე ჯანაშვილმა გამოსცა ისინი 1908 წელს „საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის“ III წიგნში, გვ. 233—250, და მანვე ხელმოკრულ გამოსცა ეს მინაწერები 1909 წელს „ძველი საქართველო“-ს I ტომში (III განუ. გვ. 78—87). დასასრულ, ჩვენი მინაწერები და მათი პალეოგრაფიული პირი გამოსცა აკად. ნ. მარტი (Известия Имп. Академии Наук, 1911, გვ. 211—240, ტაბ. I—VIII).

არც ერთი ზემოაღნიშნული მკვლევარი არ შეხებია დეტალურად მინაწერების დათარიღებას: მინაწერთა დათარიღებისას მხოლოდ ზოგადი მსჯელობით კმაყოფილდებოდნენ. მ. ჯანაშვილისათვის ამოსავალ წერტილს მინაწერების დათარიღებისათვის წარმოადგენს 249 ხ გვერდის პირველი ქართული მინაწერი, სადაც ის ბოლოში ჰკითხულობს: დოლისკა[ნას] ქსა მა (ე. ი. 821 წელს); ხოლო აკად. ნ. მარტი, როდესაც აღნიშნავს მ. ჯანაშვილის ამ უკანასკნელი წაკითხვის უსაფუძვლობას (მინაწერში ნათლად იკითხება დავწერე) სტ^რფნ დოლისკა[ნ¹]ელშან¹)², დასძენს: „წინააღმდეგ ისტორიული, სტილისტიკური და პალეოგრაფიული სიცხადისა, XIII საუკუნისა და კიდევ უფრო გვიანი ხელნაწერი მასალა მეთე საუკუნეში გადააქვთ“³. ამ სიტყვებით ნ. მარტი თითქოს აღიარებს, რომ 249 ხ გვერდის პირველი ქართული მინაწერი XIII საუკუნეზე აღრინდელი არ შეიძლება იყოს.

საზოგადოდ ნ. მარტი არც ერთს მინაწერს არ ათარიღებს, მხოლოდ ორ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს წმინდა ხუცურ დამწერლობასთან, ის უფრო მიახლოებით ამბობს: 1) „ნუსხა-ხუცურით,

¹ წაკითხულ იქნა მოხსენებად „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების“ სხდომაზე 1924 წლის მარტის 11/-ს.

² მართალია ენი და ნარი იმდენად გამჭრქალია, რომ ძლივსღა იკითხება, მაგრამ ლასის კითხვა უეჭვოა.

³ Н. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридети, ИАН, 1911, გვ. 216.

თითქოს X—XI საუკუნის ხელით“ (73 ხ გვ. მინაწერის შესახებ) და 2) „მერმინდელი ტიპის ჩვეულებრივი ხუცურით“ (249 ხ. გვერდის მეორე ქართული მინაწერის შესახებ). დანარჩენ შემთხვევაში ნ. მარრი სრულებით არ ეხება თარიღის საკითხს; გამონაკლისს შეადგენს ის ზოგადი შენიშვნა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. და ეს გასაგებიც არის. მეტი წილი მინაწერებისა წარმოადგენს ან მხედრულს ან ხუცურ-მხედრულ ნარევ დამწერლობას, რომელიც—თუმცა ქართული პალეოგრაფია უკანასკნელ ხანებში საკმაოდ დაწინაურდა, მაგრამ მაინც—ნაკლებად არის დამუშავებული და შესწავლილი. ჯერ ქართულმა პალეოგრაფიამ ვერ მიაღწია იმას, რომ გამოიჯნოს ზედმიწევნით სხვადასხვა სახის დამწერლობა, და ხელთ მისცეს ზოგად ფილოლოგიას მკვეთრი კრიტერიუმი.

ჩვენი მინაწერების დათარიღება ზედმიწევნით შეუძლებელია, ვიდრე არ გამოირკვევა საზოგადოდ საკითხი ამათუიმ ტიპის დამწერლობის ქრონოლოგიური თანამიმდევრობისა და ვიდრე, კერძოდ ჩვენს შენთხვევაში, კორიდეთის სახარების მინაწერები ერთმანეთთან პალეოგრაფიულის დაკავშირებით არ იქნება განხილული.

ამის გარდა აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: კორიდეთის სახარების ქართული მინაწერების მკვლევარნი იხილავენ ამ მინაწერებს განცალკევებულად და მხედველობაში არ იღებენ სრულებით იმ ბერძნულ მინაწერებს, რომლებიც ქართული მინაწერების პარალელურად არის მოთავსებული ხელნაწერის აშეიბზე და თავისუფალ ადგილებში, იმ დროს როდესაც ამ გარემოებამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გარდამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს ქართული მინაწერის დათარიღებაში.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ კერძოდ ერთ შემთხვევას, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო კორიდეთის სახარების ბერძნული მინაწერების გადასინჯვის დროს.

II

კორიდეთის სახარების 249 ხ თავისუფალ გვერდზე, სადაც სახარების ტექსტი სრულიად არ მოიპოვება, ზევიდან 17 cm., მოთავსებულია ერთი ბერძნული წარწერა¹, რომელიც ასე იკითხვის:

+ *Εγω ποιηκτισο κομης απο της ταχιορχιας της τεφουα(ης) |
εισελθα εις τω καστρον[ε]... εχχισιν καστροφνλαχ(ιας) μ(η)ν μαρτ(ιου)*

¹ იხ. H. Mapp, l. c. მერვე ტაბულა.

შინაარსი ამ მინაწერისა, სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერ-ჯერობით ნათელი არ არის. ასე რომ ამის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია მისი დათარიღება.

სამაგიეროდ მინაწერი ისეთს მკვეთრ პალეოგრაფიულ ნიშნებს ატარებს, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს დანამდვილებით ვთქვათ, რომ ეს მინაწერი X საუკუნეზე უფრო გვიანს არ შეიძლება ეკუთვნოდეს. აქ გარდამწყვეტია ორი უმთავრესი გარემოება: 1) ჯაპპას მოხაზულობა და 2) ლიგატურა *εστ*.

1. ჯაპპა ჩვენს მინაწერში იქ, სადაც ის სიტყვის შეკვეცილ ნაწილშია (*εσφραγισ χαστρονφυλακισα*) წარმოადგენს ერთ მთლიან დაკლაკნილ ხაზს, რომელიც სტრიქონს ზევით იწეება და ზევიდამ ქვევით მოდის¹, ეს სწორედ ისეთი ხაზია, რომელიც ხანდახან ძსის გამოსახატვად იხმარება². ასეთი ჯაპპა გვხვდება ჩვენ ბერძნულ ხელნაწერებში XI საუკუნემდე.

2) ჩვენს მინაწერში *εστ* (სიტყვაში *εστειμι*) შემდეგნაირად იწერება: ჟესილონს შუამუცლიდან ჩამოუდის ვერტიკალი ხაზი, ოდნავ მოკაუჭებული ზევით (ჟესილონის მუცელში) მარცხნივ და ქვევით მარჯვნივ (ეს ვერტიკალი ხაზი წარმოადგენს *ოტას*). ასეთ ლიგატურას მარჯვნიდან მარცხნივ გადასჭრის სწორხეივა ხაზი, რომელიც *ოტას* გაუვლის მის მარჯვნივ მოკაუჭებულ ქვედა ბოლოში (ეს არის *თიგმა*); *εστ*-ის ასეთი ლიგატურა ბერძნულ ხელნაწერებში ჩვენ VII—XI საუკუნეებში გვხვდება მხოლოდ. შეიძლება უფრო მეტი მიახლოებებიც განვსაზღვროთ: სწორხეივა ხაზით გამოსატული *თიგმა* გადასჭრის *ოტას* მის ქვედა ბოლოკიდურში (ესე იგი ისე, როგორც ეს ჩვენს მინაწერშია) მეთაე საუკუნემდე დაწერილ ხელნაწერებში. ხოლო X—XI საუკუნის ხელნაწერებში *თიგმა* გადასჭრის *ოტას* უფრო ზევით, შუაში და ხან უფრო ზევითაც.

ამ პალეოგრაფიულის მოსაზრებით ჩვენი მინაწერი შეიძლება დათარიღებულ იქნეს X საუკუნით (ან, უკიდურეს შემთხვევაში XI საუკუნის დასაწყისით)³.

¹ იხ. Г. Ф. Церстели, Сокращения в греческих рукописях преимущественно по датированным рукописям С.-Петербурга и Москвы. Изд. 2-ое СПб, 1904, გვ. 46, ტაბულა IV.

² ეს გამოწვეულია იმით, რომ მწერალი ცდილობს ერთი მოხმით (in einem Zuge) დასწეროს *χ*. ასევე ძველ მინუსკულში, როდესაც ჯაპპას სწერენ კურსივის მსავეით (იხ. Gardthausen, Griechische Paläographie II, 213, Leipzig 1913).

³ ამას ადასტურებენ აგრეთვე შემდეგი პალეოგრაფიული ნიშნებიც: ჩვენი მინაწერის სიტყვებში—*Κωμο Καστρον Καστροφυλακισα*—ხაზგასმული ჯაპპა

ამ მინაწერის შინაარსი რომ ჩვენთვის გასაგები იყოს, ე. ი. იქ მოხსენებული საკუთარი სახელების გამორკვევა რომ შესაძლებელი გახდეს, მაშინ ალბათ უფრო ზედმიწევნით შევძლებდით ჩვენი მინაწერის დათარიღებას.

III

ამ ბერძნული მინაწერის ზევით მოთავსებულია ის ქართული მინაწერი, რომელიც მ. ჯანაშვილმა შეცდომით 821 წლით დაათარიღა, ხოლო ნ. მარტმა მეცამეტე საუკუნეში გადაიტანა. ეს მინაწერი შეიცავს სულ 12 სრულ სტრიქონს და მეცამეტის დასაწყისს: მეცამეტე სტრიქონში გადატანილია ღოლისქანელმან¹. მეცამეტე სტრიქონშივე ნელმან-ს უშუალოდ მისდევს ზემომოყვანილი ბერძნული მინაწერი, რაც ამტკიცებს, რომ ბერძნული ტექსტი შემდეგ არის მიწერილი. ბერძნული მინაწერის ავტორს რომ ეს, 249 ხ გვერდი თავისუფალი დახვედროდეს, შესაძლებელია, რომ ის მაინც შუაგვერდში დასწერდა, მაგრამ შეუძლებელია დავუშვათ, რომ ის შუასტრიქონში დაიწებდა თავის განზრახულ მისაწერს. არც იმის საბუთი გვაქვს, რომ ჩვენ აქ უბრალო შემთხვევითი მოვლენა ვიგულისხმოთ, თითქოს ბერძნული ტექსტი უკვე მიწერილი ყოფილიყოს და ქართულ ტექსტს შემთხვევით მეტი ადგილი არ დასჭირვებოდეს, მით უმეტეს მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ ქართული ტექსტი სრულიად დამთავრებულია: მე დაჰწერე სტ^რფნ ღოლისქანელმან.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ 249 ხ გვერდის პირველი ქართული მინაწერი დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს მეათე საუკუნისა (ან მეთერთმეტის დასაწყისისა), რომელსაც ეკუთვნის მისი მომდევნო, მის შემდეგ დაწერილი ბერძნული მინაწერი.

გრძელია, რაც ჩვეულებად აქვთ ბერძნულ ხელნაწერებს X საუკ. და XI-ის დასაწყისში (იხ. პალეოგრაფ. ტაბულები დათარიღებული ხელნაწერებისა, გამოცემული გრ. წერეთლისა და ს. სობოლევსკის მიერ. აგრეთვე Lietzmann, Tabulae). გარდა ამისა ასეთივე ჯაპა, აგრეთვე მთავრული ჯამმა (სიტყვაში *წა*) გვხვდება ჩვენ იმავე კორიდეთის სახარების 140 ხ გვერდის, ფოკას მეფობით (963—969) დათარიღებულ მინაწერში (*წა*, *მეწარე*, *სწო*). იგივე უნდა იყოს I მოწმობის, რომ მინაწერი არ შეიძლება ეკუთვნოდეს X საუკ. აღრინდელ დროს ((Gardthausen II, 219).

¹ იხ. მინაწერის პირი H. Mapp, l. c. ტაბ. VIII.

მინაწერების ენობრივი თავისებურებანი. ყურადღებას მივაქცევთ კორიდეთის ოთხთავის ბერძნული მინაწერების ზოგიერთ თავისებურებას.

1) როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კორიდეთის ბერძნული ოთხთავი გადაწერილია საქართველოში, კოროხის ხეობაში მდებარე სოფელში; ბერძნული მინაწერებიც იმავე ენობრივ წრეშია შესრულებული, როგორც თვით ხელნაწერის ძირითადი, ტექსტი. ამიტომ გასაგებია, რომ ამ მინაწერებს ქართული ენობრივი ფორმების იერი გადაჰკრავს ალაგ-ალაგ. ასე, მაგალითად, ქართული ფორმების მიხედვით არის შექმნილი:

ა) VI მინაწერში Πέρας (← პეტრე) Κοριθელი; (← კორიდელი, რაც ისევეა ნაწარმოები სიტყვისაგან „კორიდეთი“, როგორც, ვთქვათ, არადელი სიტყვისაგან „არადეთი“) და 'Ιάνε (← ივანე).

ბ) ასევე ქართული ფორმიდან მომდინარეობს VII მინაწერში Γιώργ; (← გიორგი).

2) ის გარემო, რომელშიც ტრიალებდნენ კორიდელები, განეკუთვნება ე. წ. პონტოს დიალექტის სამყაროს. ამით აიხსნება ზემოთ მოყვანილ მინაწერებში ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც ბერძნული ენის პონტოს დიალექტის დამახასიათებელია.

ა) სიტყვა ἄνωσι („უსამართლონი“) VII მინაწერში სწერია აδῆცი. ამ სიტყვაში ჯაპა ინის წინ (ο: = ი) პალატალიზებულია დავლებულობთ „ჩ“-ს ან „ჯ“-ს, რაც გრაფიკულად გამოხატულია ᾄ-ს მეშვეობით. ასეთი მოვლენა ბერძნული ენის პონტოს დიალექტს ახასიათებს¹. იგივე მოვლენა უნდა გვქონდეს ამავე მინაწერში Δισπαᾄჯ, Φαᾄციჲ და Ωᾄჯჯჯჯ. აქ პირველი სიტყვით აღნიშნულია ის სოფელი, კორიდეთის სამხრეთით, რომელსაც ამჟამად ჰქვია „დურჩა“.

ბ) მეორე მინაწერში გვხვდება მოწმეების ხელწერა: ორ მათგანს ჰქვია ∴ ᾄჯჯჯ და ᾄჲჲჲ. აქაც ᾄ-ის ხმარება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ სახელებში იმალება ჩ, ც, ჯ, ძ ან სხვა ამგვარი ბგერები.

გ) მეშვიდე მინაწერში ნახმარი ἑνᾄჲჲჲ წარმოადგენს პონტოს დიალექტში ხმარებულ Aor. passivi, მხ. რ. III პირს.

3) მინაწერთა ავტორებმა იციან, რასაკვირველია, მაშინდელი ლიტერატურული ენა, რითაც აიხსნება ისეთი სწორი ლიტერატურული ფორმები, როგორიც არის II მინაწერში παρῆყყყ(μᾄσων)

¹ იხ. ზემოთ გვ. 9, შენ. 8.

ან *απεμυεν* (ერ. ὀ. ἀπέμυεν) V წარწერაში. მაგრამ ამათ გვერდით გვხვდება სალაპარაკო ენის ისეთი ფორმები, როგორიც არის, მაგალითად V წარწერის *ἡ ἀρχαμυεν* ნაცვლად იმის, რომ იყოს *ἡ ἀρχαμυένου*.

დამატება. სისრულისათვის საჭიროა მოვიყვანოთ აგრეთვე კორინდეთის სახარების ის ბერძნული მინაწერი, რომელიც მოჰყავს პროფ. ვრ. წერეთელს მე-7 მინაწერის სახელწოდებით¹ (თუმცა შინაარსით ის საგულისხმოს არაფერს შეიცავს):

Εὐλαγίῃσ, θεσπιῶν μέρει, τῆν გმადლობ, უფალო ღმერთო,
γνώμην σου, καὶ ἀνάγνωσον κα- შენი გადაწყვეტილებისათვის. წა-
λὰ, φέρει μὲν μάθε καὶ μὴ იკითხე კარგად, ისწავლე შიშით
χάσθη τῆν² φυχὴν σου. ღვთისა და ნუ წარიწყმედ სულს.

¹ Г. Ф. Церетелн, Кориндетская рукопись и ее греческие приписки (Тб. 1937) стр. 54.

² ხელნაწერში სწერია: *μη χάσῃς τιν.*

იოანე ცეცე

მეთორმეტე საუკუნის კომენტატორი და პოლიპისტორი იოანე ცეცე (Ἰωάννης ὁ Τζέτζης) ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში დაახლ. 1110—1180 წლებში. მან მიიღო საფუძვლიანი ფილოლოგიური და გრამატიკული განათლება. ერთხანს მუშაობდა გრამატიკის მასწავლებლად, უფრო მეტად კი თავს ირჩენდა ლიტერატურული მოღვაწეობით. ხშირად უჩივის ხელმოკლეობას და გაჭირებას. თავის შრომებს უძღვნის წარჩინებულ ბიზანტიელებს და კეისრებს: იოანე II კომნენოსის (1118—1143) ძმას ისააკ კომნენოსს, მანუელ I კომნენოსს (1143—1180) და უკანასკნელის მეუღლეს ირინეს, ვინმე კონსტანტინე კოტერძეს, რომლის წყალობით შეადგინა მან ჰომეროსის „ალებგორიების“ გაგრძელება და გადაამუშავა „ხილიადები“.

ბიოგრაფიულ ცნობებს თვით იოანე ცეცე გვაწვდის თავისი „ისტორიების“ საგანგებო თავში (V 583—628).

მისი მამა მიხეილი იყო პროფესიით გრამატიკოსი. იგი იყო ვაჟი მართალია გაუნათლებელის, მაგრამ შეძლებული კაცისა (მას ერქვა იოანე ცეცე), რომელიც თავის სახლში სიამოვნებით ლებულობდა განათლებულ პირებს. ამ იოანე ცეცეს მამაც იყო აგრეთვე დედაქალაქის მკვიდრი: გარდაცვალების შემდეგ იგი დაასაფლავეს ეფფროსინეს მონასტერში, სადაც მოლოზნები მას საკვირველთმოქმედების ძალას აკუთვნებდნენ. ამგვარად, შემდეგი სქემა ისახება:

დიდი პაპა (დაიმარბა ეფფროსინეს მონასტერში

↓
იოანე ცეცე (გაუნათლებელი კაცი; ჩვენი ფილოლოგოსის პაპა)

↓
მიხეილი (გრამატიკოსი, ჩვენი ფილოლოგოსის მამა)

↓
იოანე ცეცე (ჩვენი ფილოლოგოსი).

მამის მხრით, როგორც თვითონ ამაყად აცხადებს, იოანე ცეცე იყო წმინდა ბერძნული სისხლისა, ხოლო დედის მხრით კავკასიურ-იბერიული წარმოშობისა იყო.

როდესაც ბაგრატ IV-ის ასული მართა¹ კონსტანტინეპოლში მივიდა, რათა იქ მისთხოვებოდა კეისარ მიხეილ VII დუკას, მისამალაში იყო, როგორც ამას ხაზს უსვამს ცეცე, არა როგორც მხე-

¹ RE-ში მოთავსებული სტატიის ავტორი მას ეძახის „ალანთა სეფეწული მარიამით“, რაც, როგორც ჩვენ რამდენჯერმე ნათქვამი გვაქვს (იხ. გეორგიკა, ტ. VI, 160, 164), სრულ გაუგებრობაზეა აგებული.

ამ მარიამის «ალანობის» გამო საგულისხმო დაკვირვება აქვს დიუკანეს (Du Cange). ის ამბობს: «ცეცეს მოწმობით... (Chil. 5, c. 17) იბერები, აბაზგები და ალანები წარმოადგენდნენ ერთსა და იმავე ხალხს ანუ ერთს»:

Ἰβηρες δὲ καὶ Ἀβασγοὶ καὶ Ἀλανοὶ ἓν γένος

(იბერები, აბაზგები და ალანები წარმოადგენენ ერთ მოდგმასა).

ისე კი არა, რომ იბერები იგივენი იყვნენ, რაც ალანები და აბაზგები, არამედ რომ იბერთა მეთაური აბაზგებისა და ალანების მეფუნებს (regulis) მბრძანებლობს უმაღლესი უფლებებით. ამას ადასტურებს საკმაო, სიცხადით (satis superque) ვრიენიოსიც, როდესაც წერს, რომ იბერთა მეფეს ეპყრა *παγκράτειαν τῶν Ἰβήρων*, ხოლო ალანიის უფალს მხოლოდ *ἄξιουσιδῶντος* სახელს მიაკუთვნებს. არც ცეცე უარყოფს ამას: ის იქვე ამბობს, რომ იგივე ხალხები სხვადასხვანი იყვნენ და ერთმანეთისაგან განცალკევებულნი:

*οἱ Ἰβηρες πρωτεύοντες, οἱ Ἀβασγοὶ δεύτεροι,
οἱ Ἀλανοὶ δ' ἐσχίκασι τὰξιν τριῶν σιτέραν*

(იბერნი პირველობენ, აბაზგები მეორენი არიან,
ხოლო ალანებს უკანასკნელი მესამე ადგილი უჭირავთ).

ხოლო თუ რატომ ეძახის მარიამს უფრო აბაზგთაგან წარმოშობილად, ვიდრე იბერთაგან, და რატომ იმავე სახელით გმობს იგივე მწერალი სკილიცეს, ზონარას და სხვებს, რომელნიც მას ალანს ეძახიან, კარგად არ შესმის, იმ დროს, როდესაც ვრიენიოსი გარკვევით გადმოგვცემს, რომ ის იბერთა მეფის ასულია (ხაზი ჩვენია ს. ყ.), თუ არა იმიტომ, რომ იმ დროს იბერთა მეფე აგრეთვე აბაზგებს მბრძანებლობდა:


*τὸν Τζέτζου μητέρος ἢ Ἀβασγίς ἢ μήτηρ
σὸν τῆ δεσποίνῃ Μαριάμ, τῆ Ἀβασγίσσῃ λέγω,
ἦν οἱ πολλοὶ Ἀλάνισσαν φασὶν οὐκ ἀκριβοῦντες,
ἦλθεν εἰς Μεγαλόπολιν, ὡς συγγενὴς κατ' αἷμα.*

(ცეცეს დედის დედა აბაზგი-ქალი.

«დედოფალ მარიამთან ერთად, ვამბობ აბაზგ-ქალთან
«რომელსაც ბევრნი არა ზედმიწევნით ალან-ქალს ეძახიან,
«მოვიდა მეგალპოლისში, როგორც სისხლით ნათესავი».

ასეთი დაკვირვება აქვს დიუკანეს მარიამ დედოფლის შესახებ, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იქნა შემჩნეული ის შეუსაბამობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მარიამ მართა-ყოფილის სადაურობის საკითხში. დიუკანეი, როგორც ჩანს, ამ შეცდომას (თითქოს მარიამი ყოფილიყო ალანი) იმით ამართ-

ვალი, არამედ როგორც სისხლით ნათესავი, ერთი აბაზგი ქალი, რომელიც შეერთო კეისრის გვარდიის დრუნგარიოსმა კონსტანტინემ, მეტსახელად კეროლარიოსმა, პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ. ამ ქორწინებიდან მომდინარეობს ცეცეს დიდედა (დედის მხრით), რომელიც კონსტანტინე კეროლარიოსის ქალიშვილთან ერთად (პირველი ცოლისაგან) იზრდებოდა და დედოფალ ევდოკიას შიერ² მდიდრული მზითვით იქმნა დასაჩუქრებული: იგი მისთხოვდა მეზვერეს გიორგის და ეყოლა სამი ქალიშვილი. ერთ მათგანს ჰქვია ევდოკია — ის არის იოანე ცეცეს დედა. ეს ნათესაური კიბე შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით:



მიახლოებითი გამოანგარიშების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცეცეს დიდედას თავისი ქალი ევდოკია უნდა შესძენოდა 1090 წელს ან ამის მომდევნო წლებში მალე.

იოანე ცეცეს ლიტერატურული მემკვიდრეობა უაღრესად მდიდარია.

1. მის ყველაზე ვრცელ ნაშრომად უნდა ჩაითვალოს Βίβλις ἱστορικῆς („ისტორიათა წიგნი“), ფილოლოგიურ-ისტორიულ „პოემა“, რომელიც 12.674 პოლიტიკური ლექსისაგან შედგება და რომელსაც, ჩვეულებრივ, „ხილიადები“ ეწოდება (ასე ეძახიან იმიტომ, რომ იგი 13 ათასეულ ტაეპად არის გაყოფილი). ეს „ისტორიები“ ეხება მითოლოგიურსა და ისტორიულ ამბებს და, არსებითად, წარმოადგენენ კომენტარებს, რომლებიც დაუწერიან იოანე ცეცეს თავის „წერილებში“ მოთავსებული მსჯელობები-

ლებს, რომ, იოანე ცეცეს მოწმობით, ალანები და აბაზგები (ანუ იბერები) ერთი მოდგმისა არიან.

იოანე ცეცეს „ხილიადების“ ეს ადგილები, რომლებიც მოჰყავს დიუკანეს ანნა კომნენეს „ალექსანდისათვის“ დართულ შენიშვნებში, იხ. აქვე, ქვემოთ გვ. 22—24.

¹ დედოფალი ევდოკია — მიხეილ VII პარაპინაკის დედა.

სათვის (დაცულაა მისი 107 წერილი, რომლებიც თარიღდება 1138—1170 წლებით და მიწერილია სხვადასხვა წარჩინებული პირებისადმი).

2. „ალეგორიები ილიადისა და ოდისეისათვის“ (Ἰλιάδα καὶ Ὀμηρεὶα ἀλληγορηθεῖσαι) შეიცავს განმარტებებს ჰომეროსის ღმერთთა სამყაროს შესახებ¹. ეს შრომა უძღვნა ავტორმა დედოფალ ირინეს.

3. „სხოლოები ლიკოზრონის ალექსანდრასთვის“; ეს შრომა წინათ მიეწერებოდა იოანეს ძმას ისააკს².

ამათ გარდა იოანე ცეცეს ეკუთვნის კიდევ რამდენიმე სხვა კრებული კომენტარებისა.

თავის ნაშრომებში იოანე ცეცე უდავოდ დიდ ნაკითხობას იჩენს; მისთვის კარგად არიან ცნობილი ჰომეროსი, ჰესიოდე, პინდარე, ბერძენი ტრაგიკოსები და კომედიოგრაფები, ისტორიკოსები და ქრონოგრაფოსები. მაგრამ ზოგჯერ ის თავის კომენტარებში ძალიან ენდობა თავის მეხსიერებას და ტლანქ შეცდომებს უშვებს: ერთიმეორეში ურევს, მაგალითად, ევფრატსა და ნილოსს; ნაქსოსი (კუნძული) ევბეის ქალაქი არისო, ამბობს, და სხვ. ამიტომ სამართლიანად მოგვიწოდებენ იოანე ცეცეს შრომათა სპეციალისტები სიფრთხილით გამოვიყენოთ მის მიერ მოწოდებული ცნობები³.

¹ ამ შრომის გარდა ჰომეროსის პოემათა კომენტარებს შეიცავს აგრეთვე იოანე ცეცეს რამდენიმე სხვა თხზულებაც.

² ზემოთ მოყვანილი ცნობებისათვის, ძირითადად, გამოყენებულია; K. Krumbacher GBZ, 526—536; G. Moravcsik, Byzantinoturcica I (1958), 342—355; RE VII A, 1959—2010.

³ მართებულად არ მიგვაჩნია, მაინც, ისეთი მკაცრი მსჯავრი, როგორც გამოაქვს იოანე ცეცეს შესაფასებლად თ. უსპენსკის; მეთორმეტე საუკუნეშიო — წერს თ. უსპენსკი — იყო «целая галерея фигур писателей и ученых, начиная с самого Евстафия и комментатора Аристотеля Евстратия до жалких, хотя и плодовитых, стихоплетов Цецы и Птоходрома»: Ф. И. Успенский, История Византии. Том III (1948), стр. 440.

ვერც ე. გრანსტრემს დავეთანხმებით მთლიანად, როდესაც ის ასეთ ატესტაციას აძლევს იოანე ცეცეს: «это чуть-чуть скорбная и вместе с тем немного комичная фигура последнего эрудита, не знающего, что делать с собственной ученостью» (История Византии в трех томах. Москва 1967. Том II, часть вторая, глава 16, стр. 361). იოანე ცეცეს ეკუთვნის ვრცელი კომენტარები ძვ. ბერძნული ლიტერატურის ძეგლებისათვის: 1) „ილიადის“ კომენტარები, 2) „ალეგორიები“ ჰომეროსისათვის, 3) ჰესიოდეს «სამუშაონი» და დღენიო-ს კომენტარები, 4) პინდარეს სქოლიოები, 5) ესქილეს სქოლიოები, 6) ევრაიოდეს სქოლიოები, 7) არისტოფანეს სქოლიოები, 8) თუკიდიდეს სქოლიოები, 9) ლიკოზრონის «კასანდრას» სქოლიოები. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მან დასწერა

გამოცემანი და ლიტერატურა:

Ἰωάννου τοῦ Τζέτζου βιβλίον ἱστορικῆς τῆς διὰ στίχων πολιτικῶν Ἄλφα δε καλοσμένης. — Ioannis Tzetzae Historiarum variarum Chiliades, graece. Textum ad fidem duorum codicum monacensium recognovit, brevi adnotatione et indicibus instruxit Theophilus Kiesslingius. Lipsiae 1826¹.

Scythica et Caucasica (ed. V. Latyšev) I, გვ. 400—409 (აქედან გვაქვს ამოღებული სქოლიოები „ლიკოფრონის კასანდრასთვის“).

P. Leone, Excerpta Vaticana ex Ioannis Tzetzae Commentario in Lycophronem et Historiis: Atti Acad. Sc. Torino. II. Classe Sc. Mor., Stor. e Filos. 99 (1964—1965), 381—488.

C. Wendel, Tzetzes Ioannes: RE, 2, Reihe, 7. Band, 1948, Sp. 1959—2010.

G. Moravcsik, Byzantinoturcica I (1958), 342—355. აქ მოყვანილია მთელი ლიტერატურა იოანე ცეცეს შესახებ 1958 წლამდე.

ქვემოთ მოგვეყვას მასალები იოანე ცეცეს ორი თხზულებიდან: „ხილიადებიდან“ და ლიკოფრონის „კასანდრას“ სქოლიოებიდან.

კომენტარები პოროფიროსის შრომისათვის *Ἐισαγωγή εἰς τὰς Ἀριστοτέλους κατηγορίας*, რომელიც მან განმარტა სასკოლო მიზნებით, როგორც ლოგიკის კომპენდიუმი (1700 ტრიმეტრის მოცულობით), მაშინ ჩვენ მივხვდებით, რომ ჩვენს წინაშეა XII საუკუნის მოღვაწე, მონაწილე იმ ფილოსოფიური და ლიტერატურული რენესანსისა, რომლის ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა XI—XII საუკუნეთა ბიზანტიური აზროვნება და მწერლობა. რასაკვირველია, იოანე ცეცე თავისი როლით და მნიშვნელობით ამ მოძრაობაში ოდნავადაც ვერ შეედრება მიქელ პსელოსს, იოანე იტალოსსა და ანნა კომნენეს (ან სხვებს). მაგრამ იმის თქმა, რომ ცეცე არის «комичная фигура» არაფრით არ ამართლებს იმ ყურადღებას, რომლითაც იკვლევენ მას ამ ბოლო წლებს მანძილზე ბიზანტინოლოგიის სპეციალისტები (H. Hunger, P. Leone, R. Browning, G. Moravcsik, B. Wendel, O. Masson და სხვები, რომელთა ბიბლიოგრაფია იხ. მორავსიკის Byzantinoturcica I, 342—355).

¹ ცეცეს „ხილიადების“ ტექსტისათვის ემენდაციები მოუცია X. Χαριτωνίδης-ს: *Σύμμεικτα κριτικά. Ἐπιστημονική Ἐπετηρίς τῆς Φιλοσοφικῆς Σχολῆς τοῦ Πανεπιστημίου Θεσσαλονίκης* I, 35—111. ამ ნარკვევში არის ემენდაციები ანნა კომნენეს, მიქელ პსელოსის, ნიკიფორე ბლემიდეს, გიორგი აკროპოლიტეს, ნიკიფორე გრიგორას ტექსტებისათვის. 82—110 გვერდებზე არის ემენდაციები იოანე ცეცეს „ხილიადების“ ტექსტისათვის.

Pietro M. Leone თავისი სტატიის (Prolegomena ad J. Tzetzae Historias) ბოლოში ათავსებს ბიბლიოგრაფიას და წერს, რომ ხ. ხარიტონიდეს ემენდაციები არ ემყარება ხელნაწერებს: Nullis codicibus usus Historias emendavit X. Χαριτωνίδης (იხ. BZ 54 [1961], გვ. 285).

Iberes, Abasgi et Alani, unum genus

Ἵτι ὁ Τζέτζης κατὰ μητέρα Ἰβηρ τῷ
γένει, κατὰ πατέρα καθαρῶς Ἑλλάδος γονῆς ἐς¹

Ἡ τοῦ δὲ μητρομήτωρ μὲν Τζέτζου τοῦ Ἰωάννου,
τοῦ ἱστοριογράφου τε καὶ συγγραφέως πόσων,
(585) Μητρός ἦν Μασσαγέτιδος, ἡγουν ἐξ Ἀβασγίδος·
Ἰβηρες δὲ καὶ Ἀβασγοὶ καὶ Ἀλανοὶ ἐν γένος·
Οἱ Ἰβηρες πρωτεύοντες, οἱ Ἀβασγοὶ δευτέρων,
Οἱ Ἀλανοὶ δ' ἐσχήκασιν τάξιν τριῶν ὑστέραν.
Τῆς Τζέτζου μητρομήτορος ἡ Ἀβασγίς ἡ μήτηρ
(590) Σὺν τῇ δεσποίνῃ Μαριάμ, τῇ Ἀβασγίσσῃ λέγω,
Ἦν οἱ πολλοὶ Ἀλάνισσάν φασιν οὐκ ἀκριβοῦντες,
Ἦλθεν εἰς Μεγαλόπολιν ὡς συγγενῆς καθ' αἷμα,
Οἱ δὲ βασκαίνοντές φασιν ὡς ὑπὸ χεῖρα ταύτης,
Ὡς ἡ Ἀσπάη καθ' ἡμᾶς Κατάης ὑπὸ χεῖρα.
Ἄφ' ἧς ὁ περιώνυμος ὁ μέγας Κωνσταντῖνος,
Ὁ μέγας ὁ Δρουγγάριος, εἰς Σεβαστὸς ἐν βίῳ,
τοῦ λογοθέτου τοῦ κλεινοῦ πατήρ τοῦ θρυλουμένου.
Μετὰ θάνατον τῆς αὐτοῦ παρθενικῆς συζύγου
Γεννᾷ τὴν μητρομήτορα, ἦν ἐφημεν, τοῦ Τζέτζου,
(600) Μιᾶ τῶν πρώων θυγατρῶν τῇ ὑπερφιλουμένῃ,

Τῇ συμπαραύνῳ λέγω δὲ αὐτοῦ τοῦ Ἰασίτου,
Ἰσοτιμῶν, καὶ τῷ αὐτῷ κλουβῷ συνεμβιβάζων,
Τὰς δ' ἄλλας πάσας παρεῶν ἄλλης τιμῆς λαγχάνειν.

Ἵσπερ καὶ ἡ βασίλισσα γίνεται θῆσει μήτηρ,
(605) Ἡ Εὐδοκία ἡ κλεινῆ, καὶ ζῶνῃν διδοὶ ταύτης
Ἐς τρίτην ἐξαρκέσασαν τὴν γενεὰν ἐκτρέφειν.
Ἐφ' ἣ γαμβρὸν ἐξάκτωρα Γεώργιον¹ ἐσχήκει,
Πολλὰς ἀρχὰς ἀνύσαντα πρακτορικὰς θεμάτων·
Οὐ καὶ θανόντος ὄνομα βοᾶται νῦν ὡς ζῶντος·
(610) Τοῦτου θυγάτηρ σὺν δυσιν ἐτέραις θυγατράσιν
Τὴν κλησιν Εὐδοκία μὲν, μήτηρ δ' αὐτοῦ τοῦ Τζέτζου.

¹ Γεώργιον ἔσ. 3060330363, γεωργίων Kiessling.

იბერები, აბაზგები და ალანები, ერთი ტომისა [არიან] ¹

რომ ცეცე დედის მხრით იბერია ტომით, მამის მხრით წმინდა ელადური წარმოშობისაა, იხ' ².

დიდდა (დედის დედა) იოანე ცეცესი, ისტორიოგრაფოსისა და მრავალი [თხზულების] დამწერისა, (585) მასაგეტ დედისაგან, ესე იგი აბაზგი ქალისაგან [იყო]. იბერები და აბაზგები და ალანები ერთი ტომისა [არიან]; იბერნი პირველობენ, აბაზგები მეორენი არიან, ხოლო ალანებს უკანასკნელი, მესამე ადგილი უჭირავთ, ცეცეს დიდდის (დედის დედის) დედა აბაზგი ქალი (590) დედოფალ მარიამთან ერთად, ვამბობ აბაზგ-ქალთან ერთად, — რომელსაც ბევრნი ეძახიან ალან-ქალს, არა ზედმიწევნით, — მოვიდა მეგალოპოლისში, როგორც სისხლით ნათესავი, ხოლო ქორიკანები ამბობენ, როგორც მისი ხელზე მოსამსახურე, როგორც ასაბი ჩვენებურად მაშინვე კატაე [ითქმის?]. (595) მისგან [არის] სახელგანთქმული დიდი კონსტანტინე, დიდი დრუნგარი, ერთი სეფასტოსი სიცოცხლეში, საყოველთაოდ ცნობილი განთქმული ლოგოთეტის მამა. თავისი ქალწული-მეუღლის სიკვდილის შემდეგ შვა ცეცეს (დედის დედა), როგორც ვთქვით, (600) რომელიც ერთ წინანდელ (ე. ი. პირველი ცოლისაგან) ქალიშვილთაგანთან, უსაყვარლესთან, — ვგულისხმობ იმ იასიტეს მეუღლეს — თანაბრად პატივდებული იყო, და მასთან ერთად იზრდებოდა, ხოლო ყველა სხვა ასულებს უგულვებელყოფდა სხვა პატივის სახვედრად. დედოფალიც მას დედის ალაგას ჰყავდა, (605) განთქმული ევდოკია, რომელმაც მზითვად მისცა იმდენი, რომ მესამე თაობაში ეყოფოდა საცხოვრებლად. მისთვის სიძედ შეარჩია მეზვერე გიორგი, რომელიც ბევრ სამოხელეო თანამდებობას ასრულებდა: მისი სახელი სიკვდილის შემდეგაც ისეთივეა, როგორც სიცოცხლეში. (610) მისი ასული, ორ სხვა ასულთან ერთად, რომლის სახელია ევდოკია, დედა იყო ამ ცეცესი.

¹ ეს სათაური, როგორც ჩანს, გამომცემელს კისლინგს ეკუთვნის (ასე აქვს მას საძიებელში).

² ეს არის „ისტორიების“ წიგნის სათვალავი (ე. ი. მე-17 წიგნია).

Ἐγνως κατὰ μητέρα μὲν Ἴβηρα τοῦτον ὄντα·
 Πατήρ δὲ τούτου Μιχαήλ, ὃς καὶ παιδεύει τοῦτον
 Ἐν λόγοις καὶ τοῖς πράγμασιν ὡς τὸν υἱὸν ὁ Κάτων.
 (615) Υἱὸς οὗτος ὁ Μιχαήλ ἦν Τζέτζου Ἰωάννου,
 Γράμμα μηδὲν τι μηδαμοῦ τὸ σύνολον εἰδότες,
 Εἰς πάντα χρόνον δὲ σοφοῦς τοῖς οἴκοις ἐστιῶντος,
 Οἴκοις ἐν πεντωρόφοις δέ, πλὴν μετ' ᾧδης ὀργάνων,

Τρυφαῖς ὑπερεχούσαις τε τὰς γάμων πανθαϊσίας.
 (620) Καὶ τούτου πάλιν ὁ πατήρ θρέμμα τῆς Βυζαντιδος,
 Ὅς μέχρι νῦν ἀκέρατος νεκρὸς τελῶν ἐν τάφῳ
 Ἐν Εὐφροσύνης τῇ μονῇ τὴν κλησὶν καλουμένη
 Πολίτης ὀνομάζεται ταύτης ταῖς μονοτρόποις,
 Μὴ γινωσκούσαις τίς ἐστίν, ὅνπερ φασὶν πολίτην.

(625) Οἷα δὲ ὄρα θαυμάσια, μοναζουσῶν πυθάνου.
 Οὕτω κατὰ μητέρα μὲν ὁ Τζέτζης ἐστίν Ἴβηρ,
 Κατὰ πατέρα δὲ μητρὸς καὶ τὸν αὐτοῦ πατέρα
 Γονῆς Ἑλλάδος καθαρᾶς, γονῆς ἀκραιφνεστάτης.

(Chiliades V, 583 — 628)

Ἱστορία ἢ λέγουσα, καὶ τὰς Σακίδας καὶ Μασσαγέτιδας ἑνα'.

Τοὺς Σάκας ἔθνος γίνωσκε, ὧν εὖρεμα τὸ σάκος,
 Καὶ αἱ γυναῖκες τούτων δὲ συμμάχονται ἀνδράσιν,
 Ὅς καὶ Κτησίας εἶρηκε, καὶ ἕτεροι μυρίοι.
 Αἱ τῶν Σακῶν γυναῖκες δὲ μάχονται δὴ ἀφ' ἵππων
 «Καὶ πάλιν δὲ Στρυάλιος ἀνὴρ τις ἐκ τῶν Μήδων
 «Γυναῖκα τῶν Σακίδων μὲν καταβαλὼν ἐξ ἵππου».

Τοὺς Μασσαγέτας νοεῖ δὲ τοὺς Ἀβασγοὺς ὑπάρχειν.
 (900) Καὶ τούτων αἱ γυναῖκες δὲ τοῖς ἀνωτάτοις χρόνοις
 Σὺν τοῖς ἀνδράσι τοῖς αὐτῶν ταῖς μάχαις ἐκαρτέρουν.
 Καὶ τοῦτο γίνωσκε καλῶς, μηδὲ σε λανθανέτω,
 Ὅς Ἀβασγοὶ καὶ Ἀλανοὶ καὶ Σάκαι δὲ καὶ Δάκαι,
 Οἱ Ἔως καὶ Σαυρομάται δὲ καὶ οἱ ἰδίως Σχύθαι
 Καὶ πᾶν ὀπόσον πρόσοικον ἔθνος πνοιαῖς Βορέου
 Κοινῶς κατονομάζονται Σχύθαι, Σχυθῶν τῇ κλήσει.

(Chiliades XII, 893—906)

- ხომ იცი, რომ დედით ის იყო იბერიელი,
 ხოლო მისი მამა მიხელი, რომელიც ისე ზრდიდა მას,
 სიტყვიერადაც და საქმიერადაც, როგორც კატონი თავის ვაჟს.
 (615) ეს მიხელი იყო იოანე ცეცეს ვაჟი,
 იმ ცეცესი, რომელმაც სრულებით არ იცოდა რამე ასოც კი,
 ხოლო ყოველთვის ბრძენ ადამიანებს ჰპატივებდა სახლებში,
 ხუთსართულიან სახლებშიც კი; არაფერი იცოდა გარდა
 სასაგალობო საკრავებისა,
 და გადაქარბებული ნებივრობისა საქორწილო ზეიმების დროს.
 (620) კვლავ ამის მამა ბიზანტიონის ძველი მკვიდრი,
 რომელიც დღემდე უმწიკვლოდ განისვენებს საფლავში
 ეფფროსინეს მონასტრისა, რომელსაც სახელი ჰქვია
 «მოქალაქისა», თუმცა ამ მონასტრის მარტომყოფმა
 მოლოზნებმა არც კი იციან, თუ ვინ იყო ის, რომელსაც
 უხმობენ «მოქალაქედ».
 (625) ხოლო თუ რა სასწაულებს ახდენს, მოლოზნებისაგან შეიტყობ.
 ამრიგად, ცეცე დედით იყო იბერიელი,
 ხოლო მამით დედის მხრით და თვით მამაც
 წმინდა ელადური წარმოშობისა იყო, შეურეველი წარმოშობისა.

მასაგეტები არიან აბაზგები

ამბავი, რომელიც მოგვითხრობს საკიდებზე და მასაგეტებზე უნა.

იცნობდე ტომს საკებისას, რომელთაც გამოიგონეს „ფარი“ (φάρμακ).
 მათი ქალები კაცებთან ერთად იბრძვიან,
 როგორც კტეზიასმა თქვა, და მრავალმა სხვამაც:
 «საკების ქალები იბრძვიან ამხედრებულნი,
 «და კვლავ ვინმე სტრიალიოსმა, მიდიელმა კაცმა
 «საკების ქალი ჩამოაგდო ცხენიდან».

ის ფიქრობს, რომ მასაგეტები არიან აბაზგები
 (900) და ამათი ქალები, აღრინდელ ხანებში,
 თავიანთ კაცებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ.
 ესეც კარგად იცოდე — ნუ იქნება შენთვის დაფარული,
 რომ აბაზგები და ალანები, საკები და დაკები,
 როსები და სავრომატები და საკუთრივ სკვითები
 და ყველა ის ტომი, რომელნიც ჩრდილოეთით ცხოვრობენ,
 საზოგადოდ, იწოდებიან სკვითებად, სკვითთა სახელწოდების
 მიხედვით.

Περὶ σιδήρου τοῦ Χάλυβος. ἐλη'.

Χάλυβες ἔθνος ἔγγιστα τελοῦν τῆς Τραπεζοῦντος.

Οὗτοι λέγονται: σίδηρον ἐφευρηκέναι πρῶτοι.

Καὶ τὸν χαλκὸν δὲ χαλυβὸν χαλκόν τε λέγουσί μοι.

Οἷα καὶ τοῦτον εὔρεμα τελοῦντα τῶν Χαλύβων.

(Chil. X 523—527)

*Ἱστορία ἢ λέγουσα ἄργυρον τε τὸν ἐξ Ἀλύβης καὶ Αἰγύπτου
καὶ τὸν Ἰνδὸν καὶ μυρμηκίας χρυσόν¹, ἱστορίαί
τρεις ἀντὶ μίας υδ'.*

Ἀλύβη πόλις ἄριστον τὸν ἄργυρον γεννώσα,

Ὡς δὲ χρυσοῦς κατέλεξεν Ὀμηρος Βοιωτία,

ἢ εἰήλοσεν ἐς Ἄλυρῆς, οὐδὲν ἄργυρον ἔστι γένεσθαι.

Ἀλύρᾶς δ' ἢ Μετάποντος πόλις τῆς Ἰταλίας

(Chil. 322—325)

Περὶ Ἀμαζονίδων καὶ Σκυθίδων καὶ Σαυροματῶν γυναικῶν εν'

Ὅτι τὸ γένος μάχιμον τὸ τῶν Ἀμαζονίδων,

Τοὺς πάντας ἀφεμένω μοι δεικτέον ἐξ Ὀμήρου².

Ἐτὸ τρίτον αὐτὸ κατέπεφνεν Ἀμαζόνος ἀντιανείρας.

Καὶ αἱ Σκυθίδες πανταχοῦ ἀνδράσι συμπονοῦσι

Καὶ ταῖς³ μάχαις καὶ τοῖς ἔργοις δὲ σύμπασιν ἐτέροις,

Μᾶλλον τὰ ἔργα σύμπαντα ἐργῶνται αἱ γυναῖκες.

(880) Καὶ τῶν Σαυροματῶν νοεῖ μοι τὰς γυναῖκας,

Σκυθῶν καὶ Ἀμαζόνων δὲ γονῆς ἐκπεφυκυίας,

Ὅσπερ καὶ Διονύσιός φησι Περιηγήσει⁴.

Ἐτῆς γὰρ τοι φιλότητος Ἀμαζονίδων ἐγένοντο,

¹ μυρμηκίας χρυσός „золото, выкопаемое из индейских муравейников“ („Синайский, Слов.).

² *Iliad.* 6,186.

³ ταῖς-ὲ πηλοῦσθαι γυναικῶν.

⁴ γυνή οὖο: ἐν Περιηγήσει.

ხალიბებიხალიბის რკინის შესახებ ტ^ლმ

ხალიბები—ტომია, ტრაპეზუნტთან ძალიან ახლოს ცხოვრობენ, ამბობენ, რომ იმათ პირველებმა მოიპოვეს რკინა. და ხალიბური სპილენძი, და „ხალკოს“, მითხრეს მე, რომ ესეც ხალიბების მონაპოვრად ითვლება.

ქალაქი ალიბე

ამბავი, რომელიც მოგვითხრობს ვერცხლზე, როგორც ხალიბურზე და ვგვიტურზე ისე ინდურზე, და ინდურ ოქროზე; სამი მოთხრობა ერთის ნაცვლად უ^დ.

ქალაქი ალიბე მშობელია საუკეთესო ვერცხლისა, როგორც მოგვითხრობს ჰომეროსი „ბეოტიაში“:
 «შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადოა¹. ხოლო ალიბასი არის იტალიის ქალაქი მეტაპონტი.

ამორძალები და სავრომატებიამორძალების, სკვითელი ქალებისა და სავრომატ ქალების შესახებ უ^ნ.

რომ ამორძალთა მეზობელი ტომი, ყველა ჩემ მიერ მოხსენებულნი, უნდა იქნეს ნაჩვენები ჰომეროსის მიხედვით:

«მესამე მან მოკლა ვაჟკაცური ამორძალის მოდგმა».

და სკვითი ქალები ყველგან მამაკაცებთან ერთად შრომობენ, ბრძოლებშიაც და ყველა სხვა [ყოველდღიურ] საქმეებშიც, უფრო მეტად კი ქალები აკეთებენ ყველა [ყოველდღიურ] საქმეებს.

(880) სავრომატების ქალებს ვგულისხმობ მე, სკვითთა და ამორძალთა მოდგმიდან წარმოშობილებს, როგორც ამბობს დიონისიოსი თავის „პერიეგესში“:
 «ისინი ხომ წარმოიშვნენ ამორძალთა სიყვარულისაგან,

¹ II, 2,857 („ილიადის“ II სიძღვრას ეწოდება „ბეოტია ანუ ხომალდთა კატალოგი“).

«Τὴν ποτε δὴ μίχθησαν ἐπ' ἀνδράσι Σαυρομάτησι».

(885) Οἱ Σαυρομάται Σχύθαι δέ, οὐς περαντάδας λέγεις.
(Chiliades XII, 874—885)

[Κίρκη — Ὀδυσσεύς]

Πόθεν Ἀῖσωνες λέγονται καὶ μέχοι τινος τόπου
ἐστὶν Ἀῖσωνία¹. 15'

Ἡ Ἀῖσωνία τὴν κλησιν τῶν Ἀῖσόνων
Κατὰ τινὰς ἐξ Ἀῖσωνος, υἱοῦ τοῦ Ὀδυσσεύος·
Ἐκ γὰρ τῆς Κίρκης Ὀδυσσεύς τῆς πᾶσι θρυλλομένης
Ἀῖσωνα καὶ Τηλέγονον γεννᾷ καὶ Κασσιφόνην,
ᾧ, πᾶς φησὶν ἱστορικός, φροντίζων ἀληθείας·
Τζέτζης κἀνταῦθα δὲ φησιν, ἱστορικοὶ κτηνώδεις².

(570) Ἐνα μόνον ἐνιαυτὸν³ συνδιατρίψας Κίρκη
Ὁ Ὀδυσσεύς πῶς ἔτεκε τὰ τρία ταῦτα τέκνα,
Τετραμηναῖα, ἣ γαστρὶ μᾶ τὰ τρία τίκτει;
Ἄλλ' ἐν Λιβύῃ κεραοὺς ἄρνας εὐθύς γεννώσι·
(Chil. V, 564—573)

Ἡ κατὰ τὸν Ἰάσων[α]. 15'

Ἰάσων Αἰσωνος υἱός· δὲ Αἰσῶν παῖς Κρηθῆάς.
Τρεῖς δ' ἦσαν τῷ Ἰάσωνι ἀμφίβολοι μητέρες,
Ῥοῖα καὶ Ἀλκιμέδη δὲ μετὰ τῆς Πολυφήμες⁴,
ᾧν ἣ Ῥοῖα Σταφύλου μὲν, αἶ δ' Αὐτολύκου παῖδες.

Πελίου δὲ φονεύοντος πάντας τοὺς Αἰολίδας,
Χρησμοῦ δηλοῦντος ὑπ' αὐτῶν τινὸς ἀναίρεσθῆναι.

¹ „აქსონია“ არის იტალიის ძველი სახელწოდება.

² ეს ადგილი შეიძლება დამახინჯებული იყოს: *κτηνώδεις* („პირუტყვლნი“, ან „შინაური საქონლით მდიდარნი“) აქ არაფერ შეაშია. იქნება ავტორს იმის თქმა უნდა, რომ ერთ წელიწადში სამი შვილის ყოლა ემსგავსება იმას, რაც პირუტყვების მიმართ შეიძლება ივარაუდებოდეს.

³ „ოდისეის“ მეთექვსმეტე თავის მთავარი გმომოცემული ეპიზოდი „ოდისეისი კირკეს სამეფოში“, სადაც აღნიშნულია, რომ ოდისეისი და მისი ამხანაგები მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ კირკეს სასახლეში.

⁴ კისლინგს დაბეჭდილი აქვს *Πολυφήμες*. შტრ. P a p e, Eigennam. 1230.

«ოდესღაც რომ სავრომატ მამაკაცებს შეეუღლნენ»¹.

(885) ხოლო სავრომატები არიან სკვითები, რომელთაც
გადაღმელებს(?) ეძახი.

დედოფალი კირკე — ოდიხევის მუღლე

საიდან წარმოსდგება სახელი «ავსონები» და რა ადგილამდე
ვრცელდება ავსონია

ავსონია ავსონთა ქვეყანას ეწოდება

(565) ზოგიერთების მიხედვით ავსონისაგან, ოდიხევის ვაჟისაგან;
კირკესაგან, საყოველთაოდ ცნობილისაგან, ოდიხევისა
იყოლია [შვილები] ავსონი, ტელეგონე და კასიფონე,
როგორც ამბობს ყველა ისტორიკოსი, კემმარიტებაზე მზრუნავი;
ხოლო ცეცე აქ ამბობს, ისტორიკოსები პირუტყვთა მსგავსად
ანგარიშობენ.

(570) მხოლოდ ერთ წელიწადს იცხოვრა კირკესთან
ოდიხევისა და როგორ შეეძლო ჰყოლოდა მას ეს სამი შვილი,
ოთხთვიანები, ან ერთ ორსულობაზე კირკეს სამი დაებადა?
მაგრამ ლიბიაში ერთბაშად რქიან კრავებს ჰბადებენ.

იასონი და პელიასი

თბრობა იასონისთვის 73

იასონი ესონის ძეა; ეს ესონი შვილია კრეთევისა.

იასონის დედობას სამი ქალი ეცილებოდა ერთმანეთს:

როფო და პოლიფემესთან ერთად ალკიმედე.

(980) ამათგან როფო იყო სტაფილეს შვილი, ხოლო ისინი —
ავტოლიკესი.

პელიასმა რომ მოკლა ყველა ეოლიდები,

რადგან ნამისნევი იყო, რომ იგი მას ერთი მათგანი დალუპავდა,

¹ Dion. Perieg. 654—655. კისლინგი წერს; ცეცეს ზეპირად მოჰყავსო. მართლ-
დაც, დიონისიოსის ტექსტი ცეცეს მოჰყავს არა ზედმიწევნით. დიონისიოსის შრო-
მაში სწერია:

... ἐκ γὰρ ἐκείνης

ἰφθίμης φιλότητος 'Ἀμαζονίδων' ἐγένοντο,

τὴν ποτε Σαυρομάτησιν ἐπ' ἀνθράποισιν μίγησαν

(იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ
I. თბ. 1967, გვ. 144).

Τεχθέντα τὸν Ἰάσονα βρέφος εὐθύς αὐτίκα
 Θανεῖν αὐτὸν πλασάμενοι, φόβῳ τῷ τοῦ Πελλίου.
 (985) Ὁ πάππος γὰρ Ἰάσονος Κρηθεύς, Διόλου γόνος)
 Ἐν λάρνακι τῷ Χείρωνι κομίζουσιν ὡς νέκυν,
 Ὅς αὐξηθεὶς καὶ παιδευθεὶς Χείρωνι τῷ ῥηθέντι,
 Ἐκδικῶς γίνεται λαμπρὸς Αἰολιδῶν τοῦ φόνου.

(Chil. VI, 978—988)

Περὶ Σηρικῶν περιβλημάτων. ττη'

Οἱ Σῆρες καὶ οἱ Τόχαροι ἔθνη ἑγγύς Ἰνδίας,
 (840) Ὑφάσματα τὰ κάλλιστα ὑγαίνοντες ἀπάντων,
 Καὶ τὰ πολυτιμότερα τοῖς παλαιοῖς τῶν χρόνων,
 Καὶ Ἰβηρες ἑσπέριοι καὶ Κοραξοὶ ὁμοίως,
 Ὑφάσματα τὰ κάλλιστά εἰσιν ἐριουργοῦντες,
 Νῦν δὲ καταχρησάμενος, ὡς οἱ πολλοὶ εἰρήκειν,
 Τὸ ἐκ Θηβῶν, ἐκ Σηρικῶν, οὐκ ἀγνοῶν ὡς ἄλλοι.

(Chil. XI, 839—845)

იასონი რომ დაიბადა, თოთო ბავშვი მაშინვე გადაწყვიტეს რომ მომკვდარიყო, პელიასის შიშით (985) (რამეთუ იასონის პაპა კრეთევსი წარმოშობით ეოლიელი იყო).. ლარნაკში ჩასდეს და ქირონს გაუგზავნეს, როგორც მიცვალებული.. ის რომ გაიზარდა და აღიზარდა ხსენებულ ქირონთან, ბრწყინვალე შურისმაძიებელი გახდა ეოლიდთა გაყლეტიისათვის.

იბერიის ქსოვილები

სერული საფარების შესახებ ტ³⁵

სერები და თოხარები ტომია ინდოეთის ახლოს, საუცხოვო ქსოვილებს ამზადებენ, ყველაზე უკეთესს, და უფრო ძვირფასს, ვიდრე ძველ დროში; და დასავლეთის იბერები¹ და აგრეთვე კორაქსები საუკეთესო ქსოვილების დამმუშავებელნი არიან, ხოლო ამჟამად ცუდს აკეთებენ, როგორც ბევრს უთქვამს: თებედან [მოაქვთ], სერული [ქსოვილები] კი არ იციან, როგორც სხვები [ამბობენ]..

¹ ამ ნაწყვეტში ლაპარაკია აბრეშუმის ქსოვილებზე. ამასთან დაკავშირებით მოხსენებული არიან *Ἰβηδες ἑσπέρσιοι* („დასავლეთის იბერები“). შეიძლება ასეთი ჰიპოთეზა წამოგვეყენებინა: 1) იბერთა გვერდით მოხსენებული „კორაქსები“ ცნობილი არიან თვით ძველი ბერძნული წყაროებით როგორც ამიერკავკასიის მცხოვრებლები, როგორც ქართული ტომის წარმომადგენლები; 2) მაშასადამე, მათ გვერდით მოხსენებული „იბერები“ უნდა იყვნენ არა „დასავლეთის“, არამედ „დასავლეთის“ იბერები; 3) ცნობილია, რომ ჯერ კიდევ VI საუკუნეში ბიზანტიურ წყაროებში არის ლაპარაკი იბერულ (ე. ი. ქართულ) აბრეშუმზე.

სჰოლიკობი ლიკოზრონის «ასანდრასთვის»

კოლხეთის ქალაქი კჯტაია

ტ. 174. Κυταίης ε]. Κύ-
ταια, πόλις Κολχίδος, ἔστιν αὐτὴν
τὴν Μήδειαν Κυταίην ἔφη. Οἱ
δὲ Κόλχοι Ἰνδοῖκοι Σκύθαι εἰσίν,
οἱ καὶ Λαῶεσι καλούμενοι, πλη-
σίον οἰκούντες Ἀβασγῶν, τῶν
πρὶν Μασσαγετῶν, ὧν Κόλχων τὰ
φάρμακα ἀνθίμερον ἀναίρουσιν.

Εἰς δὲ Κόλχους Ἀϊήτης ἀφί-
κετο, ὡς μὴ ἀρῆσθεις τῇ τῆς
Κορίνθου βασιλείᾳ. Αἰήτης γὰρ
καὶ Ἀλωεύς Ἡλίου παῖδες καὶ
Πέρσης τῆς Ὠκεανοῦ θυγατρός.
Διείλε δὲ Ἥλιος τοῖς παῖσι τὴν
βασιλείαν, καὶ τὴν μὲν Ἀρκα-
δίαν Ἀλωεὶ δέδωκε, τὴν δὲ Κό-
ρινθον Αἰήτῃ. Αἰήτης δὲ μὴ
ἀρῆσθεις τῇ Κορίνθῳ παρέθετο
ταύτην φυλάττειν Βουνῷ, Ἐρμού
καὶ Νύμφης υἱῷ· αὐτὸς δὲ εἰς
Κόλχους ἀφίκετο, ἐντειλάμενος
Βουνῷ φυλάττειν τὴν Κορίνθου
βασιλείαν ἕως οὗ ἢ αὐτὸς ἢ τις
τῶν ἐξ αὐτοῦ ἴκοιτο.

Ἐν Κόλχοις δὲ αὐτὸς γήμας
Εἰδύταν, τὴν Ὠκεανοῦ θυγατέρα,
ἐν Κυταίᾳ πόλει, Μήδειαν καὶ
Ἄφυρτον γενῆ.

Ἀδελφαὶ δὲ Αἰήτου καὶ
Ἀλωέως, ἦτοι Ἡλίου θυγατέ-
ρες, Κίρκη καὶ Πασιφάη, καθ'
ἐτέρους καὶ Καλυψώ.

Περὶ δὲ τῆς διαίρεσεως τῆς
τοῦ Ἡλίου βασιλείας εἰς τοὺς

კჯტაიელი]. კჯტაია, კოლ-
ხეთის ქალაქია, საიდანაც თვით
მედეას კჯტაიელი უწოდა პოეტმა.
კოლხები ინდოელი სკვითები
არიან, მათ ლაზებიც ეწოდებათ
და ცხოვრობენ მახლობლად აბაზ-
გებისა, წინანდელი მასაგეტები-
სა; ამ კოლხების საწამლავეები
იმავე დღეს სპობენ ადამიანს.

კოლხების ქვეყანაში ჩავიდა
აეტი, რომელსაც არ მოეწონა
კორინთოში მეფობა. აეტი და
ალოევსი პელიოსის და ოკეანეს
ასულის პერსეს შვილები იყვნენ.
პელიოსმა შვილებს გაუყო სამე-
ფო: არკადია მისცა ალოევსს,
ხოლო კორინთო აეტს. მაგრამ
აეტს არ მოეწონა კორინთო და
გადასცა იგი დასაცავად ბუნოსს,
პერმესისა და ნიმფეს ვაჟს; თვი-
თონ კი კოლხების ქვეყანაში ჩა-
ვიდა; ბუნოსს კი მიანდო დაეცვა
კორინთოს სამეფო, ვიდრე ან
თვითონ ან სხვა ვინმე მისიანი
მივიდოდა.

კოლხების ქვეყანაში მან შე-
იროთ ილია, ოკეანეს ასული,
ქალაქ კჯტაიაში, და შეეძინა
მედეა და აფსირტი.

აეტის და ალოევსის დები,
ესე იგი პელიოსის ასულები,
იყვნენ კირკე და პასიფაე, სხვე-
ბის მიხედვით აგრეთვე კალიფსო.

პელიოსის სამეფოს გაყოფის
შესახებ მის შვილებს შორის,

αὐτὸν παῖδας Αἰήτην καὶ Ἄλωέα
 Θεόπομπος ὁ Χίος Εὐμήλου τοῦ
 Κορινθίου ἱστορικοῦ ποιητοῦ μέμ-
 νηται λέγοντος.

Ἄλλ' ὅτε δ' Αἰήτης καὶ Ἄλωεὺς
 ἐξέγέροντο
 Ἥελίου τε καὶ Ἀντιόπης τότε
 δ' ἀντιχα χώρον
 Δάσσατο παισὶν ἰοῖς Ὑπερίονος
 ἀγλαὸς νόσος
 Ἦν μὲν ἐχ' Ἀσωπός, ταύτην πόρε
 δίφ' Ἄλωεϊ,
 Ἦν δ' Ἐφόρη κτεταῖσος Ἀἰήτη
 δῶκεν ἄπασαν.
 Αἰήτης δ' ἄρ' ἐκὼν Βούμφ' παρέδωκε
 φυλάσσειν,
 Εἰσόκεν αὐτὸς ἰκοῖτ' ἢ ἐξ αὐτοῖό
 τις ἄλλος,
 Ἦ παῖς ἢ υἱὸνός· ὁ δ' ὤχετο
 Κολχίδα γαῖαν.

Σημείωσαι δὲ τοῦτο, ὅτι οἱ
 μὲν λοιποὶ τῶν ἱστορικῶν Πέρ-
 σης καὶ Ἥλιου παῖδας φασὶ τὸν
 Αἰήτην καὶ Ἄλωέα, ὁ δὲ Εὐμη-
 λος οὗτος Ἀντιόπης καὶ Ἥλιου.

აეტსა და ალოევსს შორის, თეო-
 პომპე ქიოსელი იხსენიებს ისტო-
 რიკოს-პოეტის ევმელოს კორინ-
 თოელის თხრობის მიხედვით:

ალოდესაც აეტი და ალოევსი
 გაჩნდნენ
 ჰელიოსისა და ანტიოპესგან,
 მაშინ ორად გაუყო
 ქვეყანა თავის შვილებს ჰიპერიონის
 ბრწყინვალე ძენს;
 რომელი [ქვეყანაც] ჰქონდა ასოპეს,
 იგი მისცა ღვთაებრივ ალოევსს,
 ხოლო რომელიც შეიძინა ეუიორემ,
 აეტს მისცა მთლიანად.
 ამრიგად, აეტმა თავისი ნებით
 ბუნოსს გადასცა დასაცავად,
 ვიდრე თვითონ მოეიდოდა, ან
 სხვა ვინმე მისიანი,
 ან შვილი, ან შვილიშვილი; თვითონ
 კი კოლხეთის ქვეყანაში წამოვიდა.

შეისწავლე ესეცა, რამეთუ
 სხვა ისტორიკოსებში ამბობენ,
 რომ აეტი და ალოევსი პერსეს
 და ჰელიოსის შვილები არიან,
 ხოლო ამ ევმელეს¹ აზრით —
 ანტიოპეს და ჰელიოსის შვილები.

ოქროს საწმინო

ტ. 175 ... Τὸ χρυσόμαλλον
 τοῦτο δῆρας ἦν τοῦ κριῦν, δς τὸν
 Φρίξον εἰς Κολχίδα διεπύρθημε-
 σεν· ἐκεῖ δὲ τοῦτον, ὧς φασιν,
 ἔθυσεν Φυξίφ Διί, καὶ ἐν Ἄρεος
 ἄλσει περὶ τινὰ θρῦν τὸ δῆρμα
 αὐτοῦ ἀπακρέμασεν· ἐφύλαττε δὲ
 τοῦτο θράκων, εὖς πάχει μάχει

ეს ოქროს-საწმინიანი ტყავი
 იყო იმ ვერძისა, რომელმაც ფრიქ-
 სე კოლხიდაში გადაიყვანა; იქ,
 როგორც ამბობენ, ფრიქსემ ფიქ-
 სიელ ზევსს შესწირა, და არესის
 ქალაში ჩამოკიდა მისი ტყავი
 ერთ მუხაზე; ამ ტყავს სდარა-
 ჯობდა დრაკონი, რომელიც სი-

¹ ევმელე კორინთელი — ძვ. წ. VIII საუკუნის ეპიკოსი-პოეტი, რომელსაც დაუწერია პოემები *Κορινθιακά*, *Ἐθρωπία* და *Βουγοῖα*.

τε πεντηχόντορον ναυν κράτει»,
 ὡς φησι Πίνδαρος.

სქითაც და სიგრიძითაც ორმოც-
 დაათნიძიანი ხომალდს ჯობნი-
 და, როგორც ამბობს პინდარე-

იასონი უკან იბრუნებს ოქროს ხაწმისს

Κατὰ γοῦν τὴν αὐτοῦ κρίσιν
 ὁ Πελίας κελεύει αὐτὸν τὸν Ἰάσον-
 να ἀπελθεῖν καὶ κομίσαι τὸ δέ-
 ρα αὐτῷ· ὁ δὲ τῆς Ἀργοῦς ἐπι-
 βὰς... καὶ σὺν αὐτῷ ἑτέρους
 ἄνδρας μὲν λαβῶν... ὡς εἶναι
 τοὺς πάντας πεντήκοντα, κατέ-
 πλευσεν εἰς τὴν Κολχίδα καὶ
 παρεκάλει Αἰήτην δοῦναι αὐτοῖς
 τὸ δέρας. Ὁ δὲ ἔφη δοῦναι, ἂν
 τοὺς Ἥφαιστειοὺς πυρπνόους χαλ-
 κόποδας ζεύξῃ ταύρους καὶ σπεί-
 ρῃ τοὺς δράκοντος ὀδόντας, οἷς
 εἶχεν αὐτὸς ὁ Αἰήτης, τῆς Αἰθη-
 νᾶς δούσης αὐτῷ μέρος ἐκ τῶν
 ἐν Θήβαις σπαρέντων τῷ Κᾶδμῳ.

Μήδεια δὲ, ἡ Αἰήτου θυγά-
 τηρ, ἐρασθεῖσα Ἰάσονος, φαρμά-
 κοις αὐτὸν χρίσασα καὶ τοῦ πυ-
 ρὸς τῶν ταύρων διεφύλαξε καὶ
 νυκτὶ περὶ τὸ δέρας τοῦτον ἐπά-
 γει καὶ γοητεύσασα τὸν δράκοντα
 τοῦτο τὸ χρυσόμαλλον ἀφείλετο
 καὶ τοῖς Ἀργοναύταις συναπέ-
 λευσε, λαβοῦσα μὲν ἑαυτῆς καὶ
 τὸν αὐτῆς ἀδελφὸν Ἄψυρτον.

Διώκοντος δὲ Αἰήτου, μελη-
 δὸν τὸν Ἄψυρτον τεμνῶσα ἔρριπ-
 τεν εἰς τὴν θάλασσαν. Συλλέγων
 δὲ ὁ Αἰήτης τὰ τοῦ παιδὸς μέλη
 τῆς διῶξεως ὑστέρηζεν, εἶτα Κόλ-
 χους ἀπέστειλεν εἰς δῖωξιν αὐτῶν.

ამრიგად, მისივე (ქ. ო. იასონის) წინადადებით პელიასი ავა-
 ლებს თვით იასონს გაემგზავროს
 და მოუტანოს მას საწმისი; ხო-
 ლო ის ჯდება არგოს ნავში სხვა
 ორმოცდაცხრა კაცთან ერთად...
 (ასე რომ სულ იყვნენ ორმოცდა-
 ათნი), გასცურა კოლხიდისაკენ
 და სთხოვდა აეტს მიეცა მათ-
 თვის საწმისი, ხოლო იმან უთხრა:
 მოგცემ, თუ ჰეფესტოსეულ ცეცხ-
 ლისმრქვეველ სპილენძფეხებიან
 ხარებს შეაბამ და დასთეს ღრა-
 კონის კბილებს, რომლებიც მე,
 აეტს, მაქვს ათენასაგან მოცე-
 მული თებეში კადმოსის მიერ
 დათესილ კბილთა ნაწილიდან.

მედეამ, აეტის ქალიშვილმა,
 რომელსაც იასონი შეუყვარდა,
 წამლებით დაზილა იგი, იხსნა ის
 ხარების ცეცხლისაგან და ღამით
 მიიყვანა ის საწმისთან, მოაჯა-
 დოვა ღრაკონი, ოქროს საწმისი-
 გამოიტაცა და არგონავტებთან
 ერთად უკან გასცურა, თან წა-
 იყვანა თავის იმა აფსირტე.

აეტო რომ დაედევნა, მედეამ
 ნაკუწ-ნაკუწ დაჭრა აფსირტე და
 ზღვაში გადაყარა. აეტო შეუდგა
 შვილის ასოების შეკრებას და
 დევნას ჩამორჩა, ამიტომ შემდეგ
 კოლხები დაადევნა მათ.

Τῶν δὲ θιακόντων αὐτοὺς Κόλχων οἱ μὲν ἐν τοῖς Κεραυνίοις ὄρεσι κατόκησαν, οἱ δὲ εἰς τὴν Ἰλλυρίδα καὶ τὰς Ἀφύρτιδας νήσους, τινὲς δὲ εἰς Φαιακίαν.

იმ კოლხთაგან, რომელნიც მათ დაედევნენ, ერთნი კერავენს მთებში დასახლდნენ, სხვები კიდევ ილირიდში და აფსირტეს კუნძულებზე, ზოგიერთები კიდევ ფეაკიაში.

მედეამ თავის მამას სამეფო ტახტი კვლავ მოაპოვებინა

Μήδεια δὲ ἄγνωστος εἰς Κόλχους ἦκε καὶ τῷ πατρὶ τὴν βασιλείαν δίδωσι πάλιν, Πέρσην ἀνελοῦσα, τὸν ἀδελφὸν ἐκείνου, τὸν αὐτὸν ἐκβαλόντα τῆς βασιλείας.

მედეა კოლხეთში ჩავიდა უჩუმრად და თავის მამას კვლავ მოაპოვებინა სამეფო, და მოკლა პერსე, მისი ძმა, რომელმაც აეტს სამეფო ტახტი წაართვა.

კოლხური დრაკონი

ტ. 615. Ἀλούσης τῆς Τροίας Διομήδης... παρεγένετο εἰς Ἰταλίαν· εὐρῶν δὲ τηνικαῦτα τὸν Κολχικὸν δράκοντα λυμαινόμενον τὴν Φαιακίδα, ἔκτεινε, τὴν τοῦ Γλαύκου χρυσοῦν ἀσπίδα κατέχων· ἐνόμισε γὰρ ὁ δράκων τὸ χρυσοῦν εἶναι δέρας τοῦ κριοῦ.

ტროადის ალების შემდეგ დიომედე... ჩავიდა იტალიაში; იქ მან ნახა კოლხური დრაკონი, რომელიც ანადგურებდა ფეაკიას, და მოკლა იგი: ხელთ ჰქონდა გლავკოსის ოქროს ფარი: რამეთუ დრაკონს ეგონა, რომ ის იყო ვერძის ოქროს საწმისი.

ტ. 630. Οἱ Φαίακες αἰνεσοῦσι καὶ σεβάσονται τὸν Διομήδη, οἷτινές εἰσι περὶ τὸ Ἴόνιον πέλαγος, ὅτι τὸν δράκοντα ἀνείλεν ἐκ Κόλχων ἐκείσε ἐλθόντα πρὸς ζήτησιν τοῦ χρυσοῦ δέρας. Τινὲς δὲ ληστὴν φασιν εἶναι τὸν δράκοντα.

ფეაკები, რომელნიც იონიის ზღვის მიდამოებში ცხოვრობენ, ქებას შეასხამენ და ეთაყვანებიან დიომედეს, რომ მან მოკლა დრაკონი, რომელიც იქ მისულ იყო ოქროს საწმისის საძებრად. ზოგიერთები ამბობენ, რომ დრაკონი ყაჩაღი იყო.

მედეა აქილევსის მეუღლეა

ტ. 798. Ἡ δὲ περὶ τοῦ Ἀχιλλέως δάμαρτος, ἦτοι γυναικὸς, ἱστορία ἐστὶ τοιαύτη· Ἀχιλλεύς μετὰ θάνατον, ὡς ληροῦσιν, ἔγη-

აქილევსის მეუღლის, ესე იგი ცოლის შესახებ ასეთი ამბავია გადმოცემული: აქილევსს, როგორც ლაყბობენ, სიკვდილის შემ-

με Μήδειαν, τὴν Αἰήτου θυγα-
τέρα. Αἰήτης δὲ καὶ Κίρκη καὶ
Πασιφάη Ἑλλίου παῖδες καὶ Πέρ-
σης τῆς Ὀκεανου καὶ Αἰήτου
μὲν παῖδες καὶ Εἰδυίας Μήδεια
καὶ Ἄψυρτος.

დევ შეურთავს მედეა, აეტის
ქალიშვილი. აეტი, კირკე და
პასიფაე ჰელიოსისა და ოკეანეს
ასულის პერსეს შვილები არიან;
აეტსა და ეადუიას შვილები
არიან მედეა და აფსირტი.

არგონავტების ლაშქრობა

ტ. 886. Ὡς γοῦν ἐκ τῆς Κολ-
χίδος διὰ τῆς ἕξω θαλάσσης καὶ
τοῦ Ἀδρίου τὸν πλοῦν ἐποίησαντο
[οἱ Ἀργοναῦται], διὰ τοῦ Φάσιδος
δὲ εἰς τὸν Ὀκεανὸν ἐνέβαλον,
δὴδεκα πρότερον ἡμέρας ἕξω τοῦ
Ὀκεανου φέροντες ἐν τοῖς νώτοις
τὴν Ἀργὴν διὰ τῆς ἐρήμου τῆς
Λιβύης.

კოლხიდიდან გარეთა ზღვითა
და აღრიით გაცურეს [არგო-
ნავტებმა] და ფაზისის გავლით
ოკეანეში შევიდნენ ისე, რომ
წინდაწინ თორმეტ დღეში გადა-
იტანეს თავისი ზურგიით არგო-
ლიბისის უდაბნოზე გავლით.

კოლხები ეგვიპტიდან არიან გადმოსახლებული

ტ. 887. Κολχίς ἢ Μήδεια.
Οἱ δὲ Κόλχοι, οἱ καὶ Λαῖοι λεγό-
μενοι, Αἰγυπτίων ἄποικοί εἰσιν,
πλησίον οἰκοῦντες τῶν Ἀβασγῶν,
τῶν καὶ Μασσαγετῶν καλουμέ-
νων. Λέγονται δὲ οἱ Κόλχοι καὶ
Σχυθία Ἀσιανοὶ καὶ Λευκόσυροι·
οἰκοῦσι δὲ ἐν τοῖς μέρεσι τῆς
Ἀσίας περὶ Φᾶσιν ποταμὸν ἢ
δὲ Εὐρωπαϊα Σχυθία ἐστὶ περὶ
Μαιῶτιν καὶ Τάναϊν. Ἰώσηπος
δὲ ὁ Ἑβραῖος καὶ τοὺς Ἀλανοὺς
Εὐρωπαϊῶν Σχυθῶν γένος φησίν,
οἰκοῦντας περὶ τὴν αὐτὴν Μαιῶ-
τιν καὶ τὸν Τάναϊν κατὰ τὴν
τῶν Ὑγκανίων πάροδον καὶ Κασ-
πίων, ἣν Ἀλέξανδρος ὁ βασιλεὺς
συνήραϊς πύλαις κλείστην ἐποίη-
σεν.

კოლხელი მედეა. კოლხები,
რომლებსაც ლაზებსაც ეძახიან,
ეგვიპტელთა ქვეყნიდან არიან
გადმოსახლებული, ცხოვრობენ
აბაზგების მახლობლად, რომელ-
ნიც მასაგეტებაც იწოდებიან.
კოლხებს აზიელი სკვითებიც და
ლეგკოსირებიც ჰქვიათ; ისინი
ცხოვრობენ აზიის მხარეში მდი-
ნარე ფაზისის ირგვლივ, ხოლო
ევროპული სკვითთა მეოტიდის
და ტანაისის მიდამოებშია. ებრა-
ელი იოსიპოსი ევროპელი სკვი-
თების ტომს მიაკუთვნებს ალა-
ნებსაც, რომლებიც იმავე მეო-
ტიდისა და ტანაისის მიდამოებში
და პირკანელებისა და კასპიელე-
ბის გასასვლელში არიან, რომე-
ლიც ალექსანდრე მეფე რკინის
კარიბჭეებით ჩაკეტა.

კოლხების ქალაქი პოლები

ტ. 1022. Πόλαι πόλις εἰσὶν Ἡπειροῦ ὑπὸ Κόλχων κτισθεῖσα τῶν καταδιωξάντων τὴν Μῦθειαν καὶ μὴ καταλαβόντων αὐτήν καὶ διὰ φόβον Αἰήτου ἐνταυθα κατοικησάντων καὶ κτισάντων τὴν πόλιν, ἧτις Κολχίδι φωνῆ Πόλαι καλεῖται. Τὸ δὲ πόλαι Κολχικῶς φυγάδας σημαίνει, ὡς φησι Καλλίμαχος.

პოლები ქალაქია ეპირში, დაარსებული იმ კოლხების მიერ, რომლებიც მედეას დაედევნენ და ის ვერ შეიპყრეს, ხოლო აეტის შიშით იქვე (ეპირში) დასახლდნენ და ქალაქი დაიარსეს, რომელსაც კოლხური ენით პოლები ეწოდება. ხოლო «პოლა» კოლხურად „ლტოლელებს“ ნიშნავს, როგორც ამბობს კალიმაქე.

ააა — კოლხეთის ქალაქია

ტ. 1024. Αἶα Κορίνθου τ' ἀρχός] Αἶα πόλις Κολχίδος.

ააას და კორინთოს მფლობელი] ააა კოლხეთის ქალაქია.

ხალიბები — სკვითური ტომია

ტ. 1109. Χαλβδικῶ]. Χάλυβες Σκυθικὸν ἔθνος, παρ' οἷς ἔστι οἰδηρος ἄριστος.

ხალიბური] ხალიბები — სკვითური ტომია; მათთან მოიპოვება საუკეთესო რკინა.

კოლხები — ლაზური ტომია

ტ. 1312. Εἰς Κύταιαν τὴν Λιγυστικὴν]. Ἡ Κύταια πόλις Κολχίδος ἐστίν· οἱ δὲ Κόλχοι ἔθνος ἔστι Λαζικόν, ὡς ἔφηγ ἑπισθεν πλατυτέρως, πλησίον Ἀβαργῶν κείμενον. Τὸ δὲ Λιγυστικὸν καὶ τὸ Λιγυστικὸν κλίμα (ὦν τὸ μὲν ἀπὸ Λιβύης τῆς Ἐπάφου θυγατρὸς ἐκλήθη, τὸ δὲ ἀπὸ Λίγυος τοῦ Ἀλεβίωνος ἀδελφοῦ) τῆς Κυρήνης καὶ Καρχηδόνος καὶ Ἀλεξανδρείας ταῦτό ἐστιν, ὡς ἑπισθεν εἶπον, περὶ τὴν Λιβύην. Ὁ δὲ Λυκόφρων οὗτος, καινοτο-

ლივესტიკურ კვტაიაში]. კვტაია კოლხეთის ქალაქია; ხოლო კოლხები ლაზური ტომია, როგორც მე ზემოთ დაწვრილებით ვიამბეთ, მოთავსებულია აბაზგების მახლობლად. ლიბისტიკური და ლივესტიკური მხარე (რომელთაგან პირველი ატარებს ეპაფეს ასულის ლიბიას სახელს, ხოლო მეორე — ალებიონის ძმის ლივესიონის სახელს) კვირინისა, კართაგენისა და ალექსანდრიისა, როგორც ზემოთ ვთქვი, ერთიდაიგივეა ლიბიაში.

μὼν τὰ πολλὰ, καὶ τὴν Κολχικὴν Λιγυστικὴν καλεῖ. Ἔμοαქვს, კოლხეთსა ლიგვისტიკურს ეძახის.

ხოლო ეს ლიკოფრონი, რომელსაც ბევრ რამეში სიახლენი შე-

კოლხეთის ქალაქი კვტაია¹

ტ. 174. Τὸν μελλόνυμφον εὐνέτην Κυταΐκης] μυθεύονται γὰρ οἱ μετὰ θάνατον Ἀχιλλεύς ἡγάγετο Μήδειαν τὴν Αἰήτου ἐν μακάρων νήσοις. Κυταΐκη δὲ ἢ Μήδεια, Κύτη γὰρ πόλις Κολχίδος, ξεινοβάκχη δὲ, διότι ξένῳ ὄντι τῷ Ἰάσονι συνεφιλιώθη κατ' ἔρωτα αὐτοῦ καὶ ἐξεβαχχεύθη, καὶ οἱ αὐτὸν ἀνεῖλε τὸν Ἄψυρτον τὸν ἴδιον ἀδελφόν.

და მის (იასონის) გულისთვის მოკლა საკუთარი ძმა აფსირტე.

კვტაიელი (ე. ი. ქუთაისელი) მედებს მომავალი ქმარი]: მითებში მოთხრობილია, რომ აქილევსმა გარდაცვალების შემდეგ შეირთო ნეტართა კუნძულებზე აეტის ასული მედეა. კვტაიელია მედეა, რადგან კვტე კოლხეთის ქალაქია; ხოლო უცხო ს მეტროფეა, რადგან შეეუღლა უცხოელ იასონს მისდამი ტროფობის გამო, ვნებიერად გაცოფდა და მის (იასონის) გულისთვის მოკლა საკუთარი ძმა აფსირტე.

კოლხების ქალაქი პოლები

ტ. 1021. Πόλαι δὲ πόλις Ἠπίρου ὑπὸ Κόλχων κτισθεῖσα τῶν καταδιωξάντων τὴν Μήδειαν καὶ μὴ καταλαβόντων αὐτὴν καὶ διὰ φόβον ἐνταῦθα κατοικησάντων καὶ κτισάντων πόλιν, ἧτις τῆ Κολχίδι φωνῆ Πόλαι καλεῖται, σημαίνοντος τοῦ ὀνόματος τοῦς φυγάδας, ὡς φησι Καλλιμαχος.

“Ἄλλως ὁ δὲ γείτων χῶρος καὶ ποταμὸς ὁ Κραῖθις ἐν τοῖς ὄροις τῶν Μυλάκων καὶ ἐν Πόλῃ

პოლები ეპირის ქალაქია, და არსებული იმ კოლხების მიერ, რომლებიც მედებს დაედევნენ და ის ვერ შეიპყრეს, ხოლო [აიეტის] შიშით იქვე (ეპირში) დასახლდნენ და დაიარსეს ქალაქი, რომელსაც კოლხური ენით „პოლები“ ეწოდება, რადგან ეს სახელი ნიშნავს „ლტოლვილებს“, როგორც ამბობს კალიმაქე.

სხვანაირად: მეზობელი ადგილი და მდინარე კრათისი მილაკების საზღვრებში და პოლეში,

¹ ვენეციის ხელნაწერში, რომელიც XI საუკუნით თარიღდება (codex Marcianus № 476, saec. XI) ლიკოფრონის „ალექსანდრას“ იგივე სქოლიოები მოყვანილია ცოტა განსხვავებული რედაქციით. აქვე ვათავსებთ რამდენიმე სქოლიოს.

οὐτως ἀνομασίμην ἰδίαι τῆ ὑπὸ
Κόλχων κτισθείσῃ συνοίκους δέ-
ξεται τοὺς ἰχθυεὺς καὶ θιάκτας
τῆς θαλάττης Αἰήτου Μηδείας.

რომელ ქალაქსაც ასეთი სახელი
ჰქვია და კოლხების მიერ არის
დაარსებული, მიიღებს მოახალშე-
ნეებად იმათ, რომელნიც აეტის
ასულს მედეას კვალს ეძებენ¹.

¹ ჯერ კიდევ სტრაბონისთვის ცნობილი იყო ქალაქი «პოლა», რომელიც კოლხებს დაუარსებიათ და პოეტ კალიმაქეს (ძვ. წ. III საუკ.) მისი სახელწოდების ახსნა უცდია. სტრაბონი წერს (V, 1, 9): «პოლა (ἢ Πόλα) დაფუძნებულია ტბისმსგავს უბეში, რომელსაც კარგი მისადგომები აქვს და რომელიც მდიდარია ნაყოფებით. [პოლა] აშენებულია ძველად კოლხთა მიერ, რომლებიც მედეასთვის იყვნენ გაგზავნილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს საქმე და მიუსაჯეს თავის თავს გაძევება, როგორც კალიმაქე ამბობს; ოგრაძკოსი უწოდებდა მას ლტოლვილთა ქალაქს, ხოლო კოლხთა ენამ დაარქვა მას პოლა (δορύμνη Πόλας)* (იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957, გვ. 96). ამასვე იმეორებს სტრაბონი მეორე ადგილასაც (I, 2, 39).

გიორგი აკროპოლიტე

XIII საუკუნის ისტორიკოსი გიორგი აკროპოლიტე (Γεώργιος Ἀκροπολίτης) დაიბადა კონსტანტინეპოლში 1217 წელს. ეს ხომ ის ხანაა, როდესაც ბიზანტიაში ლათინთა ბატონობაა (1204 წლიდან). გადარჩენილია მხოლოდ ნიკეის სამეფო, რომლის ცენტრი ქალ. ნიკეა მთელი ბიზანტიის დედაქალაქის მაგიერობას ეწევა. და, აი, გიორგი აკროპოლიტეს მისი მამა გზავნის ნიკეაში სწავლის გასაგრძელებლად. აქ ის სამეფო კარზე იზრდებოდა და სწავლობდა ჯერ თეოდორე პექსატერიგეს და შემდეგ უფლისწულ თედორესთან ერთად (ეს არის მომავალი მეფე, თეოდორე II ლასკარისი) ნიკეფორე ბლემიდეს ხელმძღვანელობით. 1246 წლიდან გიორგი აკროპოლიტე თვით უფლისწულის მასწავლებელიც იყო.

როდესაც მამის გარდაცვალების შემდეგ (1254 წ.) თეოდორე ავიდა სამეფო ტახტზე, მან გიორგი თავის მახლობელ მრჩეველად და მოსამსახურედ გაიხადა: ჯერ, 1257 წელს მთავარსარდლობაც მისცა ერთ-ერთი ომის დროს; შემდეგ დიპლომატიურ სარბიელზე სამუშაოდ გაამწესა, როგორც მეცნიერი და დიპლომატი იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა. 1282 წელს ტრაპიზონში გაიგზავნა ელჩად; იმავე წელს იგი გარდაიცვალა.

გიორგი აკროპოლიტეს ძირითადი ნაწარმოებია *Χροναὴ σαγ γράφη*, რომელიც ნიკეტა ხონიატეს „ისტორიის“ გაგრძელებას წარ-
შობდა და 1203—1261 წ. წ. ამბებს აგვიწერს.

გიორგი აკროპოლიტეს თავის „ისტორიაში“ უშუალოდ საქართველოზე არაფერი აქვს ნათქვამი: საყურადღებო ცნობაა მხოლოდ ტრაპიზონის იმპერიის დამაარსებლებზე, რაც ქვემოთ მოგვყავს.

ლიტერატურა:

Georgii Acropolitae Opera. Recensuit Augustus Heisenberg, I—II. Lipsiae 1903.

Georgii Acropolitae Annales. Recognovit Immanuel Bekkerus. Bonnae 1836 (ამავე ტომშია კონსტანტინე მანასე და იოილი).

Georgii Acropolitae Annales: Migne PG, t. 140, p. 958—1220.

აღ. გამყრელიძე, გიორგი აკროპოლიტესი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ: მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 31, თბ. 1954. გვ. 225—232.

ΓΕΩΡΓΙΟΥ ΤΟΥ ΑΚΡΟΠΟΛΙΤΟΥ ΧΡΟΝΙΚΗ ΣΥΓΓΡΑΦΗ

სათაური

Ἡ παρῶσα χρονική συγγραφή τοῦ μεγάλου λογοθέτου τοῦ Ἀκροπολίτου ἐστίν, ὃς ἔκτισε καὶ τὸ μοναστήριον τῆς ἀγίας τοῦ Χριστοῦ ἀναστάσεως. Περιέχει δὲ τὰ μετὰ τὴν ἀλῶσιν τῆς Κωνσταντινουπόλεως ἄχρι τῆς τελευτῆς τοῦ βασιλέως Μιχαὴλ τοῦ Παλαιολόγου (ხელნაწ. Аа).

Τοῦ Ἀκροπολίτου ἱστορικὸν ἀρχόμενον ἀπὸ τῆς ἀλώσεως τῆς Κωνσταντινουπόλεως (B).

Τὸ τοῦ σοφωτάτου καὶ λογιμωτάτου λογοθέτου ἱστῶρημα Γεωργίου τοῦ [Ἀκροπολίτου] ἀρχόμενον ἀπὸ [τῆς ἀλ]ώσεως τῆς πόλεως (H).

Τοῦ φιλοσοφωτάτου μεγάλου λογοθέτου Γεωργίου τοῦ Ἀκροπολίτου Χρονική διήγησις (U).

წინამდებარე «საქრონიკო ისტორია» დიდი ლოგოთეტის აკროპოლიტესია, რომელმაც ალაშენა აგრეთვე ქრისტეს წმინდა აღდგომის მონასტერი. შეიცავს ამბებს კონსტანტინეპოლის აღებიდან ვიდრე მეფის მიხეილ პალეოლოგოსის გარდაცვალებამდე.

აკროპოლიტეს საისტორიო თხზულება, დაწყებული კონსტანტინეპოლის აღებიდან.

უბრძენის და უწარჩინებულესი ლოგოთეტის გიორგი აკროპოლიტეს საისტორიო თხზულება, დაწყებული ქალაქის აღებიდან.

უფილოსოფოსესი დიდი ლოგოთეტის გიორგი აკროპოლიტეს «საქრონიკო მოთხრობა».

ისტორიის მიზანი და დანიშნულება

1. Τὸ τῆς ἱστορίας χρήσιμον καὶ πρὸς ἡμῶν οἱ συγγραψάμενοι διωρίσαντο, καὶ ἄπερ ἂν ἐκείνοις ἐπηλθὲν εἰπεῖν, ταῦτ' ἂν καὶ ἡμεῖς ἐρεῖν ἔχωμεν· τί γὰρ ἂν καὶ εὖροιμεν καινότερον νόημα τοσοῦτων ἱστορησάντων καὶ σύμπαν καλὸν τῆς ἱστορίας ἀποφηναιμένων ἐν τοῖς σφετέροις συγγράμμασι; τάχα δὲ, ὃ πλέον ἐκείνων ἐν τοῖς νῦν προκειμένοις

ისტორიის სარგებლობა ჩვენ წინამორბედი აღმწერლების მიერაც არის გამოჩვენებული და, რაც მათ აზრად არ მოუვიდათ, ამის შესახებ ჩვენ გვინდა ვთქვათ: რასლა ვპოვებთ ჩვენ იმაზე უფრო ახალ აზრს, ვიდრე ამდენმა მწერალმა მოგვითხრო და ვიდრე მათ გამოაჩინეს მოსათხრობად მშვენიერი, თავიანთ თხზულებებში? ამას გარდა, რაც ამჟამად ჩვენ

ἡμῖν λέξειν ἄξιον, τοῦτό γε ἂν τῆς ἡμετέρας συγγραφῆς προβαλούμεθα· τὸ δὲ ἐστὶν ὅτι, καινότερων ἡμῖν προκειμένων πραγμάτων, ἂ μήπω τις γραφῆ παραδέδωκε, καινότερον συμβαίνει εἶναι καὶ τὸ ὠφέλιμον, ἐκείνων ἐν γνώσει τῶν ἀνθρώπων γεγενημένων, ἅπερ ὁ χύδην βέων λόγος οὐκ ἀληθῶς ἀποφαίνεται.

Οἱ μὲν οὖν τὰ καθ' ἡμᾶς ἱστορικῶν συγγραφέαμενοι ἄλλην ἄλλος πεποιήνται τὴν ἀρχήν· οἱ μὲν γὰρ αὐτῶν ἀπὸ τῆς τοῦ κόσμου γενέσεως ἤρξαντο, οἱ δὲ ἐξ ἀξιολόγου τινὸς ἀρχῆς, ἢ Περσῶν ἢ Ἑλλήνων ἢ Ῥωμαίων ἢ ἄλλου οὐτινοσοῦν τῶν ἐθνῶν, ἕκαστος πρὸς τὸν ἑαυτοῦ σκοπὸν τὸ οἰκεῖον καταρτιζόμενος σύγγραμμα.

Καὶ ἡμῖν οὐχ ἥκιστα οὕτω τὰ τῆς συγγραφῆς τελεσθῆναι. Τὰ μὲν γὰρ ἀπ' ἀρχῆς γεγενημένα τῆς τοῦ κόσμου γενέσεως πολλοῖς τε καὶ πολλαῖς ἐξιστορήθη, οὐ χρὴ δὲ λέγειν καὶ ὡς πρὸς ἀλλήλους οἱ πλείους ἦγαντισοφώνησαν τὰ τῶν βασιλέων συγγράφοντες, ἀλλοιῶσις τε χωρῶν καὶ πόλεων στάσεις καὶ πολέμων συρρήξεις καὶ ἀνδραποδισμοὺς καὶ νίκας καὶ ἤττας καὶ ὅσα τοιαῦτα συμβαίνει τοῖς καθ' ἡμᾶς...
ცხებებზე მოთხრობის დროს და ჩვენში ხდება.

მიერ სათქმელად განზრახულში მათზე უფრო მეტად არის ღირსი, მას ჩვენ წარუუმძღვარებთ ჩვენს თხრობას. ის კი არის, რომ ჩვენ ხომ უფრო ახალი მოვლენები გვიდევს წინ, რაც არავის არ ჩაუწყერია, უფრო ახალი და სასარგებლო, ვიდრე აღამიანთა ცნობიერებაში მომხდარი ამბები, რაც უთავბოლოდ წარმომდინარე სიტყვამ ქეშმარიტებით ვერ გამოავლინა.

ჩვენი ამბების მომთხრობელი მწერლები ერთნი ერთ საწყისს უღებენ საფუძვლად; ზოგნი მათგანნი ქვეყნის გაჩენით იწყებდნენ თხრობას, მეორენი სხვა რომელიმე ღირსშესანიშნავი საწყისიდან, ან სპარსელთა ან ელინთა ან რომაელთა ან რომელი-გინდა სხვა ტომთაგან, თითოეული თავისი მიზნის მიხედვით გამართავდა ხოლმე თხულებას.

ჩვენც არა ნაკლებად მივსდევთ თხრობის ასეთ წესს. ბევრმა ქვეყნის გაჩენიდან მოგვითხრო მომხდარი ამბები, და ხშირადაც, ხოლო არ არის საჭირო ვიღაცა-რაკით იმაზე, რომ ისინი მეტწილად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ მეფეთა საქმეების მოთხრობაში, სხვადასხვა მხარეებსა და ქალაქებში გადატროილებათა, აჯანყებათა და ომების შესახებ გაღმაცემაში, სრვასა და ტყვეობებზე, გამარჯვებებსა და დამარსხვა ამგვარ შემთხვევებზე, რაც

βλέπετε ἀγρυπνεῖτε იხილეთ და მღვდარი იყვენით (მრ. 13,33; ხედვე-
ლით და იღვძებდით C; ლკ. 21,36; ეფეს. 6,48); *ἀγρυπνοῦσιν* იღვძებენ
(ებრ. 13,17); *ἀγρυπνεῖ* ჰღვძავს (ქება 5,2; V: მღვდარე არს) მღვდარე არს
(ეკ. დღ. 96 ა; ქება 5,2); *ἡγρῶσθησα* უძილ ვიყავ (ფს. 101,8; V: უძილ ვიქ-
მენ); *ὡς ἂν μὴ μόνον ἡγρῶσθηκότας* რა არა გამოსჩნდეთ ცუდად მღვდა-
რედ (ს. ცხ P(ξ 116.457 B); *ἐπὶ σοφῶ ἡγρῶσθησεν* საფლავთა ზედა იღვდა
(იობ. 21,32); *ἡγρῶσθησε* ხრცის განიღვდა უფალმან... ძვრის საქმესა მას
ზეგნსა (დან. 9,14).

ΑΓΡΥΠΝΙΑ (*ἀγρυπνία*, ἡ) 1) მღვიძარება; ფხიზლობა; 2) ღამის
თევია.

ἐν κόποις, ἐν ἀγρυπνίαις, ἐν νηστείαις შრომითა და მღვდარებითა,
მარხვითა (2 კორ. 6,5; 11,27; ქოის. 94,27; ქ. 46,3; ფლავ. 423,8; *vigilias*); *ὁρῶ-
τος καὶ ἀγρυπνίας* τὸ *πράγμα* ოფლითაცა და მღვდარებითა საქმე ვყით
(2 მაკაბ. 2,26; *ἀγρυπνίαν* *ὄψεσθαι* *παννύχιον* *ἐκτελέσει* აღასრულონ ღამის-
თევია და პანსუჯი (ქოის. 46,2; ქ. 23,2); *ἀγρυπνίαν* *πεποιηκότας* ღამესა
ათევენ (ქოის. 66,8; ქ. 30,7).

ΑΓΡΥΠΝΟΣ (*ἀγρυπνος*, ος) 1) მღვიძარე; 2) ფხიზელი.

Πῶς ἀγρυπνος ἢ ἀπόδῶν, δεῖται ἐπαύριον* ვითარ მღვდარე არს აიღონი,
რაჟამს ავრობნ კუერცთა (ეკ. დღ. 106 ა; PG 181 A; *vigil sit*).

ΑΓΡΩΣΤΙΣ (*ἀγρωστis*, εως, ἡ) ბალახი; მწვანელი.

ὡς εἰ δὲ μὲν ἐπ' ἀγρωστίων ვითარცა წვამა კლერტსა* ზედა (მეორე შჯ.
32,2; V: მწვანელილსა ზედა); *ὡς ἂν. ξηρὰ* ვითარცა კლერტი კმელი (ესაია
9,18; ეკ. დღ. 54 ა; *gramen*); *ὡς χόρτος καὶ ἂν* ვითარცა ზაფრანა და ლჭრ-
წამსა (ეკ. დღ. 56 ა; PG 100 B); *ὡς χόρτος ξηρὸς ἐπὶ θάματων καὶ ὡς ἂν*.
ვითარცა თივამ კმელი ზედა ბედდესა და ვითარცა ბანჯარი შემჭნარი
(ესაია 37,27; V: ვა კლერტი); *ὡς ἄρνες ἐπὶ ἀγρωστίων* ვითარცა კრაფნი
მწვანელილსა ზედა (მიქ. 5,7).

ΑΓΥΙΑ (*ἀγυιά*, ἡ) 1) ქუჩა; 2) გზა; 3) ქალაქი.

αὶ μὲν κατ' οἴκους αὶ δὲ κατὰ τὰς ἀγυίας თათოუელი სახლთაებრ, ხოლო
სხუანი გზათა ზედა (3 მაკ. 1,20); *τίνας ἀγυίας* რომელს უბანს (3 მაკ. 4,3).

ΑΓΥΙΕΥΣ (*ἀγυιεύς*, εως, ὁ, ← *ἀγυιά*) ქუჩის მწყალობელი.

ΑΓΥΜΝΑΣΤΟΣ (*ἀγυμναστος*, ος, ← *ἀ-*, *γυμνάξω*) 1) უწვრთნელი;
უსწავლელი; 2) გამოუცდელი.

μὴ ἀγυμναστον *ἔχειν τὸν νοῦν* არა აქუნდეს უწვრთელი გონება (ეკ.
დღ. 67 b; PG 117 B; უჩუვეველობა (კ. შეს. AP 217 ა₁₁); უჩუვეველნი
ღრძილნი (კ. შეს. 187 ა, PG 217 A).

ΑΓΥΝΑΙΟΣ (*ἀγυναίος*, ος) უქალო (საპირისპირო *γεγαμνηγῶς*).

σεῖραθ γὰρ οὐκ ἐν ἐποίησεν καὶ γυναίον (v. l. *ἀγυναίον*) *οὐκ ἠλέησεν*
რამეთუ ბერწსა არა კეთილი იყო. და დედაკაცო არა შეიწყალა (იობ. 24,21;
vidua e bene non fecit; *вдова*).

* დაბეჭდილ ტექსტშია *ἀγρυπνοῦσιν* (კორ. შეცდომა ზნდა იყოს)

** საბა: კლერტი (ბალ.) (10,4 ოსე) მდგლოა მწარე.

Ἐντεῦθεν βασιλεὺς ὁ Λάσκαρις ἀναγορευθεὶς συντονώτερον ἐφήψατο τῶν πραγμάτων, μάχαις δὲ προσέκυρσεν οὐκ ὀλίγαις καὶ χαλεπαῖς. Οἱ τε γὰρ Ἴταλοὶ κατὰ τὴν ἐψάν τὸν πόρον πεποιηκότες τὰ πλείω ταύτης ὑφ' ἑαυτοὺς ἐποίησαντο· τὸ τε γὰρ ἄπαν θέμα Ὀφικίου καὶ Αἰγαίου καὶ αὐτὸ δὴ τὸ Ἀτραμύτιον τῶν Ἴταλῶν ἐγεγόνει, Βάρις τε καὶ Ἀϋλωνία Ποιμανηγόν τε καὶ Λεντιανὰ μέχρι τοῦ Λοπαδίου αὐτοῦ δεσπότας ἐγίνωσκον Ἴταλοὺς, ἀλλὰ γε δὴ καὶ τὰ τῆς Θυνίας πάντα μέχρι καὶ Νικομηδείας αὐτῆς. Ἐντεῦθεν ἕστενοῦτο πολὺ ὁ βασιλεὺς Θεόδωρος. Οὐδὲν δὲ ἦττον καὶ πρὸς τῶν Ῥωμαίων κατεβιάζετο. Ἐν γὰρ τῇ συγχύσει τῆς Κωνσταντίνου ἀλώσεως ἄλλοθεν ἄλλος ἡγεμόνες εἶναι τυχόντες ἢ καὶ οἱ τῶν ἄλλων προύχοντες ὡς οἰκείαν ἀρχὴν τὴν ὑφ' ἑαυτοὺς ἐποιοῦντο χώραν, ἢ ἐξ αὐτῶν εἰς τοῦτο ὀρμήσαντες ἢ καὶ παρὰ τῶν οἰκητόρων μετακληθέντες εἰς τὴν τῆς χώρας δεφένδουσιν. Αὐτίκα Θεόδωρός τε, δὲν Μωροθεόδωρον ἀπεκάλουν, ἀρχῶν ἦν τῆς Φιλαδέλφου πόλεως ἕτερος δὲ Σάββας τοῦπίκλῃν τοῦ ἄστεος ἐδέσποζε τοῦ Σαμφῶν μετὰ καὶ τῶν πλησίων τυγχανόντων αὐτῶ· Παφλαγονίας δὲ πάσης ἐγχερατῆς ἦν Δαυῖδ, ἀδελφὸς

შემდეგ¹ სამეფო ტახტზე ასულმა ლასკარისმა დიდი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი საქმეებს და არა მცირე და მძიმე ბრძოლები გადაიხადა. ხოლო იტალიელები გადმოსული იყვნენ აღმოსავლეთში და არა მარტო მთელი ოფსიკიონის თემი, ეგეოსი და თვით ატრამიტიონი გახდა იტალიელებისა; და აგრეთვე არა მარტო ვარისი, ავლონია, პიმანენონი, ლენტიანა და თვით ლოპადიონი სცნობდნენ ბატონებად იტალიელებს, არამედ მთელი ბითვინიაც (ვარ. თინიაც) თვით ნიკომიდიამდე. ამიტომ ძალიან შეწუხებული ბრძანდებოდა მეფე თეოდორე და არა ნაკლებ წუხდებოდა იგი რომაელებისაგანაც; ვინაიდან კონსტანტინეპოლის დაპყრობის [შემდეგ მომხდარ] არევ-დარეულობაში მრავალი სხვადასხვა ბეღადი გაჩნდა, რომელთაგან ზოგიერთმა, ვისაც თავიანთ სამშობლოში ხელისუფლება ადრევე ჰქონდა, თავისთვის დაისაკუთრა ეს ადგილები ან თავისი საკუთარი სურვილით, ან კიდევ მოქალაქეთა მიწვევით იმ ადგილის დაცვისათვის (ბატონობისათვის). მაგალითად, თეოდორე, რომელსაც მოროთეოდორეს ეძახდნენ, ქალაქ ფილადელფიის მთავარი გახდა; მეორე, სახელად საბა, ქალაქ სამპსონსა და მის

¹ ეს პარაგრაფი მოგვყავს დოც. აღ. ვამყრელიძის გამოცემის მიხედვით.

ὄν Ἀλεξίου τοῦ τῆς Τραπεζούν-
τος κρατήσαντος, ὃς καὶ Μέγας
ὀνομάζετο Κοινηγός. Οἱ τοῦ βα-
σιλέως Ἀνδρονίκου ὑπῆρχον ἔγγο-
νοι, Μάνουηλ τῷ τούτου τεχθέν-
τες σίφ. Διὰ ταῦτα ἐν πολλῇ
στενοχωρίᾳ τὰ πράγματα ὑπῆρξε
τῷ βασιλεῖ Θεόδωρῳ. Ἀλλὰ τὸν
μὲν Μωροθεόδωρον καὶ τὸν Σάβ-
βαν εὐχερῶς μετήλθε κἀντεῖθεν
ἔδεσποζεν ἀδεῶς Κελβιανοῦ τε
παντός, Μαιάνδρου Φιλαδέλφειας
καὶ Νεοκαστρῶν (ed. A. Heisen-
berg I, 11, 15—12, 21).

11. Περιεγένετο δὲ καὶ ὁ βα-
σιλεὺς Θεόδωρος καὶ τοῦ τῆς
Παφλαγονίας κρατούντος Δαυίδ,
καὶ Ἡράκλεια παρῆσθη καὶ
Ἄμαστριν καὶ τὴν πᾶσαν περίε-
χσαν καὶ τὰ πολίχνια (ed. A. Hei-
senberg I, 18, 1—4).

¹ გიორგი აკროპოლიტეს მიხედვით დავითი და ალექსი ანდრონიკე კეისრის (ანდრონიკე I კომნენოსი, 1183—1185 წ. წ.) შვილიშვილები არიან, ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით — შვილები იყვნენ (ემისცა ნათესავსა თუსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თუ წინაშე თამარ მეფისა შემოხუფილია: ქ. ცხ. II [1959], გვ. 142, 22—23).

² ამ პარაგრაფში მოცემული ცნობები ადასტურებენ თამარის ისტორიკოსის მიერ მონათრობის შესახებ იმისა, რომ თამარ მეფემ გამოთხოვა ბიზანტიის იმპერატორის მთელი რიგი ადგილები, რომლებიც ტრაპიზონის იმპერიას იქნა შეტანილი. ნაწილი ამ ადგილებისა, გიორგი აკროპოლიტეს ცნობით, თეოდორე ლასკარისმა გამეფების შემდეგ, ე. ი. 1206 წლის მახლობელ ხანებში, ჩამოართვა ტრაპიზონის იმპერიის მმართველს.

თამარის ისტორიკოსი

ხოლო (თამარ) განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი ხამხონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი

მიდამოებზე ბატონობდა; ხოლო მთელი პაფლაგონია კი დავითმა დაიპყრო, ძმამ ტრაპიზონის მბრძანებლის ალექსისა, რომელსაც დიდ კომნენოსსაც ეძახდნენ; ესენი იყვნენ ანდრონიკე კეისრის შვილიშვილები¹, მისი ძის მანუელის შვილები. ამიტომ დიდ გაჭირვებაში ჩავარდა მეფე თეოდორე. მაგრამ მორთეოდორეს და საბას აღვილად სძლია და მის შემდეგ უშიშრად ბატონობდა მთელ კელვიანონზე, მეანდროსის ფილადელფიაზე და ნეოკასტრონზე.

11. სძლია აგრეთვე მეფე თეოდორემ პაფლაგონიის მბრძანებელ დავითს და დაიპყრო ერაკლეა, ამასტრისი (ამასტრია) და მთელი გარშემო ადგილები და დაბა-ქალაქები².

გიორგი აკროპოლიტე

...მეორე ქალაქ ხამხონსა და მის მიდამოებზე ბატონობდა; ხოლო მთელი პაფლაგონია კი დავითმა დაიპყრო, ძმამ ტრაპიზონის მბრძანებლის ალექსისა...

სძლია მეფე თეოდორემ პაფლაგონიის მბრძანებელ დავითს და დაიპყრო-

სიალში

60. Αὐτόθι γοῦν εἰς ἡγήμο-
νας πάσας τὸν τε Λάσκαριν Μα-
νοῦήλ, ὃν καὶ πρωτοσεβαστὸν κα-
τωνόμασεν, ἀνθρῶπιον ἀφελέστα-
τον καὶ κακῶς εἰδὸς στρατηγεῖν,
καὶ τὸν Μαργαρίτην Κωνσταντι-
νον, ὃν προφθάσας ὁ λόγος ἐθή-
λωσεν, ἀνδρα ἀγροῖκου καὶ ἐξ
ἀγροῖκων γεγενημένου, μάλῃ καὶ
πιτύροις ἀνατεθραμμένον καὶ λα-
ρυγγίζειν μόνον εἰδόμετα—ἐκ Νεο-
κάστρων δὲ οὐτος ἄρμητο, καὶ
ἐτέλει τὰ πρῶτα ἐν τῇ τοῦ θέ-
ματος τουτουὶ στρατιᾷ εἶτα καὶ
τζαοῦσσιος γέγονε, Δόξαν δὲ
παρὰσχὼν τῷ βασιλεῖ Ἰωάννῃ ὡς

60. აქ მან (ე. ი. თეოდორე
ლასკარისმა) სარდლებად დაად-
გინა მანუელ ლასკარისი, რომელ-
საც პროტოსევესტოსობაც უბო-
და, სრულიად უნიჭო კაცუნა და
ცუდი მოსარდლევც, და კონსტან-
ტინე მარგარიტე, რომელზედაც
ამასწინათ მოვახსენებდით, კაცი
სოფლიონი და მდაბიო წარმო-
შობისა, რომელიც ქერიით და ქა-
ტოთი იყო გამოზრდილი და მხო-
ლოდ ყვირილი შეეძლო; იგი
ნეოკასტრელი იყო და წინათ
იქაურ სათემო ჯარში მსახურობ-
და, შემდეგ კი ჩაუშობა მი-
ილო. ხოლო იოანე მეფის ყურა-

ფებლადონისა და პონტოსანი, და მისცა
ნათესავსა თუსსა ალექსის კომნიანოსსა
(ქ. ცხ. II [1959], 142).

ერაკლეა, ამასტრისი და მთელი გარ-
შემო ადგილები (იხ. ზემოთ, აქვე
გვ. 44—45).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს: 1) თამარის ისტო-
რიკოსის ცნობა ეხება ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინა ხანას (ამ დროს
ჩამოაშორეს ბიზანტიის იმპერიას: სამისონი, ამასტრია, არაკლია,
ფებლადონი); 2) გიორგი აკროპოლიტეს ცნობა ეხება უკვე ტრაპიზონის
იმპერიის დაარსების შემდეგ ხანას (ამ დროს ნიკეის მეფემ თეოდორე ლასკა-
რისმა, რომელიც თავის თავს თვლიდა მთელი ბიზანტიის მეფის მემკვიდრედ,
ომი გამოუცხადა ტრაპიზონის მმართველის ძმას დავითს, დაამარცხა იგი და
ჩამოართვა: პაფლაგონია, ერაკლეა, ამასტრისი; ამითან დაკავში-
რებით იხსენიება აგრეთვე სამისონი). თითქმის ზედმიწევნითი დამთხვევაა
ფაქტებისა, რაც მოწმობს ორივე ისტორიკოსის წყაროთა სანდოობას (იხ. ამ ფაქ-
ტის სწორი ანალიზი დოც. ალ. გამყრელიძის ზემოხსენებულ ნარკვევში).

ცნობილი ბიზანტინისტი Leo Allatius (XVII საუკ.) თავის კომენტარებში
გიორგი აკროპოლიტეს „ამ ადგილისათვის წერს: «ძმებს დავითსა და ალექსის,
რომელთა (ე. ი. ბიზანტიელთა) ბატონის (tyranni Romanorum) ანდრონიკეს
ძის მანუელის შვილებს, — ერთს პონტოს ჭერაკლია და პაფლაგონია დაუკავებია,
ხოლო მეორეს ქალაქები ენეონი (Oeneum) და სინოპი, და ტრაპიზონი. ხოლო
თუ რანაირად მოაწყო ლაშქრობა დავითის წინააღმდეგ, რომელიც ლათინთა
დამხმარე ჯარებს ეყრდნობოდა, და იგი დამარცხა, ამას გაიგებ ნიკეტასაგან
ბალდუინში» (იხ. CB, p. 225).

έντροχής ἐστι καὶ ἄπηρετεῖν ἰα-
νὸς ἐν τοῖς ἀνακτόροις, ἐκείθεν
ἐχθάλων τζαοῦσιον τῆς αὐτοῦ
πεποιήκαε τάξεως, εἶτα αὐτῶ καὶ
τὸ μέγας προσέθετο² (ed. A. Hei-
senberg, I, 123, 3—15).

დღეობა რომ მიიქცია, როგორც
ყოჩაღმა და სამსახურში გამოსა-
დგემა სასახლის კარზე, მეფემ
იგი თავის ჩაუშად¹ დააყენა,
ძველი კი გააძევა, შემდეგ მას
ეწოდა დიდიც².

¹ გიორგი აკროპოლიტეს ცნობა „სიაოშის“ შესახებ მოგვყავს იმასთან დაკავ-
შირებით, რომ, როგორც „გეორგიკის“ VI ტომის 73—79 გვერდებზე მოთავსე-
ბული ცნობიდან (ეიბერიული წარმოშობის სიაოშია) ჩანს, „სიაოში“ ზოგიერთ
მკვლევართა აზრით საკუთარ სახელს უნდა ნიშნავდეს, ხოლო სხვების მიხედვით—
თანამდებობას.

² გიორგი აკროპოლიტეს ამ ტექსტიდან ჩანს, რომ „ჩაუშობა“ სხვადასხვა
ხარისხისა ყოფილა: 1) აქ მოხსენებულია, რომ კონსტანტინე მარგარიტე ჯერ
მსახურობდა „ჩაუშის“ თანამდებობაზე; 2) შემდეგ კეისრის ყურადღება მიუქ-
ცევია და მეფეს იგი „სამეფო კარის ჩაუშად“ აღუზევებია; 3) ხოლო
შემდეგ კონსტანტინე „დიდი ჩაუშიც“ გამზადარა.

ამ თურქული წარმოშობის სახელოზე XVI საუკუნის ფილოლოგოსი, Ioan-
nes Leunclavius წერს: Thzaus commissarius aulicus, hoc est cui variae
res a sultano et vesiribus committuntur, ut eas expediat — „ჩაუში სასახ-
ლის კარის კომისარია, რომელიც სულტანისა და ვაზირების სხვადასხვა დავალებს
ასრულებს“.

გიორგი პახიშვილი

შეცანეტე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი პახიშვილი (Γεωργίου Παχιάμπερι) დაიბადა 1242 წელს ქ. ნიკეაში. განათლებას მიიღო ნიკეაშივე. 1261 წელს იგი საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა კონსტანტინეპოლში. სადაც შიშველი რიგი წლების მანძილზე ეკავა მაღალი თანამდებობები, როგორც საეკლესიო ისე საერო. ასე, მაგალითად, ის იყო ἱεραγός (flamen), ἡρωδιστής („საეკლესიო მოსამართლე“), ἡγεμὼν; ἡγεμὼν; („სამფეთქარის მოსამართლე“). გიორგი პახიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნიონის საკითხის გარშემო წარმოებულ ბრძოლაში და იცავდა ეროვნულ თვალსაზრისს.

გარდაიცვალა 1310 წელს.

პრაგმატიკოსი იყო მისი სამწერლო მოღვაწეობა: მას ეკუთვნის რიტორიკული და ფილოსოფიური თხზულებები, ლექსები და წერილები. მაგრამ მისი მთავარი ნაშრომია მისი „ისტორია“, რომელიც ეწოდებოდა სახელწოდებით *Ἱστορία; Ἱστορία; Ἱστορία* და შეიცავს 1261—1308 წლების ბიზანტიის ისტორიას, ესე იგი ამ „ისტორიის“ მიმოხილულია ორი კუთხის ეპოქა:

მიხედვით VIII პალეოლოგოსისა (1261—1282 წ.წ.)

ანდრონიკე II პალეოლოგოსისა (1282—1328 წ.წ.)¹

გიორგი პახიშვილს „ისტორია“ არის გაგრძელება გიორგი აქროპოლიტეს საისტორიო ნაშრომისა (*Ἱστορία; Ἱστορία; Ἱστορία*, რომელიც თავის მხრივ, ნიკეტა ბონაიტეს შრომის გაგრძელებაა და რომელიც შეიცავს 1203—1261 წლის ამბებს). ეს „ისტორია“ შედგება 13 წიგნისაგან: 6 წიგნი მიძღვნილი აქვს მიხედვით VIII პალეოლოგოსის მეფობის აღწერას, ხოლო 7 წიგნი—ანდრონიკე II-ისას.

გიორგი პახიშვილს თხზულების მნიშვნელობას, პირველ ყოვლისა, ის გარემოება ზრდის, რომ ავტორი მომსწრე და თვითმხილველი იყო იმ ამბებისა, რომლებსაც აღწერს, და შეკრებილ ცნობებს კეთილსინდისიერად ამოწმებს და სწავლობს.

¹ ე. ი. ამ უკანასკნელის ბეიბის ნაწილი. 1308 წლამდე.

როგორც ფართო განათლების მქონე ისტორიკოსი, იგი უხვად იყენებს ბერძნული ისტორიოგრაფიის მიღწევებს; მას უყვარს კლასიკური ფორმების ხმარება და ჰომეროსისეული გამონათქვამების გამოყენებაც. იქამდე მიდის მისი გატაცება კლასიკური ბერძნულით, რომ ქრისტიანული თვეების სახელთა ნაცვლად მოჰყავს ატიკური სახელები (μηνὸς Ἐλαφρῆσιλωνος, Γαμηλιῶν ὁ ἐνεσταῆσαι μῆς).

გიორგი პახიმერეს სამწერლო მოღვაწეობიდან საჭიროდ ვთვლით საგანგებოდ აღვნიშნოთ მისი პარაფრაზები, დაწერილი ფს. - დ ი ო ნ ი ს ე ა რ ე ო პ ა გ ე ლ ი ს წერილებისათვის.

ის ცნობები, რომლებიც ჩვენ ამოვკრიბეთ გიორგი პახიმერეს „ისტორიიდან“ და რომლებსაც ქვემოთ ვათავსებთ, ეხება, უმთავრესად, ტრაპიზონის იმპერიის ისტორიას, იმ იმპერიისას, რომელსაც გიორგი პახიმერე ლაზურად თვლის. გარდა ამისა, ისტორიკოსს აქვს ცნობები დიმიტრი თავდადებულის ძის, დავით VII-ის შესახებაც.

ძირითადი ლიტერატურა:

Georgii Pachymeris de Michaelē et Andronico Palaeologis libri XIII, rec. I. Bekkerus I—II, Bonnæ 1835.

Migne, Patrologia Graeca, t. 143, 145.

Георгия Пахимера История о Михаиле и Андронике Палеологах тринадцать книг. Том I. Царствование Михаила Палеолога (1255—1282) Перевод под редакциею профессора Карпова СПб 1862.

K. Krumbacher, GBZ, 288—291.

G. Moravcsik, Byzantinoturcica I. Berlin 1958, 280—282.

Вл. Бенешевич, Очерки... 54—56.

გიორგი პახიმერეს ავტობიოგრაფიიდან

I, 1. Γεώργιος Κωνσταντινου-
πολίτης μὲν τὸ ἀνέκαθεν, ἐν Νι-
καίᾳ δὲ καὶ γεννηθεὶς καὶ τρα-
φεὶς, ἐν Κωνσταντινου δὲ κατα-
στάς ἀσθὶς ὅτε θεοῦ νέματα ὑπὸ
Ῥωμαίων ἐγένετο, ἔτη ἡγεγονῶς
ἐἴκοσιν ἔνθ' ὄντος, τηγικάδ'ε

I, 1. გიორგი, წარმოშობით
კონსტანტინეპოლელი, დაიბადა
და აღიზარდა ნიკეაში, ხოლო
კონსტანტინეს ქალაქში კვლავ
დამკვიდრდა, როდესაც ღვთის
ნებით ის ისევ რომაელთა ხელ-
ქვეითი გახდა. ის ცხრამეტი

καὶ κλήρω σαθεὶς θείῳ καὶ ἀξίω-
μασιν ἐκκλησιαστικοῖς διαπρέφας
καὶ ἕως καὶ ἐς πρωτεκδίκου φηά-
σας τιμῆν, ἔτι δὲ καὶ ἐν ἀνακτό-
ρων εἰς δικαιοφύλακα τιμηθεὶς,
τὰδε ξυνέγραψεν, οὐ λόγους λα-
βῶν ἀναθεὶν ἀμαρτύρους, οὐδ'
ἀκοῆ πιστευῶν μόνον, ὡσπερ πολ-
λάκις συμβαίνει τῷ βουλομένῳ
γράφειν, ἦν τις λέγοι ἑωρακῶς
ἢ καὶ ἀκούσας αὐτόν, πιστοὺς δ'
ἀξιοῖ τούς λόγους, εἰ μόνον λέ-
γοι, λογίζεσθαι, ἀλλ' αὐτόπτης
τὰ πλείστα οὕτως ξυμβῶν γεγο-
νός, ἢ καὶ μαθὼν ἀκριβῶς παρ'
ῶν τὸ πρῶτον ὠράθη¹ πρᾶχθέντα,
πλὴν δ' οὐκ ἀμάρτυρα ἀλλὰ καὶ
πολλοὺς ἄλλοις συνηγορούμενα,
ὡς ἂν μὴ ὁ ξύμπαρ χρόνος φύσιν
ἔχων τὰ πολλὰ κρύπτειν συχναῖς
κυκλικαῖς περιόδοις καὶ τὰδ'
ἀφανίστη κατὰ μικρὸν ἐξίτηλα τῆ
παραδρομῆ γυγνόμενα διὰ τὸ φα-
νέντα κρύπτεσθαι πάντα ἀνάγκη
εἶναι, ὡς πού τις τῶν σοφῶν ἔφη
καὶ ἀληθινῶς ἐγνομάτευσεν.

რამეს მალავს ქამთა ხშირ მიმოქცევაში, ამიტომ საჭიროა თანდა-
თან არ გაუჩინარდეს სრბაში მომხდარი ამბები, და შენახულ იქნეს

წლისა იყო. მაშინ ის წმინდა
სამღვდელობას მიეკუთვნა და სა-
ეკლესიო პატივ-თანამდებობით
იქნა შემკული, პროტეკდიკის¹
პატივსაც მიაღწია, სასახლეშიც
მიეცა პატივი დიკეოფილაქსისა².
აი, ამან შეთხზა ეს ისტორია,
რომელსაც საფუძვლად დაუდგა-
რა იმთავითვე შეუმოწმებელი-
ცნობები, არც მხოლოდ გაგო-
ნილს ერწმუნებოდა, როგორც ეს
ხშირად ემართება ვინც წერას
მოისურვებს, რომელიც, თუ ვინმე
იტყვის მე თვითონ ვნახე ან თვით
გავიგონეო, ამ სიტყვებს სარ-
წმუნოდ მიიჩნევს, რახან ასე
თქვესო. გიორგი კი უმთავრესად
მალღში და ქალაქში დაბრუნდნენ. კეისარს აჩქარებდა ჯერ ერთი ქალიშვილის ქორწილის საქმე, მეორე კიდევ ის, რომ დასავლეთიდან თოხარელები შემოდიანო აცნობეს, რომელნიც კეისარმა ნოლას სთხოვა გამომიგზავნე სევასტოკრატორ იოანეს წინააღმდეგო; იმანაც გამოგზავნა და კეისარს ისინი უნდა მიეღო. და, აი, გამელიონის თვის ბოლოს მან ქორწილიც გადაიხადა და მთელი ელაფებოლიონი სამხედრო ძალების საქმეს აგვარებდა.

VI, 35. იოანე სევასტოკრატორი ვერ ისვენებდა; მან კვლავ დაარღვია დადებული ხელშეკრულება და ისეთ ადგილებს ხელჰყოფდა, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა. მეფემ უკვე აღარ იცოდა როგორ შეეკავებინა იგი მისი გეგმებისაგან (იოანე სევასტოკრატორის კადნიერება და თვითნებობა აიძულებდა მეფეს ჩამოეგდო იგი სამფლობელოდან როგორც განდგომილი). ამიტომ მოიწვია კეისარმა თოხარელები და მთელ მის ქვეყანას დაარბევდა, ხოლო მას (იოანეს) საქმეებისა და იმედების ვიწრო ჩარჩოებში ჩააყენებდა; თუ რამენაირად ხიფათს აიცილენდა, თოხარელების მოყვანაც ამიტომ განიზრახა. ამისათვის ხელსაყრელ როდ მომავალი ზამთარი იქნა მიჩნეული, რადგან თოხარელებს

მიჩნეული, რადგან თოხარელებს

* * *

გიორგი პაპიშვილს „ისტორიის“ VI, 34 ეხება უაღრესად საყურადღებო საკითხს, სახელდობრ იმას, თუ რა სახისა და რა ეთნიკური ხასიათისა იყო ტრაპიზონის იმპერია, რომელიც 1204 წელს დაარსდა საქართველოს მთავრობის ჩარევის შედეგად.

გიორგი პაპიშვილი ტრაპიზონის იმპერატორს ეძახის „ლახს“ და ასაბუთებს კიდევ, თუ რატომ ეძახის ასე. და გადმოგვცემს საქმის ისეთ ვითარებას, რომელიც სხვა წყაროებითაც დასტურდება. სახელდობრ:

1) ტრაპიზონის იმპერიის მმართველი თავის თავს ეძახის „მეფეს“ (βασιλεύς), რადგან კონსტანტინეპოლის „მეფე“ უკვე აღარ არსებობს 1204 წლიდან, როდესაც ლათინებმა მოსპეს ბიზანტიის იმპერია.

2) ერთ-ერთი კუთხე, სადაც გადარჩა „ბიზანტიური“ ხელისულება, ეს არის ნიკეის სამეფო, რომლის მმართველი თავის თავს თვლის ბიზანტიის კეისრად.

3) როდესაც 1261 წელს ნიკეის მეფის წუალობით ლათინები განდევნეს კონსტანტინეპოლიდან, კონსტანტინეპოლში მეფედ დაჯდა ნიკეის სამეფოს უკანასკნელი მმართველი მიხეილ VIII პალეოლოგოსი და ის თვლის თავის თავს ბიზანტიის ნამდვილ მეფედ, ანუ კეისრად.

4) ტრაპიზონის იმპერია, რომელიც კომნენოსების მეთაურობით დაარსდა 1204 წელს, კვლავაც განაგრძობს თავის არსებობას. ნიკეის სამეფოს მეთაურები, რასაკვირველია, არ სცნობდნენ ტრაპიზონელთა უფლებებს და, როგორც გიორგი აკროპოლიტე გადმოგვცემს, ნიკეელები, სადაც კი შეეძლოთ, ამჟღავნებდნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას ტრაპიზონელებთან. «სძლია აგრეთვე მეფე თეოდორემ (ე. ი. თეოდორე I ლასკარისმა) დავითს (ტრაპიზონელი მმართველის ძმას)» და ჩამოართვა მის მიერ დაკავებული ადგილები (იხ. ზემოთ, გიორგი აკროპოლიტე, გვ. 45).

5) აუცილებლად ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ტრაპიზონელებს, სადაც კი შესაძლებელია, შეეღიან ლათინები, რომლებიც ნიკეელების მოსისხლე მტრები არიან. ხომ სწერს Leo Allatus-ი, რომ «დავითი ... ლათინთა დამხმარე ჯარებს ეურდნობოდა» (იხ. ზემოთ, გვ. 46 შენიშვნა).

6) ამიტომ გასაგებია, რომ ბიზანტიის იმპერიის აღმდგენელი (1261 წელს) მიხეილ VIII პალეოლოგოსი მარტოოდენ კონსტანტინეპოლელ მმართველს თვლის მეფედ და სხვა არავის აქვს უფლება „მეფის“ სახელი ატაროს.

ყველაფერი ეს ნათელჰყოფს მიხეილ VIII პალეოლოგოსის ცდას დაიმორჩილოს ტრაპიზონელი მეფე იოანე II კომნენოსი. გზავნის მას-

თან ელჩებს წინადადებით უარი თქვას «მეფურ ნიშნებზე, რომლებიც მას სრულიად არ ეკუთვნოდა» (იხ. ზემოთ. გვ. 67). და ამით რომ ვერაფერი გააწყო, მიხვდა, «რომ იოანესთვის სხვანაირად უნდა მოეველო» (ზემოთ, გვ. 68) და გადაწყვიტა მასთან დანათესავება: სურს მიათხოვოს მას თავისი და ევლოკია.

გიორგი პახიმერეს ცნობით ელჩები რამდენჯერმე გაიგზავნენ ტრაპიზონელ მეფესთან. იოანე II ტრაპიზონელისა და სეფეწულ, ევლოკიას ქორწილი მოხდა 1282 წლის სექტემბერში; ამის წინ, უოველ შემთხვევაში, ორჯერ გაიგზავნენ მოციქულები: პირველი ელჩები (დიდი ლოგოთეტი გიორგი აკროპოლიტი და აია სოფიის დიდი იკონომოსი ქსიფილინოსი) უნდა იყვნენ გაგზავნილი იოანეს გამეფების უმაღლეს (1280), ან შემდეგ წელს, ხოლო მეორე ელჩები, სამეფო კარის ლოგოთეტი იატროპულოსი და აია სოფიის ხუცესი—მომდევნო წელსვე (იხ. Fr. Dölg er, Corpus d. griechischen Urkunden. 3 Teil (1932), გვ. 73 და 74).

ეს ეპიზოდი ტრაპიზონის იმპერიის ისტორიიდან, ტრაპიზონის მეფის იოანე II კომნენოსისა და კონსტანტინეპოლელი კეისრის მიხეილ VIII პალეოლოგოსის დროს წარმოჩენილი ურთიერთობა ამ ორ სამეფოს შორის, ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია. აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც გარკვეული დებულება წამოაყენა ტრაპიზონის იმპერიის ეთნიკური სახის შესახებ, განიხილა ეს ეპიზოდი და თქვა: «ნათლად ჩანს, რომ საქართველო XIII ს. მეორე ნახევრითგან მოყოლებული ტრაპიზონის საკეისროს, რომელიც მისი წყალობით იყო შექმნილი და რომლის მოსახლეობაც უმთავრესად ქართველთა მოძმე ტომის, ლაზების ანუ ჭანებისაგან შესდგებოდა და ამიტომ მის ბედობას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ფიზიკლად აღეწებდა თვალყურს და იქ თავისი წინანდელი უპირატეს უფლების დაცვას ცდილობდა»¹.

თვით ეპიზოდი ივ. ჯავახიშვილს დაწვრილებით აქვს განხილული. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მთლიანად მოვიყვანოთ ამ ეპიზოდის ჯავახიშვილისეული გადმოცემა.

«ბიზანტიის კეისარმა და მთავრობამ სცადეს ტრაპიზონის სამეფო ჯერ თავისი უშუალო გავლენის ქვეშ მოექციათ, რომ ამით იმპერიის ოდინჯელ მთლიანობის აღდგენა დაეწყოთ. გულის მოსაგებად კონსტანტინეპოლის პატრიარქმა 1280 წ. ტრაპიზონის მიტროპოლიტს თავისი სამწყსოს სამღვდელოების ხელდასხმის უფლებაც-კი დაუთმო. ბიზანტიას

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III (1966 წლის გამოც.), გვ. 208.

თან კავშირის განსამტკიცებლად ტრაპიზონის კეისარს მანუელ I-ს თითქოს ბიზანტიის კეისართან დამოუკრებად-კი უთხოვნია, მაგრამ მართლად ასე იყო, თუ ეს უფრო კონსტანტინეპოლის მთავრობის ნატურას წარმოადგენდა, მხელი სათქმელია. მანუელის იმ სამ თანამეცხედრეთაგან-კი, რომელნიც ერთი მეორის შემდგომ შეურთავს, არც ერთი კონსტანტინეპოლელი უფლისწული არ ეოფილა. მანამდე ტრაპიზონის კეისარი საქართველოს სამეფო საგვარეულოს ენათესავებოდა და, როგორც ჩანს, ბიზანტიის მომხრე დასის წადილი, მომავლისათვის ამნაირი კავშირის საშუალებით ქართული პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობა ჩაეშალა, იმ დროს განუხორციელებელი დარჩენილა.

კონსტანტინეპოლის გავლენას ტრაპიზონელები იმიტომ გაურბოდნენ, რომ ბიზანტიის კეისარსა და მთავრობას თავი შეედიურად ეჭირათ და ისინი ტრაპიზონის მეფის დაჯანსაღ და დამცირებას ეოველნაირად ცდილობდნენ: მათი წარმოდგენით, ტრაპიზონელებს უფლება არ ჰქონდათ თავიანთ თავისათვის არც კეისარი ეწოდებინათ, არც კეისრისათვის განკუთვნილი პორფირი და ტარსიკონის (წითელი ტუპის) ფეხსაცმელი ჩაეცვათ. კონსტანტინეპოლელი პოლიტიკოსები ტრაპიზონის კეისრებს დაცინვით ხან ლაზთა მფლობელს, ან მთავარს, ხან ტრაპიზონის მპრობელს ეწოდებდნენ. რასაკვირველია, ასეთს დამოკიდებულებას არ შეეძლო ტრაპიზონელთა მმართველი წრეების გული მოეგო და კონსტანტინეპოლელებთან დაახლოების მსურველ მომხრედ გაეხადა.

მანუელ I-ის შესაშე თანამეცხედრეს რუსუდანი ერქვა და ეს გარემოება ცნად ჰყოფს, რომ მასაც საქართველოსთან კეთილმოეგრობა უმჯობინებია. სამხედრო დასს, რომელიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ჯერ კიდევ იმდენი ძალა ჰქონდა, რომ კონსტანტინეპოლის გაბატონებისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

პირველმა მარცხმა ბიზანტიის კეისარსა და მის კარისკაცებს გული ვერ გაუტეხა და შემდეგშიც, როდესაც ტრაპიზონის ტახტზე 1266 წ. იოანე II ავიდა, ბიზანტიის კეისარმა მიხეილ პალეოლოგოსმა ეოველილონე იხმარა, რომ ტრაპიზონის კეისარი თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცია. ჯერ იგი შეეცადა დესპანების ხშირხშირად გზავნით იოანე II-ისათვის ჩაეგონებინა, რომ მას უფლება არა აქვს თავის თავს კეისარი ეწოდოს, სამეფო ტანისამოსით შეიმოსოს და კეისრის ნიშნები იხმაროს, რომ კონსტანტინეპოლში მჯდომ მპრმანებელს გარდა კეისრობა არავის ეკუთვნის.

იოანე II უპასუხებდა, რომ არც ეს წოდებულება და არც სამეფო სამოსელ-ნიშნების ხმარება პირადად მას არ უეშოვლია, არამედ მისი წინაპრებისაგან იყო დაწესებული და ამიტომ თითონ მსს არც შეეშოვლია

და ამის უფლებას არც ქვეშევრდომები მისცემენ, რომ წინათ განმტკიცებული წესი დაარღვიოს.

როდესაც მიხეილ ჰალეოლოგოსი დარწმუნდა, რომ ამ გზით ვერაფერს გააწყოდა, თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებას მიჰპარტა. იოანე II უცხოლო ჰაბუკი იყო და ბიზანტიის კეისარმა გადასწყვიტა, რომ, რასაც დესპანების მკვერმეტკველური დარიგება-შთაგონებით ვერ ეღიროსა, ის მისი გასიძებით მოეხერხებინა. მანტრანა-ზონის კეისარს თავისი ქალიშვილი შესაავაზა თანამეცხედრედ. ამისთვის მიხეილ ჰალეოლოგოსი იოანე II-ეს კონსტანტინეპოლში ჰპარტოვებდა. თუმცა თვით ტრანაზონის მბრძანებელი თანსძებობდა, მაგრამ მისი დიდებულნი კონსტანტინეპოლში წასვლას იმასაც უშლიდნენ და არც თითონ უნდოდათ იქ გამგზავრება. მათ სამართლიანად სწორედ იმის შიში ჰქონდათ, რაც შემდეგში მოხდა კიდევაც.

ამ მეორე მარცხის მიუხედავად, ბიზანტიის კეისარმა შესაძლებლად სცადა დაერწმუნებინა, რომ, მისი სიმობის გარდა, სხვა არავითარი პოროტი განზრახვა მას არა აქვს. მიხეილ კეისრის ხელახლად წარგზავნილმა დესპანმა და სამღვდელთა ჰირმა იოანე II-ეს შეჰფიცეს, რომ, კეისრის ასულზე ჯვარის დაწერის უშალ, მას დიდი პატივისცემით უკანვე გამოისტუმრებდნენ. იოანე II-ეც დათანხმდა და კონსტანტინეპოლში გაემგზავრა. მაგრამ საქმარისი იყო ის ბიზანტიის სახელმწიფო საზღვარს შეასლოვებოდა, რომ ტრანაზონის ჰაბუკი კეისარი დარწმუნებულიყო, რამდენად ბავშვურად მოტყუვდა: მას გამოუცხადეს, რომ კეისრის წითული წაღები გაუსადა და შავი ჩაეცვა, რომ კეისრისათვის განკუთვნილი შესამოსელ-ნიშნების სმარებაც არ შეიძლებოდა. შამინ-კი იოანე II-ეს თავისი მალეგრწმუნობა სანახურად გაუსდა, მაგრამ რაღას გააწყოდა: ბიზანტიის მოხელეებისა და კეისრის ხელში იყო მთლად. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე უნდა ეოფილიყო ასე სულელურად მოტყუებული ტრანაზონის კეისარი, მაგრამ იძულებული იყო ეველაფერი აეხრულებინა. მას ბიზანტიელი ქალიშვილი მანინც ცოლად შერთეს და უკან დაბრუნებითაც არ აუჩქარებიათ.

ტრანაზონის კეისრის ბიზანტიელთაგან ასე მოტყუებით ხელში ჩაგდებასა და დამცირების, მეტადრე დასიძების ამბავი საქართველოში ისევე კარგად ექმნებოდათ გაგებული, როგორც თვით ტრანაზონშიც: ეს ბიზანტიის კეისრისაგან შავი ზღვის ამ სანაპიროზე კვლავ გაბატონების დასაწყისი იყო. ამის არავითარი სურვილი, არც ტრანაზონელთა საქართველოს მომხრეთა დასს და არც მით უმეტეს თვით საქართველოს მთავრობას არ შეიძლება ჰქონოდა. უკანასკნელისათვის საქმის ასე დატრიალება სამხრეთ-დასავლეთითაც მტრულად განწყობილი, მუღლის

დამთესი ბიზანტიის დამეზობლებას მოასწავებდა. ამიტომ მას არ შეეძლო ტრაპიზონის საქმეში პოლიტიკური ვითარების ასეთი ცვლილების გულხელდაკრებლად გარეშე შეკრებლად დარჩენილიყო.

ეუბრძოლავდა პოლიტიკური გაკლენის ასეთი მნიშვნელოვანი სფეროს ბიზანტიისათვის დასაბოთა უტყუარება იქმნებოდა და, უკუკვლიასწორედ ამიტომ უნდა იქონ, რომ დაჯიხთ-ნარინი 1292 წ. აპრილში ტრაპიზონის საკეისროში შეიჭრა და ქ. ტრაპიზონი გარემოიცვა, მაგრამ უშედეგოდა.

როგორც ცნობილია, XIII—XIV საუკუნეთა ისტორიის შემცველი „ქართული ერის ისტორიის“ მესამე წიგნი ივ. ჯავახიშვილმა დაგვიტოვა ორი ვარიანტით. პირველი ვარიანტი ე. წ. მოკლე რედაქცია, პოპულარულად დაწერილი და წყაროების მიუთითებლად შედგენილი მკითხველთა ფართო წრეებისათვის, დასაბეჭდად გადასცა ივ. ჯავახიშვილმა თავის სიცოცხლეში და გამოქვეყნდა 1941 წელს. ხოლო მეორე ვარიანტი, ეგრეთწოდებული ვრცელი რედაქცია, პირველწყაროების დაწვრილებითი განხილვით, განსვენებულ აკადემიკოსს დარჩა დაუმთავრებელი, და ჩვენ 1949 წელს გამოვეცით იმ სახით, როგორც ის აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილის არქივში. მაგრამ, მიუხედავად ამ ვრცელი რედაქციის ხარვეზიანობისა, რათა III წიგნში განხილულ საკითხთა ფარგლებში დაგვეცვა მთლიანობა, მიზანშეწონილად დავინახეთ შეგვევსო ზოგიერთი ნაკულუღევანი ადგილი 1941 წლის გამოცემიდან.

ტრაპიზონის კეისრის იოანე II კომნენოსის შესახებ ეპიზოდი „ქართული ერის ისტორიის“ მხოლოდ პირველ ვარიანტშია და იქ, რასაკვირველია, აღნიშნული არ არის, თუ საიდან ამოიღო ავტორმა ეს ცნობა; რადგან, საერთოდ, ამ ვარიანტში, როგორც პოპულარული სახის „ისტორიაში“, არსად არ არის მითითებული წყაროები. მაგრამ ერთი თვალის გადავლებითაც დარწმუნდება კაცი, რომ ტრაპიზონელი იოანე II კომნენოსის შესახებ ეპიზოდის ჯავახიშვილისეული თხრობა მთლიანად მისდევს გიორგი პახიშვილს „ისტორიის“ ტექსტს. ამის აღნიშვნა იმიტომაც არის საჭირო, რომ ჩვენ მოვეუპოვება ამ ეპიზოდის ორი სხვა ვადმოცემა: ერთი ეკუთვნის ნიკიფორე გრიგორასს (XIV ს.), ხოლო მეორე მიქელ პანარეტოსს (XV საუკ.). ივ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი თხრობა პირწმინდად მისდევს გიორგი პახიშვილს „ისტორიის“ ვრცელ ტექსტს. დანარჩენი ისტორიკოსების თხრობა მეტად მოკლეა (ამათ შესახებ იხ. ქვემოთ თავთავის ალაგას „ნიკიფორე გრიგორასი“ და „მიქელ პანარეტოსი“).

ლაზთა მთავრის იოანე II კომნენოსის გარდაცვალება

IX, 29 (III, 29). Ἐν ταύτῃ δὲ καὶ Ἰωάννης μὲν ὁ τῶν Λαζῶν ἀρχηγός, ὃν καὶ γαμπρὸν βασιλέως ἐν τοῖς ἄνωθι ὁ λόγος ἐδείκνυ, ἐπὶ πραισι δυνάμι τὸ βίον τελευτᾷ, ὃν τοῦ μὲν ἐν τῇ πατριᾷ καταστάντας ἐξουσίᾳ τὸν Ἀλεξίου, θάτερον τὸν νεώτερον ἢ μήτηρ Εὐδωκίᾳ λαβόντα παρὰ τὸν ἀδελφὸν καὶ βασιλέα κατὰ τὴν πόλιν γίνεται.

Θνήσκει δὲ καὶ Ἰωάννης ὁ εἰς πατριάρχην χρηματίσας ὁ Βίκκος, ἐν τῇ κατὰ τὸ τῶν ἁγίου Γρηγορίου φρούριον εἰρηκτῇ, μηνὸς Κρονίου λήγοντος, αὐτοῦ που ἐν τῇ κέλλη εἰκαίως ταρσεῖς. Ἄλλὰ τοῦτον μὲν καὶ διὰ πόνου ὁ βασιλεὺς ἐποιήτατο, ἐπεὶ καὶ ὁ συκείμενον ἦν τοῖς περὶ ἐκεῖνον καὶ βασιλεῖ, κινήθηναί λόγους ἐφ' ὃν συνιέσθαι καὶ εἰρηνεύειν, σοφῶν γε καὶ πνευματικῶν κρινάντων καὶ μὴ τῶν ταχόντων καὶ ὀλιγιστοτέρων, οὐκ ἔφθιχται τελευτήθηναί: τὸν Μελητηνῶτην δὲ ἐξαγαγόντας ἐκεῖθεν καὶ τῷ κατὰ τὴν πόλιν Με-

IX, 29 (III, 29). ამასობაში ლაზთა მთავარი¹ იოანე, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კეისრის სიძე იყო, გარდაიცვალა და ორი შვილი დასტოვა; ამადგან ერთი, პლეჩისი² მამისეულ ხელისუფლებას ჩაუდგბსათავეში, მეორე კი უმცროსი, მისმა დედამ ედოკიამ თან წაიყვანა ქალაქში (ე. ი. კონსტანტინეპოლში) თავის ძმასთან. პეისართან³.

იოანე ვეკოსი³, რომელიც წინათ პატრიარქად იყო, გარდაიცვალა კრონოსის თვის ბოლოს სატუსალოში, რომელიც წმინდა გრიგოლის ციხესთან არის, და უბრალოდ დასაფლავებულ იქმნა იქვე სენაკში. კეისარი ხომ უწყაყოფილო იყო მისი მოქმედებით, ვინაიდან რაზედაც შეთანხმება იყო მის მომხრეებსა და კეისარს შორის, რომ პირობები შემღწავებულიყო ზავის შესაკრავად, რის შესახებაც ბრძენსა და სასულიერო პირებს პქონდათ აზრი გამოთქმული და არა შემთხვევითსა და უმეცარ პირებს, — ეს არ იქმნა სისრულეში მოყვანილი:

¹ როგორც ვხედავთ, გიორგი პახიმერე დაჟინებით ეძახის ტრაპიზონის მმართველს არა „მეფეს“ ან „კეისარს“, არამედ „მთავარს“ (αρχηγός), ისევე როგორც ზემოთ (VI, 34) უწოდებს მას τὸν Λαζῶν ἀρχοντα (იხ. ზემოთ, გვ. 67).

² ეს არის მიხეილ VIII პალეოლოგოსის ვაჟი, ანდრონიკე II პალეოლოგოსი (1282—1328).

³ ეს არის სახელგანთქმული პატრიარქი იოანე XI ვეკოსი, რომელიც განაგებდა კონსტანტინეპოლის ტახტს 1275—1282 წლებში.

τοχίτη¹ συνδύσαντες, ἐπεὶ οὐκ ἦν σφίσι εἰρηγεύειν, καθὼς ἀπῆ-
-τουν οἱ τε περὶ τὸν βασιλέα καὶ
οἱ τῆς ἐκκλησίας, κατὰ τὸ μέγα
παλάτιον κατακλείουσιν, ἔπου
καὶ ὁ Ἱαρχανειώτης Ἰωάννης ἐς
ὑστερον κατακλείεται.

დიდ პალატში, სადაც შემდგომში იოანე ტარხანიოტეც დაამწყვდის.

Τὴν δὲ γε ἀδελφὴν Εὐδο-
-κίαν ὁ κρατῶν ὑποδεδάμενος,
καὶ τὰ εἰκότα σύναμα μη-
-τρὶ τῆ ταύτης περιαλγῆσαντες
συμποροῖ, παρ' ἑαυτοῖς τῆς
εἶχον ὡς καὶ αὐτῶς ἀνταποστε-
-λοῦντες πρὸς τὸν υἱόν, καὶ αὐτῶ
ὄν τὰ τῆς ἀρχῆς ὡς οἶόν τε
κατασφρακισάμενοι, ἐπεὶ καὶ τῶ
βασιλεῖ ὁ παῖς παρὰ τοῖς πατρὸς
ἐπέτετραπτο (CB II 270, 9—
271, 11).

ლი (ალექსი) მამამ კეისარს ჩააბარა ყურის-სავდებად.

ხოლო მელიტინიოტე იქიდან (სა-
-ტუსალოდან) გამოიყვანეს და ქა-
-ლაქში მყოფ მეტოხიტეს დაუწყ-
-ვილეს, რადგან არ შეიძლებოდა
მათთან მორიგება, როგორც ამას
მოითხოვდნენ კეისრისანნი და
ეკლესიისანი, და დაამწყვდის

თავის და ევდოკია (ლაზთა
-მთავრის ქვრივი) კეისარმა (ანდ-
-რონიკემ) მიიღო; ევდოკიამ თა-
-ვის დედასთან ერთად ძალიან გა-
-მოიგლოვეს, ჯეროვანებისამებრ,
თავიანთი უბედურება², ჯერ თა-
-ვისთან იყოლიეს (კეისარმა, და
მისმა დედამ), რათა კვლავ გაეკ-
-ზაენათ მის ვაჟთან³ (ლაზთა მთა-
-ვართან), და მას რომ გაკირება
პქონდა მთავრობაში, განუმტკი-
-ცეს მდგომარეობა, რადგან შვი-
-ცის მდგომარეობა, რადგან შვი-

¹ მელიტინიოტე და მეტოხიტე— იმდროინდელი მთავარდიაკვანები (*δεξιμό-
-χοινοι*—იხ. CB II 21, 19-20), რომლებიც რომის პაპსთან ყოფილან მოციქულე-
-ბად მივლენილნი, დასაჯეს როგორც უნიატები.

საერთოდ, მთელ ამ ნაწყვეტში ლაპარაკია იმ დიდსა და მღვლევარე მოძრაო-
-ბაზე, რომელსაც ადგილი პქონდა ანდრონიკე II კეისრის დროს (1282—1328),
რომელმაც თავისი მანის მიხეილ VIII პალეოლოგოსის უნიატურ პოლიტიკაზე
ხელი აიღო და მართლმადიდებელ სამღვდელეობასთან მორიგება არჩია, რასაც
შედეგად მოჰყვა პატრიარქ იოანე ვეკოსის გადადგომაც და სხვა პირთა წინააღ-
-მდეგ რეპრესიებიც. ხოლო არა ჩანს, რა კავშირი აქვს ამასთან ტრაპიზონის მეფის
იოანე ლაზის ქვრივის ჩასვლას კონსტანტინეპოლში თავის ძმასთან, ანდრონიკე
კეისართან. იქნებ მხოლოდ კრონოლოგიური დამთხვევა იყოს.

² იგულისხმება, ალბათ, ევდოკიას მეუღლის იოანე II კომნენოსის (ტრაპი-
-ზონის კეისრის) გარდაცვალება.

³ ალექსისთან, ტრაპიზონის მეფესთან; ასეც ესმის იმ. ბეკერს (*cui filio in
Lazis*).

ტრაპიზონის მეფე ალექსე II¹

X, 7 (IV, 7.) Βασιλεὺς δὲ τὸν ἐπὶ τοῦ κανικλείου Χούμνον θῆλυν ἀγάλλειν ὡς πιστὸν ὑπῆρέτην καὶ ἐφ' οἷς ὑπόσργει τὸν δοκιμώτατον, ἄλλως τε καὶ πολυταλάντους τὰς προίκας τῆς θυγατρὸς ἐτοιμάσαντα, τῷ κατὰ Λαζοὺς παιδί 'Αλεξίῳ, οὗ δὴ καὶ ἀδελφίδου γε ὄντος ἀπὸ πατρῶν ὀρθοῦ καὶ ἐπετρόπευεν, ἕτ' οὐσης ἐν Κωνσταντίνου καὶ τῆς μητρὸς, ξυναρμόζειν ἤθελε τὴν τοῦ Χούμνου· συμφέρειν γὰρ ᾤετο οὐχ ἡττον ἐκείνῳ ἢ τοῖς Ῥωμαίων πράγμασιν, ἐπιθέρας δὲ καὶ τὸν οἰκείον τῷ ἀπὸ τοῦ γένους κήδει τιμῶν ὡς καὶ αὐτὸν τοῖς εὐνουστάτοις ἐξεταζόμενον. 'Ες τόσον δ' ἐφῆρμοτε τὴν βουλήν τῆς πράξεως, ὥστε καὶ αὐτόθεν δεσποτικοῖς παρασήμοις τὴν κόρην ἐκόσμησε καὶ νύμφην ὠνόμαζε.

როგორც უალრესად ერთგული. იმდენად შეუფარდა მან ეს აზრი საქმეს, რომ მაშინვე მორთო მან ქალიშვილი დედოფლის სამკაულებით და (ალექსი ლაზის) საცოლედ დასახა.

Προσπαθεῖχετο δὲ καὶ ἡ μήτηρ ἀκούσασα τὸ συνάλλαγμα, καὶ τῆς βασιλικῆς ψήφου συγχάταινος ἦν, καὶ τοὺς γάμους ἐλπιόμενα ἐτοιμάζειν ἤθελε τῷ παιδί. 'Αλλ' ἐκείνος ἡ πειθόμενος καὶ τοὺς γάμους ἀπαξίων, ἡ μὴν καὶ ἄλλως ἐπελθὼν αὐτῷ, φθάσας ἕκ τινος

X, 7 (IV, 7). კეისარმა² ისურვა გაეხარებინა კანიკლიონის მცველი ხუმნოსი, თავისი ერთგული მოსამსახურე და უალრესად გამოცდილი მოჭელე! რომელსაც გამზადებული ჰქონდა თავისი ქალიშვილისთვის დიდძალი თანხის შემცველი მზითვევი, და წინადადება მისცა ლაზთა მთავარს ალექსის, თავის დისწულს, რომლის მეურვე, მამის ანდერძით, ის (ე. ი. ანდრონიკე) იყო და რომლის დედა იმ დროს კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა, ხუმნოსის ასული შეერთო: მისი (ანდრონიკეს) აზრით ეს სასარგებლო იქნებოდა მისთვისაც (ალექსისთვის) და რომაელთა საქმეებისთვისაც, ხოლო მხედველობაში ღებულობდა იმას, რომ წარჩინებულ გვართან დანათესავებით შინაური კაცი ეყოლებოდა ქალიშვილი დედოფლის სამკაულებით და (ალექსის დედამ რომ შეიტყო ამ შეთანხმების შესახებ, მოიწონა და შეფის არჩევანის თანახმა იყო და უნდოდა ქორწილის მოსამზადებლად შვილთან მისულიყო. მაგრამ იმან (ალექსიმ) უარყო ეს ქორწინება ან იმიტომ რომ ვინლაცამ დაარწმუნა, თუ

¹ ალექსი II კომნენოსი, ტრაპიზონის მეფე 1297—1330 წლებში, ძე იოანე II კომნენოსისა.

² ანდრონიკე II პალეოლოგოსი, ბიზანტიის კეისარი 1281—1328 წლებში.

των ἐπ' ἐξουσίας Ἰβήρων τὴν συνοικήσουσαν ἄγεται.

Ὁ δὲ καὶ μαθὼν βασιλεὺς πολὺς ἦν τοὺς νόμους προτείνων καὶ τὸ τῆς ἐπιτροπείας δίκαιον προβαλλόμενος· ὡς γὰρ πατὴρ ἐπ' ἐκείνῃ τάξιν ἐπέχων, ἅμα μὲν καὶ τῶν διαθηκῶν ἅμα δὲ καὶ τοῦ σὺν τῇ βασιλείᾳ ἀπὸ τοῦ γένους δικαίου χάριν, ἠβούλετο διστάσαι τὴν συζυγίαν. Οὐ μὴν δὲ καὶ δεσποτικῶς ἐξ ἐπιτάγματος ἄλλως ἤθελε πράττειν, ἀλλ' οὐχ ἤττον καὶ γνώμη καὶ ψήφῳ τῆς ἐκκλησίας.

Ὅθεν καὶ πέμπων πρὸς τε πατριάρχην καὶ τὴν περὶ αὐτὸν σύνοδον, τὸ ἅμα μὲν βασιλείᾳ καὶ πατὴρ ἅμα δὲ καὶ ἐπιτρόπου ἐπὶ τῷ νέῳ προτείνων δίκαιον, ἄκυρον ἀπὸ νόμων ἐπέιρα δεικνύειν τὸ συνοικήσιον, καὶ διαλύειν ἡξίου ὡς παρὰ βουλήν τὴν αὐτοῦ συνεστῶς.

Τῶν γοῦν λόγων συνοδικῶς κινουμένων, τινὲς μὲν τῶν ἀρχιερέων νόμων ἀκριβείας ἡμίνοι δεῖσθαι τῇ τοῦ βασιλείᾳ θελήσει ἔγνωσαν ἐνδιδόναι, ὁ δὲ γε πατριάρχης καὶ μετ' αὐτοῦ οἱ πλείους ἀπρὶξ ἀντέτεινον· καὶ γὰρ κατὰ γαστρὸς ἔχειν τὴν ἐξ

სხვა რამემ იმოქმედა მასზე, და იბერთა ერთი წარჩინებულის ასული მოიყვანა ცოლად¹.

ეს რომ კეისარმა შეიტყო, ძალიანაც მიუთითებდა კანონებზე და მეურვეობის უფლებით ასაბუთებდა თავის შეხედულებას; სახელდობრ, მის მიმართ მამის მაგიერი ვარ, და როგორც ანდერძის მიხედვით ისე სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ უფლების ძალით უნდოდა ეს შეუღლება დაერღვია. ხოლო დესპოტიურად კი არ უნდოდა ბრძანების გაცემით ამის გაკეთება, არამედ ეკლესიის დასტურიით და გადაწყვეტილებით.

ამიტომ მან კაცი გაუგზავნა პატრიარქს და მასთან არსებულ საკრებულოს და როგორც მეფე და მამა და როგორც იმ ყრმაზე მეურვის უფლების მქონე ცდილობდა დაემტკიცებინა ამ შეუღლების უკანონობა და მოითხოვდა დაერღვიათ იგი როგორც მისინების წინააღმდეგ მომხდარი.

როდესაც საკრებულოში მსჯელობა გაიმართა, ზოგიერთი მღვდელმთავარი კანონების ზემოწიგნელობას მისდევდა და კეისარის სურვილის სამართლიანობას სცნობდა; ხოლო პატრიარქი და მასთან ერთად ბევრნი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ საწინააღმ-

¹ აქ უნდა გაეიხსენოთ ის, რასაც ამბობს გიორგი პახიშვილი ცოტა ზემოთ: «მთავრითვე ასე იყო, რომ მათ (ე. ი. ლაზების) მთავრებს ცოლები მოჰყავდათ მუხობლების მხარეებიდან და თავის ადგილზე რჩებოდნენ» (იხ. ზემოთ გვ. 70).

Ἰβήρων ἐξ Ἀλεξίου, ὡς ἤκουον, κατηγγέλετο.

Ἡ μέντοι γε μήτηρ ἐκείνου ἐπανακάμπτειν ὀρεγομένη ἐλπιδας τοῖς τοῦ κανικλείου ὑπέτεινεν, ὡς ἤκουσα καταπράζεται μάλλον τὴν λύσιν τοῦ συναλλάγματος ἢ μὴ γένεσθαι· αὐτῷ γὰρ προσώπῳ καὶ μὴ γραφαῖς ἔχειν ἀναπειθεῖν τὸν παῖδα, καὶ οὕτως ποιεῖν τῷ βασιλεῖ πεισθῆναι ὡς οὐκ ἄλλως ἐγὼ ἀπειθεῖν. სათვის მორჩილება გამოცხადებინა და არავითარ შემთხვევაში ურჩობა არ ვაეწიო.

Τῷ τοι καὶ βασιλέως ἀφέντος πλὴν χρησαμένη πρὸς τὰ καὶ γίνεται. Ὅπως οὖν ἐπανήκουσα πρὸς τὰ ὑπεσχημένα διετέθη, εἶδεν ἂν οἱ ἐκαίσει· τὸ δὲ πρᾶγμα εἶδεν τὴν ἐπὶ τῷ λύειν ἰούσαν τάναντία προαιρουμένην, εἰ καὶ τὸ πᾶν τῆς ἀπειθείας ἐπὶ τῷ παιδί· τέθειτο.

Ἀπεργακῶς οὖν ἐκαίθειν ὁ βασιλέως, ἐπεὶ οὐδ' ἐκ τῆς ἐκκλησίας ἀναμφίβητος ἦ τοῦ γάμου λύσις τὸ σύνολον ἐλογίζετο, τὴν μὲν κόρην καθάπαξ εἰς δεσποταίαν τιμήσας εἰς τοῦτ' ἐτήρει καὶ αὐτῆς, ἐλπίδας δ' ἐδίδου συζευγνύειν ταύτην δεσπότην γε ὄντι τῷ σὺν Ἰωάννῃ· πρὸς γὰρ τοῖς ἄλλοις καὶ τὸ εἰς προῖκα πολὺ ἦν· καὶ οὐ πόρρω πάνυ κρέπειν καὶ βασιλέων υἱοῦς ἐπάγγεσθαι.

დევოს, მით უმეტეს რომ ის იბერიელი ასული, როგორც სმენოდათ, უკვე ფეხმძიმედ იყო აღეჭსისაგან.

ხოლო მისი (ე. ი. ალექსის) დედა, რომელსაც ეწადა შინ დაბრუნება, იმედებს აძლევდა კანკლიონის მცველს, რომ ჩამოვიდოდა თუ არა მიაღწევდა იმ შეთანხმების (ე. ი. ქორწინების) უფრო ჩაშლას, ვიდრე გამოცხადებას: რამეთუ პირადად და არა წერილებით შესძლებდა დაერწმუნებინა შვილი, რომ კეისრო-

კეისრის ნებართვით ჩაჯდა ხომალდში და იქითკენ (ე. ი. ლაზეთისკენ) გასცურა. როდესაც შინ ჩავიდა და განეწყო სამოქმედოდ, იქაურებმა ეს იცოდნენ; საქმემ უჩვენა, რომ ის მოსულა ჩასაშლელად, რადგან ის საწინააღმდეგოვ ამჯობინებდა. თუმცა ურჩობის ბრალი შვილს (ე. ი. ალექსის) ედებოდა.

ამის გამო კეისარი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რადგან არც ეკლესიისაგან მთლად ივარაუდებოდა ქორწინების უეჭველი დარღვევა; რადგან ზუმონის ასულს ის მტარვალურ პატივში ავდებდა, კვლავ განავრძობდა ზრუნვას და იმედებს იძლეოდა, რომ მას შეუუღლებდა საკუთარ ვაჟს თანე დესპოტს: ყველაფრის ვარდა მზითვეიც საკმაოდ დიდი იყო, რომელიც მეფეთა შვილებ-

Καὶ ὁ μὲν βασιλεὺς ἐν πολλοῖς
ἐδήλου τὴν τοῦ κανικλείου προ-
σησόμενος ἐφ' οὐραϊνὴν ἡ δὲ
γε μήτηρ καὶ θέσποινα ἐκ μεγά-
λου τοῦ φρονήματος ἀπεπρο-
ποιεῖτο καὶ ἀνεβίβλετο, οὐδ'
ἔκταρ ἄξιον κρίνουσα τὸ συνάλ-
λαγμα.

Καὶ διὰ τοῦτο καὶ βασι-
λεῖ πολλή τις ἦν ἡ ἐχθροσύνη
περὶ τῶν τοιούτων, καὶ πού καὶ
ἐμμεθῶς πολλὰς παρεγίνου
τὸ βούλημα, τὸ μέντοι γε πρὸς
τὴν προκίπισσαν Ἰλαίαν ἦδη
κεχηρωμένην ἀνδρὸς κήδος ἀξιώ-
τερον ἔκρινε, καὶ παρὰ μόνον τὸ
τῆς γυναικὸς ἔξωρον, αὐτὸς γε
νεανίσκου ὄντος καὶ τὸν ἔφηβον
παρᾶλλάττοντος, ἦδη ἦθελε συν-
αλλάττειν (CB II 287,10—290,7).

საც სავესებით დააკმაყოფილებდა.
და კეისარმა დაბეჯითებით განი-
ცხადა, რომ კანიკლიონის მცვე-
ლის¹ ასული საცოლედ შეეფე-
რება მის ვაჟს, ხოლო დედა და
დედოფალი დიდის შედიდურო-
ბით უარყოფდა და უკუაგდებდა
ამას, რადგან ის სრულიად უღირ-
სად თვლიდა ამ ქორწინებას.

ამიტომ მეფეც დიდ თავშე-
კავებას იჩენდა ამეების მიმართ
და ხშირადაც გეგმაშეწონილად
ამეუღელებდა სურვილს და უფრო
ღირსეულად მიიჩნდა აქაიის დი-
დებულის დაქვრივებული სეფე-
ასულის (პროკიპისძა) მოყვანა
საცოლედ, იმ ქალის ასაკვადასუ-
ლობასთან შედარებით; და რად-
გან იგი ჭაბუკი და საბავშვო ასა-
კიდან გამოსული იყო, ისურვა
დაქორწინება.

ტრაპიზონის მეფე ალექსი II და გენუელები

XI, 29 (V, 29). Τοῦ δ' αὐτοῦ XI, 29 (V, 29). იმავე წელს²
ἔτους καὶ ὁ τῶν Λαζῶν ἀρχηγὸς ლაზთა მთავარს, კეისარის ღვიძ-

¹ კანიკლიონის მცველია — ὁ εἰς οὐκ κανικλείου ცვთენოდა მთავარი უწყე-
ბის წარჩინებულ მოხელეთა რიცხვს; მის მოვალეობას შეადგენდა ყური გგლო
სა წერ-კალამისთვის (τὸ κανικλείου), რომელსაც მიაწოდებდა ხოლმე
კეისარს საბუთების ხელმოსაწერად (იხ. Н. Сканделанович, Византийское
государство и церковь в XI веке. СПб 1884. გვ. 175). როგორც ვხედავთ,
ანდრონიკე II პალეოლოგოსის დროს (1282—1328 წ. წ.) ამ თანამდებობას ასრუ-
ლებდა ხუშნოსი; ცნობილია აგრეთვე კანიკლიონის მცველი ბასილი XI საუ-
კუნეში (კონსტანტინე IX მონომახოსის დროს, 1042—1054 წ. წ.).

² პეტრე პოსინის მეტ შედგენილ შენიშვნებში, გიორგი პაბიშვილს
ისტორიკოსის დართულ „ქრონოლოგიურ მიმოხილვაში“ (Synopsis chrono-
logica) ალექსის ბრძოლა გენუელების წინააღმდეგ დათარიღებულია 1306 წლით
(Alexius princeps Lazorum Trapezunte prospere contra Genuenses pug-
nat (Imp. Roman. Andronici 24). იხ. CB II, 861.

καὶ τῆς βασιλείας ἀνταδελφῆς καὶ
Ἀλέξιου, τῆ δεσποτικῆ σεμνυνό-
μενος μοίρᾳ καὶ τὸ Τραπεζῆϊον
ἄστῴ κατέχων, Γεννοῦταις γίνε-
ται διὰ μάχης ἐξ αἰτίας τοιαύτης.

Γεννοῦταις ἦν σύνηθες ἐξ ἀρ-
χίου κατοικοῦσι τὴν χώραν ἀπο-
μερίζειν τὰ κέρδη ὡν μεταχειρι-
ζον ἐκ κοιμηρίου λεγομένου
Ῥωμαϊκῶς τοῖς τῆς χώρας ἀρ-
χουσιν. Ἐπει δ' ἠδῆ ἀνοστο κατὰ
πόλιν καὶ ταῖς ἀτελείαις ἐμεγα-
λύνοντο, ὥστε καὶ τὴν ἀντιπε-
ρασίαν τῆς Βυζαντινῆς ἀποχαρι-
σθῆναι: σφίσι εἰς οἰκισμὸν ἄμα
μὲν ἀσφαλεῖ ἄμα δὲ καὶ μεγαλο-
πρεπῆ τοῖς οἰκοδομήμασιν, ἡδὲ
ξοῦν ἐντεῖθεν τὴν ἐκεῖ τῶν φορ-
τίων ἀναψήλασθῆναι, καὶ βαρέως
ἔφερον τὰς εὐθύνας, εἰ παρὰ
βασιλείας ἀτελείαις τιμῶμενοι το-
παρχοῦσιν ἄλλοις καμπαοκλίνοιτο.
ჩათვალეს თავისთვის უღირსად
მათი საქონლის გაჩხრეკა და მძი-
მედ განიციდიდნენ ანგარიშგებას:
თუ კეისრისგან გადასახადებისა-
გან განთავისუფლებული ვართ, სხვა დამალ მოხელეებს რად უნდა
დავემორჩილოთო.

Ἰβριοπαθῶσιντας τοῖσιν ἐντεῖ-
θεν ἐκ τοῦ κοινοῦ σφῶν συνεδρίου
πρέσβεις πρὸς τὸν Ἀλέξιον πέμ-
πουσιν, ἀπακτίσεις τινὰς προτει-
νόμενοι, αἷς ἐκείνου μῆδ' ἔλας

ლი დის შვილს ალექსის¹, რო-
მელიც მეფურმა ბედმა ალაზვეა
და ტრაპიზონის ქალაქის მპყრო-
ბელი გახადა, გენუელებთან მო-
უხდა შებრძოლება შემდეგი მი-
ზეზის გამო.

გენუელებს, რომელნიც ამ ქვე-
ყანაში ცხოვრობდნენ, ძველით-
განვე ჩვეულება ჰქონდათ, რომ
მოგებას, რომელსაც ლეშულობ-
დნენ ვაჭრობიდან, რასაც რომა-
ულად კამპერიონ² ეწოდება,
უნაწილებდნენ ამ ქვეყნის მმართვე-
ლებს. მაგრამ, როდესაც ისინი
ქალაქში მომრავლდნენ და გა-
ზდიდრდნენ გადასახადებისაგან
განთავისუფლების შედეგად ისე,
რომ მათ ეწყალობათ (კეისრისა-
გან) მიეღოთ დასახლებლად
კონსტანტინეპოლის ვადალიზ მხა-
რე, რომელიც სიმავრითაც უზ-
რუნველი იყო და შენობებითაც
დიდად-ბრწყინვალე, ამიტომ იმათ
მათი საქონლის გაჩხრეკა და მძი-
მედ განიციდიდნენ ანგარიშგებას:
თუ კეისრისგან გადასახადებისა-
გან განთავისუფლებული ვართ, სხვა დამალ მოხელეებს რად უნდა

ამრიგად, შუგრაიციყოფილნი,
ისინი ალექსისთან გზავნიან, მათი
საბჭოს საერთო დადგენილებით,
მოციქულებს და უდგენენ ზოგი-
ერთ მოთხოვნებს. რადგან მეფე

¹ ეს არის ტრაპიზონის მეფე ალექსი II (1297—1330 წ. წ.), რომლის დედა
ვედოკია იყო მიხეილ VIII პალეოლოგოსის (1261—1282) ასული, ვ. ი. კეისარ
ანდრონიკ II პალეოლოგოსის (1282—1328) დაა. მაშასადამე, ჭეშმით აღწერილი
ინციდენტი უნდა დათარიღდეს 1297 წლის მომდევნო ხანით. იხ. ზემოთ გვ. 84 შენ. 2.

² ეს სიტყვა ლათინურია, commercium, და ამიტომ სწორია Ῥωμαϊკῶς
(რომაულად) ვ. ი. ლათინურად).

συντιθεμένου ἀναχωρεῖν τῆς χώρας παμπληθεῖ τε καὶ πανομίλει εὐθιῶς ἐσχηματίζοντο.

Κάπειδῆπερ καὶ νῆες μακრაὶ σφῶν τῷ λιμένι ἐνώρμουν, τὴν ἀπανάστασιν διεκήρυττον. Καὶ οἱ μὲν ἐκήρυσσον μάλ' ὄκα, οἱ δ' ἤτοιμάζοντο. Ὁ δ' ἀρχηγὸς τῆς χώρας ἀναχωρεῖν μὲν ἠφίει· καὶ ἠφροντίσται τῶν φαινομένων, πλὴν τῆς τῶν φορτίων τέως μερίδος ἄνωθεν καταχθίντων καὶ λίαν ἀντείχετο ὡς ἐπὶ τῆς χώρας αὐτοῦ γεγονότων. Οἱ δὲ τῷ κατ' αὐτοὺς καὶ συνήθει φρονήματι ἐμεταερίζοντο, καὶ πρὸς τὰ ἐπεσταλμένα ἀντέτεινον καὶ ἀντέσπων.

ლემბა) მათთვის ჩვეული თავებდობით შესკურეს ზღვაში და ძევის ბრძანებას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს¹.

Κάντεῦθεν Ἰβήρας ἔχων ἐκεῖνος τὴν πρὸς σφᾶς ἀναθαρρεῖ μάχην, καὶ παρατυχᾶ ξερὸς καὶ πόλεμος ἐξ ἐκατέρων συγχροτεῖται, καὶ ἀλλήλους ἐβαλλον, καὶ συνεχεῖς ἐπίπτον· ῥέπει δ' ἡ νίκη τοῖς Ἰβήρσι, καὶ καθὼς Γεννοῦται εἶχον. Τέλος ταῖς τῶν Ἰβήρων προσβολαῖς ἀντέχειν μὴ ἔχοντες, καὶ πρὸς τὰ ἐφεδῆς δεδουκότες, πῆρ ἐνίστα· τῇ ἕξω τῆς πόλεως χάρᾳ,

სრულებით არ დაეთანხმა ამ მოთხოვნებს, მათ მოაჩვენეს, რომ მიდიან ლაზების ამ ქვეყნიდან მთელი შემადგენლობით.

და რადგან მათი გრძელი ხომალდები ნავსადგურში იდგა ლუზა-ჩაშვებული, მაცნეების მეშვეობით გამოაცხადეს გასამგზავრებლად მომზადებულიყვნენ: ერთნი აცხადებდნენ, სხვები კილევ ემზადებოდნენ. ხოლო ამ ქვეყნის მთავარმა ნება დართო ამ ქვეყნიდან გასულიყვნენ და არ აწუხებდა ეს მომხდარი ამბები, გარდა იმისა რომ დააკავა ამას წინათ ჩამოტანილი საქონლის ერთი ნაწილი, როგორც უკვე მის ქვეყანაში მყოფი. ხოლო იმათ (ე. ი. გენუელებმა)

ამიტომ იმან (ლაზთა მთავარმა), თან რომ მყავდა იბერთა რაზმები, ისინი მიუსია მათ შესაბამელად, და მაშინვე ორივე მხრით გაჩაღდა შუღლი და ომი, ეძგერნენ ერთმანეთს და განუწყვეტლივ იხოცებოდნენ; გამარჯვება გადაიხარა იბერთაკენ, და გენუელებს ცუდი დღე დაადგათ. ბოლოს, იბერთა იერიშებს რომ ვერ გაუმკლავდნენ და იმის რომ

¹ პეტრე პოსინი თავის თარგმანში უმატებს (რაც ბერძნულ დედანში არა სწერია): *Genuenses ad hanc denuntiationem principis in consuetam ipsis elati confidentiam, facturos quod poscebatur palam se negabant, retrahebantque interim, quantum poterant, merces in navem* — „გენუელებმა ლაზთა მთავრის ამ განცხადებისადმი მათთვის ჩვეული თავებდობით უპასუხებს, აშკარად უარო უთბრეს იმის შესრულებაზე, რასაც ის მოითხოვდა და ამა-სობაში, რამდენიც მოასწრეს, უკან შეათრიეს საქონელი ხომალდში“: CB II 449.

ὅς κατὰ χρείαν νίκης, ἀλλ' ὥστε
μόλις τὸ κακὸν ἐκφυγεῖν φορη-
τήθιεντων τῶν ἀντιπάλων.

ლი გაუჩინეს ქალაქის (ე. ი. ტრაპიზონის) გარეუბანს, იმიტომ კი არა, რომ გამარჯვების იმედი ჰქონდათ, არამედ, რათა, მოწინააღმდეგენი რომ აირივ-დაირეოდნენ, ამით საშუალება მისცემოდათ თავი დაეღწიათ უბედურებისათვის.

Τὸ δ' ἦν ζῆμία μὲν οὐ μέρτω
ποσομένη καὶ τοῖς ἀντόχθοισιν,
οὐχ ἦττον δὲ ἀλλὰ καὶ πολλῶ μάλ-
λον ἐξημίους ἀκαίτους τὸ πνε-
φορτία γὰρ ἐκαίνα θυοκαίδεκα
ναυσὶν ἀρχέσοντα πρὸς τῆν πλή-
ρωσιν (τόσαι γὰρ καὶ προσάκελ-
λον ἐν λιμένι) θαπάνημα γίνον-
ται τοῦ πυρός. Καὶ τὸντενθεν
ταπεινωθέντες τὰ τῆς εἰρήνης
ἠσπάσαντο (CB II 448, 9—450, 5).

ამით მოხდა ის, რომ განუ-
ზომელი ზარალი მიადგინეს ადგი-
ლობრივ მცხოვრებლებსაც და
არა ნაკლებ და უფრო მეტად
ცეცხლმა თვით ისინი (გენუელე-
ბი) დააზარალა: რამეთუ ის მათი
საქონელი, თორმეტ ხომალდს
რომ აავსებდა (ამდენი ხომალდი
იღვა სანაპიროზე), მთლიანად
ცეცხლის უღუფა გახდა. აი, იმი-
ტომ, გაუბედურებულმა განუ-
ლებმა ზავი ითხოვეს.

ამ თავში აღწერილი ინციდენტი, როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ტრაპიზონის სამეფოს და დასავლეთის კომერციული წრეების ურთიერთობის საქმეში. ამ ურთიერთობის შედეგად შექმნილი ეკონომიური ვითარება საკმაოდ ამწვავებს მდგომარეობას: საქმე ომამდისაც კი მიდის, სისხლის ღვრა კატასტროფულია (ორივე მხრით «განუწუფეტლივ იხოცებოდნენ»). ასეთი ვითარება არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ტრაპიზონის სამეფოს სპეციალურ ისტორიკოსს, მიქელ პანარეტოსს. მართლაც, «ტრაპიზონის ქრონიკის» VI თავში ჩვენ ვკითხულობთ:

«6811 წლის 30 ნოემბერს, კვირა დღეს, ციხის შიგნით გაჩნდა დიდი ხანძარი. მომდევნო წლის ივნისში ხანძრით გაანადგურეს ლათინებმა საზღვაო საწყობი, როდესაც დიდი ბრძოლა მოხდა» (იხ. ქვემოთ, გვ. 173).

მართალია, 6811 წელი უდრის 1303 წელს. ხოლო გიორგი პახიმერეს მიერ გადმოცემულ ინციდენტს, თითქოს, 1306 წელს ჰქონდა

ადგილი. მაგრამ მხედველობაშია მისაღები შემდეგი: 1) „ქრონოლოგიური ნუსხა“ პეტრე ჰოსინისა მიახლოებითა; 2) თვით ტექსტიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ინციდენტი მოხდა ალექსი II-ის გამეფების (1297 წლის) შემდეგ და 3) კეისარ ანდრონიკე II პალეოლოგოსის მეფობაში (1282—1328 წ. წ.). გიორგი პახიმერეს „ისტორიის“ იმ თავებში, რომლებშიაც ანდრონიკე II-ის მეფობაა აღწერილი, ამ ინციდენტის შესახებ ლაპარაკია, დაახლოებით, ამ მეფობის შუახანებში.

ეფრემის ქრონიკა

ეფრემმა ('Εφραΐμ), რომლის ბიოგრაფია უცნობია, დაგვიტოვა ლექსად დაწერილი „ქრონიკა“, რომლის დასაწყისი ფურცლები, სადაც წიგნის სათაურიც იყო, დაკარგულია და რომელსაც, ამიტომ, „ქრონიკის“ აირველმა გამომცემელმა Angelo Mai-მ (რომბი 1828) პირობითად დააწერა 'Εφραΐμια Χρονικα Κωνσταντινου. „ქრონიკა“ იწყება იულიოს კეისრის (I საუკ.) მოღვაწეობით და თავდება 1261 წლით, ლათინთა ბატონობის დამხობით.

ეფრემს „ქრონიკა“ უნდა დაეწეროს 1313 წლის მახლობელ ხანებში, რაც დასტურდება იმით, რომ „ქრონიკას“ დართული აქვს კონსტანტინეპოლის პატრიარქთა სია (ტაბეები 9565—10390), რომელიც იწყება ანდრია მოციქულით (პირველ პატრიარქად არის ნაგარაუდგევი) და თავდება გერასიმე I-ის პატრიარქობით (გერასიმე პატრიარქად დაჯდა 1320 წელს და მისი შეუფება გაგრძელდა 1321 წლის აპრილამდე). რაც შეეხება თვით ისტორიას, ეფრემის „ქრონიკაში“ ის მოტანილია 1261 წლამდე, როდესაც მიხეილ VIII პალეოლოგოსი 15 აგვისტოს დიდის ზეიმით შევიდა კონსტანტინეპოლის სამეფო სასახლეში:

Μετὰ προπομπῆς βασιλικῆς καὶ κροῦων

Βισϋλθε χαίρων εἰς ἀνάκτορον μέγα

«მეფური ზეიმით და ტაშის-კვრით

«შვიდა გახარებული დიდ სასახლეში» (ტ. 9563—4).

განსაკუთრებით დიდ აღვილს უთმობს ეფრემი კომნენოსებისა და ანგელოსების ეპოქას და ნიკეის სამეფოს ისტორიას.

ეფრემის ქრონიკა მოღწეულია ერთადერთი XIV საუკუნის ხელნაწერით (Vaticanus 1003; არსებობს მისი, XVIII საუკუნეში გაოაწერილი პირი)

გამოცემები: Ephraemi monachi imperatorum et patriarcharum recensens interprete Angelo Maio, Bonnae 1840; Migne PG 143 (1891), 9—380.

ბასილი II აბაზგების წინააღმდეგ

	Τούτου τὸ βίον ἐμμετρήσαντος	მან (ე. ი. იოანე კომნენიმ)
	μόρη	სიცოცხლე სიკვდილით მოიხონა,
	Κληροῦχος ἀρχῆς τῆς πατρίδας	მამაპაპეული ტახტის შემკვიდრედ
	ἐνόμωας	კანონიერად
2875	Βασίλειος δέδεικτο ¹ καὶ	ბასილი იქმნა მიჩნეული ამ
	σκηπτουχίας,	თანამდებობაზე,
	Ὁ Ῥωμανοῦ παῖς πορφυρόβλαστος	რომანოზის ² შვილი,
	κλάδος,	ძოწითმოსილი ნაშიერი,
	αὐτοκράτωρ κράτιστος ἐν	თვითმპყრობელი, სარდლობაში
	στρατηγίαις	უძლიერესი,
	Αὐταρχίας τάλαντον ἀυξήσας	რომელმაც თვითმპყრობელობის
	μέγα	ძალა დიდად გაზარდა

	Τὸ μὲν πρὸς αὐτὴν ἐκστρατεύων	ხან აღმოსავლეთის წინააღმდეგ
	τὴν Ἑω,	აწყობს ლაშქრობას,
	Τὸ δὲ πρὸς αὐτοὺς τοὺς ἕρους	ხან დასავლეთის თვით
	τῆς Ἑσπέρας	საზღვრების წინააღმდეგ,
	Ἦ πρὸς μέρη βόρεια καὶ	ან ჩრდილოეთის მხარეებისკენ
	μεσημβρίας	და სამხრეთის
	Χώρους ἐπήει Βαρβάρων	ადგილებისკენ შეუტია
	ἀντιπάλων,	მოწინააღმდეგე ბარბაროსებს,
2895	Ληλατῶν σφας, πυρπολῶν,	არბევდა მათ, სწევდა და
	πορθῶν πόλεις	ანადგურებდა ქალაქებს
	Ἐρυμνά τε φρούρια τῆς μάχης	და გამაგრებულ ციხეებს ომის
	νόμω.	კანონით.
	Καὶ δεῖγμα ἑναργὲς ἢ Σκυθῶν	და ამის ნათელი საბუთია
	ἐρημία,	სკვითთა უღაბხო,
	Λεία τε Μυσῶν κατὰ τὴν	მიზიელთა დარბევად,
	παροικίαν,	იკავისებურად,
	Περσῶν τ' Ἄβασγων ³ ἑκτριψῆ	გასრესა სპარსელებისა,
	τῶν τ' Ἀβάρων	აბაზგებისა ³ და ავარებისა,
2900	Ὅνπερ καθεῖλε τὸ θράσος κατὰ	რომელთა სიმამაცე მან დასცა
	κράτους.	შეშარებით.

¹ ეს უღრის *ἐδέδεικτο*-ს.

² ბასილი II იყო რომანოზ II-ის (959—962) და თეოფანოს შვილი.

³ როგორც ცნობილია, Ἄβασγοί სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მნიშვნელობისაა. ძველ საუკუნეებში, საქართველოს გაერთიანებამდე, Ἄβασγοί წარმოად-

**თურქების შექრა ბიზანტიაში კავკასიის გზით
კონსტანტინე IX მონომახოსის დროს**

<p>Καὶ Πατρίνααι τῶν Παριστρῶν Ἄσηλατουντες κατέδραμον τὴν 3125 Σποινῶς δεδρακότες δὲ Ῥωμαίοις Τὰς πανοπλίαις κατέθειντο καὶ Τοῦτου¹ κρατουντος Οὐνικῶν Ὀρμύμενον πρὶν ἐξ ἄρῶν Ἐπιέθει πρῶτον Ῥωμαῖνος² τοῖς ἄρσι.</p>	<p>და პაქანიკებმა, ისტროს გასწვრივ მცხოვრებმა ტომმა, თრაკია დაარბიეს და გაანადგურეს. ბოლოს რომაელებთან ზავი შეკრეს და იარაღი დაჰყარეს, ბრძოლები შეწყვიტეს. მისი¹ მეფობის დროს თურქთა ჰუნნური ტომი ჯერ გაემართა კავკასიის მთების გადმოლახვით და პირველად მოადგა რომაიდის² საზღვრებს.</p>
---	--

მიხეილ VII პარაპინაკი, მისი ცოლი მარიამ მართა-ყოფილი

<p>Μιχαὴλ ὁ υἱὸς Κωνσταντίνου καὶ Δοῦκα ἦτοι ὁ Παραπινάκης ἔτη σ' S' Εἴτα Μιχαὴλ Παραπινάκης ἦέσιν³</p>	<p>მიხეილი, კონსტანტინე დეკას ვაჟი, ესე იგი პარაპინაკი, ექვსნახევარი წელი შემდეგ მიხეილმა, პარაპინაკად წოდებულმა,</p>
---	--

გენდნენ დასავლეთ საქართველოს მობინადრე ერთ-ერთ ტომს (კოლხები, ლაზები, აბაზგები, ენითები, მისიმიელები და სხვ.). ხოლო იმ დროიდან, რაც ამ აბაზგების მეთაურობით მოხდა ჯერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება (ე. წ. «აუზახთა სამეფო»), ხოლო შემდეგ მთელი საქართველოს გაერთიანებაც, ბიზანტიელები Ἀβασγία-ს ხმარობენ მთელი საქართველოს გამომხატველი სახელის ტერმინად.

ჩვენი ისტორიკოსისათვის, ეფრემისათვის, ცნობილი ყოფილა ეს ფაქტი და ის „აბაზგებს“ უწოდებს გაერთიანებული საქართველოს მცხოვრებლებს. ზომ გიორგი I-ც, რომელსაც ებრძოდა ბასილი II (და ეს იგულისხმება სწორედ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში), მაშინ ბიზანტიურ წყაროებში იწოდება „აბაზგთა მეფედ“ (იხ. გიორგი კედრენე).

¹ მისი, ე. ი. კონსტანტინე IX მონომახოსის დროს (1042—1054 წ. წ.). მართლაც, კონსტანტინე IX-ის დროს ცნობილია სელჯუკების მოზღვაება, ტოლრულბეგის მეთაურობით, ბიზანტიის საზღვრებთან. 1048 წელს გუასპურაკანში შემოჭრილი თურქთა რაზმები დაამარცხეს ბიზანტიელებმა.

² Ῥωμαῖς, სძის ე. ი. რომაული ქვეყანა. იშვიათად ხმარებული სახელია „ბიზანტიისა“. ეფრემი ხშირად ხმარობს.

³ ἦέσιν იგივეა, რაც τοῖς πίκλησ „მეტსახელად“ (იხ. აქვე ტ. 3418).

- Κωνσταντίνου παῖς παραλαμβάνει
τὸ κράτος,
Χαῦνός τις ἦθος, ἀφελής,
ἀνειμένος,
3400 Ἄπαλός, ἀδέξιος εἰς
κράταρχίαν,
Τὰ καθ' ἑαυτὸν διέπειν οὐκ
ἰσχύων,
Μὴ τοί γε κράτος καὶ διοίκησιν
ἔλων.
-
- Ἀφίσταται πρῶτα τῶν Ῥουσέλιός
τις,
Πρὸς τῆδε Καίσαρ καὶ Νέστωρ¹
τις βεστάρχης,
3418 Νικηφόρος τε Βρυέννιος
τοῦπίκλῃν
Ὁς παρασήμους ἠράτιστο τῶν
κράτους.
- 3420 Ἄλλος Νικηφόρος τις
Βοτανειάτης,
Ὁς καὶ κατήρξε τῶν κράτους
τῶν Ἀβσόνων.²
-
- Ὁ Μιχαὴλ δὲ γίνεται
μελαμφύρος³,
- კონსტანტინეს ვაჟმა, ხელში
აიღო სამეფო ტახტი,
ხასიათით ღონღლომ,
გულუბრყვილომ, უზრუნველომ,
უმეცარმა, მართვა-გამგეობაში
გამოუცდელმა,
თავისი საკუთარი საქმეების
გამართვაშიც უსუსურმა,
და სახელმწიფო მართვაშიც
სრულიად უქნარმა.
-
- ყველაზე ადრე აუჯანყდა ვინმე
რუსელიოსი,
შემდეგ კესაროსი და ვინმე
ვესტარხი ნესტორი,
და ნიკიფორე, მეტსახელად
ვრიენიოსი,
რომელიც სახელმწიფოს
წარჩინებულთაგანი იყო.
ბოლოს, (აუჯანყდა) ნიკიფორე
ბოტანიატე,
რომელიც დაეფულა ავსონების
(ე. ი. რომაელების) ტახტს.
-
- ბოლო მიხეილს შავი ჩოხა
ჩააცვეს³,

¹ არ არის ნათელი, თუ ვინ არის ეს „ნესტორი“, მაგრამ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება. კონსტანტინე მანასეს „ქრონიკაში“ სწერია: «მეორე პილოსელი ნესტორი (ასე ეძახდნენ ნიკიფორე ბოტანიატეს) (იხ. გეორგიკა VI, გვ. 173).

² Ἀβσόνες — ეწოდებოდა „რომაელებს“. ავსონები წარმოადგენდნენ კამბანიის ტომს; შემდეგ ეს სახელი გავრცელდა, საერთოდ, იტალიელებზე. ჩვენი ავტორი ხშირად ხმარობს ამ სახელს „რომაელების“, ე. ი. „ბიზანტიელების“ აღსანიშნავად („ავსონიის“ შესახებ იხ. ზემოთ გვ. 28—29).

³ ეს იგი ბერად აღკვეცეს. აქაც, როგორც ზემოთ. (წინა გვერდის შენ. 2), ერთმანეთს ემთხვევა კონსტანტინე მანასე და ეფრემი: მანასეს უწერია *Μιχαήλ ἵσεται μελαμφύρος* (იხ. გეორგიკა VI, 174).

3440 *Εἴτ' ἀρχιμύτης¹ καὶ πρῶτος γ' Ἐφέσου²* შემდეგ კი ეფესოს არქიელი და მთავარი იყო.
Τούτου συνένου³ πρὸς γάμου κοινωνίαν მის მეუღლეს³ კანონიერი
Βοτανειάτης ὁ καλῶς ბოტანიაციე, რაც მოსაწონი არ
συνεζύγη. იყო.

კონსტანტინე გაბრა

8960 *Τοῖνυ ἀπάρας βασιλεὺς⁴ Λοπαδίου* ამრიგად, მეფე აიყარა
ლოპადიონიდან
Ἐπιστρατεύει σὺν στρατιᾷ μυριά და გაილაშქრა უთვალავი ჯარით
Τοῖς κατὰ Πόντον Ἀγαρηνοῖς პონტოს გასწვრივ მცხოვრებ
ბარბაროს აგარიანთა წინააღმდეგ,
Κατακρατοῦσιν τῆς⁵ ნიოკესარიას რომ
დაუფლებოდნენ:
Νεοκαισαρέων,
Σπεύδων μετελθεῖν⁶ καὶ Γαβριᾶν აგრეთვე უნდა დაესაჯა
კონსტანტინე გაბრა,
Κωνσταντίνον

¹ იშვიათი სიტყვაა *ἀρχιμύτης*. მას არ იცნობს ძველი ბერძნული ენა; Sophokles-იც არ იხსენებს მას; *მწეი* ან *მწეი* ნიშნავს „მსხვერპლის შეჭირველს“ ამისდა მიხედვით *ἀρχιμύτης* იქნება „მღვდელთ უზუესი“ ან „მღვდელთ მთავარი“;

² ჩვენ ხომ სხვა წყაროებით ვიცით, რომ მიხეილი ეფესოს მწყემსად იქნა დაყენებული (იხ. გეორგიკა VI, 156, 174).

³ კონსტანტინე მანასეს მსგავსად არც ეფრემი იხსენიებს „მეუღლის“ სახელს. ეს ხომ არის დედოფალი მარიაში, მართა-ყოფილი (იხ. გეორგიკა, VI, 174).

⁴ აქ ლაპარაკია იოანე II კომნენოსზე (1118—1143 წ. წ.), რომელიც ლაშქრებს კონსტანტინე გაბრას წინააღმდეგ, ნიკეტა ხონიატე წერს: «იოანე კომნენოსმა გადაწყვიტა დაესაჯა არმენიკთა თემში შეჭრილი ბარბაროსები და ამავე დროს შეეპყრო კონსტანტინე გაბრა, რომელსაც უკვე კარგა ხანია დაემორჩილებინა ტრაპეზუნტი და მართავდა მას ტირანული წესით» (იხ. გეორგიკა VI, 126—127). გარდა იმისა, რომ ნიკეტას და ეფრემს ერთი და იგივე ფაქტი აქვთ გადმოცემული, გამოთქმებიც კი ხვდება ერთმანეთს.

⁵ ზონის კორპუსის გამოცემაში სწერია *εἴη*, სწორი იქნებოდა *εἴς*, როგორც Migne-ის პატროლოგიაშია.

⁶ *μετελθεῖν* ნიშნავს „წინემს გავედევნები“, „თავს დავესხმი“, მაგრამ იხმარება აგრეთვე „დასჯის“ მნიშვნელობითაც.

Κατατυραγνεύοντα ῥομηλοῦ τραπεζუნτικῶν
 Τραπεζούνταιων. მტარვალ იყო.

ხალდიის მმართველი ალტუხი

4870 Τοῦτον γὰρ Ἀνδρόνικον¹ ὄντα ეს ანდრონიკე, ῥομηλοῦ იყო
 φυγάδα ῥομηლოῦ
 Ἐθνῶν τε πολλῶν διαμείψαντα და მრავალ ხალხთა ადგილები
 τόπους, გამოეცვალა,
 Παρὰ δ' Ἀλιούχῳ τῷ κρατοῦντι ხოლო ბოლოს ალტუხთან,
 Χαλδίας ხალდიის მთავართან
 Τέλος καταλύσαντα καὶ მისულოყო და იქ ისვენებდა,
 πεπαυμένον ῥოგორც
 Ἄλης τε πικρᾶς καὶ μακρῶν, მწარე ხეტიალისაგან ისე გრძელ-
 περιδρομῶν, გრძელი მი-და-მო რბენისაგან, —
 Μετακαλεῖται: Μανουήλ ეს ანდრონიკე თვითმპყრობელმა
 αὐτοκράτωρ მანუელმა უკან მოიხმო
 Καὶ δεξιούται θωρακίς და კეთილზრახულად საჩუქრებით
 φιλοφρόνας მიესალამა,
 Καὶ πρὸς πόλιν Οἴναιον στέλλει და ქალაქ ინეონში გაგზავნა
 διαγγεῖν, დროს სატარებლად,
 Ὅρκους πρὸς αὐτοῦ πρὶν γε ისე რომ წინდაწინ მისგან ფიცო
 προσηδεγμένους მიიღო —
 Ὅρκους πρὸς αὐτὸν ἀγάτης καὶ წრფელი მისდამი სიყვარულისა
 φιλίας. და ერთგულებისა.

იბერიელები ბიზანტიის ჯარში

5815 Καθ' ὃν ἀφίχτο σὺν στρατιᾷ მათ წინააღმდეგ მივიდა
 μαρίᾳ უთვალავი ჯარით

¹ აქ ლაპარაკია ანდრონიკე კომნენოსზე, რომელიც მანუელ I-ის (1143—1180) ბიძაშვილი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ მეტად უსინდისოდ და მოალაღატურად იქცეოდა, მაინც კეისრის დიდი წყალობით სარგებლობდა: ხშირად აპატრიებდა ხოლმე მის მიერ ჩადენილ ბოროტ საქმეებს. ეს ანდრონიკე შემდეგ, მანუელის შვილის, ალექსი II კომნენოსის თანაკეისარი იყო (1183 წელს), ხოლო 1183—1185 წლებში კეისარი გახდა, მის შემდეგ რაც ნორჩი ალექსი II მოაშთობინა.

Στρατηγός Ἀλέξιος Βρανᾶς ¹	სარდალი ალექსი, მეტსახელად
τοῦπίκλην·	ვრანასი,
Ὅς δὴ τρέφων ἔρωτα πάλαι τοῦ	მას ძველადვე ასაზრდოებდა
στέφους	ვეიორვეინისადმი სიყვარული
Καὶ τηνικαῦτα συνδρομήν σχῶν	და მაშინ, ჰყავდა რა რაზმების
ταγμάτων,	გროვა,
Ἄποστατήσας, σύμβολα τὰ τοῦ	აჯანყდა, ძალაუფლების
κράτους	ნიშნებით
5820 Ἀὐτῷ περιθεις πρὸς Βυζαντιδᾶ	აღქურვილი გაჩნდა
τρέχει.	ბიზანტიონთან.
Καὶ δὴ πρὸ τειχῶν ἠύλισατὶ	და კედლების წინ მოსულმა
που φθάσας,	იქვე დაიბანაკა,
Πειρώμενος λόγοις τε τοῖς ἑπλοῖς	და სიტყვითაც და უფრო
πλέον	მეტად იარაღით
Ἄστυπολιτῶν ὡς ἐγγὺν καμῖ	მოქალაქეებს ყოველდღე
ἡμέραν.	აწუხებდა.
Καὶ βασιλεὺς δὲ στρατιὰν	მეფემ შეკრიბა ჯარი ²
συναλίσσας	უცხოელ ტომთა ვაჟეაც

¹ ალექსი ვრანა — გამთიხენილი ბიზანტიელთ სარდალი ისააკ II ანგელოსის დროს (1185—1195 წ. წ.).

² ეს ეპიზოდი ისააკ II ანგელოსის მეფობის ისტორიიდან დაწვრილებით აქვს აღწერილი ნიკეტა ხონიატეს თავისი „ისტორიის“ იმ თავში, სადაც ისააკ II ანგელოსის მეფობის ამბებია გადმოცემული. იქ სწერია, რომ ალექსი ვრანას მიერ მოწყობილი აჯანყების ჩასაქრავად კონრად მონფერატელი (ისააკ ანგელთსის სიძის) მეთაურობით შეკრებილ იქმნა ჯარი. ესულ მოკლე ხანში — წერს ნიკეტა ხონიატე — კონრადმა შეკრიბა ქალაქში მყოფ ლათინთაგან ცხენოსნები, დააბლოვებით ორას ორმოცდაათამდე, ყველანი მამაცი, და ხუთასი ქვეითა. ჯარისკაცი, არა მცირედნი ჩაეწერნენ ჯარში ისმაილიტთაგან და აღმოსავლელ იბერიელთაგან, რომლებიც სამეფფო ქალაქში სავაჭროდ იყვნენ გამოგზავნილია (CB, p. 493, 7—20; გეორგიკა ტ. VI [1966], გვ. 129). რასაკვირველია, ვეფრემის ცნობები და ნიკეტა ხონიატეს ინფორმაცია ერთიდაიმავე წყაროდან მომდინარეობს.

ნიკეტა ხონიატე

ვეფრემი

Λατίνων

Ἰταλῶν

Ἰσραηλιτῶν

Αγαρῶν

Ἰβήρων

Ἰβήρων

ბიზანტიის ჯარში მყოფ იბერიელთა შესახებ იხ. ჩვენი შენიშვნები: გეორგიკა ტ. VI (1966), გვ. 129—132.

- 5825 Ἄνδρων ὀπλιτῶν ἐκφύλων
 ἀλλοτρῶων, სკვითთა, იტალიელთა, აგარიანთა
 Σκυθῶν Ἰταλῶν Ἀγαρηῶν და იბერიელთაგან,
 Ἰβήρων, და იტალიელ კონადის
 Ἰταλιῶτου Κορράδου συμβουλία, თანაბჭობით
 Ἄντεκατέστη τῷ τυράνῳ πρὸς ბრძოლა გაემართა ტირანის
 μάχην¹. წინააღმდეგ

ნიკიფორე ქსანთოპულოსი

Νικηφόρος Κάλκιστος ὁ Ξανθοπούσις XIII—XIV საუკუნის ისტორიკოსია (იგი კონსტანტინეპოლის პატრიარქად იყო 1350—1362 წლებში). მის კალამს ეკუთვნის „საეკლესიო ისტორია“, რომელიც 18 წიგნისაგან შედგება და მოგვითხრობს ამბებს ქრისტიანობის დასაბამიდან (ანუ ქრისტეს განკაცებიდან—ἀπὸ τῆς αὐτῆς σάρκα τῆς Σατῆρος ἐπιφανείας Χριστοῦ ვიდრე VII საუკუნემდე, კეისარ ფოკას გარდაცვალებამდე (610 წლამდე). ამ 18 წიგნის გარდა მოღწეულია აგრეთვე შემდგომი ხუთი წიგნის შინაარსი, საიდანაც ჩანს, რომ ნიკიფორე ქსანთოპულოსი აპირებდა „საეკლესიო ისტორიის“ მოტანას 911 წლამდე, მაგრამ მას ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია¹.

ფიქრობენ, რომ ნიკიფორე ქსანთოპულოსის „საეკლესიო ისტორია“ ორიგინალური ნაშრომი არ არის, არამედ რომ ნიკიფორემ გადაამუშავა X საუკუნის რომელიღაც ავტორის მიერ დაწერილი შრომა, რომელშიც თხრობა 920 წლამდე იყო მოტანილი. თუ ეს ასეა, მაშასადამე, ის წყაროები, რომელთაც ის ასახელებს, მის მიერ კი არ ყოფილა გამოყენებული, არამედ X საუკუნის ავტორის მიერ.

წყაროებად კი ნიკიფორე ქსანთოპულოსი „ისტორიის“ პირველსავე წიგნში ასახელებს ევსევი პამფილეს, ფილონ ალექსანდრიელს, იოსებ ფლავიოსს, კლემენტი ალექსანდრიელს, იპოლიტეს, ერმია სოზომენეს, თეოდორიტე კვირელს, სოკრატე სქოლასტიკოსს, ევადგარის, პრისკე პანიონელს, ზოსიმეს, პროკოპი კესარიელს, ავათია სქოლასტიკოსსა და სხვებს (იხ. PG 145, 605—608).

„საეკლესიო ისტორია“ გამოცემულია: Migne, PG 144, 146, 147, აქვეა მოთავსებული ნიკიფორეს ლექსებიც, რომლებიც წარმოადგენენ კეისრების, პატრიარქებისა და სხვა მოღვაწეთა სიებს.

¹ გარდა „საეკლესიო ისტორიისა“ ნიკიფორეს ეკუთვნის „კონსტანტინეპოლის კეისართა და პატრიარქთა კატალოგი“

ნიკიფორე ქსანთოპულოსის ცნობები ქართლის მოქცევაზე

მართალია, ნიკიფორე ქსანთოპულოსის „საეკლესიო ისტორია“¹ ორიგინალური ნაშრომი არაა და იგი X საუკუნის უცნობი ავტორის თხზულების გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მაინც საინტერესოა ის ცნობები, რომელთაც გადმოგვცემს ნიკიფორე ქართლის მოქცევის შესახებ, რადგან ავტორი თვითონ წერს თავისი ისტორიის პირველ წიგნში, რომ იგი იცნობს, სხვა შრომებს შორის, ერმია სოზომენეს, სოკრატე სქოლასტიკოსსა და თეოდორიტე კვირელს. აშკარაა, რომ მისთვის (ან X საუკუნის ანონიმისათვის) ცნობილი იყო, თუ რა ეწერა ამ ისტორიკოსების შრომებში ქართლის მოქცევაზე. მიუხედავად ამისა, მაინც არის ნიკიფორეს „ისტორიაში“ თავისებური ცნობები. ასე, მაგალითად:

1) არც ერთ სხვა ავტორს არ უწერია, რომ იბერთა ტომი ცხოვრობს არმენიის უშინაგანეს მხარეებში» (ὁὗτοι δὲ τὸ ἔθνος τῆς αὐτῆς γῆς Ἰβηριῶν). შეიძლება ადამიანს ეფიქრა, რომ ამ ტექსტის ავტორს ხელთ ჰქონდა ისეთი წყარო, რომელიც ერთმანეთში ვერ არჩევდა არმენიის მხარეებს პონტოს მხარეებიდან, ჩავუკვირდეთ უფრო ყურადღებით ტექსტს:

იბერთა ტომი ცხოვრობს არმენიის უშინაგანეს მხარეებში, რომლებიც მიმართული არიან ჩრდილოეთისკენ და ევქსინის პონტოსკენა. ბერძნულ ტექსტში სწერია *πρὸς τὸν Ἐνδέσπον... τὸ πόν.* გამოთქმა *Ἐνδέσπον τὸ πόν*, საერთოდ, არ გვხვდება, აქ უნდა იყოს, ჩვენი კონიექტურით, *Ἐνδέσπον πόντῶν*. მაშასადამე, ავტორი ამბობს, რომ იბერთა ტომი ცხოვრობს არმენიის იმ უშინაგანეს მხარეებში, რომლებიც ჩრდილოეთით არის (ივულისხმება არმენიის ჩრდილოეთით) და შავი ზღვისკენ.

როგორც ჩანს, ამის დამწერს ხელთ აქვს ისეთი წყარო, რომელიც კარგად იცნობს ბიზანტიის აღმოსავლეთ საზღვრებზე მდებარე Armenia Prima, Armenia Quarta, რომელთა საზღვარზე აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოთავსებულია იბერია, ის იბერია, რომელსაც კოსტანტინე პორფიროგენეტი (X საუკუნეში) იცნობს როგორც არტანუჯის იბერიას. მეათე საუკუნეში, რასაკვირველია, მოსალოდნელია ასეთი გაგება იბერიისა (მაგრამ იბერიის მოქცევა ეხება არა არტანუჯის იბერიას). ნიკიფორეს წყაროში ეწერა, ალბათ, ისე, როგორც აქვს სოზომენეს: *ὁὗτοι δὲ τῆς*

ἸΑρμενίων ἐνθάδεσιν παρὰς ἄρχασις „ცხოვრობდა არმენიელთა ქვეყნის იქით, შიგნით, ჩრდილოეთისაკენ“.

2) მივაქცევთ ყურადღებას იმასაც, რომ ნიკიფორე იცნობს იმ შეხედულებას, რომ ქართლის იბერები „არიან ისპანიის იბერთაგან გადმოსახლებული“¹. საგულისხმოა, რომ ეს შეხედულება, რომ ქართლის იბერები ისპანიის იბერთა მონათესავენი არიან, X საუკუნეში ფართოდ არის გავრცელებული. მოვიგონოთ, თუ რას ამბობს იოანე მთაწმიდელი, რომელიც მცირეწლოვან ექვთიმესთან ერთად აპირებდა წასვლას ისპანიად... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავენი და ერნი მკვდრ არიან მუნ (ცხოვრებად იოვანესი და ეფთჳმესი, 1946, გვ. 24).

3) ნიკიფორე ქსანოპულოსთან განსხვავებულია აგრეთვე იმ ავადმყოფი ბავშვის ვინაობა, რომლის დედა სხვადასხვა ქალებთან გზავნის მოსარჩენად ბავშვს და რომელსაც ბოლოს ტყვე-ქალთან (ნინოსთან) მიიყვანენ განსაკურნავად. სხვა ისტორიკოსთა ცნობით, ეს ავადმყოფი ბავშვი იყო შვილი ერთი სოფლელი დედაკაცისა; ნიკიფორეს გადმოცემით კი იგი არის მეფის შვილი (ე. ი. შირიანისა და ნანას შვილი). ნიკიფორეს შრომაში ასეთი ვარიანტი შემთხვევითი კი არ არის; ეს არის მისი ძირითადი კონცეფცია, შემუშავებული გარკვეული მოტივებისა და დაგეგმვის შედეგად. შემდეგ პარავრაფში ნიკიფორე გარკვევით იმეორებს იმავე კონცეფციას: „ცოტა ხნის შემდეგ მან (ტყვე-ქალმა) გადაარჩინა თვით ის ქალი, ბავშვის დედა, რომელიც შეპყრობილი იყო უკურნებელი სენითა“.

4) ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ნიკიფორე იხსენიებს „ლოგოსებს“: „დედოფალმა მასზე მომხდარი გავლენის წყალობით (ე. ი. რომ იგი განიკურნა უკურნებელი სენისაგან) შეიცნო სიტყვათა ჭეშმარიტება: τὰ λήμθηξ δὲ αὐγὸν τὰν ἐν λὰ γ α ν“.

5) საგულისხმოა ისიც, რომ, როდესაც ნადირობის დროს ბურუსი ჩამოწვა, მეფემ ლოცვა-ვედრებით მიმართა „მშობლიურ ღმერთებს“ (τὸν δὲ π α τ ρ ὶ ο υ ς ἔπαρελκεῖτο φειδῶς). სხვა ისტორიკოსებსაც აქვთ აღნიშნული ეს გარემოება, ხოლო ამ ღმერთებს „მშობლიურს“ მხოლოდ ნიკიფორე უწოდებს.

სოკრატე წერს: მიმართა ღმერთებს, რომელთაც ის თაყვანს სცემდა (τὸν δὲ φειδῶς ἔπαρελκεῖτο, ἰνῆ ἔσθεβεν).

¹ საჭიროდ ვთვლით აღნიშნოთ, რომ საეკლესიო ისტორიკოსთაგან მხოლოდ სოკრატე სქოლასტიკოსია, რომ იცნობს ქართლის იბერთა და ისპანიის იბერთა ნათესაობას (ἀποικοὶ δὲ εἰσὶν Ἰβήρων τῶν ἐν Ἰσπανίᾳ) და იმასაც რომ სწული ბავშვი მეფის შვილი იყო.

'ΕΚΚΛΗΣΙΑΣΤΙΚΗ ΙΣΤΟΡΙΑ

Liber VIII, caput XXXIV

Περὶ τῶν Ἰβήρων, ὅπως
εἰς τὴν εὐσεβῆ πίστιν
ἐφωθῆγηθήσαν

VIII, 34

იბერთა შესახებ, თუ როგორ
იქნენ ისინი წარმართებული
სათნო სარწმუნოებისთვის

Ὡσπερ δὲ καὶ Ἰβηρες: ἔθνος
δὲ τοῦτ' ἐβάρβαρον τε καὶ μαχι-
μώτατον, τὰ Χριστιανῶν κατησ-
πάσαντο, Κωνσταντίνου τὴν αὐτο-
κράτορα Ῥωμαίους διέποντος.
Οἶκετ' δὲ τὸ ἔθνος τοῦτο τὰ ἐνδὲ-
τερα τῆς Ἀρμενίας πρὸς Ἄρκτον
καὶ πρὸς τὸν Εὐξείνιον ἀπονεύον-
τα πόντον¹, ἀποικοὶ ὄντες τῶν ἐν
Ἰσπανίᾳ Ἰβήρων. Ἠγήσατο δὲ
τῆς θρησκείας αὐτοῖς γυνή τις
αἰχμαλώτος· ἢ τὰ τε ἄλλα καὶ
σώφρων οὖσα, οὐδ' ἐν αἰχμαλω-
σίᾳ καθυφῆχέ τι τῆς φιλοσόφου
δαιότης, καὶ τῆς θεοσεβῶς πολι-
τείας. Νύκτωρ γὰρ καὶ μεθ' ἡμέ-
ραν πολλὴν τινα ἀσκησιν ἐπεδείκ-
νυτο· βαθεῖα τε συνέλξη νηστεία,
καὶ συντόνοις ἐκέχρητο προσευ-
χαῖς. Οἱ δὲ βάρβαροι τὸ ξένον
τῆς δαιότης ὁρῶντες ἐθαύμαζον
τὰ πραττόμενα, καὶ ὅτου χάριν
τοιαῦθ' αἰρεῖται διεπυθάνοντο.
Ἡ δ' ἀφελῶς οὕτως καὶ ἀπλῶς
οὕτω χρῆναι σέβειν Χριστὸν τὸν
τοῦ θεοῦ υἱὸν εἰσηγεῖτο. Οἱ δὲ
ἀκούοντες τὸ τε ὄνομα καὶ τὴν
θρησκείαν τοῦ τιμαμένου, ἐν
ἐκπλήξει πεποίηοντο.
ἀρῖς σαჭῖრო. თავყანის საცემელის სახელი და რწმენა რომ ესმო-
დათ, დიდს გაკვირვებას ეძლეოდნენ.

ასევე იბერებიც; ეს ტომი
ბარბაროსია და მამაცად მებრ-
ძოლო; მათ მიიღეს ქრისტიანთა
სარწმუნოება, როდესაც რომა-
ელთა თვითმპყრობელი იყო კონ-
სტანტინე. ეს ტომი ცხოვრობს
არმენიის უშინაგანეს მხარეებში,
რომლებიც მიმართული არიან
ჩრდილოეთისაკენ და ევქსინის
პონტოსკენ; ისინი არიან ისპა-
ნიის იბერთაგან ვადმოსახლებულ-
ნი. მათი წინამძღოლი სარწმუ-
ნობის საქმეში იყო ერთი ტყვე-
ქალი. ეს ქალი სხვა რამეებშიაც
სათნო და უზადო იყო და ტყვეო-
ბაშიც არ შეუწყვეტია ბრძნული
წესები და ღვთივსათნო ქცევა.
ლამითაც და დღისითაც დიდს გან-
დევილობას ამჟღავნებდა: ღრმა
მარხულობას მისდევდა და გა-
მუდმებულად ლოცულობდა. ხო-
ლო ბარბაროსები რომ ხედავ-
დნენ ცხოვრების უცხო წესს,
უკვირდით მათ ეს ამბავი და
კითხულობდნენ, თუ რის გულის-
თვის რჩეობდა ის ასეთ ცხოვ-
რებას. ის კი ეუბნებოდა, რომ
ღმერთის ძის, ქრისტეს, თავყა-
ნისცემა სწორედ ასე მარტივად

¹ ἑπόνον codd., πόντον ხვ. კონიექტურა.

Τούτων γινομένων, συνέβαινε τὸν τοῦ βασιλέως υἱὸν ἔτι νήπιον ὄντα δεινῶς ἀσθενεῖν. Ἔθει δὲ τινι ἐγγωρίῳ τὸν παῖδα ἢ μήτηρ παρὰ ταῖς ἄλλαις ἐπειπε γυναιξίν, ὡς ἂν γ' εὐπόριστος ἢ τοῦ κáινοντος ἀπαλλαγῆ γένηται.

Ὡς δὲ περιαχθεὶς ὁ παῖς ὑπὸ τῆς τροφῆς, οὐδαμῆ τὴν ἀπαλλαγὴν εὗρισκε, τέλος ἐπὶ τὴν αἰχμάλωτον ἄγεται. Ἡ δὲ παρουσίᾳ πολλῶν οὐδὲν τῶν ἐξ ἕλης ἐπιπλάστων φαρμάκων προσήγε· μηδὲ γὰρ εἰδέναι διατείνεται· ἀνακλίναςα δὲ κατὰ τὸ ἐκ τριχῶν ἐκείνη προσὸν διερρηκτὸς ἕφασμα, ἀπλοῦν προσήγεν αὐτῇ φάρμακον, τὴν κλησιν ἐκείνη ἐπάρθουσα τοῦ Χριστοῦ. Καὶ ὁ ἦδη τεθνῆξεν· ἀποδοκῶμενος παραχρημα, γενομένης εὐχῆς, ἐξάντης ἦν τοῦ δεινοῦ. Ἐξ ἐκείνου δ' ἐν φήμαις ἦν ἡ γυνή, γνῶριμὸς τε τῆ μητρὶ καθίστατο τοῦ παιδός, καὶ ταῖς ἄλλαις γυναιξὶ τῶν βαρβάρων.

განთავისუფლდა განსაცდელისაგან. ამ დროიდან ამ ქალმა სახელი გიოთქვა, ცნობილი გახდა როგორც იმ ბავშვის დედისათვის, ისე ბარბაროსთა სხვა ქალებისათვისაც.

Ὁ δὲ παλῆρ δ' ἰσχυρότερον καὶ αὐτὴν ἐκείνην τὴν μητέρα τοῦ παιδός ἀνιάτη πάθει γενομένην κατάρχετο τὸν ἴσον τρόπον διέσωσεν· παρήγει τε τοῦ λοιποῦ ἐκείνη τὸ σέβας νέμειν καὶ τὴν χάριν ἔχειν, ὅς τῶν ἀγαθῶν ἔστι πρύτανις καὶ τῆς ἀληθείας ὑγείας

ანასობაში მოხდა შემდეგი: მძიმედ გახდა ავად მეფის ძე, ჯერ კიდევ ნორჩი. ადგილობრივი ჩვეულებისდა მიხედვით დედამ გაგზავნა ბავშვი სხვა ქალებთან, რათა უფრო ადვილი გამხდარიყო ავადმყოფის მორჩენა.

მის შემდეგ რაც დიძამ ბავშვი შემოატარა სხვადასხვა ქალებთან და ვერსად პოვა მოსარჩენი საშუალება, ბოლოს ტყვე-ქალთან მოიყვანა იგი. ბოლო ამას, მრავალთა თანდასწრებით, არავითარი ნივთიერი წამლებისაგან შეზავებული რამ არ გამოუყენებია, არც ამბობდა ვიცი ასეთი რამო; მან ვახვია ბავშვი ბალნისაგან მოქსოვილ სამოსში, რომელიც ზედ ქტონდა და რომელიც უკვე დამდნარი იყო, და მის მიმართ იხმარა უბრალო წამალი: შეულოცა მას ქრისტეს სახელით. და ის, ვინც უკვე სასიკვდილოდ იყო განწირული, უცებ, როგორც კი ლოცვა იქნა შესრულებული ტყვე-ქალის მიერ,

დაარჩინა თვით ის ქალი, ბავშვის დედა, რომელიც შეპყრობილი იყო უკურნებელი სენით, მთარჩინა იმავე წესით. ბოლოს, კიდევ დაარწმუნა სათნოება გამოიჩინა და მაღლი შეეწირა იმისათვის, ვინც არის სიკეთეთა

ცოტა ხნის შემდეგ მან დაარჩინა თვით ის ქალი, ბავშვის დედა, რომელიც შეპყრობილი იყო უკურნებელი სენით, მთარჩინა იმავე წესით. ბოლოს, კიდევ დაარწმუნა სათნოება გამოიჩინა და მაღლი შეეწირა იმისათვის, ვინც არის სიკეთეთა

δοτήρ, καὶ ζώης καὶ βασιλείας
αὐτῆς. Τοῦτον δ' εἶπαι Χριστόν,
τὸν ἀληθινὸν Λόγον. Ἐπειτα καθ'
ἐκάστην φοιτῶσα, τὰ ῥωστικὰ
τῆς εὐσεβείας προσήγεν αὐτῇ
φάρμακα. Ἡ μὲν οὖν βασίλις,
πειρᾶ τοῖς ἐπ' αὐτῇ γεγενημένοις
τάληθές διαγνοῦσα τῶν Λόγων,
τὰ Χριστιανῶν ἐπρέσβευεν ἤδη,
καὶ ἐν ὑπερβαλλούσαις τὴν ἀνθρώ-
πον ἦγε τιμαίς·

Βασίλις δὲ τὸ τάχος καὶ τὸ
τῆς ὑγείας φάρμακον παρὰ τῆς
γαμετῆς μαθὼν, δῶροις ἀμείβεσ-
θαι ἤθελεν. Ἐκείνη δὲ μὴ δεῖν
αὐτοῦ χρημάτων ἔλεγεν· ἔχειν
γὰρ ἀρκούντα πλοῦτον Χριστόν·
καὶ γ' ἐν δῶροις εἶναι μεγάλους
εἶγε καὶ αὐτοὶ ἔλονται ἐπίσης
θρησκείαι. Ταῦτα λέγουσα, ὅπι-
θεν τὴν δόσιν, ἀβράν γε οὐσαν,
ἀνέπεμπεν.

Ἐνῆγε δὲ αὐτὸν ἡρέμα πως
τὸ ἐς ἐκείνου ἢ γαμετῆ, παρα-
πειθούσα τὴν καλὴν ἀπάτην κατ'
ἀντίπαλον τῆ Εὐα διακαυμένη·
ὑπετίθει γὰρ σέβειν ὅν ἢ γυνὴ
καταγγέλει θεόν, μέγαν τε ὄντα,
καὶ τοῦ ῥήσους ἔχοντα ὅπως ἀν-
θέλωι ποιεῖν· βασιλείας τε ἐν
τῷ καθεστῶτι μέναι, τοὺς τ'
ἀδῶξους ἐπιφανεῖς καθιστᾶν· καὶ
ἐκωνῶν ἔχειν τοὺς μικροὺς ἀθρόον

მიზეზი და მომნიჭებელი კვშმა-
რიტი ჯანმრთელობისა, სიკაცხ-
ლისა და თვით მეუღებისა. ეს
არის ქრისტე, კვშმარიტი სიტყ-
ვა. შემდეგ ყოველ დღე მოდიოდა
და მოჰქონდა მისთვის კეთილ-
სათნობის გამამაგრებელი წამ-
ლები. და, აი, დედოფალმა მასზე
მომხდარი გავლენის წყალობით,
შეიცნო სიტყვათა კვშმარიტება,
ქრისტეანეთა რწმენა შეიწყნარა
და ზეპარბი პატივით აავსო ეს
დედაკაცი.

ხოლო მეფემ შეიტყო თუ არა
თავისი ცოლისაგან ჯანმრთელო-
ბის წამლის სწრაფი მოქმედების
შესახებ, მოინდომა დაესაჩუქრე-
ბინა ტყვე-ქალი. მაგრამ მან გა-
ნუცხადა—შენი ფული არ მჭირ-
დებაო: მე მაქვს საკმარისი სიმ-
დიდრე—ქრისტეო; დიდი საჩუ-
ქარი იქნება ჩემთვის, თუ თქვენ
იმავე სარწმუნოებას აირჩევთო,
ეს თქვა და უკან გაუგზავნა მე-
ფეს საჩუქარი, რომელიც კარგა
დიდი იყო.

ამ დროიდან მოკიდებული
მეუღლე ნელ-ნელა უჩინებდა
მას [ე. ი. მეფეს] და უნერგავდა
ლამაზ ცთუნებას საწინააღმდე-
გოდ ევას ცთუნებისა: სახელ-
დობრ, ურჩევდა თაყვანი ეცა
იმისთვის, ვისაც ტყვე-დედაკაცი
ღმერთად აცხადებდა, რომელიც
იყო დიდი და რომელიც აღვი-
ლად აკეთებდა იმას, რასაც მო-
ისურვებდა: სამეფოებიც არსე-

μεγάλους ποιεῖν, κἄν τοῖς θεοῖς; θεασάσθαι.

ნოპყავს; მას შესწევს ძალა მცირენი სწრაჲად განადიდოს და სახი-
თათო მღვგომარეობაში მყოფენი გადაარჩინოს.

Εὐ τοῖσιν οὕτω λεγούσης τῆς
γυναίκος, ὁ τῆς Ἰηηρίας ἡγού-
μενος ἐμαλλάσσετο μὲν τοῖς λό-
γοις· ἀμφίβηλος δ' ἦν, ὑπειθόμε-
νος ναοτερῆσιν, ἀνθούμενος; τε
ἄλλως μεταλλάσσειν τὰ πάτρια.

Καὶ δὲ ποτ' ἐξελθὼν σύντακ
τοῖς ἀμφ' αὐτόν, εἰρήρα. Ὁμίχλη
δὲ τῆς βῆθεις κατὰ γῆθεις τῆς
ἔρεσ, σκότος ἐποῖαι βῆθ'· καὶ
τὸ σῆγρεφῆ; τῆς ἴλης ἀποφρά-
ξαν, γῆτῶ τῆν ἡμέραν εἰργά-
ζετο. Ἀπορος δ' ἦν ἡ θήρα, καὶ
ἡ ὄβος ἀνέξοδος. Δείσαντες δ'
ἕκαστος ἔπη ἔτυχαν ἐσκαδῆνυνο. Ἐπίσης δὲ καὶ ὁ βῆσλεῦς ἄλω-
μενος μόνος, τοῖς πατρίους ἐπε-
καλεῖτο θεῶν.

Ἔ; δ' ὀβῆν ἦπτον ἦν τὸ θεῖ-
νόν, οἷα φῆσαι γίνεσθαι, ἀπρο-
δοκῆτοῖς ἐμπασών, τὸν τῆς ἀίχμα-
λώτῶν ἐνενοῖ; ἑσόν· καὶ κατὰ
νοῦν τὸν λοιπὸν σέβειν ἕκῆνον
θενοσεῖτο, εἰ τὸ παρόν γε θεῖαθρά-
σαι κακόν.

Ταῦτ' εἰ; νοῦν βῆλλομένῳ, τὸ
μὲν σκότος εἰθῆ; ἕλῆετο λαμῆρῶ
δ' αἰθῆρα μετῖβῆλλε, τῆς ἀκτι-
νος πρῶσβῆλλοῦσης; τῆ ἴλης.

ბულ მღვგომარეობაში რჩებიან
და უღირსნიც სააშკაროოზე გა-
ნადიდოს და სახი-
თათო მღვგომარეობაში მყოფენი გადაარჩინოს.

ტყვე-ქალი რომ ასე ამბობდა,
იბერიის წინამძღოლი თანდათან
ლმობიერი ხდებოდა ამ სიტყვე-
ბის გავლენით: ხოლო მანაც მერ-
ყეობდა, ეკვით უყურებდა საიხ-
ლეს და ვერ ბედავდა მშობლიუ-
რი სარწმუნოება შეეცვალა.

და, აი, ერთხელ [ქალაქ გა-
რეთ] გავიდა თავისი ამალით სა-
ნადიროდ. რალაც სქელი ნისლი
ჩამოწვა მთებიდან და დიდი სი-
ბნელე ჩამოვარდა: უღრანი ტყვეც
აბრკოლებდა: დღეს ღანველ ატყვე-
და. შეუძლებელი იყო ნადირობა,
გზაც აღარ ჩანდა სასიარულოდ.
მხლებლებს შეეშინდათ და თი-
თოეული სადაც მოხვდა, დაიქ-
საქსნენ. აგრეთვე მეფეც მარ-
ტოდ-მარტო აღმოჩნდა და მშობ-
ლიურ ღმერთებს მოუწოდებდა
დასახმარებლად.

რადგან [ამ ლოცვა-ვედრები-
დან] არაფერი გამოვიდა, რო-
გორც ხდება ხოლმე, როდესაც
მოულოდნელად უბედურება და-
ატყდებათ, მეფეს გაახსენდა იმ
ტყვე-ქალის ღმერთი; და გონე-
ბაში გაივლო: ამიერიდან მას
ვცემ თაყვანს, თუ ახლანდელ
უბედურებას აპაცდენსო.

ეს რომ ვაიტარა გონებაში,
წყვლიადი მაშინვე გაქრა; მბრწყი-
ნავმა ცამ გამოანათა და ტყეს
სტყორცნა შექი.

Καὶ χαίρων ἐπὶ τὸν οἶκον ἔλθῶν, τῇ γυναικὶ τὸ συμβᾶν ἠδέως κατέλεγε. Καὶ αὐτίκα τὸ γύναιον μετεστέλλετο· καὶ τίνα τρόπον θρησκεύειν θερμότερον ἦται διδάσκεισθαι. Τῆς δ' εἰσηγουμένης, ὅσα γε ἦν εἰκὸς λέγειν, τοὺς ὑπ' αὐτὸν ἀθροίσας, ἐπὶ κοινοῦ τῷ πλήθει δημηγορῶν, τὰς διὰ τῆς αἰχμαλώτου γεγενημένας τῷ ἐκείνου οἴκῳ εὐεργεσίας ἐξηγγελλε. Μήπω δὲ μνηθεὶς τὰ τοῦ δόγματος, τοῖς ὑπηκόοις μετεδίδου τὰ τῆς βουλῆς· καὶ ἄρῶν τὸν Χριστὸν ὁμοῦ σέβειν φιλοτίμως ἤρουοντο.

ბის წესებს, მაგრამ ქვეშევრდომებს მოახსენა თავისი სურვილი: და იმათაც მყის ათრხიეს დიდის სწრაფვით ქრისტეს თაყვანისცემა.

Καὶ τάχος ὅσον τῆς γυναικὸς τὸ σχῆμα διαγραφάσης, ἐκκλησίαν ἀνίστων περιφανῆ. Κάκεινος μὲν τοὺς ἄνδρας, ἡ δὲ γυνὴ σὺν τῇ αἰχμαλώτῳ τὰς γυναίκας σπουδαίως ἐπὶ τὴν θρησκείαν ἐνήγγον.

როდესაც მეფე გახარებული შინ დაბრუნდა, სიამოვნებით უამბო ცოლს ყველაფერი, რაც გადახდა. და მაშინვე ის დედაკაცი დაიბარა. და დაბეჯითებით მოსთხოვა ესწავლებინა, თუ რა წესით იყო საჭირო ღვთის თაყვანისცემა. როდესაც [იმ ქალმა] განმარტა, თუ რა იყო საჭირო რომ ეთქვათ, მეფემ შეკრიბა თავისი ქვეშევრდომები, სიტყვით მიმართა ხალხს კრებაზე და განუცხადა, თუ რა კეთილი საქმეები უყო ტყვე-ქალმა მისი ოჯახს. თუმცა ის ჯერ კიდევ არ იყო ზიარებული ახალი სარწმუნოების

და მაშინვე, როგორც კი ტყვე-ქალმა გეგმა დაუხაზა, ბრწყინვალე ეკლესია ააგეს და მეფემ ვაჟაკები, ხოლო მისმა მეუღლემ ტყვე-ქალთან ერთად დედაკაცი დიდის მონდომებით [ახალ] სარწმუნოებას აზიარეს.

და მაშინვე, როგორც კი ტყვე-ქალმა გეგმა დაუხაზა, ბრწყინვალე ეკლესია ააგეს და მეფემ ვაჟაკები, ხოლო მისმა მეუღლემ ტყვე-ქალთან ერთად დედაკაცი დიდის მონდომებით [ახალ] სარწმუნოებას აზიარეს.

Περικύκλω δὲ καὶ περιβόλον ἔβαλον. Ἐπεὶ δὲ καὶ τοὺς κίονας σχοινοῖς δὴ τισιν ἀνιμῶντες ταῖς βάσειν ἤδραζον, ὁ μὲν πρῶτος καὶ δεῦτερος κίων εὐπετῶς κατὰ χάραν ἐγένετο· τῷ δὲ τρίτῳ δυσχερῆς ἦν καὶ ἐργῶδης ἡ στάσις. Οὐτε γὰρ ἐπήρκει τέχνη τῷ μηχανήματι, οὐτε μὴν τῇ βίαι τῶν ἐλκόντων ὑπήκοος ἦν, καὶ ταῦτα πολλῶν ἐφελκόμενων τοῖς μηχανήμασι·

გარშემო გალავანიც შემოართყეს. ხოლო როდესაც სვეტები რალაც თოკებით ზევით ასწიეს და საფუძვლებზე დაუშვეს, ერთი სვეტი და მეორე სვეტი მაშინვე დაეშვნენ თავიანთ ფუძეებზე; ხოლო მესამის დაშვება თავის ადგილას ძნელი და მძიმე შეიქმნა. არც მანქანური საშუალება გამოდგა, ვერც მორეველთა ძალას დაემორჩილა: ბევრნი იყვნენ, რომელნიც მანქანებით ათრევდნენ [ამ სვეტს].

‘Ὡς δ’ ἐπεγένετο νύξ, οἱ μὲν ἄλλοι πάντες οἰκάδε ἦσαν· μόνη δὲ ἡ αἰχμαλώτος τῷ χώρῳ παρέμενεν, εὐχαις ἰλουμένη τὸ θεῖον, ὡς ἂν εὐχερῆς ἡ στάσις τῷ κίονι γένοιτο. Ἄχρι γὰρ τοῦ μέσου ὀρθωθεῖς, ἐγκάρσιος ἔμενε, τῆς ἄλλης ἀρχῆς προσερισθείσης τῆς καὶ πάμπαν ἀκινήτου μενούσης. Τοῦτο δὲ προυχῶρει, ἴν’ ἤ τοις Ἰβηρσι τὰ πρότερα βέβαια καὶ τὰ περὶ τὸ θεῖον μάλλον ἐν ἀσφαλεῖ κατασταίῃ. Περὶ γὰρ τὴν ἕω εἰς τὴν ἐκκλησίαν ἰόντες, θαυμάσιον οἶον καὶ ὄνειρῳ προσειοῦδος ἀντικρυς καθεώρων. Ὁ γὰρ πρὶν ἀκίνητος κίων ὀρθὸς ἦν σμικρῷ διαστήματι, ὑπεράνω τῆς ἰδίας βάσεως αἰωρούμενος. Ἐν ἐκπλήξει δὲ πάντων γεγενημένων, καὶ τὸν Χριστὸν μόνον ἀληθινὸν ὁμολογούντων θεόν, ἐπ’ ὄψει πάντων ἡρέμα διολισθήσας αὐτόματος, καὶ κρείττον τέχνης προσηρμύσθη τῇ βάσει. Ἐπειτα δὲ καὶ οἱ λοιποὶ κίονες εὐχερῶς ἐστηρίζοντο.

ვისთავად ჩამოცოცდა და უფრო საფუძველს მიერთო. შემდეგ დანარჩენი სვეტებიც ადვილად მოერგო.

Οἱ δ’ Ἰβηρες ἐντεθεὶν σπουδῇ τῇ πάσῃ τὸ ἔργον ἐτέλουν. Ἰποτιθείσης δὲ τῆς αἰχμαλώτου πρέσβεις πέμποντες Κωνσταντῖνῳ, σπονδὰς ἤτουν, καὶ συμμαχεῖν ἤρουντο Ῥωμαίοις. Ἄνθ’ ὧν ἱερέας καὶ Θεοῦ λειτουργοὺς τῷ ἔθνει ἐδέοντο καθίσταῖν. Ἦν δὲ πρέσβεων ἐπὶ κοινῶν τὰ παρ’

რომ დაღამდა და სხვები ყველანი სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, მხოლოდ ის ტყვე-ქალი ადგილზევე დარჩა და ლოცვით ევედრებოდა ღვთაებას, რათა გაეადვილებინა სვეტის დადგმა თავის ადგილას. შუამდე, რომ გაიმართა, მოღრეცილად დარჩა. ხოლო როდესაც მეორე ბოლო მიუსწორეს, პირველიც მთლად უძრავად დარჩა. ეს რომ მოგვარდა [ამან შეუწყო ხელი იმან], რომ იბერთათვის წინათ მომხდარი უეჭველი გამხდარიყო და ღმერთის რწმენაც უფრო მტკიცედ დადგენილიყო. რომ გათენდა და ეკლესიაში მოვიდნენ, დაინახეს რაღაც საკვირველი და პირდაპირ სიზმრის მსგავსი რამ: წინათ რომ უძრავად იყო სვეტი, [ახლა] პირდაპირ იყო, ოდნავ დაშორებული, ზედ საკუთარ საფუძველზე დაკიდებული. ყველანი განცვიფრებამ მოიცვა, და ერთად-ერთ ჰეშმარიტ ღმერთად მხოლოდ ქრისტე აღიარეს, ყველას დასანახავად ნელ-ნელა თავუკეთ, ვიდრე მანქანებით, თავის ხოლო იბერებმა შემდეგ მთელი თავისი სწრაფვით საქმე ბოლომდე მიიყვანეს. შემდეგ ტყვე-ქალის რჩევით ელჩები გაგზავნეს კონსტანტინესთან და სთხოვდნენ ზავს და რომაელებთან მოკავშირეობას ირჩევდნენ. სამაგიეროდ სთხოვდნენ დაედგინა [იბერთა] ტომისთვის მღვდელნი-

ბოლო იბერებმა შემდეგ მთელი თავისი სწრაფვით საქმე ბოლომდე მიიყვანეს. შემდეგ ტყვე-ქალის რჩევით ელჩები გაგზავნეს კონსტანტინესთან და სთხოვდნენ ზავს და რომაელებთან მოკავშირეობას ირჩევდნენ. სამაგიეროდ სთხოვდნენ დაედგინა [იბერთა] ტომისთვის მღვდელნი-

ἐκείνους γινόμενα διεκθόντων, καὶ ὡς ἔτοιμοι εἰς πανδημίαν σέβειν Χριστὸν τὸ πᾶν ἔθνος, ὑπερφυῶς ἦδετο βασιλεύς· καὶ τάχος θσον ὀπίσω ἀνέπεμπε τοὺς πρέσβεις τὰ κατὰ γνώμην ἐκείνους ἀπαντα διαπεπραγμένους.

რაც შეიძლებოდა მალე უკანვე გაგზავნა ელჩები: შესრულა ყველაფერი, რასაც ისინი მოითხოვდნენ.

Καὶ τοῦτον τὸν τρόπον Ἰβήρες τὸ κατὰ Χριστὸν ἠσπάσαντο κήρυγμα· καὶ εἰσέτι νῦν προΐόντι χρόνῳ ἐπιμελῶς ἐξέχονται τοῦ σεβάσματος (Migne, PG 146, 125—129).

და ლეთისმსახურნი. როდესაც ელჩებმა საჯარო კრებაზე უამბებს ყველაფერი, რაც მათთან მოხდა, და რომ მთელი ხალხი მზად იყო საყოველთაოდ ეცნო: ქრისტეს თაყვანისცემა, მეფე ძლიან ნასიამოვნები დარჩა; და აი, ამგვარად მოხდა, რომ იბერებმა მიიღეს ქრისტეს მოძღვრება. ამდენი ხანი გავიდა და დღემდე დიდი სწრაფვით მისდევნენ ქრისტეს თაყვანისცემას.

ევაგრი პინტოელი

Περὶ Ἐθαγρίου τοῦ φιλοσόφου καὶ τοῦ βίου καὶ τῆς ἀγωγῆς αὐτοῦ

XI, 42. Μετὰ γε μὴν τὸν Σύρον Ἐφραΐμ ἐπισημοτάτῳ ἐγενέσθη καὶ τὴν κατ' ἄμφω φιλοσοφίαν Δίδυμος ὁ Ἀλεξανδρεὺς καὶ Ἐθαῖριος ὁ Αἰγύπτιος. Ἄλλὰ περὶ μὲν Διδύμου, τίς τε ἦν, καὶ ὅσα συγγράμματα καταλέλοιπεν, ἐν τῇ ἐνάτῃ μοι διείληπται τῶν ἱστοριῶν· περὶ δὲ Ἐθαγρίου βραχεία διεξελθεῖν δίκαιον, εἰ καὶ ἄμφω περὶ τὸ ὑγιὲς τῆς πίστεως δόγμα χωλαίνοντες ἦσαν, καίπερ πλείστα λόγων βέλγη κατὰ τῶν τῆς ἀληθείας ἀφιέντες ἐχθρῶν. ლობდენ, მაგრამ მეტი წილი თავიანთ სიტყვათა ისრებისა გასროლილი აქვთ კეშმარიტების მტრების წინააღმდეგ.

Οὗτος ἐξ Ἰβήρων εἰλκε τὸ γένος, οἱ περὶ τὸν Ἐὐξείνον οἰκοῦ-

ევაგრი ფილოსოფოსის შესახებ, მისი ცხოვრებისა და ყოფაქცევის შესახებ

XI, 42. ეფერემ ასურის შემდეგ ყველაზე უფრო შესანიშნავი იყვნენ ფილოსოფიის ორივე დარგში დიდიმოს ალექსანდრიელი და ევაგრი ეგვიპტელი. მაგრამ დიდიმოსის შესახებ—თუ ვინ იყო ის და რა თხზულებები დაგვიტოვა—ამაზე მე მოთხრობილი მაქვს „ისტორიების“ მეცხრე წიგნში; ხოლო ევაგრის შესახებ კი მართებული იქმნებოდა მოკლედ [მაინც] შეამზნა. თუმცა ისინი ორივენი სარწმუნოების სალი დებულების მიმართ კოჭლით იბერთაგან, რომლებიც

ეს იყო თავისი შთამომავლობით იბერთაგან, რომლებიც

თ. πάντων. Σοφός δὲ λίαν καὶ ცხოვრობენ ევქსინის პონტოს
 ἔλλόγιμος ὁ ἀνὴρ ἐγεγύνα: καὶ მიდამოებში. იყო კაცი ბრძენი
 λεπτός μὲν νοῆσαι, φράσαι δὲ τὸ და ბრწყინვალე; დახვეწილი იყო
 νοῆθὲν καὶ λίαν θεϊνός (Migne, კჳუით, ხოლო ნააზრევის გამო-
 PG, 146, 717). ჟქმაში იყო მეტად მკაცრი.

ნიკიფორე ქსანთოპულოს ცნობები ევგარი პონტოელის შესახებ

1958 წლის აპრილში აკად. კ. კვეციანი აკადემიის ერთ-ერთ სხდო-
 მაზე საჯარო მოხსენება წაიკითხა „მეოთხე-საუკუნის უცნობი ქართ-
 ველი მწერალი“, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც
 თვით იმ სხდომაზე. ისე შემდეგაც ჩვენს პრესაში და აგრეთვე უცხოე-
 თის სამეცნიერო პრესაშიც.

ზედმეტი არ იქნება, თუ შეითხველებს გავაცნობთ ამ, აქამდე უცნობ
 ქართველს, რომელიც IV საუკუნეში წამყვან როლს ასრულებდა ბიზან-
 ტიის საზოგადოებრივი აზრის მოძრაობაში.

ამ გამოჩენილ მოღვაწეზე ბევრს ლაპარაკობენ თვით ბიზანტიაში
 ჯერ კიდევ IV—VI საუკუნეებში. შემდეგ საუკუნეებშიც აგრეთვე დიდი
 მითქმა-მოთქმაა მის მოღვაწეობაზე, მის პიროვნებაზე. მის ეროვნებაზე.

შევვიძლია დავიწყოთ XIV საუკუნის ისტორიისათ, ნიკიფორე
 ქსანთოპულოსით. ის თავისი ისტორიის XI წიგნში ამბობს:

„ეფრემ ასურის (IV საუკ.) შემდეგ ყველაზე უფრო შესანიშნავი
 იყვნენ ფილოსოფიის ორივე დარგში დიდიმოს ალექსანდრიელი და
 ევგარი ეგვიპტელი. მაგრამ დიდიმოსის შესახებ—თუ ვინ იყო
 ის და რა თხზულებები დაგვიტოვა—ამაზე მე მოთხრობილი მაქვს.
 „ისტორიების“ მეცხრე წიგნში; ხოლო ევგარის შესახებ კი მართებული
 იქნებოდა მოკლედ მაინც ვეამხნა. თუმცა ისინი ორივენი სარწმუნოე-
 ბის საღი დებულების მიმართ კოჭლობენ, მაგრამ მეტი წილი თავიანთ
 სიტყვათა ისრებისა გასროლილი აქვთ ჰერმეტიკების მტრების წინა-
 აღმდეგ.“

„ევგარი იყო თავისი შთამომავლობით იბერთაგან,
 რომლებიც ცხოვრობენ ევქსინის პონტოს მიდამოებ-
 ში. იყო კაცი ბრძენი და ბრწყინვალე, დახვეწილი იყო
 ჰკუით, ხოლო ნააზრევის გამოთქმაში იყო მეტად
 მკაცრი“.

ასე ახსიათებს ევგარის XIV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი
 ნიკიფორე კალისტე ქსანთოპულოსი. ნიკიფორე სწერს ამას იმ დრო-

ბების მიხედვით, რომლებიც მრავლად მოიპოვებოდა წინა საუკუნეების მწერალთა ნაშრომებში. ასე მაგალითად, IV—VI საუკუნეთა მწერლები ხშირად ლაპარაკობენ ევაგრიზე. ეს ცნობები ჩვენ შევვიძლია შემდეგ მუხლებად ჩამოვყალიბოთ:

1) ევაგრი, ბიოგრაფების ცნობით, დაიბადა პონტოს ერთ-ერთ ქალაქში 345 წლის მახლობელ ხანებში მღვდლის ოჯახში. მეორე მხრით ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ევაგრი შთამომავლობით იბერიელი იყო (ὁντος ἐξ Ἰβήρων εἰλαε τὸ γένος). ეს ორი ცნობა რომ ერთიმეორეს შევუთანხმოთ და შევეაერთოთ, ადვილად მივიღებთ შემდეგ დასკვნას: ევაგრი პონტოს ერთ-ერთ ქალაქში დაბადებულა, მამა მისი მღვდელი ყოფილა, მაშასადამე, 345 წლისათვის საქართველოს იმ კუთხეში, სადაც ევაგრი დაბადებულა, ქრისტიანობა უკვე კარგა ფესვ-გადგმული ყოფილა, იმდენად ფესვ-გადგმული, რომ ქართველი კაცი მღვდლად ყოფილა.

2) იგივე ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ბასილი კესარიელის მიერ ევაგრი ნაკურთხი იყო მელავითნედ (ἀναγνώστης, lector), ხოლო შემდეგ გრიგოლ ნაზიანზელის (თუ გრიგოლ ნოსელის) მიერ — დიაკონად. 381 წლის შემდეგ ის კარგა ხანი ყოფილა კონსტანტინეპოლში, და მერე ეგვიპტეში ცხოვრობდა ბერად, და ამიერიდან გარდაცვალებამდე (400 წლის მახლობელ ხანებში) თავვაშობებით ჰქადაგებდა მონაზვნურ იდეებს. ჰიერონიმე თავის ცნობილ თხზულებაში (De viris illustribus) ევაგრიზე არაფერს ამბობს, ხოლო თავის ერთ წერილში¹ და პელაგის წინააღმდეგ დაწერილ დიალოგის² პროლოგში იხსენიებს მას საკმაოდ უღიერად. ეს იმით აიხსნება, რომ ევაგრი ცნობილი იყო როგორც ორიგენისტი: მას წამოყენებული ჰქონდა ორიგენისტული მოძღვრება სულთა წინასწარი არსებობის შესახებ³. ამ მხრივ უურადლებას იქცევს ნიკიფორე კალისტეს მიერ მოცემული დახასიათება ევაგრის მოღვაწეობისა. ის ამბობს: „თუმცა ისინი (დიდიმონ ალექსანდრიელი და ევაგრი) ორივენი სარწმუნოების საღი ღებულების მიმართ კოჭლობენ, მაგრამ მეტი წილი თავიანთ სიტყვათა ისრებისა გასროლილი აქვთ ჰუმარისტების მტრების წინააღმდეგ“. მაშასადამე, ევაგრი ცნობილი ყოფილა როგორც ერთგვარი მწვალებელი, ამიტომაც იყო, რომ მისი შრომები ლათინურად თარგმნა რუფინუსმა, რო-

¹ Epist. 133, 8.

² Dialogi adversus Pelagum.

³ Praeexistenz der Seelen.

მელიც ორიგენისტი იყო, და ნახევრად პელაგინელი გენადიოსიც ევაგ-
რის მოწიწებით იხსენიებს¹.

3) ევაგრი იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ ნიკიფორე
კალისტე მას იხსენიებს დიდიმოს ალექსანდრიელის გვერდით, როგორც
მის ბადალს, და მასთან ერთად თელის ეფრემ ასურის შემდეგ უვე-
ლაზე უფრო შესანიშნავ მოღვაწედ.

4) ევაგრის შრომები ადრევე ითარგმნა ლათინურად²: უკვე გენა-
დიოს მასილიელმა (V საუკ. მეორე ნახევარი) დაიწუნა ძველი თარგ-
მანი, გადაამუშავა და შეაქეთა ის (ეს ეხება ევაგრის სამ მთავარ ნაშ-
რომს). რადგან ევაგრი ორიგენესთან ერთად ოფიციალურად შეაჩვენ-
ნეს VI საუკუნეში, მისი შრომები ბერძნულ ენაზე დაიკარგა.

5) ნიკიფორე კალისტე ქსანთოპულოსი უჭებს ევაგრის მის სიბრძ-
ნეს და ჭკუას, აგრეთვე ნაზრევის გამოთქმის ოსტატობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ჩანს, დიდი ხანია იწერება
იმის შესახებ, რომ ევაგრი თავისი წარმოშობით იბერიე-
ლია. მაგალითად:

1) სოკრატე სქოლასტიკოსს (V საუკ.) თავის „საეკლესიო ისტო-
რიაში“ რამდენჯერმე ჰყავს მოხსენებული ევაგრი როგორც ავტორი
შრომებისა „მონაზონთა შესახებ“. Migne-ის „პატროლოგიაში“, სადაც
სოკრატეს „საეკლესიო“ ისტორია არის დაბეჭდილი, გამომცემელი
ერთ ადგილას ასეთ შენიშვნას ურთავს. „ევაგრი, მღვდლის შვილი,
წარმოშობილი იბერთა ქალაქიდან, რომელიც ევქსი-
ნის პონტოსთან მდებარეობს, წმ. ბასილის მიერ კესარიის
ეკლესიის მედავითნედ დანიშნული, მისი გარდაცვალების შემდეგ გრი-
გოლ ნოსელის მიერ დაკონად დადგენილი ბრწყინავდა 380 წლიდან.
გრიგოლ ნაზიანზელისაგან საღმრთო წერილის ცოდნა მიიღო, მის
მიერ დაწინაურებულ იქნა კონსტანტინეპოლის ეკლესიის მთავარდიაკვ-
ნად. ამ შემთხვევის გამო რომ ეზიარა მონაზვნურ ცხოვრებას, ამის
შესახებ გადმოგვცემს სოზომენე „საეკლესიო ისტორიის“ VI, 30-ში“
(PG 67, 521 შენიშვნა).

Migne-ი ამ შენიშვნის წყაროდ მიუთითებს: Guil. Cave³, *Histo-
ria*, vol. I, p. 227 et Ant. Pagi⁴ ad ann. 388, n. 16).

¹ RE VI, 832—33, Julicher-ის სტატია.

² ლათინურად უთარგმნია რუფინუსს, იხ. Jordan, *Geschichte der
althristlichen Literatur*. Lpz. 1911, 33. 438.

³ Cave (Guillaume), 1637—1713, ინგლისელი ისტორიკოსი, მისი მთავარი
შრომა: *Scriptorum ecclesiasticorum historia litteraria* (1688), საუკეთესო
გამოცემა ოქსფორდისა (1740—43; 2 vol. in folio).

⁴ Pagi (Antoine), 1624—1690; ბერი, ფრანგი ქრონისტი.

Migne-ის მიერ მოყვანილი ეს შენიშვნა მკვლევარებს მიღებული აქვთ, როგორც ძირითადი წყარო ევაგრის ბიოგრაფიისათვის. შევადაროთ ზემოთ მოყვანილი სიტყვები პაულის RE-ში მოყვანილ ცნობებს.

Migne

Evagrius, presbyteri filius, ex Iberorum urbe quae ad Euxinum Pontum sita est, oriundus, a S. Basilio Ecclesiae Caesariensis lector ordinatus, post eius mortem a Gregorio Nysseno diaconus factus, claruit ab anno 380.

Payly's RE

Euagrius Ponticus, geboren als Sohn eines Priesters in einer kleinen pontischen Stadt wohl um 345. Von Basilius zum Lector, von Gregor von Nazianz (oder Nyssa?) zum Diakonen geweiht, hat er sich nach 381 längere Zeit in Constantinopel aufgehalten.

ისტორიკოსი სოზომენე დაწვრილებით ლაპარაკობს ევაგრის მოღვაწეობაზე თავისი „საეკლესიო ისტორიის“ VI წიგნში (თავი 30) და ამბობს:

Ἐγένετο δὲ τῷ μὲν γένει Ἰβήρων πολίτης πρὸς τῷ καλαυμένῳ Ἐβείῳ πόντῳ.

იგი წარმოშობით იყო იბერი-თა ქალაქიდან, რომელიც [მღებარეობს] ეგრეთწოდებულ ექსინის პონტოს [სანაპიროზე].

კომენტატორი Valesius-ი¹ ამ ადგილის შესახებ წერს;

Ἰβήρων πολίτης. In codice Fuketiano scriptum est πολίτης quemadmodum Christophorus ac Savilius in suis codicibus repererant. Vulgatam tamen lectionem confirmat Palladius cap. 86, his verbis: Οὗτος τῷ μὲν γένει Ποντικός ἦν, πόλιος Ἰβήρων. Ex quo apparet Ibera nomen fuisse urbis in Ponto. Ac fortasse ea est quam Iberam vocat Constantinus Porphyrogenetus, in libro primo *De thematibus*, ubi eam tertiae Cappadociae ascribit. Hieronymus in *Epistola ad Ctesiphontem* hunc Evagrium Ponticum Hyperboritam appellat; corrupte, ni fallor, pro Hyborita. Certe in concilio Chalcedonensi inter episcopos qui subscripserunt, recensetur Uranius Iborensis, provinciae Heleno-

¹ Valois (Henri di), 1603—1676, სამეფო კარის ისტორიკოსი. ცნობილია მისი გამოცემები ვესევისა, სოკრატესი, სოზომენესი, თეოლორიტე კვირელისა და ევაგრისა.

ponti: Et in actione prima eiusdem concilii mentio fit Pauli presbyteri agentis vices Uranii episcopi 'Ιβάρων. Et ita in sequentibus actionibus, licet interdum Latini codices Iberorum vel Imerorum nomen substituant. Inter episcopos quoque provinciae Ponti qui Synodo Constantinopolitanae subscripserunt, recensetur Pantophilus Iberorum. Eadem varietas occurrit in Notitiis Graecis quae leguntur ad calcem *Geographiae sacrae* (Migne, PG t. 67, 1384—1385).

«'Ιβάρων πόλις». ფუკეტის ხელნაწერში სწერია „პოლიტის“ (და არა „პოლიოს“)... გავრცელებულ წაკითხვას მხარს უჭერს პალადიოსი (თავი 86: „ის იყო წარმოშობით პონტოელი, პόλιςაჲ 'Ιβήρων“). აქედან ჩანს, რომ იბერა უოფილა პონტოს ქალაქის სახელი. შესაძლებელია ეს იყოს ის ქალაქი, რომელსაც კონსტანტინე პორფიროგენეტი ეძახის იბორას (Iboram vocat)... ჰიერონიმე ამ ევგარი პონტოელს ეძახის Hyperborita; მე ვფიქრობ შეცდომით ეძახის ასე ნაცვლად იმისა, რომ თქვას Hyborita. მართლაც, ქალკედონის კრებაზე ეპისკოპოსთა შორის, რომლებიც ხელს აწერენ დადგენილებას, აღნიშნულია ურანიუს იბორელი, ელენოპონტის პროვინციიდან. იმავე კრების პირველ სხდომაზე მოხსენებულია ურანიუსი, ეპისკოპოსი 'Ιβάρων. და ასე შემდეგ მოხსენებებშიც. საფიქრებელია, რომ ხანდახან ლათინური ხელნაწერები ამის მაგიერ სწერენ Iberorum ან Imerorum. აგრეთვე პონტოს პროვინციის იმ ეპისკოპოსთა შორის, რომლებმაც ხელი მიაწერეს კონსტანტინეპოლის კრებას, აღნიშნულია პანტოფილე იბერთა (Pantophilus Iberorum). იგივე ვარიანტი გვხვდება ბერძნულ ნოტიციებში, რომლებიც იკითხება „წმინდა გეოგრაფიის“ ბოლოს.

Valesius-ის მსგავსად წერს: Galland, *Veterum patrum Bibliotheca* tom. VII, Proleg. p. XX: *Notitia historica et litteraria*:

Evagrius circa medium saeculi IV ortum habuit Iboris (ხაზი ჩემია), quae est urbs ad Euxinum Pontum sita, Gregorio Nysseno eiusdem Evagrii amico prae ceteris memorata his verbis: Κώμη τις ἐμοί προσήκουσα — ἔστι: τῆς πολιτικῆς ἢ γαίτων, 'Ιβάρων καλοῦσιν αὐτῆν
 „Est ad me pertinens vicus. —

ევგარი. მეოთხე საუკუნის შუაწლებში [ცხოვრობდა], წარმოშობით არის ქალაქ იბორიდან, მღებარეობს ევქსინის პონტოსთან; გრიგოლ ნოსელი, იმავე ევგარის მეგობარი, ამ ქალაქს იხსენიებს შემდეგი სიტყვებით: ეს დაბა მე მექვემდებარება.—მეზობლად არის ერთი პატარა ქალაქი, რომელსაც იბორა-ს ეძახიან. ასე იქნა შექ-

Non procul abest parva civitas, quam Iborā vocant“. Sic ver-
tendum fuerit, quod alii for-
tasse minus recte „Iboram“ red-
dunt. Est enim vox Ἰβωρα nu-
mero multitudinis accipienda,
ut probe advertit cl. Lequie-
nius. Atque huiusmodi lectio
restituenda videtur Palladio et
Sozomeno, de auctore nostro
sermonem habentibus, ubi per-
peram Ἰβήρων πόλεως aut πολι-
της pro Ἰβώρων π. hodie legi-
mus: quod quidem nuper post
alios Wesselingius vir eruditus
admonuit. Evagrius itaque civis
Iborensis, «Ponticus» dictus, ...
(Migne, PG 40, 1213—1214).

ცუელი ის, რასაც სხვები, შეიძ-
ლება არა მართებულად იბორა-დ
გაღმოვცემენ. სიტყვა Ἰβωρα თა-
ვისი სიმრავლის რიცხვით უნდა
იქნეს მიღებული, როგორც ღირ-
სეულად მიაქცია უურადლება Le-
quien-მა. აგრეთვე ასეთივე წაქი-
თხვა აღსადგენი ჩანს პალადის-
თან და სოზომენესთან, რომელ-
თაც ლაპარაკი აქვთ ჩვენს ავტორ-
ზე: იქ დღეს უმართებულად იკით-
ხება იბერთა ქალაქიდან ან მოქა-
ლაქე, ნაცვლად იმისა, რომ იყოს
იბორთა ქ. ა. ახლახან სხვების
შემდეგ ვესელინგმა, მეცნიერმა
კაცმა, იგივე გვიჩნია. ამრიგად,
ევაგრი, იბორიელი მოქალაქე, წო-
ღებული «პონტოელა»...

ჩვენ საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ კიდევ ერთი ცნობა (არსებო-
ბად, მთავარი ცნობა, ყველა დანარჩენ ცნობათა წყარო) და შემდეგ
ვიმსჯელებთ კომენტატორთა მიერ წამოყენებულ თეორიებზე. ეს ცნობა
ეკუთვნის პალადიოსს:

3) პალადიოს ელენოპოლეელი (363—430), ევაგრის მიმ-
დევარი, თავის „ლავსაიკონში“ საგანგებო თავს უძღვნის ევაგრი პონ-
ტოელს და წერს (თავი 86):

Οὗτος τῶ μὲν γένει γέγονε
Ποντικός, πόλεως Ἰβήρων, σὺδὲ
πρεσβυτέρου, ἀναγνώστης προαχ-
θεὶς παρὰ τοὺς ἀγίους Βασιλείου
τοῦ ἐπισκόπου τῆς Ἐκκλησίας
Καίσαρειας τῆς πρὸς τὸ Ἄργεα.
Μετὰ δὲ τὴν κοίμησιν τοῦ ἀγίου
ἐπισκόπου Βασιλείου προσέχων
αὐτοῦ τῆ ἐπιτηδεύτητι ὁ σφώ-
τατος, καὶ ἀπαθέστατος καὶ πάση
καιοδείᾳ λάμπων ὁ ἅγιος Γρηγό-
ριος ὁ Νυσσαεὺς ἐπίσκοπος ἀδελ-

ეს იყო წარმოშობით პონ-
ტოელი, იბერთა ქალაქიდან,
მღვდლის შვილი, წმიდა ბასილის,
კესარიის (არგეოსთან რომ არეს)
ეკლესიის ეპისკოპოსის მიერ მეღა-
ვითნედ დაყენებული. წმიდა ეპის-
კოპოსის ბასილის მიძინების შემ-
დეგ მის ნიჭს უურადლება მიაქცია
უბრძნესმა და ფრიად მიუღვამელ-
მა და ყოველი სწავლულობით
მბრწყინავმა წმინდა გრიგოლ. ნო-
სელმა, ეპისკოპოსმა, და მოცი-

φθός τὸν ἐν τῷ τῶν ἀποστόλων ქულთა პატივის მქონე ბასილი
 Βασιλείου τὸν ἐπισκόπου, προχει- ეპისკოპოსის ძმამ და აკურთხა იგი
 ῥίξεται τὸντον δῆκονον (Migne, ღიაკენად.
 PG 34, 1188).

თუ როგორ ესმოდათ მაშინდელ ბერძნულ წყაროებს „იბერია“ და
 „იბერნი“, ე. ი. რომ „იბერია“ მარტო ქართლს კი არ ნიშნავდა,
 არამედ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ზღვისპირა მხარესაც, ეს
 ნათლად ჩანს ეპიფანე კონსტანტინეპოლელის თხზულები-
 დანაც.

მერვე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსმა ეპიფანე მო-
 ნაზონმა დაგვიტოვა „ანდრია მოციქულის ცხოვრება“, რომელშიც
 აღწერილია მოციქულთა ქადაგება საქართველოს მხარეებშიც.

ქვემოთ მოგვეყვას ის ადგილები ეპიფანეს შრომიდან, სადაც მოთხ-
 რობილია მოციქულთა ქადაგების შესახებ საქართველოს მხარეებში:

ნაწყვეტი პირველი: „ხოლო ეპიფანე კვიპრელი ამბობს—
 გადმოცემის მიხედვით—რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამო-
 ძღვრა სკვითები, სოკდიანები და გორსინები დიდ სებასტოპოლში,
 სადაც არის აფსაროსის ბანაკი, და ნავსადგური ისოსი, და მდინარე
 ფაზისი. იქ ცხოვრობდნ იბერები, და სუსები, და ფუსტები, და
 ალანები“.

ნაწყვეტი მეორე: „ხოლო იგი [ანდრია] წამოვიდა ამისოდან
 და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში... იქიდან წამოვიდა და
 შეჩერდა იბერიაში; მის შემდეგ რაც მან ზღვის პირის მცხოვრებნი
 მრავალნი განანათლა. ის ჩავიდა იერუსალიმში“.

ნაწყვეტი მესამე: „ხოლო დანარჩენებმა [მოციქულებმა] მო-
 იარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და ჩავიდნენ
 იბერიაში და ფაზისში. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ—სუ(ს)ა-
 ნიაში. ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამ-
 ყოლია ქალის ბუნება, და ისინიც მალე დამორჩილდნენ [მოციქულთა
 მოძღვრებას]. მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა
 და სასწაულებს ახდენდა. ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალა-
 ნიაში და ქალაქ ფუსტაში. იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს, მრ-
 ვალნი დამოძღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში. დიდ სებასტოპოლში რომ
 ჩავიდნენ, იქადაგეს ღვთის სიტყვა“.

ამ ნაწყვეტებში გარკვევით არის ნათქვამი:

1) იმ მხარეში, სადაც არის დიდი სებასტოპოლი, აფსარის ციხე,
 პისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი [ეს ხომ სულ დასავლეთი
 საქართველოა, ლაზიკის ადგილებია], „მოსახლეობენ იბერიელები,

სუსები, ფუსტელები და ალანები* (ნაწყვეტი პირველი). ამ ნაწყვეტში მოხსენებულია მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დასახლებული ადგილები; ამიტომ ის ტომები, რომლებიც აქ მოსახლეობენ. რასაკვირველია, დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომები არიან. ასე რომ აქ მოსახლე „იბერიელები“ ქართლის იბერიელები კი არ არიან, არამედ დასავლეთ საქართველოში მოსახლე იბერიელები.

2) მეორე ნაწყვეტი ეპიფანეს შრომისა მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ანდრია მოციქულმა ქრისტიანობის ქადაგების მიზნით მოიარა ამისო და ტრაპეზუნტი, ლაზიკის ქალაქი, და იქიდან წავიდა იბერიაში. აქვე ნათქვამია: „მის შემდეგ, რაც მან ზღვის პირის მცხოვრებნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“. აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ იბერიის მცხოვრებნიც არიან ზღვის პირას მცხოვრებნი.

3) მსგავსად პირველი ნაწყვეტისა მესამე ნაწყვეტიც აღნიშნავს, რომ იბერია დასავლეთ საქართველოშია. სახელდობრ, იქ ნათქვამია: „ჩავიდინენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუნაიაში. მაშასადამე, ერთ კუთხეში არიან მოხსენებული: იბერია, ფაზისი და სუნაითი“ ამის შემდეგ სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, აქედან გადავიდნენ აბაზგიაში, სადაც არის დიდი სებასტოპოლი.

მაშასადამე: ამ მესამე ნაწყვეტში სამი სამარშრუტო ერთეულია.

ა) იბერია, ფაზისი და სუნაითი. აქ ამათხე ნათქვამია, რომ „ამ ტომის მამაკაცებს მგრძანებლობენ ქალები“. ამის დამწერს, უთუოდ, ხედველობაში ჰყავს ამორძალები, რომელთაც შიშები ათავსებენ დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში.

ბ) ალანია და ქალაქი ფუსტა. ძველი ფუსტის მხარე უნდა იყოს დაახლოვებით მისიმიელთა მხარეში ან მის მეზობლად; შეიძლება უფრო შიანლოვებით გვეთქვა—ფუსტა უნდა უოფილიყო სოხუმის რაიონის მეზობელ მხარეში.

გ) აბაზგია. აქ იყო დიდი სებასტოპოლისი.

ეს სამი სამარშრუტო ერთეული რომ მოიარა ანდრია მოციქულმა, მერე წავიდა ჯიქეთში, რომელიც აბაზგიის ჩრდილოეთით მდებარეობდა:

აქვე მოგვავს ეპიფანე კონსტანტინეპოლის შრომიდან ის სამი ნაწყვეტი, რომლებიც აქ აღძრულ საკითხს ეხება¹.

¹ ეს ნაწყვეტები ჩვენ მიერ გამოქვეყნებულია 1941 წელს: „გეორგია“, ტ. IV, ნაკვეთი პირველი, გვ. 57—59.

ანდრია მოციქული საქართველოში

Τοῦ δὲ ἁγίου Ἐπιφανίου ἐπισκόπου Κύπρου λέγοντος ὡς ἐκ παραδόσεως ἔχειν, τὸν μακάριον ἀπόστολον Ἀνδρέαν διδάσκει Σκύθας, Κοσσογδιανούς¹ καὶ Γορσινούς ἐν Σεβαστοπόλει τῆ μεγάλης, ὅπου ἐστὶν ἡ παρεμβολή Ἀφρόδου καὶ Ὑόσου λιμῆν καὶ Φάσις ποταμός· ἔνθα οἰκοῦσιν Ἰβηρος καὶ Σοθοὶ καὶ Φοδοτοὶ καὶ Ἄλανοὶ (PG 120, 221).

Ἀπάρας δὲ ἀπὸ Ἀμισοῦ ἦλθεν εἰς Τραπεζοῦντα, πόλιν τῆς Λαζικῆς... Ἐκεῖθεν ἀπάρας εἰς Ἰβηρίαν διέτριψεν· καὶ πολλοὺς φωτίσας διὰ τῆς παρὰ θάλασσαν ὁδοῦ ἦλθεν εἰς Ἱεροσόλυμα (PG 120, 223—229).

Καὶ μετὰ τὴν Πεντηκοστὴν Ἀνδρέας καὶ Σίμων ὁ Χανανίτης καὶ Ματθίας καὶ Θαδδαῖος ἴρυσιν ἐκεῖ πρὸς Ἀβγαρον οἱ δὲ λοιποὶ διερχόμενοι τὰς πόλεις διδάσκοντες καὶ θαυματουργοῦντες κατήλθον εἰς Ἰβηρίαν καὶ εἰς τὸν Φάσιν, καὶ μεθ' ἡμέρας εἰς Σου(σ)ανίαν. Οἱ δὲ ἄνδρες τοῦ ἔθνους ἔκινον ὑπὸ τῶν γυναικῶν ἔκρατοθντο. Ἐπίσειθῆς δὲ ἡ γυναικεία φύσις, καὶ τάχυ ἐπήκουσαν.

Ἔμεινε δὲ ὁ Ματθίας σὺν μαθηταῖς εἰς τὰς χώρας ἐκείνας διδάσκων καὶ ποιῶν θαύματα πολλὰ.

Ὁ δὲ Σίμων καὶ Ἀνδρέας ἀπήλθον εἰς (Σ)αλαμίαν καὶ εἰς Φοδοσίαν πόλιν. Καὶ πολλὰ θαύματα ἐργασάμενοι καὶ πολλοὺς μαθητεύσαντες ἀπήλθον εἰς Ἀβασίαν. Καὶ ἐσελθόντες εἰς Σεβαστόπολιν τὴν μεγάλην ἐδίδαξαν τὸν λόγον τοῦ θεοῦ (PG 120, 242—244).

ხოლო წმინდა ეპიფანე, კვიპრელი ეპისკოპოსი ამბობს—გადმოცემის მიხედვით—რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები, სოფდიანები და გორსინები დიდ სევასტოპოლში, სადაც არის აფხაროსის ბანაკი, და ნეესადგური, ისოსი და მდინარე ფაზისი. იქ ცხოვრობენ იბერები; და სუსები, და ფუსტები, და ალანები.

ხოლო იგი წამოვიდა ამისოდან და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში... იქიდან წამოვიდა და შეჩერდა იბერიაში; მის შემდეგ რაც მან ზღვისპირას მცხოვრებნი მრავალი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში.

სულიწმიდის მოყენის შემდეგ ანდრია და სიმონ კანანელი და მათე და თადეოსი დარჩნენ იქ აფგაროსთან; ხოლო დანარჩენებმა მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუ(ს)ანიამში. ამ ტომის მამაკაცებს მძრამანებლოდნენ ქალები. ადვილად დამორჩილნი ქალის ბუნება, და ისინიც მალე დამორჩილდნენ (მოციქულთა მოძღვრებას).

მათე მოწაყვებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა.

ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში. იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს, მრავალნი დამოძღვრეს და წავიდნენ აბასგიაში. დიდს სევასტოპოლში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთოს ხატებს.

¹ ასეა ხელნაწერში (Κοσσογδιανούς), ხოლო საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ეწერა καὶ Σογδιανούς.

ზემოთ მოტანილი მსჯელობა ევაგრი პონტოელის წარმომავლობისა და ამასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგვიძლია შევაჯამოთ შემდეგი დებულებების სახით.

1. მეოთხე საუკუნის მოღვაწის ევაგრი პონტოელის ბიოგრაფიაში მოხსენებულია, რომ ევაგრი წარმოშობით პონტოელი იყო, იბერთა ქალაქიდან (τῆ γένει Ποντικῆς ἦν, πάλαιος Ἰβήρων) (პალადიოსი თ. 86).

2. მეხუთე საუკუნის ისტორიკოსებიც, მსგავსად პალადიოსისა, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ევაგრი იბერიელი იყო (ἐγένετο δὲ τῆ μὲν γένει Ἰβήρων πολίτης πρὸς τῆ καλομένην Ἐβξείνῃ πόντῳ—სოზომენე VI, 30).

3. საშუალო საუკუნეების ზოგი ფილოლოგოსი დაეჭვდა დასავლეთ საქართველოში იბერთა არსებობის საკითხში და წარმოადგინა კონიექტურა: (Ἰβήρων-ის ნაცვლად Ἰβήρων). ამით მათ თქვეს, რომ ევაგრი იბერიელი კი არ იყო, არამედ ქალაქ იბორიდან.

4. ამ ფილოლოგოსთა ეს მოსაზრება ყოველად უსაფუძვლოა: იბორა, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, შედიოდა მესამე კაპადოკიაში და ის არ შეიძლება ყოფილიყო შავი ზღვის ნაპირას (πρὸς τῆ καλομένην Ἐβξείνῃ πόντῳ).

5. როგორც წყაროებიდან ჩანს, ბერძენ-რომაელ მწერლებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ იბერია ერქვა არა მარტო ქართლს, არამედ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მხარესაც იბერია ეწოდებოდა. ასე, მავალითად:

ა) პლინიუსით XI, 11: „ამ მხარეში მთებს იქით მდებარეობს იბერია, ხოლო სანაპიროზე ცხოვრობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები... კოლხთა ტომები“;

ბ) ისტორიკოსი ეპიფანე (VIII ს.): „ანდრია მოციქულმა იქადაგა სკვითებს შორის, სოგდიანებთან და გორსინებთან დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარია, ნავსადგური ისოსი და მდინარე ფაზისი. იქ ცხოვრობენ იბერები, სუსები, ფუსტები და ალანები“;

გ) იმავე ეპიფანესთან სწერია: „დანარჩენმა მოციქულებმა მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და მოვიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ჩავიდნენ სვანეთში“.

6. მეხუთე მუხლში მოხსენებული მასალები იბერიისა და იბერთა ქვეშ გულისხმობენ დასავლეთ საქართველოს მხარეს და ამ მხარის მცხოვრებლებს.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ უაღრესად შემცდარი და ღღემღე მოქმედი თეორია დასავლეთ საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ: დასავლეთი საქართველო დასახლებული იყო არა მარტო მეგრულ-ჭანური ტომებით, არამედ იბერიელებითაც¹.

აბაზგების გაქრისტიანება

XVII, 13. Ἰστοροί δὲ καὶ Ἀβασγοὺς τηρικαῦτα τὰ Χριστιανῶν ἐλέσθαι, καὶ πρὸς τὸ ἡμερῶτερον τὴν δίαιταν μεθαρμωσασθαι· καὶ τινα δ' εὐνοῦχον Εὐφρατᾶν θνομα, ἐκ τοῦ γένους ἐκείνων σφίσι διαπέμψαι· ἀπαγορευόντα μηδένα τοῦ λοιποῦ τῆς ἀρβένωπιას στερεῖσθαι, σιδηροῦ καταδικάζοντος. Καὶ γὰρ οἱ πλείστοι τῶν ἐν ταῖς βασιλικαῖς διαπονουμένων κοιτῶσιν, οἷς εὐνοῦχους θέμις καλεῖν, ἐκ τοῦ ἔθνους τούτου καθεστῶτες ἦσαν. ოთახებში მსახურებენ, რომელთაც ჩვეულებრივ ევენუხებს ვუწოდებთ, სწორედ ამ ტომის კაცთაგან არიან დაყენებული.

Τότε δὲ καὶ Ἰουστινιανὸς ἱερὸν τῆ θεοτόκῃ ἐν τῆ Ἀβασγῶν δευμάμενος, κάλλει δὲ καὶ μεγέθει ἐξέχον, ἱερέας τε καὶ τᾶλλα τῆς θρησκείας καλῶς κατεστήσατο· ἐξ οὗ συνέβη κακείνοις ἐς ἀκρίβειαν τὰ τῶν Χριστιανῶν δόγματα ἐξασκησαι (Migne, PG 147, 256).

XVIII, 13. (პროკოპი) მოგვითხრობს, რომ მაშინ აბაზგებმა აირჩიეს ქრისტიანთა მოძღვრება, და თავიანთი ცხოვრება უფრო უმჯობესად გარდაქმნეს. და ერთი ევენუქი გაუგზავნა მათ [იუსტინიანემ], სახელად ეფრატა, მათივე ტომისა; მას უნდა აეკრძალა, რომ ამიერიდან არავისთვის წაერთმიათ მამაკაცობა, არ უნდა ეხმარათ რკინა, ამისთვის სიკვდილით დასჯა იყო განკუთვნილი. და მეტიწილი იმათგან, ვინც სამეფო საწოლი მაშინ იუსტინიანემაც ღვთისმშობლის სახელობაზე ტაძარი ააგო აბაზგთა ქვეყანაში, რომელიც გამოირჩეოდა სილამაზით და სიდიდით, და როგორც მღვდლები ისე სხვა ყველაფერი, რაც სარწმუნოებას ეხება მშვენივრად მოაწყო, ამიტომაც არის, რომ მათში ქრისტიანული დოგმატები ზედმიწევნით სრულდება.

მაშინ იუსტინიანემაც ღვთისმშობლის სახელობაზე ტაძარი ააგო აბაზგთა ქვეყანაში, რომელიც გამოირჩეოდა სილამაზით და სიდიდით, და როგორც მღვდლები ისე სხვა ყველაფერი, რაც სარწმუნოებას ეხება მშვენივრად მოაწყო, ამიტომაც არის, რომ მათში ქრისტიანული დოგმატები ზედმიწევნით სრულდება.

¹ ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. მასალები, გამოქვეყნებული: „გეორგია“ ტ. II (თბ. 1965), გვ. 25—26; „გეორგია“ ტ. VI (თბ. 1968), გვ. 131—132 შენ.

ნიკიფორე ქსანთოპულოსის ცნობა აბაზგების მოქცევაზე

XVII წიგნის მეცამეტე თავში, საღაც ლაპარაკია სხვადასხვა ტომთა მოქცევაზე, ნიკიფორე გადმოგვცემს აბაზგთა გაქრისტიანებაზედაც. ეს ცნობები ამოღებულია პროკოპი კესარიელის „ისტორიიდან“. ამას ის თვითონ წერს: ...*Προκοπίου και ταυτα καθιστορήσαντος...* *Ἰστορεῖ δὲ και Ἀβασγοὺς τηρικαῖτα τὰ Χριστιανῶν ἐλέσθαι.*

ესეც რომ არ იყოს, საკმარისია აღამიანმა შედაროს ნიკიფორეს ცნობა „სპარსთა ომის“ II წიგნში მოთავსებულ ტექსტს, რომ ღარწმუნდეს იმაში, რომ ნიკიფორე მთლიანად ემყარება, ამ შემთხვევაში, პროკოპი კესარიელს.

ნიკიფორე

პროკოპი

...*Ἀβασγοὺς τηρικαῖτα τὰ Χριστιανῶν ἐλέσθαι, και πρὸς τὸ ἡμερώτερον τὴν διαίταν μεταρρυθμισσῆσθαι. Καί τινα δ' ἐθνῶν Εὐφρατῶν ὄνομα, ἐκ τοῦ γένους ἐκείνων σφίσι διαπέμψαι ἀπαγορεύοντα μηδένα τοῦ λοιποῦ τῆς ἀρρενωπίας σιερεῖσθαι, σιδήρου καταδικάζοντος...* *Τότε δὲ και Ἰουστινιανὸς ἱερὸν ἐν τῇ Θεοτόκῳ ἐν τῇ Ἀβασγῶν δειμῶμενος ...ἱερέας τε και εἰλλὰ τῆς θρησκείας καλῶς κατεσκήσατο.*

Ἐπὶ τούτου δὲ Ἰουστινιανὸς βασιλευσθεος ἀπαντὰ Ἀβασγοῖς ἐπὶ τὸ ἡμερώτερον τετόχηε μεταρρυθμισσῆσθαι. Τὰ τε γὰρ Χριστιανῶν δόγματα εἰλοντο και αὐτοῖς Ἰουστινιανὸς βασιλευσθῶν τινα ἐκ Παλατίου ἐθνῶν στείλας, Ἀβασγῶν γένος, Εὐφρατῶν ὄνομα τοῖς αὐτῶν βασιλευσθαι διαρρηθῆναι ἀπειπμηδένα τὸ λοιπὸν ἐν τούτῳ τῷ ἔθνε τὴν ἀρρενωπίαν ἀποφιλοδοῦσθαι, σιδήρῳ βιαζομένης τῆς φύσεως... *Τότε δι' Ἰουστινιανὸς βασιλευσθῶν και ἱερὸν ἐν Θεοτόκῳ ἐν Ἀβασγοῖς οἰκοδομησάμενος, ἱερεῖς τε αὐτοῖς καταστράσμενος.*

ნიკიფორე გრიგორასი

ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიფორე გრიგორასი (Νικηφόρος ὁ Γρηγοριτζ) XIV საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალთაგანია. მისი ნაწერები ეხება ცოდნის შრავალ დარგს: თეოლოგიას, ფილოსოფიას, ასტრონომიას, ისტორიას, რიტორიკასა და გრამატიკას. გარდა ამისა თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ დროს გაცხოველებულ საეკლესიო დავაში და გარკვეული რეპრესიებიც განიცადა.

გრიგორასი დაიბადა 1290—91 წელს პონტოს ჰერაკლეაში¹. ჯერ კიდევ ბავშვი იყო რომ დაობლდა და მისი აზორდა იკისრა მისმა ბიძამ (დედის ძმამ) იოანემ, ჰერაკლიის ეპისკოპოსმა. პირველი განათლება გრიგორასმა მიიღო ჰერაკლეაში თავისი ბიძის ხელმძღვანელობით, ხოლო ოცი წლის რომ შეიქმნა იგი, ბიძამ კონსტანტინეპოლში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. აქ ორმა პიროვნებამ ითამაშა დიდი როლი გრიგორასის განათლების საქმეში და მისი საზოგადოებრივ-იდეოლოგიური ცხოვრების წარმართვაში; ესენი იყვნენ იოანე გლიკა და დიდი ლოგოთეტი თეოდორე მეტოხიტი. იოანე გლიკა სწავლული გრამატიკოსი და რიტორი იყო და მისგან ისწავლა გრიგორასმა გრამატიკა და

¹ გრიგორასის ცხოვრების შესახებ ცნობები მოიპოვება თვით მისავე თხზულებებში, უმთავრესად მის „ისტორიაში“ და „წერილებში“. ეს ცნობები თავმოყრილია R. Guiland-ის მიერ მის ნარკვევში: *Essai sur Nicéphore Grégoras. L'homme et l'oeuvre*. Paris, Geuthner 1926. XL+308. ამ ნაშრომში კრიტიკამ აღნიშნა მთელი რიგი შეცდომები და შეუსაბამობანი, დაიწერა რამდენიმე დაწვრილებითი რეკენზია:

Georg Ostrogorsky: *Deutsche Literaturzeitung* 4 (1927), Sp. 1679—1701.

F. Dölger: *Historisches Jahrbuch* 47 (1927), 760—766.

L. Bréhier: *Journal des Savants* 1928, S. 35—40.

N. Iorga, *Revue hist. du Sud—Est Européen* 4 (1927), 385—389.

K. Ἐλευθερίου: *Ἐπετηρίς Ἐταιρείας Βυζαντινῶν Σπουδῶν* 4 (1927), 365—369.

R. Draguet: *Revue d'histoire eccl.* 23 (1927), 876—879.

V. Laurent: *Échos d'Orient* 27 (1928), 123—126.

რიტორიკა, ხოლო XIV საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა თეოდორე მეტოხიტმა ასწავლა მას ფილოსოფია და ასტრონომია.

გრიგორასს ურადლება მიაქცია, თეოდორე მეტოხიტის წყალობით, კეისარმა ანდრონიკე II-მ (1282—1328 წ.წ.), რომელიც დიდად სწყალობდა მეცნიერებასა და ლიტერატურას. გრიგორასი 27 წლისა იყო, როდესაც იგი წარუდგინა კეისარს მეტოხიტმა. აქ მან სახობტო სიტყვით მიმართა ანდრონიკეს¹:

მე რომ ვიცოდე, უძლიერესო მეფეე—უთხრა გრიგორასმა—რომ ჩვენს დროში არიან ისეთები, რომელთაც შეუძლიათ ღირსეულად ადიდონ შენი სიდიადე, მე არასგზით არ გავბედავდი გამომეთქვა ის, რის თქმასაც ვაპირებ, და ღუმილს ვამჯობინებდი. მე სიამოვნებით დავუთმობდი ამ საქმეს იმათ, რომელთაც შესწევთ უნარი ღირსეულად შეაქონ შენი საქმენი. მაგრამ ვინაიდან შენი ღირსებების სიმრავლის წინაშე უძლურია ადამიანის ყოველივე სიტყვა და ვინაიდან მე არ მეგულება არავინ, ვისაც შეეძლოს მიახლოებით მაინც ჩასწვდეს შენს ღირსებებს, ამიტომ, ვფიქრობ, არავინ დამძრახავს, თუ მე ვიკისრებ ამ მოვალეობას. უცნაური კია, რომ მე ვკიდებ ხელს ისეთ საქმეს, რაც ჩემს ძალღონეს აღემატება, მაგრამ, მეორე მხრით, 'არ იქნება გასაკვირალი, თუ მე უძლური აღმოვჩნდები სხვებთან ერთად. ვინც შენი საქმეების ღირსეულად შექებას განიზრახავს, მას უნდა ეუსურვოთ ჰქონდეს ისეთივე ნიჭი მჭევრმეტყველებისა, როგორიც გაქვს შენ...'. ასე დაიწყო თავისი სიტყვა გრიგორასმა და შემდგომ შეადარა ანდრონიკე ყველა ცნობილ მოაზროვნეს და მოღვაწეს (პლატონს, სოკრატეს, ზენონს, თემისტოკლეს, მილტიადეს...), რომლებიც ყველანი ანდრონიკეზე უფრო სუსტნი აღმოჩნდნენ; ანდრონიკეს სასახლე, თავშესაფარი აზრისა და სიტყვისა, სიბრძნისა და განათლებისა, შეადარა აკადემიას, ლიკეონს, სტოას, რომლებიც არარანი აღმოჩნდნენ ანდრონიკეს სასახლის წინაშე.

1326 წ. ანდრონიკე II-მ სერბიაში გააგზავნა გრიგორასი ელჩად. 1328 წ. ნიკიფორემ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მთავრობის რისხვა დაიმსახურა და იძულებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორებოდა. მხოლოდ 1330 წელს საშუალება მიეცა დაბრუნებოდა

¹ გრიგორასი თვითონ წერს ამის შესახებ: «და, აი, მე გავემგზავრე მეფესთან, უკვე 27 წელი მისრულდებოდა დაბადებიდან. ყოველი მოლოდინის გარეშე მიღებულ ვიქმენ მეფის მიერ, და მე მაშინვე მისი მჭევრმეტყველებისა და სიბრძნის შესაქებად სიტყვა წარმოვთქვია (ისტორია VIII, 8).

საზოგადოებრივ ცხოვრებას; იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ეკლესიათა უნიის გარშემო წარმოებულ მოლაპარაკებაში და იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა გრიგოლ პალამას წინააღმდეგ.

ნიკიფორე გრიგორასი გარდაიცვალა 1360 წელს.

ნიკიფორეს მთავარი ნაწარმოებია *Ἐπιστολὴ Παλαιᾶ*, რომელიც 1204—1359 წლების ამბებს აგვიწერს და რომელიც, ერთგვარად, გიორგი პახიმერეს „ისტორიის“ გაგრძელებასა და შეესაბამება წარმოდგენს.

ნიკიფორე გრიგორასის „ისტორია“ იწყება ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის აღებით, ე. ი. 1204 წლით. „ისტორიას დავიწყებ—ამბობს გრიგორასი—სამეუფო ქალაქის აღებით, რაც მოხდა—ვაი, უბედურებაჲ!—ლათინთა წყალობით“. რაც ჩემზე წინ მოხდა—და რაც მე გავიგე ჩემი უფროსი თანამედროვეებისაგან, იმას მოკლედ გადმოგცემთო—ამბობს ისტორიკოსი,—იმიტომ რომ ის ძველი ამბავი ან სხვების მიერ¹ უკვე არის მოთხრობილი, ან რადგან მეშინია რამე შეცდომა არ დაეწვაო. ხოლო ის, რისი თანამხილველიც ჩვენ ვიყავით, ვეცდებით გადმოგცეთ რაც შეიძლება უფრო დაწვრილებითო. მისი პირადი დაკვირვებები ეხება 1351—1359 წლების ამბებს.

მიუხედავად ზოგიერთი საკითხის დროს გრიგორასის მიერ გამოთქმულ უაღრესად აკვიატებული აზრებისა, მისი „ისტორია“ მაინც უნდა ჩაითვალოს ძირითად წყაროდ XIV საუკუნის პირველი ნახევარისათვის.

* * *

საგულისხმოა ნიკიფორე გრიგორასის შეხედულება ისტორიკოსის დანიშნულებაზე. გრიგორასის აზრით, ისტორიკოსისათვის ჭეშმარიტება იგივეა, რაც ცხოველისათვის თვალი. ისტორიკოს ჭეშმარიტების საკითხი უნდა ახსოვდეს ყოველთვის ორი მიზეზის გამო:

1. პირველ ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ის, რასაც მომავალ თაობებს გადავსცემთ როგორც ნიმუშსა და წესს, არ აღმოჩნდეს მავნე და დამღუპველი.

2. ისტორიკოსს ყველაფერი სწორად და ზედმიწევნით უნდა აქონდეს მოთხრობილი. მცირეოდენი რამ სიყალბე, შემჩნეული ისტორიკოსის მონათხრობში, საბაბს მისცემს სხვებს მთელი ნაშ-

¹ აქ ის გულისხმობს, ალბათ, გიორგი აკროპოლიტეს, გიორგი პახიმერეს და ზოგიერთ ჩვენთვის უცნობ ისტორიკოსსაც.

რომი აიგდონ სასაცილოდ და ილაპარაკონ, რომ არაფერი მართალი არ სწერია ამ ნაშრომშიო (I, 1).

ასეთ მოთხოვნებს უყენებს გრიგორასი ისტორიკოსს და პასუხისმგებლობის შეგნებით აფრთხილებს მას ყალბი ცნობები არ გაეპაროს თავის ნაშრომში. „ძალიან მიკვირდა მე იმათი საქციელი—ამბობს გრიგორასი,—რომლებიც ასე იოლად სწერენ ხოლმე ყალბ სააუგო და სალანძღავ ამბებს; მარტო ენით გამოთქმულ ლანძღვას მაშინვე იტაცებს ქარი და ფანტავს ჰაერში; ხოლო ის ლანძღვა-გინება, რომელიც ხელნაწერებსა და წიგნებში იწერება, მძიმე ტვირთად აწევება იმათ, რომელთაც ლანძღავენ, რადგან დაწერილი უფრო მერტ მნიშვნელობას პოულობს და დიდი ხნით რჩება ძალაში“ (I, 1).

გრიგორასს სამარცხვინო საქციელად მიაჩნია ისტორიკოსისათვის ასეთი ყალბი ცნობების მიწოდება მკითხველისათვის, უსამართლოდ ლანძღვა და გინება. გრიგორასის აზრით, მკითხველი ადვილად ხედება, რომ ასეთ შემთხვევაში ისტორიკოსები იმის მაგიერ, რომ ჭეშმარიტებას ღალატებდნენ, ფიქრობენ ფონს გავიდნენ იმ ადამიანთა გაკიცხვით და მიწასთან გასწორებით, რომელთაც არაფერი დაუშავებიათ. ეს იმას ჰგავს—ამბობს გრიგორასი—რომ ადამიანს საშუალება ჰქონდეს მიწაზე არხეინად იცხოვროს და ამის მაგიერ ატლანტის ზღვაში გავიდეს და ქარიშხლის ნაფარდს მისცეს თავი.

ის ისტორიკოსი, რომელიც სააუგო და სალანძღავ სიტყვებს სწერს სხვებზე, არა მარტო ამ უკანასკნელთ ვნებს, არამედ თავის თავსაც, რადგან მკითხველთა შორის ხომ მოიპოვებიან საღი გონების მქონენიც, რომლებსაც ძალუძთ გაარჩიონ ავი და კარგი. ამათ თვალში ყალბი ლანძღვის ჩამწერი ისტორიკოსი უთუოდ ცუდ ადამიანად ჩანს.

მაგრამ ასეთი რამ მოსდის უთუოდ ცუდ ისტორიკოსს, ნაკლები ნიჭის მქონეს, სუსტს ან ჩლუნგს. „მე გამიგონია ძველთ ბრძენი ხალხის ნათქვამი, რომ, ვინც ხელს ჰკიდებს კალამს, უნდა მიბადოს კარგ მხატვარს: კარგი მხატვარი კიდევაც რომ ხედავდეს დასახატ დედანში რაიმე ბუნებრივ ნაკლს, სხეულის რომელიმე ნაწილის რაიმე მანკს, ყველაფერს ზედმიწევნით კი არ გადაიტანს სურათზე; ზოგს წაუმატებს. რომ უფრო მეტი იყოს მსგავსება, ზოგ რამეს მიჩქმალავს, რომ მნახველს თვალში არ ეცეს ბუნებრივი მანკი და ამით საბაბი მისცეს ოხუნჯობისა და დაცივნისათვის. ის კჳუსი კოლოფები კი (ლაპარაკია ზემოთ ხსენებულ ისტორიკოსებზე), თავისი უფიცობით თუ ჭეშმარიტებისადმი მტრული დამოკიდებუ-

ლების გამო, არა თუ მცირე ცოდვებს დუმილით არ ჩაუვლიან ხოლმე, არამედ ისეთ რაშეებსაც კი სწერენ, რაც ნამდვილად არ მომხდარა. აი, ასე ამგლავნებენ ისინი თავის მტრულ დამოკიდებულებას ქეშმარიტებისადმი¹.

ნიკიტორე გრიგორასის „ისტორიის“ შემდეგი გამოცემებით ვსარგებლობთ:

Nicephori Gregorae Byzantina historia, cura L. Schopeni I—II, Bonnae 1829—30 (აკ არის I—XXIII წიგნები).

Nicephori Gregorae historiae Byzantinae libri postremi ab I. Bekker nunc primum editi, Bonnae 1855 (აკ არის XXIV—XXXVII წიგნები).

Migne, PG, t. 148 (120—1449), 149 (9—502).

Византийские историки: «Римская история Никифора Григоры», т. I, СПб 1862 (1204—1341 წლები).

კოლხიდის მპყრობელი ალექსი კომნენოსი

1, 2. Τῆς γὰρ τοῦ Κωνσταντινουπόλεως ὑπὸ τῶν Λατίνων ἀλούσεως συνέβη τὴν τῶν Ῥωμαίων ἡγεμονίαν, καθάπερ ἐλάδα μεγάλην, ἀνέμοις ἀγρίοις καὶ κύμασι θαλαττίοις συνειλημμένην, κατὰ τεμάχια καὶ μέρη πλείστα διαιρεθῆναι, καὶ ἄλλον ἄλλοι κατὰ μέρη, καὶ ὡς ἕκαστοι τύχοιεν, ταύτην διαλαχόντας κληρώσασθαι, ἕως ἵνα καὶ μέλις περὶ τὴν Νικαίαν μητροπόλιν ἀναγορευθῆναι συμπέτωκε βασιλεὺς Θεόδωρον τὸν Λάσκαριν, τριακοντούτη ἡβὴ ταυχάναντα. ἰκὼν σφετέρη νικητικῆς μετρώποლის. მაშინ ἰგი ოცდაათი წლისა იყო.

1, 2. როდესაც კონსტანტინეპოლი ლატინების მიერ იკმნა აღებული, მოხდა ისე, რომ რომაელთა სახელმწიფო მსგავსად დიდი ხომალდისა, რომელიც გაიტაცეს ამოზოქრებულმა ქარებმა და ზღვის ტალღებმა, დაიშალა მრავალ ნაფლეთად და ნაწილად, ისე რომ ერთმა ერთნაირად, სხვამ სხვანაირად, ვისაც როგორ არგუნა ბედმა, იგი (ე. ი. ეს სახელმწიფო) წილად ირგუნეს და გაიყვეს, სანამ, ბოლოს, თეოდორე ლასკარი მოახერხებდა იმას, რომ იგი გამოცხადებულ იქნა მეფედ ნიკეელთა მეტროპოლიაში. მაშინ იგი ოცდაათი წლისა იყო.

¹ ნიკიტორე გრიგორასის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. K. Krumbacher, GBZ 293—298; G. Moravcsik, Byzantinoturcica I (1958), 450—453; В. Бенешевич, Очерки III, 56—59.

Τηνικαῦτα γὰρ οἱ μὲν ἤττη-
θίντες, οἱ δ' ὑποπεπτωκότι χρη-
σάμενοι σχήματι, τούτῳ προσερ-
ρήσαν μάλα ἐθέλονται πλὴν τοῦ
τῆς Κολχίδος κρατήσαντος γῆς
'Αλεξίου τοῦ Κομνηνοῦ, καὶ δε
κατὰ τὴν Εὐρώπην Θετταλίας τε
ῥῆξε καὶ ἦν παλαιὰν ὠνόμασαν
Ἕπειρον ὁ ἐξ Ἀγγέλων οὗτος
ἦν Κομνηνὸς Μιχαήλ. Οὗτοι γὰρ
განითავისუფლა, ჩავიდა კონსტანტინეპოლში, შეირთო კეისარის, ბატონ მიხეილ პალეოლოგოსის, ასული, კეისარ ბატონ ანდრონიკე პალეოლოგოსის და, ქალბატონი ევდოკია ძოწითშობილი კომნენოს-პალეოლოგოსი. უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი კომნენოსის ითანეს და პალეოლოგოსის ასულის შეუღლება ჯერ კიდევ კეისარ უფალ მიხეილის დროს მოხდა; ხოლო როდესაც 10 დეკემბერს პალეოლოგოსი გარდაიცვალა, მის მემკვიდრედ დარჩა მისი ძე უფალი ანდრონიკე¹, რომელმაც გაკიცხა თავისი მამა ლათინთმომხრეობის გამო.

შემდეგ, 6790 წლის აპრილში მოვიდა იბერიის მეფე დავითი², შემოერტყა ტრაპიზონს, მაგრამ ხელცარიელი გაბრუნდა უკან.

ხოლო 6791 წელს, აპრილის ოცდახუთს, მე-11 ინდიქტიონს, კონსტანტინეპოლიდან ტრაპი-

¹ მიხეილ VIII პალეოლოგოსის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ანდრონიკე II პალეოლოგოსი, რომელიც მეფობდა 1282—1328 წლებში. მან უაჩყო თავისი მამის უნიატური პოლიტიკა (იხ. ზემოთ გვ. 80, შენ. 1) და გამეფებისთანავე საერთო ენა გამოიწვია მართლმადიდებელ სამღვდლოებებსა და ანტიკომ უნიატურს ჩვენი ავტორი: «გაკიცხა თავისი მამა ლათინთმომხრეობის გამო».

² როგორც ზემოთ ვწვდით, იოანე II-ის გარშემო მომხდარი ამბები უნდა მოასწავებდეს პრობიზანტიური ტენდენციების გაზრდას ტრაპიზონში და ქართული ორიენტაციის მომხრეთა დარღვივებას. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული «იბერიის მეფის დავითის» (რუსულდანიის ძის) ლაშქრობა. დავით ნარინს ულაშქრობია ტრაპიზონის სამეფოს წინააღმდეგ. ტრაპიზონისათვის ალყაც შემოურტყამს, მაგრამ ის ვერ აუღია: უკან გაბრუნებულა რიზეს მხარეში (ანუ ლაბი-სი), რომელიც ტრაპიზონისათვის ალყის შემოურტყმის წინ დაიპირა მან (პ. ინგოროყოვა, იქვე გვ. 287).

Κωνσταντινουπόλειω; ἐν Τραπεζούσιν: ὁ μέγας Κομνηνός, κῆρ Ἰωάννης σὺν τῇ Παλαιολογίῃ ὄσση ὑπεγγύφ' καὶ ἐγενήθη ὁ μέγας Κομνηνός, ὁ κῆρ Ἀλέξιος τῷ ρφβ' (6792) ἔπει. Εἶτα ἐγένετο ἡ τοῦ Κομνηνοῦ κῆρ Γεωργίου ἐπιδρομή καὶ κατάσχσεις ἐν καὶ Πλάνον ἔλεγον, καὶ μετ' αὐτὸν ἡ ἐπίθεσις καὶ τὸ βασιλείον, καὶ ἡ ἐξάφιτης φυγή κυρᾶς Θεοδώρου τῆς Κομνηνῆς, θυγατρὸς πρώτης τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ κῆρ Μανουὴλ ἐκ τῆς ἐξ Ἰβηρίας Ῥουσαυτάνας. Καὶ πάλιν ἀπεκατέστη εἰς τὸ σκάμιν ὁ Καλοῖωάννης ὁ Κομνηνός καὶ βασιλεύσας τὰ πάντα ἔτη ὀκτωκαίδεκα, ἐκοιμήθη ἐν τοῖς Λιμνίοις μυχὸς ἀγούστου εἰς τὰς ιϛ', ἡμέρας ς', ἰνδικτιῶνος ιεϛ, ἔτους ς, αε' (6805). Ἐν γὰρ τῇ βασιλείᾳ αὐτοῦ παρέλαβον οἱ Τσέρκοι: τῆν

ზონში ჩამოვიდა დიდი კომნენოსი უფალი იოანე პალეოლოგოსის ასულით, რომელიც ფეხშიშემდ იყო და 6792 წელს იშვა დიდი კომნენოსი ბატონი ალექსი. მერე მოხდა კომნენოსზე, ბატონ გიორგიზე, ანაზღეული თავდასხმა და შეიპყრეს იგი, რომელსაც მოხეტიალესაც ეძახდნენ; ამის შემდეგ კი [მოხდა] ტახტიდან ჩამოგდება და მოულოდნელი გაქცევა ქალბატონ თეოდორა კომნენოსისა, დიდი კომნენოსის უფალ მანუილის პირველი ასულისა, რომელიც იბერიიდან მოყვანილ რუსულანთან ეყოლა, და კვლავ დაჯდა ტახტზე კალიოიანე¹ კომნენოსი. იმეფა სულ თვრამეტ წელიწადს, გარდაიცვალა ლიმნიაში², 16 აგვისტოს, პარასკევ დღეს, მე-15 ინდიქტიონს, 6805 წელს. ხოლო ამის მეფობაში დაიპყრეს თურქებმა ხალიბია³ და

¹ „კალიოიანე“, ვ. ი. „კარგი იოანე“; ამ შემთხვევაში ეს არის იოანე II. მის შესახებ სწორია აქ, რომ ის კვლავ დაჯდა [სამეფო] ტახტზე, *εἰς τὸ σκάμιν*. ამ უკანასკნელი სიტყვის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი: იგი უნდა იყოს კნინობითი ფორმა სიტყვისა *τὸ σκάμιν* (ლათ. *scammum* „სკამი“), რომლისაგან კნინობითი ფორმა იქნება *σκαμῖον*, ხოლო ხალხური ნარეუდუქციული ფორმა უნდა იყოს *σκαμίν* და არა *σκάμιν*. გამოცემულ ტექსტში კი სწორია *σκάμιν* (ამასვე იმეორებს თ. უსპენსკი, *Очерки* 91). ამ ფორმიდან არის ახალბერძნული *τὸ σκαμίν*. ამგვარად:

σκάμιν, ვ. *σκαμῖον* → *σκαμίν* → *σκαμίν*. ისევე როგორც
παῖς, ვ. *παιδίον* → *παιδίν* → *παιδίν* „ბავშვი“
cella, ვ. *κελλίον* → *κελλίν* → *κελλίν* „საცანი“.

² ლიმნია (τὰ Λιμνία) — ტრაპიზონის სამეფოს სასახლერო ციხე-სიმაგრე და ნავსადგური (თ. უსპენსკი, *Очерки* 90—99).

³ ხალიბია — ხალიბების ქვეყანა, ამ სახელით (*Χαλιβία*) ეს ქვეყანა ძველბერძნულ მწერლობაში მოხსენიებულია მხოლოდ აპოლონიოს ჩოღოსელის „არგონავტიკის“ სქოლიოებში.

Χαλυσίαν και γέγονε παρ' αὐτῶν
μεγάλη ἐπιδρομή, ὥστε δοίλους
γενέσθαι τὰς χώρας θλας· ἔπειτα
δὲ σὼν ἔτι ἐκομίσθη τὸ λείψα-
νον αὐτοῦ ἐν Τραπεζοῦντι, και ἐτά-
φη ἐν τῇ ναφ̄ τῆς Χρυσοκεφάλου.

Βασιλεία Ἀλέξιου τοῦ
μεγάλου Κομνηνοῦ

6. Καὶ ἐβασίλευσεν ὁ υἱὸς
αὐτοῦ, ὁ κῆρ Ἀλέξιος, ὁ μέγας
Κομνηνός, και ἦγαγε γυναῖκα
αὐτῷ τὴν θυγατέρα τοῦ Πεκაί
ἐξ Ἰβηρίας. Ἀπηλθεν ἡ Παλαιο-
λογίγη χήρα εἰς τὴν Πόλιν μηγὸς
Ἰουίου ἱγ', ἔτει ςωσ' (6806),
ἰνδίκτιωνος ἰα', και πάλιν ἦλθεν
χήρα ἔτους ςωθ' (6809), μηγὸς
Μαρτίου, ἰνδίκτιωνος ἰδ'.

Ἐκστράτευσεν ὁ βασιλεὺς κῆρ
Ἀλέξιος κατὰ τῶν Τούρκων και ἐν
τῇ Κερασσοῦντι καταλαβῶν ἐπίασε
τὸν Κουστουγὰν ἔτει ςωι' (6810),
μηγὸς Σεπτεμβρίου, ἔτε και ἐσκο-
τώθησαν Τούρκοι πολλοί. Ἐν δὲ
τῷ αὐτῷ ἔτει, Δεκεμβρίῳ ἱγ', ἡμέ-

μοახდინეს ისე დიდი თავდასხმა,
რომ მთელი მხარე გაპარტახდა.
შემდეგ მისი (ე. ი. კალიოთანეს)
ნეშტი უვნებლად გადმოასვენეს
ტრაპიზონში და დაკრძალეს ხრი-
სოკეთალოსის ტაძარში.

დიდი კომნენოსის
ალექსის მეფობა
(1297—1330)

6. გამეფდა მისი ძე, უფალი
ალექსი, დიდი კომნენოსი¹, და
ცოლად მოიყვანა ბექას ასუ-
ლი იბერიიდან. პალეოლოგოსის
ასული, ქვრივი, წავიდა კონს-
ტანტინეპოლში 6806 წლის 13
ივნისს, მეთერთმეტე ინდიქტიონს
და უკან დაბრუნდა ქვრივი 6809
წელს, მარტში, მე-14 ინდიქ-
ტიონს.

მეფემ უფალმა ალექსიმ გა-
ილაშქრა თურქებზე, შევიდა
კერასუნტში, შეიპყრო კუსტუ-
განი 6810 წლის სექტემბერში
და მაშინ დაიხოცა მრავალი
თურქი. ამავე წლის 13 დეკემ-
ბერს, ხუთშაბათ დღეს გარდა-

¹ ალექსი II კომნენოსი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, ბექა I სარგისისძის ასული: «ბექა განდიდებულ იყო — წერს ეპითალამწერელი, — და აქუნდა ტანისკართიდან ვიდრე სპერამდე. ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კირ მიხაილ (ივ. ჯავახიშვილის კონიექტურით, კირ ალექსი), და ასული ბექასი ცოლად მოიყვანა» («ქართლის ცხოვრება», ტ. II, 1959, გვ. 304, 10). ამის შესახებ გადმოგვცემს გიორგი პახიშვილიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ბიზანტიის კეისარი ანდრონიკე II პალეოლოგოსი თავის დისწულს ალექსის სხვა ქალს უმზადებდა საცოლედ. მაგრამ მან «იბერთა ერთი წარჩინებულის ასული მოიყვანა ცოლადო» (იხ. ზემოთ, გვ. 81—82).

ρξ ε', ἔχοιμήθη ἡ δῆσκινα, κυρὰ
Εὐδοκία ἡ Παλαιολογίνα.

Μηνὶ Νοεμβρίῳ λ', ἡμέρᾳ α',
ἔτει ρωια' (6811), ἐγένετο πυρκαϊὰ
μεγάλῃ ἐντὸς τοῦ κάτρου. Ἐν
δὲ τῷ ἐπιόντι ἔτει: ἐπυρπολήθη
ἡ ἐξάρσις² μῆδος Ἰουίνου παρὰ
τῶν Λατίνων, ὅτε καὶ ἐγένετο
μέγας πόλεμος.

Ἡρπαξεν ὁ Παριάμης τὰς
τζέργας ἔτει ρωκβ' (6822), μῆδος
Ἰκτωβρίου εἰς τὴν β'.

Ἡμέρᾳ β' Σεπτεμβρίῳ ἔτους
ρωκζ' (6827) ἐγένετο μεγάλη πυρ-
καϊὰ παρὰ τῶν Σιωματῶν³ καὶ ἔλυ-
μήνατο τὸ πῦρ πάντα τὰ ὄρατα⁴
τῆς πόλεως, τὰ τε ἐντὸς καὶ ἐκτὸς.

7. Ἐχοιμήθη ὁ μέγας Κομνη-
νὸς ὁ κῆρ Ἀλέξιος, μηνὶ Μαρτίῳ
γ', ἡμέρᾳ ε', ἰνδ. ιγ', ἔτει ρωλη'
(6838), βασιλεύσας ἔτη λγ' παρὰ
μῆνας γ'.

8. Καὶ ἐβασίλευσεν ὁ σὺν
αὐτοῖς, ὁ κῆρ Ἀνδρόνικος, ὁ μέ-
γας Κομνηνός, καὶ ἐφόνευσε τοὺς
δύο αὐταδέλφους αὐτοῦ, τὸν τε
Ἀζαχουτλον, κῆρ Μιχαήλ, καὶ
κῆρ Γεώργιον, τὸν Ἀχπουγάν.

იცვალა დედოფალი ქალბატო-
ნი ევდოკია¹, პალეოლოგოსის
ასული.

6811 წლის 30 ნოემბერს
კვირა დღეს ციხის შიგნით
გაჩნდა დიდი ხანძარი. მომდევნო
წლის ივნისში ხანძრით, გაანად-
გურეს ლათინებმა საზღვაო სიწ-
ყობი, როდესაც დიდი ბრძოლა
მოხდა.

6822 წლის 2 ოქტომბერს
ბაირამ-მემი გაძარცვა საქონლის
სადგომები.

ორშაბათს, ... სექტემბერს,
6827 წელს, სინოპელებმა გააჩი-
ნეს დიდი ხანძარი და ცეცხლმა
გაანადგურა ქალაქის ყველა ბელ-
ლები შიგნით და გარეთ.

7. დიდი კომნენოსი, უფალი
ალექსი გარდაიცვალა 3 მაისს,
ხუთშაბათს, მე-13 ინდიქტიონს,
6838 წელს; იმეფა 33 წელიწადს
3 თვით ნაკლებ.

8. გამეფდა ძე მისი, დიდი
კომნენოსი, უფალი ანდრონიკე⁴
და დახოცა ფავისი ღვიძლი ორი
ძმა: უფალი მიხეილი—აზახუტლუ
და უფალი ვიორგი—აღბულა.
ხოლო ბატონმა ანდრონიკემ იმე-

¹ ეს იგი იოანე II-ის მეუღლე, დედოფალი ევდოკია, მიხეილ VIII პალეოლოგოსის ასული (*Παλαιολογίνη*), რომელიც, როგორც ქვევით სწერია, გარყაი-
ვლა 6810 (1302) წლის 13 დეკემბერს.

² Ἐξάρσις codd. ὀ. Sophocles s. v.

³ ὄρατον ანუ ὄρειον, ლათ. horreum.

⁴ ანდრონიკე III კომნენოსი (1330—1332), ალექსი II-ის ვაჟი. ზევს უფრა-
დლებას ეპყრობს მისი ერთ-ერთი ძმის სახელი „აღბულა“. უთუოდ პოლიტი-
კური ორიენტაციის საკითხთან იჭნებოდა დაკავშირებული ანდრონიკეს შეტაცება
ძმებთან, რომლებიც მას დაუბოცავს.

Ἐβασίλευσε δὲ ὁ κνρ Ἀνδρόνικος ἔτος α' καὶ μῆνας η', καὶ ἐκοιμήθη μὴν Ἰανουαρίῳ ἡμέρα 5', ἰγδ. ιε' ἔτει ,σαμ' (6840).

9. Καὶ ἐδέξατο τὴν βασιλείαν ὁ υἱὸς αὐτοῦ ὁ κνρ Μανουήλ, ὀκταέτης ὢν καὶ ἐκράτησε μῆνας η'. Ἐν τῇ γὰρ βασιλείᾳ αὐτοῦ ἦλθεν ὁ Παριάμης μετὰ φασσάτου πολλοῦ ἕως τὸν Ἀσώματον. Καὶ ἐσκοτώθησαν Τοῦρκοι πολλοὶ καὶ ἔφυγον ἀκόσμως· ὅτε καὶ ἠρπάγησαν ἄλογα πολλὰ Τουρκικά, μὴν Ἀγούστῳ, ἔτει ,σαμ' (6840).

Κατὰ δὲ τὸν Σεπτέμβριον μῆνα κβ', ἡμέρα β', ἔτει ,σαμα' (6841), ἦλθεν ὁ μέγας Κομνηνός, κνρ Βασίλειος, ἐκ τῆς Κωνσταντινουπόλεως, υἱὸς μὲν τοῦ μεγάλου Κομ-

თა წელიწადსა და 8 თვეს და გარდაიცვალა 8 იანვარს, ოთხშაბათს, მე-15 ინდიქტიონს, 6840 წელს.

9. ჩიიბარა მეფობა მისმა ძემ, რვა წლის ბატონმა მანუილმა¹ და იმეფა მან 8 თვეს, ხოლო მის მეფობაში მოვიდა ბაირამ-ბეი დიდი ჯარით თვით ასომბოლსამდე. მრავალი თურქი გაწყდა და ჯარი გაიფანტა. მაშინ ბევრი თურქული ცხენი იალათეს, 30 აგვისტოს, კვირას, 6840 წელს.

22 სექტემბერს, ორშაბათს, 1-ლ ინდიქტიონს. 6841 წელს კონსტანტინეპოლიდან ჩამოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ბასილი², დიდი კომნენოსის უფა-

¹ მანუილ II კომნენოსი (1332 წ.). ანდრონიკე III-ის ვაჟი.

² ბასილ I (1330—1340) ალექსი II-ის ვაჟია. მაშასადამე, ალექსი II-ს ოთხი ვაჟი ჰყოლია: ანდრონიკე, ბასილი, მიხეილი და გიორგი-ალბულა.

ალექსი II კომნენოსი + ბექას ასული

ანდრონიკე III (1330—1332) ბასილ I (1333—1340) მიხეილი გიორგი-ალბულა

პირდაპირი ცნობა არაა იმის შესახებ, ეს ოთხივე ვაჟი ბექას ასულისგან ჰყავდა ალექსის, თუ სხვადასხვა ცოლისაგან. ის გარემოება, რომ ჯერ ანდრონიკემ გამეფებისთანავე თავისი ორი ძმა (მიხეილ II მიქელი და გიორგი II ალბულა), ორი ღვიძლი ძმა (ანდრონიკე) მოკლა და ამ დროს, როგორც ჩანს მესამე ძმა ბასილი (საფიქრებელია, პრინციპალური ორიენტაციისა) კონსტანტინეპოლში იყო, ხოლო შემდეგ ჩამოვიდა კონსტანტინეპოლიდან და გამეფდა, იმის დასკვნის საბუთს იძლევა, რომ ყველაფერი ის, რაც 1332—1340 წლებში ხდებოდა, შედეგია სხვადასხვა ორიენტაციის ტრაპიზონელებს შორის ბრძოლისა. ამ ეპიზოდს ისიც აძლიერებს, რომ ბასილმა სიცოცხლეს გამოასალმა ტრაპიზონის სამეფოს დიდი დომესტიკოსი ჯაბა, სახელის მიხედვით ქართული ორიენტაციისა ჩანს. ბერძნული *Τζάμακας*, როგორც ეს მართებულად აქვს გადმოცემული ალ. გამყრელიძეს, „ჯაბა“ უნდა იყოს და არა: Πάμα, როგორც წერს ალ. ზახანაშვილი და

γηνος, τον κνρ 'Αλεξίου, αδελ-
φός δὲ δεύτερος κνρ 'Ανδρονίκου·
καὶ παρέλαβε τὸ βασίλειον, ὅτε
καὶ τὸν μέγαν δοῦκαν Λέκην,
τὸν Τζατζιντζαίον καὶ τὸν υἱὸν
αὐτοῦ, τὸν μέγαν δομίστικον, τὸν
Τζάμπαν, τὸν ζῆν ἀπεστέρησε.
Τὸν δὲ ἀνεψιὸν αὐτοῦ κνρ Μα-
νουήλ ἐπεριώρισε· τὴν δὲ καὶ
μεγάλην δοουκαίαν, τὴν Συρικαί-
αν, ἐλίψασαν.

'Εν δὲ τῷ Φεβρουαρίῳ μηνί
ιγ' ἡμέρᾳ α' τῆς ὀρθοδοξίας, τῷ
αὐτῷ ρωμᾷ (6841) ἔτει, ἰνδοκ-
τιῶνος α', παραχθεις ὁ ἐκτο-
μίας, μέγας δούξ 'Ιωάννης, ἐσφά-
γη ὁ κνρ Μανουήλ μαχαίρᾳ.

Μηνί Σεπτεμβρίῳ ιβ', ἡμέρᾳ
γ', ἰνδοκτιῶνι δ', ἔτους ρωμδ'
(6844), ἤλθεν ἡ δεσποινὰ, κυρὰ
Εἰρήνη ἡ Παλαιολογίνα, ἡ θυγά-
τηρ κνρ 'Ανδρονίκου τὸν Παλαιο-
λόγου· καὶ εἰς τὰ ιζ' τοῦ αὐτοῦ
μηνός, ἡμέρᾳ α', ἐβλογήθη τὴν
βασίλειαν κνρ Βασίλειον.

Κατὰ δὲ τὴν ε' τοῦ 'Ιουνίου
μηνός, ἡμέρᾳ ς', ἔτους ρωμδ'

ლი ალექსის ძე, ბატონ ანდრო-
ნიკეს მომდევნო ძმა, და დაიპ-
ყრო მეფობა. მაშინ მან დი-
დი დუქის ლექის ჰაქინჭეოსი და
მისი ძე, დიდი დომესტიკოსი ჯა-
ბა სიცოცხლეს გამოასალმა, თა-
ვისი ძმისწული უფალი მანუი-
ლი გააძევა, ხოლო დიდი დუქ-
სის¹ მეუღლეც სირიყენა, ჩააქოლ-
ვინა.

13 თებერვალს, მართლმადი-
დებლობის კვირას, იმავე 6841
წელს, პირველ ინდიქტიონს, ამ-
ბოხება მოაწყო საჰურისმა დიდ-
მა დუქსმა იოანემ და მახვილით
მოიკლა ბატონი მანუილი.

12 სექტემბერს, სამშაბათს,
მე-4 ინდიქტიონს, 6844 წელს
ჩამოვიდა დედოფალი ქალბატო-
ნი ირინე, უფალ ანდრონიკე
პალეოლოგოსის ასული, და იმავე
თვის ჩვიდმეტს, კვირას, იკურთ-
ხა მეფედ ბატონი ბასილი.

5 ივლისს, პარასკევს, 6844
მოვიდა ტრაპიზონში შეიხ-პასა-

იმეორებს თ. უსპენსკი: რადგან β ბიზანტიურ პერიოდში ვინც იყო, ამიტომ „ბ“-ს
გამოსახატავად იხმარებოდა μπ.

ბასილ I კონსტანტინოპოლის ბიზანტიურ ორიენტაციას ისიც ამჟღავნებს, რომ ის
კონსტანტინოპოლში „გაქცეულა“ და ცოლიც (ირინე) იქიდან მოუყვანია, ანდრო-
ნიკე II პალეოლოგოსის ასული ირინე.

¹ დიდი დუქი (dux) ანუ ტრაპიზონის დუქი. ტრაპიზონის სამეფო გაყო-
ფილი იყო სამ სამხედრო ოლქად ანუ ვანდად (Βάνδοσ, ვანდი; ასეა პეტრიწონის
ტიპიკონში. იხ. მ. თარხნიშვილის გამოც. გვ. 12,16); მაცუკის ვანდა, გიმორის
ვანდა და ტრაპიზონის ვანდა (თ. უსპენსკი გვ. 82). ტრაპიზონის ვანდის მეთაური
იოანე საჰურისი, რომელსაც დიდი დუქის წოდება ჰქონდა, დიდძალი ჯარით
მოვიდა ტრაპიზონში და დაიმორჩილა მოწინააღმდეგენი. და, როგორც ცოტა
ქვემოთ არის ნათქვამი, მოკლა მცირეწლოვანი მანუილი.

(6844), ἤλθεν ὁ Σιχασάν, ὁ υἱὸς τοῦ Ταμαρτᾶ, εἰς τὴν Τραπεζοῦντα· καὶ γέγονε πόλεμος εἰς τὸν Ἀχάντακον τοῦ ἀγίου Κηρίκου, καὶ εἰς τὸν Μινθρίον. Καὶ φεοῦ εὐδοκονητος ἐτραπή ὑποβρύχιος, καὶ ἔφυγεν, ὅτε ἐσκατώθη ὁ αὐτοῦ ραβίης, ὁ υἱὸς τοῦ Ῥουστάμη.

Μηνὶ Μαρτίῳ β', ἡμέρα β' τῆς ἀρχιεπιστάμου τῆς ἀγίας μ', ἐγένετο ἔκλειψις τοῦ ἡλίου ἀπὸ ἄραξ ὀ' ἕως ἄραξ ζ', καὶ ἐτραπήθη τὸ κοινὸν κατὰ τοῦ βασιλέως, ὥστε καὶ ἔξωθεν τοῦ κοιλᾶ συναχθέντες λίθους ἔσυραν εἰς αὐτόν ἕτας ἑκατὸν.

Ἔτους ς' α' (6847), μηνὸς Ὀκτωβρίου ε', ἡμέρα δ' ἐγενήθη ὁ Κοιμηθὴς κ' ἡμέρα ἰ' ἰωάννης ὁ ἐπονομασθεὶς Ἀλέξιος, ὁ υἱὸς τοῦ κ' Βασιλείου ὁ δευτέρου.

ნი, ტამარტას-ძე, და მოხდა ბრძოლა წმიდა კვირიკეს ახანტაკასა და მინთრიონთან. მაგრამ ღვთის წყალობით თავდასხმა უკუგდებულ იქმნა და [მტერი] აოტეს. მაშინ მოიკლა [იბ]რაიმ რუსტამის ძე.

2 მარტს, წმიდა ორმოცლიანი ღმერთების მგორე დღეს, 4 საათიდან 7 საათამდე მოხდა მზის დაბნელება. 5845 წელს აუჯანყდა მეფეს ხალხი იმდენად, რომ ციხის გარეთ შეიკრიბა და ქვების სროლა დაუწყო მას.

5 ოქტომბერს, მე-7 ინდიკტიონს, 6848 წელს დაიბადა უფალი იოანე კომნენოსი ალექსით წოდებული, ბატონი ბასილის მგორე ძე¹. იკურთხა გვირ-

¹ იოანე-ალექსი III, რომელიც შემდეგ ხანგრძლივად მეფობდა (1350—1390), არის ბასილ I-ისა და ირინე ტრაპიზონელის ვაჟი. ბასილის მეფე იყო კეისარ ანდრონიკე III პალეოლოგოსის ასული. მაგრამ მანამდე მას ჰყოლია ხარკად ირინე ტრაპიზონელი, რომელთანაც შესძენია ორი ვაჟი (ალექსი და კალკიონი). ამ ფაქტს უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს ნიკიფორე გრიგორასი. ის ამბობს: «ამ წლის (1340) გაზაფხულზე ბასილი, რომელიც ტრაპიზონტის მპყრობელი იყო, გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. მე ვფიქრობ, რომ რალაც ღვთისგანრისხებამ ანახდევულად გამოასალმა იგი სიცოცხლეს. კეისარის ასული ირინე რომ შეირთო, ცოტა ხანს წესიერად და მართებულად იქცეოდა, შესაფერისი თანხმობით და გულისხმიერებით, შემდეგ კი მეუღლური სიყვარული გადაიტანა ერთ საყვარელზე, რომელმაც აგრეთვე ირინე ერქვა. და ამასთან რომ უკანონოდ ცხოვრობდა, კანონიერი მეუღლე შეიძულა. მან გააძევა იგი სამეფო სახლიდან» (იხ. ზემოთ გვ. 143—144). ნიკიფორე გრიგორასი სჯე ადგილასაც (XIII, 11) განაგრძობს ბასილზე ლაპარაკს და ამბობს: ირინესთან ცოტა ხანი იცხოვრა და უძეოდ გარდაიცვალათ ზოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება ხელთ იგდო ირინემ, პელოლოგოსის ასულმა, და ირინე ტრაპიზონელი თავისი ორი ვაჟით კონსტანტინეპოლში გაგზავნა (იხ. ზემოთ გვ. 147). ამასვე ამბობს მიქელ პანარეტოსი აქვე 10. თავში.

ρος. Εὐλογῆθη ὁ βασιλεὺς κῆρ Βασίλειος τὴν ἐκ Ἰραπειοντος δέσποιναν, κυρὰν Εἰρήνην μὴν Ἰουλίῳ ἡ', σαμζ' (6847). Ἐχοιμήθη ὁ βασιλεὺς ὁ κῆρ Βασίλειος, ὁ μέγας Κομνηνός, μὴν Ἀπριλίῳ εἰς τὰς σ', ἡμέρα ε', ἰνδικτιῶνος ἡ', ἔτους, σαμη' (6848). Ἐβασίλευσεν ἔτη ζ' καὶ μῆνας σ'.

10. Οἱ δὲ παῖδες αὐτοῦ, κῆρ Ἀλέξιος καὶ Καλοῖωάννης, ἐστάλησαν εἰς τὴν Πόλιν σὺν τῇ μητρὶ. Καὶ ἐκράτησε τὴν βασιλείαν ἡ Παλαιολογίνα, κυρὰ Εἰρήνη, χήρα οὖσα. Καὶ εὐθὺς ἐταράχθησαν οἱ ἄρχοντες καὶ ἐγένοντο δύο μέρη. Καὶ ὁ μὲν Ἰβανιχίτης, ὁ μέγας στρατοπεδάρχης, κῆρ Σεβαστὸς σὺν τοῖς Σχολαρίοις καὶ Μειζομάταις, καὶ κῆρ Κωνσταντῖνος ὁ Δωρανίτης, καὶ οἱ Καβασιται, καὶ ὁ Καμαχηνός καὶ τινες τοῦ κοινοῦ, καὶ τῶν ἀλαγίων τῶν βασιλικῶν ἐκράτησαν τὸν ἄγιον

გვინი მეფემ უფალმა ბასილიმ ტრაპიზონელ დედოფალ ქალბატონ ირინეზე 8 ივლისს, 6847 წელს. გარდაიცვალა მეფე ბატონი ბასილი, დიდი კომნენოსი, 6 აპრილს, ხუთშაბათს, მე-8 ἰნდიქტიონს, 6848 წელს, იმეთა 7 წელიწადსა და 6 თვეს.

10. ხოლო მისი შვილები უფალი ალექსი და უფალი კალოიანე დედითურთ გაიგზავნა კონსტანტინეპოლს, მეფობა კი დაიპყრო დაქვრივებულმა ქალბატონმა ირინე პალეოლოგოსმა. მაშინვე აჯანყდნენ მთავრები და წარმოიშვა ორი ბანაკი. ჭანიხიტისმა დიდმა სტრატოპედარხისმა ბატონმა სევასტიმ, სქოლარიოსებითა და მიზომატისებითურთ და ბატონმა კონსტანტინე დორანიტისმა, კავასიტისებმა, კამახინოსმა და ხალხისა და სამეფო ალაგიონის¹ ნაწილმა წმინდა ევ-

¹ ალაგიონი (ἀλάγιον, v. l. ἀλλάγιον) — სამეფო გვარდია. მიქელ პანარეტოსის „ისტორიაში“ ვითხულობთ (CB 149,21): τὴν αὐτὸν (τοῦ βασιλέως) μοῖραν, τὸ λεγόμενον συνηθῶς ἀλλάγιον „სამეფო რაზმი, რომელსაც ჩვეულებრივ ეწოდება ალაგიონი“ (Sophocles s. v.; იხ. აგრეთვე Н. Скабалано-вич, Виз. государство и церковь. СПб 1884, გვ. 327). ეს სიტყვა გვხვდება ჯერ კიდევ კონსტანტინე პორფიროგენეტთან და მისი შრომის (De adm. 29) ინგლისურად მთარგმნელი Jenkins-ი, ჩვენის აზრით, უმართებულოდ თარგმნის alternating garrisons და exchange of garrisons (Constantine Porph. De adm. imperio. Budapest 1949, გვ. 123). მართალია, ἀλλάγι „ცვლას“ ნიშნავს, მაგრამ ἀλλάγιონ ერთი ლამზდითა არ უნდა იყოს დაკავშირებული სიტყვასთან ἀλλάγι (ამის გავლენით უნდა იყოს იმ სიტყვაში გაჩენილი მეორე ლამზდა). და იქნებ უფრო მართალი უნდა იყოს პროფ. კარპოვი, რომელიც გიორგი პახიმერეს „ისტორიის“ თარგმანის ერთ შენიშვნაში წერს — „ალაგიონი“ ბერძნული სიტყვა არ უნდა იყოს, იგი უცხო ენიდან ნასესხები ჩანს (იხ. Георгия Пахимера «История», перевод под ред. профессора Карпова. СПб 1862, стр. 286 прим. 1).

Εὐγένιον· οἱ δ' Ἀμυτζανταράν-
ται καὶ τινες τῶν ἀρχόντων καὶ
τοῦ βασιλικοῦ ἀλαγίου, ἐκράτη-
σαν σὺν τῇ δεσποίνῃ τὸν κου-
λάν.

Κατὰ δὲ Ἰούλιον μῆνα β',
ἡμέρα α', ἔτους ςωμη' (6848),
ἔλθων ὁ μέγας δούξ Ἰωάννης, ὁ
ἐκτομίας, ἐκ τῶν Δυμιών μετὰ
φωσσῶιον πολὺν. Ἐγένετο πόνε-
μος. Σύραντες καὶ τὸ μάγγανον
κατὰ τῆς μονῆς, καὶ ἐπυρπολήθη ἡ
μονή, καὶ πάντα τὰ ὄρατα αὐτῆς
ἀπεκαύθησαν. Καὶ ὁ Τζανιχίτης
καὶ ἑτεροὶ ἀρχοντες ἐπεριωρί-
σθησαν εἰς τὰ Δυμιά, καὶ ἔχει
τὸ ζῆν ἀπέθωκαν. Τῷ αὐτῷ γοῦν
ἔτει, περὶ τὸν αὐτὸν μῆνα, ἀπηλ-

გენი ჩაცდეს ხელთ; ხოლო ამი-
დანტარანტები¹ და ნაწილი მთავ-
რებისა და სამეფო ალაგიონისა
დედოფლითურთ ციხე-დარბაზს
დაეპატრონენ.

2 ივლისს, კვირას, 6848 (ახ. წ.
1340) წელს, ლიმნიიდან დიდძა-
ლი ჯარით მოვიდა დიდი დუქსი
იოანე საჭურისი. მოხდა ბრძო-
ლა. მონასტრის წინააღმდეგ მან-
ქანებიც მოათრიეს. დაიწვა მო-
ნასტერი და მთელი მისი ბელ-
ლებიც გადაიწვა. ჰანიბიტისი
და სხვა მთავრები ლიმნიაში
გაგზავნეს ტყვედ და იქ გამო-
ესალმნენ სიცოცხლეს. იმავე
წლის იმავე თვეს გაილაშქრა
ჩვენმა ჯარმა პარხარს; დაარ-

¹ ამ 10. თავში ლაპარაკია აჯანყებაზე, რომელიც მოუწყვეს ირინე პალეო-
ლოგოსის მთავრობას 1341 წელს, რის შედეგადაც, ნათქვამია, წარმოიშვა ორი
ბანაკი: 1) ქართული ორიენტაციის მომხრენი და 2) ირინე პალეოლოგოსის, ე. ი.
ბიზანტიური ორიენტაციის მომხრენი.

პირველ ბანაკს ეყუთვნოდნენ

ჰანიბიტი უფალი სევასტი, დიდი სტრატოპედარხი,
სპოლარიოსები,
მიზომატები,
დორანიტი კონსტანტინე
კავასიტები
კამახინი ანუ კომახინი
ზოგიერთნი ხალხიდან
სამეფო გვარდიის ნაწილი.

აქედან „ჰანიბიტები“ ეყუთვნოდნენ ადგილობრივ (ე. ი. კანურ) არისტოკრატიას
(თ. უსპენსკი 107) და კომახინებიც ადგილობრივი საგვარეულოს წარმომადგენ-
ლები იყვნენ (მათი სახელი მომდინარეობს ხალხის ციხის, კომახის, სახელწოდებ-
ისაგან, ე. ი. ისინი იყვნენ კომახელები). მთელ ამ დასს მეთაურობდა
სევასტი ჰანიბიტი.

მეორე ბანაკში შედიოდა მთავრობის დასი, რომელიც ირინე პალეო-
ლოგოსს უჭერდა მხარს. ამ ბანაკს მეთაურობდა ამიდანტარანტების გვარი;
მასში შედიოდნენ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები და სამხედრო გვარდიის
ნაწილი (თ. უსპენსკი 102).

θε τὸ φασσάτον ἡμῶν εἰς τὸν Πάρχαριν καὶ κούρσεσαντες τοὺς Ἄμιτιώτας ἐπῆραν κοῦρσα πολλὰ, ὅτε ἐσκοτώθησαν καὶ υἱοὶ τοῦ Δολίνου.

Μηνὶ Ἰουλίῳ ε', ἡμέρᾳ ε', ἰνδικτικῶνος θ', ἔτους ςωμθ' (6849), ἐκοιμήθη ὁ βασιλεὺς Ῥωμαίων κῦρ Ἀνδρόνικος ὁ Παλαιολόγος. Τῷ αὐτῷ μηνὶ καὶ τῷ αὐτῷ ἔτει ἐσκοτώθησαν οἱ ἄρχοντες εἰς τὰ Λυμνία. Πάλιν γόνυ τῷ αὐτῷ ἔτει, Ἰουλίῳ δ', ἡμέρᾳ δ', ἤλθασιν οἱ Ἄμιτιῶται Τουρκοὶ, καὶ ἐτράπησαν οἱ Ῥωμαῖοι ἄτερ πολέμου, καὶ ἐσκοτώθησαν Χριστιανοὶ πολλοί, καὶ ἐκαύθη ἡ Τραπεζοῦς ὅλη ἐντὸς καὶ ἐκτὸς, καὶ ἐκαύθησαν λαὸς πολλός, καὶ γυναῖκες καὶ παιδία. Μετὰ δὲ τὴν πλῆγῃν ἐκ τῆς θυσωνίας τῶν καυθέντων ἀλόγων, ζῶων καὶ ἀνθρώπων γέγονε καὶ αἰφνίδιος θάνατος. Πρὸ τούτου γὰρ ἡ θυγάτηρ τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ

5 ივლისს, პარასკევს, მეცხრე ინდიქტიონს 6849 წელს გარდაიცვალა რომაელთა კეისარი უფალი ანდრონიკე პალეოლოგოსი¹. იმავე თვეს და იმავე წელს დახოცეს მთავრები ლიმნიაში. კვლავ იმავე წელს 4 ივლისს, ოთხშაბათს მოვიდნენ ამიღელი თურქები. რომაელები უომრად გამოიქცნენ და დაიხოცა ბევრი ქრისტიანი, დაიწვა მთელი ტრაპიზონი შიგნიით და გარეთ; დაიწვა ბევრი ხალხი—ქალები და ბავშვები. ამ უბედურების დატების შემდგომ, დამწვარი პირუტყუებისა და ადამიანების ავი სუნისაგან შავი ჭირი გაჩნდა. მაგრამ ამაზე აღრე დიდი კომუნოსის უფალ ალექსის ასულმა, ქალბატონმა ანნამ², სახელ-

¹ ანდრონიკე III პალეოლოგოსი, ბიზანტიის კეისარი, შეფობდა 1328—1341 წლებში; მისი ასული ირინე იყო ტრაპიზონის მეფის ბასილ I-ის მეუღლე.

² ანნა-ანახუტლუ, ალექსი II-ის ასული და ბასილი I-ის და. ბასილი რომ გარდაიცვალა, მისმა დაბ ანნამ, რომელიც მოლოზნად იყო აღკვეცილი, გაიხადა მოლოზნის კაბა და ლაზეთში გაიქცა; იქ სამხედრო რაზმი შეადგინა და ლაზეთი ჯარით დაიპყრო მეფობა; ბასილის ქვრივი ირინე, რომელიც 1 წელიწადსა და 3 თვეს მეფობდა, გადადგა. ამ გადატრიალების ამბავი ვრცლად აქვს მოთხრობილი ნიკითორე გრიგორასს:

«მოვიდა მეორე ქალი, რომელსაც უფრო მეტი უფლება ჰქონდა სამეფო ტახტზე, ვიდრე ირინეს, ეს იყო ანნა. ანახუტლულე წოდებული, ალექსი II-ის უფროსი ასული, რომელიც მოლოზნად აღკვეცილა და განდგეილად ცხოვრობდა. ირინეს მოწინააღმდეგე დასმა დაიყოლია იგი გაეხადა მოლოზნის კაბა და ლაზეთში წასულიყო, სადაც იგი, როგორც თავისი ძმის ბასილის უმაზლობელისი და კანონიერი მემკვიდრე მეფედ იქნა გამოცხადებული. ლ ა ნ ხ ე ბ ი, კ ა ნ ე ბ ი და ყველა ადგილობრივი თ ა ვ ი ს მ შ ო ბ . ლ ი უ რ ს, კ ო მ ნ ე ნ ო ს თ ა ოჯახიდან გამო-

κῆρ Ἀλεξίου, ἡ κυρὰ Ἄννα, ἡ λεγομένη Ἀναχουτλὸς τὴν μοναχικὴν ἀποβαλομένη στολὴν ἀπὸ τῆς εἰς τὴν Λαζίαν, καὶ ἐκράτησεν αὐτήν. Μετὰ δὲ τὸ γενέσθαι τὸν ἐμπρησμὸν καὶ τὴν ἐπιδρομὴν ἦλθεν ἡ Ἀναχουτλὸς καὶ παρέλαβε τὴν βασιλείαν, ἔχουσα καὶ φωσάτα Λαζικά, μῆνι Ἰουλίῳ εἴς, ἡμέρα γ', τῷ αὐτῷ ἔτει. Ἡ δὲ Παλαιολογίνα κατέβη τῆς βασιλείας, βασιλεύσασα ἔτος α' καὶ μῆνας γ'.

11. Εἰς δὲ τὰς λ' τοῦ αὐτοῦ Ἰουλίου μηνός, τῷ αὐτῷ ἔτει, ἡμέρα β', ἦλθεν ἐκ τῆς Μεγαλοπέλεως ὁ ἀδελφὸς Ἀλεξίου ὁ κῆρ

დებულმა ანახუტლუდ, სამონახენო სამოსი გაიძრო, წავიდა ლაზიაში და იქ გამაგრდა. ხანძრისა და თავდასხმის შემდეგ ანახუტლუ მოვიდა ლაზური ჯარით და დაიპყრო მეფობა იმავე წლის 17 ივლისს, სამშაბათს. პალეოლოგოსის ასული კი გადადგა ტახტიდან, — იმეფა სულ ერთი წელიწადი და 3 თვე.

11. იმავე წელს, იმავე თვის — ივლისის 30 ს, ორშაბათს, მოვიდა დიდი ქალაქიდან ალექსის ძმა უფალი მიხეილ კომნენოსი¹

სულ დედოფალს აძლევდნენ უპირატესობას პალეოლოგოსთა გვარიდან გამოსული ირინეს წინაშე, მით უმეტეს რომ ეს უკანასკნელი უტხოვლზე აპირებდა გათხოვებას. ირინე მთავრობა არ იყო ხალხში გაყვნიანი იმის გამო, რომ ხალხს არც მისი ყოფაქცევა მოსწონდა, და იმის გამო, რომ დიდი ხარული მიაყენა მთელ მოსახლეობას თურქების წინააღმდეგ მოწყობილმა ლაშქრობამა (იხ. ზემოთ, გვ. 146, შენ. 1).

ივ. ჯავახიშვილი ს განხილული აქვს ამ გადატრიალების ამბავი და შემდგენიარად აქვს ის შეფასებული: „მთელი ეს შეთქმულება მოწყობილი იყო ტრაპიზონის კეისრის ბასილის თანამეცხედრის, ბიზანტიის კეისრის ასულის ირინე პალეოლოგისა და ბიზანტიის პოლიტიკური გაყვნიის წინააღმდეგ. საქართველოს ჯარმა და მისმა მომხრე ტრაპიზონის სახელმწიფოს დასმა ქვრივი დედოფალი ირინე პალეოლოგი ტახტიდან ჩამოაგდო და ანახუტლუ გაამეფა. თუ გავიხსენებთ, რომ 1341 წელს საქართველოს მეფედ გიორგი ბრწყინვალე იჯდა, ცხადი გახდება, რომ საქართველოს აქტიური ჩარევა ტრაპიზონის სამეფოს წინაურ საქმეებში და ბიზანტიის კეისრის ასულის, ტრაპიზონის დაქვრივებული დედოფლის ირინეს ტრაპიზონის სამეფო ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგივრად ქართული ჯარის დახმარებით ანახუტლუს დასმა გიორგი ბრწყინვალის თანხმობით უნდა მომხდარიყო“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III [1966], გვ. 272).

¹ აქ ნათქვამია, რომ 1341 წლის 30 ივლისს კონსტანტინეპოლიდან ტრაპიზონში ჩავიდა ალექსის ძმა მიხეილი და იგი მიიღეს თვითმპყრობელად. ხოლო მეორე დილით ხალხმა იგი შეიპყრო; დატყვევებული მიხეილ კომნენოსი ჯერ ინეონში გაიგზავნა, შემდეგ კი ლინიაში. მიხეილის შვილი იოანე კომნენოსი კონსტანტინეპოლში ყოფილა, იგი 1342 წელს ჩამოყვანეს ტრაპიზონში და გაამე-

Μιχαήλ ὁ Κομνηνός, ἔχων μεθ' αὐτοῦ κάτεργα γ' καὶ τὸν Σχολάριον κὺρ Νικήταν, κὺρ Γρηγόριον, τὸν Μειζομάτην. Καὶ τὸ μὲν βραδὺ καταβάντες οἱ ἄρχοντες μετὰ ἑρκομοτικοῦ, καὶ ὁ μετροπολίτης κὺρ Ἀκάκιος μετὰ τοῦ εὐαγγελίου καὶ παρέλαβον αὐτὸν ὡς αὐθέντην. Τῷ δὲ πρῶτ' οὐκ οἶδα ὁ λαὸς πῶς αὐτὸν ἐπερίωρισαν. Τὰ δὲ κάτεργα ἤρπαξαν οἱ Λαῶι καὶ πολλοὺς διὰ βελῶν ἀπέκτειναν. Τῆ σὺν γ' τοῦ αὐτοῦ μηνός, ἡμέρα c', τοῦ αὐτοῦ ἔτους ςωμθ' (8849), πάλιν ἤλθασιν οἱ Ἀμιτιῶται Τοῦρκοι· ἀλλὰ θεοῦ εὐδοκοῦντος οὐκ ἴσχυσαν πρὸς ἡμᾶς, ἀλλὰ ἀπῆλθον κατησχυμένοι κενοί. Μηνὶ τῷ αὐτῷ ζ', τῷ αὐτῷ ἔτει, ἐστάλθη ὁ Κομνηνός κὺρ Μιχαήλ περιωρισμένος εἰς τὸ Οἶναιον, εἶτα εἰς τὰ Διμνία. Τῷ αὐτῷ μηνὶ ι' καὶ τῷ αὐτῷ ἔτει ἐστάλθη ἡ Παλαιολογίνα κυρὰ Εἰρήνη μετὰ Φραγκικὸν κάτεργον εἰς τὴν Πόλιν.

12. Μηνὶ Σεπτεμβρίῳ ι' ἔφυγεν ὁ Σχολάρις κὺρ Νικήτας, καὶ ὁ Μειζομάτης κὺρ Γρηγόριος, ὁ

3 კატარლით და თან ახლდა სქოლარიისი ბატონი ნიკიტა და ბატონი გრიგოლ მიზომატისი. სალამოს ჩავიდნენ მთავრები ფიცით და მიტროპოლიტი ბატონი აკაკიოსი სახარებით და მიიღეს იგი როგორც თვითმპყრობელი. დღლით კი, არ ვიცით როგორ, ხალხმა იგი შეიპყრო, ხოლო კატარლები გაძარცვეს ლაზებმა და ბევრი დახოცეს ისრებით. 3 აგვისტოს, პარასკევს, იმავე 6849 წელს კვლავ მოვიდნენ ამიღელი თურქები, მაგრამ, ღვთის წყალობით, ვერ გვძლიეს ჩვენ, არამედ სირცხვილელენი, ცარიელნი წავიდნენ. იმავე თვის 7-ს, იმავე წელს, გაიგზავნა დატყვევებული ბატონი მიხეილ კომნენოსი ინეონში, შემდეგ კი ლიმნიაში. იმავე თვის 10-ს, იმავე წელს, ქალბატონი ირინე პალეოლოგოსი ფრანკების კატარლით კონსტანტინეპოლში გაიგზავნა.

12. 10 სექტემბერს გაიქცნენ სქოლარიისი ბატონი ნიკიტა და მიზომატისი ბატონი გრიგოლი,

ფეს. ხოლო 1344 წელს მიხეილის მცველი ლიმნიაში გარდაცვლილიყო და მიხეილი კვლავ ჩამოიყვანეს ტრაპიზონში და გაამეფეს; იმეფა 1349 წლამდე; ამ წელს ის კვლავ ჩამოაგდეს ტახტიდან და გაამეფეს ბასილ I კომნენოსის მეორე ძე ითანე, რომელსაც პაპის სახელის მიტღვით ალექსიცი ერქვათ. ეს ყველაფერი მოთბრობილი აქვს მიქელ პანარეტოსს 11.—16. თავებში. აქ გადმოცემული ფაქტების მიხედვით ეს მიხეილი არის ალექსი II კომნენოსის (1297—1330) ძმა, რომელიც იმ ხანებში, როდესაც მთელი ეს ამბები დატრიალდა, ხანში შესული კაცი იყო (56—60 წლის) მიქელ პანარეტოსის მიერ გადმოცემული ვითარება თითქმის შთლიანად დასტურდება ამ ამბების თანამედროვის, ნიკიფორე გრიგორასის „ისტორიაში“ მოთქრობილი ფაქტებით (იხ. ზემოთ, გვ. 149 შმდ.).

Δωρανήτης κ̄ρ Κωνσταντίνος και ὁ υἱὸς Ἰωάννης, και ὁ ἀδελφὸς τοῦ Μειτζομάτου Μιχαήλ και ἕτεροι ἐκ τοῦ μέρους αὐτοῦ, και ἀπήλθον μετὰ Βενετικὸν κάτεργον εἰς τὴν Πόλιν. Οἵτινες και χρονίσαντες τὰ περὶ τὸν αὐτὸν μῆνα 15¹ ἤλθον μετὰ Κομνηνὸν κ̄ρ Ἰωάννην, τοῦ κ̄ρ Μιχαήλ τὸν υἱόν, ἔχοντες δύο κάτεργα τῶν αὐτῶν και τρία Γενοῦτικά, και παρέλαβον τὴν Τραπεζοῦντα μηγὸς Σεπτεμβρίου 8¹, ἡμέρα 8¹, ἔτους 709¹ (6851). Και ἐστέρθη τῷ αὐτῷ μηνὶ Σεπτεμβρίῳ εἰς τὰς 9¹ εἰς τὴν Χρυσοκέφαλον ἐν τῷ ἄμβωνι, ὅτι και ἐν τῇ ἐλεύσει αὐτοῦ ἐπὶ πᾶσιν αἱ χῶραι συνήχθησαν ἐπὶ ταῦτό· και γέγονε θωαγμὸς βαρὺς και ἀρπαγὴ πολλή. Τότε ἐσκοτώθησαν και οἱ ἄρχοντες οἱ Ἀμυτζαντάριοι· και ἡ τοῦ κ̄ρ Γεωργίου μήτηρ ἡ Σαργαλή παρεδέθη τῇ πνιγμονῇ· και σὺν αὐτῇ ἀπεπνίγη και ἡ Ἀναχουτλοῦ, βασιλεύσασα ἔτος 7¹, και μῆνα 7¹, και ἡμέρας 7¹.

18. Μηνὶ Ἰουνίῳ ἔτους 709¹ (6851) ἤλθον οἱ Ἀμιτιῶται εἰς πόλεμον και ἀπήλθον κενοί. Ἐπειδὴ τὸν κ̄ρ Μιχαήλ κρατῶν μέγας θοῦ5, ὁ εὐνοῦχος, ἐν τοῖς

ლორანტიის ბატონი კონსტანტინე და ძე [მისი] იოანე და ძმა მიზომატისისა—მიქელი და სხვანი იმ დასისანი, და ვენეციელთა კატარლით მივიდნენ კონსტანტინეპოლში. მათ შოიცადეს იქ იმავე თვის 17-ამდე და მერე წამოვიდნენ ბატონ იოანე კომნენოსთან, ბატონ მიხეილის ძესთან, ერთად; ორი კატარლა თავისი ჰყავდათ, სამი კი გენუელებისა და დაიპყრეს ტრაპიზონი 4 სექტემბერს, ოთხშაბათს, 6851 წელს, და იმავე თვის სექტემბრის ცხრას ხრისოკეთალოსის ტაძრის ამბიონში გვირგვინი დაიდგა. მის ჩამოსვლაზე შთელი ქვეყანა შეიკრიბა და მოხდა სასტიკი დევნა და ბევრი ძარცვა-გლეჯა. მაშინ დახოცეს აგრეთვე მთავრები ამიძანტარიოსები, გიორგის დედა სარგალე შოაშთვეს და მასთან ერთად შოაშთვეს ანახუტლუც, რომელმაც იმეფა ერთ წელიწადს, ერთ თვეს და 8 დღეს¹.

18. ივნისში 6851 წელს მივიდნენ ამიდელები საომრად და გაბრუნდნენ ხელცარიელნი. მას შემდეგ, რაც ბატონი მიხეილის მცველი, დიდი დუქსი საქუ-

¹ ეს ამბები მოთხრობილია 685 (ანუ 1343) წლის ქვეშ. მაშასადამე. აწნას უმეფია 1341 წლის 17 ივლისიდან (იხ. ზემოთ თავი 10) 1343 წლის 4 სექტემბრის მახლობელ ზანამდე. სათვალავით ეს მეტია ვიდრე ერთი წელიწადი, ერთი თვე და 8 დღე. საფიქრებელია, რომ შეცდომა იყვეს 10. თავში; ალბათ აწნამ ჯარის შესადგენად ლახეთში უფრო მეტ ხანს დაჰყო, ვიდრე 10. თავშია ნათქვამი.

Αμνίους Μαρτίω μηνί ἀπεκτάνθη, ἀπῆλθεν ὁ Σχολάρχης καὶ παρέλαβε τὸν κῆρ Μιχαήλ, καὶ ἤλθε, καὶ ἐβασίλευσε μηνί Ματίω γ', ἡμέρα β', ἔτους ,σωνβ' (6852). Ἐστέρθη δὲ μηνί τῷ αὐτῷ κα'. Τὸν δὲ υἱὸν αὐτοῦ καταβίβασας ἐπεριώρισε, εἰς τὸ σπήλαιον τοῦ ἁγίου Σάβα, βασιλεύσας ὁ κῆρ Ἰωάννης χρόνον α', καὶ μήνας η'. Ἐπεὶ δὲ οἱ πρῶτοι ἄρχοντες τοῦ ζῆν ἀπεστερήθησαν, ἐτιμήθη ὁ Σχολάρχης ὁ κῆρ Νικήτας μέγας δούξ, Γρηγόριος ὁ Μειζομάτης μέγας στρατοπεδάρχης, Λέων ὁ Καβαζίτης μέγας δομέστικος, Κωνσταντῖνος ὁ Δωρακίτης πρωτοβεστιάριος καὶ ὁ υἱὸς αὐτοῦ ἐπικέρης, Ἰωάννης ὁ Καβαζίτης μέγας λογαριάστης ὁ υἱὸς τοῦ σχολάρχου παρακοιμώμενος, Μιχαήλ ὁ Μειζομάτης ἀμυρζαντάριος, Τζανιχίτης ὁ Στέφανος μέγας κοντοσταύλος.

რისი ლიბნიეში მოკლულ იქმნა მარტში, ჩავიდა სქოლარისი, წამოიყვანა ბატონი მიხეილი, მოვიდა და გაამეფა 3 მაისს, ორშაბათს, 6852 წელს; ხოლო გვირგვინი დაიდგა იმავე თვის 21-ს. თავისი ვაჟიშვილი კი ჩამოაგდო და ჩასვა წმინდა საბას გამოქვაბულში. უფალმა იოანემ იმეფა ერთი წელი და 8 თვე. მას შემდეგ რაც უწარჩინებულესი მთაგრეხი სიცოცხლეს გამოესალმნენ, სქოლარისს, ბატონ ნიკიტას მიანიჭეს დიდი ღუქსის პატივი, გრიგოლ მიზომატისს — დიდი სტრატოპედარხისა, ლეონ კავაზიტისს — დიდი დომესტიკოსისა; კონსტანტინე დორანიტისს — პროტოვესტიაროსისა, მის ვაჟიშვილს — ეპიკერნისისა, იოანე კავაზიტისს — დიდი ლოვარიასტისა, სქოლარისის ვაჟიშვილს — პარაკიმომენოსისა, მიქელ მიზომატისს — ამირჩანტაროსისა, სტეფანე ჟანიხიტისს — დიდი კონდოსტავლოსისა¹.

¹ აქ მოხსენებული თანამდებობანი დოქ. აღ. გა მყ რ ე ლ ი ძ ე ს ასე აქვს შესწავლილი:

პ რ ო ტ ო ვ ე ს ტ ი ა რ ი ო ს ი — მეფის პირადი სამოსსაცავის და სალაროს განმგებელი.

ე პ ი კ ე რ ნ ი ს ი — მეღვინეთუხუცესი (ეპიკერნისი უფრო გვიანი ფორმა; მისი ძველი ფორმა *πυκέρης*, რომელიც ორნაწილედ ი სიტყვაა: პირველ ნაწილშია *πίνα* („ესეაჲ“), ხოლო მეორეში *κέρης* „შვეურე [წყალს]“, ესე რგი „წყალნარვეი ღვინის მკეთებელი“. აქედან მომდინარეობს გვიანი ლათინური *pin-cerna*, რაც ნიშნავს „ღვინის მწდეს“ ანუ *სისოჯიძე*-ს. ესაია 1,22-ში სწერია: „ღვინის-მოფარდულნი თქვენნი განხავებენ ღვინოსა წყლითაჲ; მიერთნიმეს ამ აღდგოლის განსამარტავად უწერია: *pincernae Salomonis et ministri vini*).

დი დ ი ლ ო ვ ა რ ი ა ს ტ ი — ლოვთუტი.

პ ა რ ა კ ი მ ო მ ე ნ ო ს ი — მესაწოლეთ-უხუცესი (იოანეს და ეჭვითმეს „ცხოვ-

14. Μηνί Νοεμβρίου έτους ,σωνδ' (6854) κατεσχέθησαν παρὰ τοῦ βασιλέως τοῦ κῆρ Μιχαήλ μέγας δούξ ὁ Σχολάρις, μέγας δομέστικος ὁ Μειζομάτης καὶ ἑτεροὶ αὐτῶν. Τότε ἐστάλη καὶ ὁ Κομνηνὸς κῆρ Ἰωάννης εἰς τὴν Πόλιν. Ἐν δὲ τῷ ,σωνε' (6855) ἔτει ἐπιάσθη ὁ ἅγιος Ἀνδρέας καὶ τὸ Οἴλαιον.

15. Μηνί Σεπτεμβρίου ἰνδικτιῶνος α' ἐγένετο αἰφνίδιος θάνατος ἢ πανούκλα, ὥστε ἀπεβάλλοντο πολλὰ τέκνα καὶ συνεόνους, ἀδελφοὺς καὶ μητέρας, καὶ συγγενεῖς καὶ διεκράτησεν εἰς μῆνας ζ'.

Τῷ αὐτῷ ,σωνε' (6856) ἐν μηνί Ἰανουαρίῳ ἐπιάσθη ἡ Κερασοὺς, καὶ αἰχμαλωτίσθη καὶ ἐπυρπολήθη παρὰ Ἰανουίτων. Ἐν δὲ τῷ αὐτῷ ἔτει, Ἰουνίῳ κθ', ἰνδικτιῶνος α', ἦλθαν ἐν Τραπεζοῦντι Τοῦρκοι πολλοί, ἦγουν ἀπὸ τῶ Ἐξικαῖν Ἀχχῆς Ἀλίναπακ, καὶ ἀπὸ τῶ Παίπερτ ὁ Μαχματ Εὐκεπτάρης, καὶ ἀπὸ τῶν Ἀμιτιωτῶν ὁ Τουραλί Πέκ, καὶ ὁ Πορδογάνης καὶ Τζιανίδες σὺν αὐτοῖς· καὶ

14. ნოემბრის თვეში 6854 წელს, კეისარმა ბატონმა მიხეილმა შეაპყრობინა დიდი ღუქისი სქოლარისი, დიდი დომესტიკოსი მიზომატისი და სხვანი მათგან [მათი მომხრეებიდან]. მაშინ გაიგზავნა ბატონი იოანე კომნენოსის ცკონსტანტინეპოლში. 6855 წელს აღებულ იქნა წმიდა ანდრია და ინეონი.

15. სექტემბერში, 1-ლ ინდიქტიონს, გაჩნდა უეცრად მომაკვდინებელი სენი—ჭირი: ისე რომ, დაიღუპა ბევრი შვილი და ცოლქმარი, ძმები, დედები და ნათესავეები და მძვინვარებდა [სენი] შვიდ თვემდე.

იმავე 6866 წელს, იანვარში იანუელებმა კერასუნტი აიღეს. წარტყვევნეს და გადასწვეს. იმავე წლის 29 ივნისს, 1 ინდიქტიონს, მოვიდა ტრაპიზონში ბევრი თურქი. წინამძღოლობდნენ მათ ეზინკელი ახის აინაბეგი და ბაიბურთელი მაჰმად ევკებტარისი და ამიდელთაგან თურალი-ბეგი პოსდოგანიისი. და მათთან ერთად ჭანიდები¹. იბრძოლეს² სამ დღეს და გა-

რებაში⁴ ვკითხულობთ: «ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეფოდ, მყესულად შეიყვანა იგი პარაკი მანოს მან შეფეთა წინაშე» 18,2).

ამიოჩანტაროსი — სამეფო დავალებათა ნოხელე,

კონდოსტაველოსი — მეჯინიბეთ-უბუცესი (κοντοσταβλος ანუ κόμης τοῦ σταβλου მომდინარეობს ლათინური გამოთქმისაგან comes stabuli „საჯინიბოს კომსი“ ანუ „საჯინიბოს გამგე“. იხ. Byzantion XIX [1949], 99—109).

¹ ხელნაწერშია Τζιανιδες.

² ხელნაწერშია ἐκράττεισαν, გამომცემელნი ასწორებენ: ἐκράτησαν. სავაპაპადოს ულოსი (Byz.—Ngr. Jahrb. 6, 1929, გვ. 399—400) აზბოღს: ხელ-

ἐκρότησαν πόλεμον ἡμέρας γ',
καὶ ἀπῆλθαν κατησχυμένοι καὶ
πεπληγμένοι φυγάδες, ἀποβαλ-
λόμενοι ἐν ὄνῳ Τούρκους πολ-
λοῦς.

Μηνὶ Μαῦθ ε', ἡμέρα γ',
ἔτους ρωνζ' (6857) ἦλθαν ἐνταῦ-
θα ἐκ τοῦ Καφᾶ κάτεργα Φραγ-
κικὰ β'. Καὶ ἐξῆλθεν καὶ ἡμέτε-
ρον κάτεργον ἕν μέγα ἐκ τῆς
Δαφνοῦντος, καὶ ἕτερον μικρόν,
βαρκόπουλα ἰκανά· καὶ ἐκρότη-
σαν πόλεμον, καὶ παραχωρήσει
θεοῦ ἐνίκησαν οἱ Φράγχοι, καὶ
ἐσκοτώθη ὁ μέγας δοῦξ Ἰωάννης
ὁ Καβαζίτης, καὶ κῦρ Μιχαὴλ ὁ
Τζανιχίτης καὶ ἕτεροι πολλοί. Τὸ
δὲ κάτεργον ἐκαύθη, καὶ οἱ ἐν
τῇ στερεᾷ Φράγχοι ἠρπάγησαν
καὶ περιωρίσθησαν· τὰ δὲ κάτερ-
γα ἀπῆλθον.

Κατὰ δὲ τὸν Ἰούνιον μῆνα
ε', ἔτους ρωνζ' (6857), πάλιν
ἦλθαν ἐκ τοῦ Καφᾶ κάτεργα γ',
καὶ μία βαρκὴς ἐς Ἀμυνσῶ. Καὶ
μετὰ πολλῶν λόγων καὶ ὀχλή-
σεων καὶ ζήτησεων γέγονεν ἀγά-
πη, καὶ παρεδόθη πρὸς αὐτοὺς
Λεοντόκαστρον. Τότε γὰρ ἀσθέ-
νεια ἐνίκησε τὸν βασιλέα, τὸν κῦρ
Μιχαὴλ· ὅτε καὶ ὁ Σχολάρις ὁ

იქცნენ სიბრძნეილულნი და და-
მარცხებულნი და გზაში მრავალი
თურქი დაიღუპა.

ხუთ მაისს, სამშაბათს, 6857
წელს, მოვიდა კათადან 2¹ ფრან-
კების კატარლა. ჩვენიდან, დაფ-
რუსიდან, გავიდა ერთი დიდი-
კატარლა და სხვა პატარა, და
აგრეთვე ნაგები საკმაოდ. მოხ-
და ბრძოლა და ღვთის შემ-
წოდით იძლიებენ ფრანკები.
დაიხრცნენ დიდი ღუქის იოანე
კავაზიტისი, უფალი მიქელ ჭანი-
ხიტისი და სხვანი მრავალნი. კა-
ტარლას ცეცხლი წაეკიდა, ხმე-
ლეთზე მყოფი ფრანკები გაძარ-
ცვენ და დაატუსაღეს. კატარ-
ლები წავიდნენ.

15 ივნისს, 6857 (ახ. წ. 1349)
წელს, კვლავ მოვიდა კათადან
3 კატარლა და ერთი კი—ამინ-
სოდან¹. და ბევრი მოლაპარაკე-
ბისა, შეთოთისა და დავის შემდ-
გომ ჩამოვარდა ზევი და გადაეცა-
მათ (ე. ი. ფრანკებს) ლეონ-
ტოკასტრონი², მაშინ მეფე ბა-
ტონი მიხეილი ავად ბრძანდე-
ბოდა. სქოლარისი ბატონი ნიკი-

ნაწერის ἔκრძეთσαν უნდა დევტოვოთ, ეს გამოთქმა ჩვეულებრივია პონტოშიო.
ხალხური ტრადიციონული სიმღერა გადმოგვცემს, რომ პონტოელები ἔκρατίσανε
πόλεμον.

¹ ამინსო — ახლანდელი სამსუნი.

² ლეონტოკასტრონი არის ახლანდელი Guselserai. ამ ციხის გარშემო ცხარე
დაფი იყო ტრადიციონის მეფეებსა და გენუელებს შორის (თ. უსპენსკი, გვ. 11).

κῆρ Νικήτας, ἐκ τοῦ Κεγχρίνα ἐλθὼν, γέγονε μέγας δοῦξ, λαβὼν τὴν θυγατέρα τοῦ Σαμφών. Ἐβασίλευσε δὲ ὁ κῆρ Μιχαήλ χρόνους β' καὶ μῆνας ζ'.

16. Μηνὶ Δεκεμβρίῳ γ', ἡμέρα α', ἔτους ,σωνη' (6858), κατεβιάσθη ἐκ τῆς βασιλείας ὁ κῆρ Μιχαήλ ὁ Κομνηνός· καὶ εἰς τὰ κβ' τοῦ αὐτοῦ μηνός, ἡμέρα γ', εἰσηλθὼν εἰς τὴν Τραπεζοῦντα καὶ παρέλαβε τὴν βασιλείαν ὁ βασιλεύς, υἱὸς κῆρ Βασιλείου τοῦ Κομνηνοῦ, ὁ κῆρ Ἰωάννης, ὁ ἐπονομασθεὶς κατὰ τὸν πάππον κῆρ Ἀλέξιος, σὺν τῇ δεσποίνῃ καὶ μητρὶ αὐτοῦ κυρᾷ Εἰρήνῃ, τῇ μεγάλῃ Κομνηνῇ, καὶ ἐστέρθη ἐν τῷ ναφ̄ τοῦ ἁγίου Εὐθγγελίου μηνὶ Ἰανουαρίῳ εἰς τὰς κα', κατὰ τὴν τοῦ ἁγίου ἑορτήν. Τὸν δὲ κῆρ Μιχαήλ περιορίσας ἐν τῷ σπηλαίῳ τοῦ ἁγίου Σάβα ἀπέκαρε κατὰ μοναχόν· καὶ μετὰ χρόνον α' ἀπεστάλη εἰς τὴν Πόλιν μετὰ τοῦ Τατᾶ κῆρ Μιχαήλ τοῦ Σαμφών, ὅτε γέγονε καὶ συμπενοθερία πρὸς τὸν βασιλέα.

Τῷ αὐτῷ γοῦν ,σὼμη' (6858) ἐγένετο σύγχυσις καὶ παραχῆ μέσον τῶν ἀρχόντων· καὶ Ἰουλίου μηνός ἐπιείσθη ὁ μέγας στρατοπέδαρχος κῆρ Θεόδωρος ὁ Δωρα-

ტა მოვიდა კებრინიდან, ვახდა დიდი ღუქსი, ცოლად კი შეერთო სამსონის ასული. ბატონმა მიხეილმა იმეფა 5 წელიწადსა და 7 თვენახევარს¹.

16. 13 დეკემბერს, კვირას, 6858 წელს, ბატონი მიხეილ კომნენოსი ტახტიდან ჩამოაგდეს. იმავე თვის 22-ს, სამშაბათს, ჩამოვიდა ტრაპიზონში და დაიპყრო ტახტი მეფემ, ბატონ ბასილი კომნენოსის შვილმა, ბატონმა იოანემ, რომელსაც პაპის მიხედვით ბატონი ალექსიცი ერქვა, თან [მოყვა] დედოფალი და მისი დედა ქალბატონი ირინე, დიდი კომნენე. გვირგვინი დაიდგა წმინდა ევგენის ტაძარში 21 იანვარს, წმინდა სადღესასწაულო დღეს. ბატონი მიხეილი კი ჩასვა წმინდა საბას გამოქვაბულში და მონაზვნად აღკვეცა. ერთი წლის შემდეგ გაიგზავნა კონსტანტინეპოლში ტატა ბატონ მიქელ სამსონითურთ, როდესაც მოხდა კეისართან დამძახლება.

იმავე, 6858 წელს, მოხდა შფოთი და განხეთქილება შთაგრებს შორის. ივნისში შეიპყრეს დიდი სტრატოპედარხისი ბატონი თეოდორე დორანიტისი, რომელ-

¹ მიხეილ I მეფობდა 1344—1349 წლებში. ის ჩამოაგდეს ტახტიდან 6858 (1549/50) წელს და ტახტი დაიპყრო ბასილ I-ის შვილმა იოანე-ალექსიმ, რომელიც ტრაპიზონში ჩამოვიდა (კონსტანტინეპოლიდან), თან მოყვა დედა, ქალბატონი ირინე (იფლუსისგან ირინე ტრაპიზონელი, ბასილ I-ის უკანონო ცოლი).

νίτης, ὁ λεγόμενος Πιλέλης καὶ ὁ ἀδελφὸς αὐτοῦ πρωτοβεστιάριος Κωνσταντίνος ὁ Δωρανίτης καὶ πᾶσα ἡ γενεὰ αὐτοῦ· καὶ περιωρίσθησαν ἕκαστος αὐτῶν εἰς τὰ τῶν ἀρχόντων ὀσπίτια. Μετὰ δὲ ζ' τοῦ μηνὸς πάλιν ἀνεκλήθησαν.

Ἐν μηνί Ἰανουαρίῳ τῷ εἰσῶνθ' (6859) ἔτει ἐπιήσθη ὁ γενόμενος πρωτοβεστιάριος Λέων ὁ Καβαλίτης καὶ ἀνεβιβάσθη εἰς τὸ πρωτοβεστιάριον ὁ Πιλέλης, ὅτε καὶ ὁ Τατὰς Μιχαὴλ ὁ Σαμφῶν ἀπηλθε μετὰ κατέργου εἰς τὴν Πόλιν ποιεῖν τὴν συμπενθερείαν καὶ λαβεῖν τὴν δέσποιναν καὶ ἐλθεῖν. Τῷ αὐτῷ γοῦν ἔτει Ματῷ μηνί, ἡμέρα ε', ἐπιήσθη ὁ κουλάς ἀπὸ τοῦ Πιλέλη καὶ τῶν σὺν αὐτῷ· ἐζωγράφθη ὁ μέγας δοῦξ ὁ Σχολάρις. Ἀναταχθεὶς δὲ ὁ λαὸς πάλιν ἐλευθερώθη, καὶ ἀπηλθεν ὁ βασιλεὺς εἰς τὴν Τρίπολιν. Ὁ δὲ Πιλέλης, καὶ ὁ υἱὸς αὐτοῦ, καὶ ὁ γαμβρὸς αὐτοῦ, καὶ οἱ τοῦ Ξενίτου παῖδες, συλληφθέντες ἐστάλθησαν καὶ περιωρίσθησαν εἰς τὴν Κεγχρίναν.

Μηνί Σεπτεμβρίῳ γ', ἰνδικτικῶνος ε', ἔτους ς' (6860) ἦλθεν ἡ δέσποινα ἡ Κομνηνὴ ἡ Καντακουζηνὴ μετὰ κατέργων ἐκ τῆς Πόλεως, ἡ θυγάτηρ κςρ Νικηφό-

σα(ζ) პილელისის ეძახდნენ, მისი ძმა პროტოვესტიარიოსი კონსტანტინე დორანიტისი და მთელი მისი ოჯახი და ყველანი დაატუსაღეს მთავართა სასახლეებში, ხოლო თვის 7-ს კვლავ მოიწვიეს.

იანვრის თვეში, 6859 წელს შეიპყრეს პროტოვესტიარიოსად გამხდარი ლეონ კავაზიტისი და დაინიშნა პროტოვესტიარიოსად პილელისი. მაშინ ტატა მიქელ სამსონი კატარლით ჩავიდა კონსტანტინეპოლში, რათა მძახლობის [საქმე] გაერიგებინა, დედოფალი წამოეყვანა და წამოსულიყო. იმავე წლის მაისში, ხუთშაბათს, დაიპყრეს ციხე-დარბაზი პილელისმა და მისიანებმა. ცოცხლად შეიპყრეს ტყვედ დიდი დუქსი სქოლარისი. მაგრამ ხალხი აღელდა, კვლავ განათავისუფლეს იგი და მეფე ტრიპოლისში წავიდა. ხოლო პილელისი, მისი ვაჟი, მისი სიძე და ქსენიტოსის შვილები შეპყრობილები ვაგზავნეს და დაატუსაღეს კებრინაში.

სამ სექტემბერს, მეხუთე ინდიქტიონს, 6860 წელს, კონსტანტინეპოლიდან კატარლით მოვიდა დედოფალი კომნენე-კანტაკუზენე¹, ასული სევასტოკრა-

* დედოფალი კომნენე-კონტაკუზენე არის უზურპატორ იოანე VI კანტაკუზენეს ნათესავის, ნიკიფორეს, ასული, სახელად თეოდორა. კონსტანტინეპოლში აღზრდილი იოანე-ალექსი პოლიტიკური მოსახრებებით გამოიყენა იოანე კანტაკუზენემ და მიათხოვა მას თავისი ღვიძლი ბიძაშვილის ასული თეოდორა.

ρου τοῦ Καντακουζηνοῦ σεβαστοκράτορος, πρώτου ἐξαδελφου ὄντος τοῦ βασιλέως Ῥωμαίων, κὺρ Ἰωάννου τοῦ Καντακουζηνοῦ, καὶ εἰς τὰ κ' ἡμέρᾳ πρῶτον ἐγένετο εὐλόγησις αὐτῆς μετὰ τοῦ βασιλέως ἐν τῇ μονῇ τοῦ ἁγίου Εὐγενίου.

Τῷ αὐτῷ γοῦν ἔτει τῷ „σϞζ' (6860), Σεπτεμβρίου κβ', ἀπήλθμεν μὲ τὴν δέσποιναν, τοῦ βασιλέως τὴν μητέρα, εἰς τὰ Λίμνια κατὰ τοῦ κεφαλατικέου ἔκείσε Κωνσταντίνου τοῦ Δωρανίου, ἀδελφοῦ τοῦ πρωτοβεστιάριου τοῦ Πιλέλη. Καὶ λείψαντες μῆνας γ' πάλιν ἤλθμεν.

17. Κατὰ δὲ τὸν Ἰανουάριον μῆνα τῷ αὐτῷ ἔτει εἰσῆλθεν ὁ πικέρνης Ἰωάννης ὁ Τζανιχίτης, καὶ ἐκράτησε τὴν Τζάνιχαν τὸ κάστρον ἀνάρχω χειρὶ. Καὶ κατὰ τὸν Ἀπρίλιον μῆνα τῷ αὐτῷ ἔτει ἀπήλθεν ὁ βασιλεὺς ἔκείσε καὶ ἡ δέσποινα, καὶ ἐποίησεν εἰρηνικὴν κατάστασιν. Καὶ κατὰ τὸν Ἰούλιον μῆνα τῷ αὐτῷ ἔτει ἐπαρῆθησαν τῇ ἀγγόνῃ ὁ Πιλέλης καὶ ὁ υἱὸς του. καὶ ὁ γαμβρὸς του ἐν τῷ Κεχρινᾶ κάστρῳ. Τῷ αὐτῷ „σϞζ' (6860) ἔτει ἀπήλθεν ἡ ἀδελφὴ τοῦ βασιλέως κυρὰ Μαρία ἡ μεγάλη Κομνηνὴ καὶ συνεζεύχθη τὸν Χουτλουπέκην τὸν

ტორის ბატონ ნიკიფორე კანტაკუზენოსისა, ბიზანტიის კეისრის, ბატონ იოანე კანტაკუზენოსის ლვიძლი ბიძაშვილისა; და 28-ს პირველად მოხდა მისი კურთხევა მეფესთან ერთად წმინდა ევგენის ტაძარში.

იმავე 6860 წელს, 22 სექტემბერს, წავედით დედოფალთან, მეფის დედასთან ერთად ლიმნიაში კონსტანტინე დორანიტისის, პროტოვესტიაროს პილელისის ძმის, წინააღმდეგ, რომელიც იქ გამგებლობდა. დავრჩით 3 თვეს და უკან დავბრუნდით.

17. იმავე წლის იანვარში მივიდა პიკერნისი¹ იოანე ჭანიხიტისი და თვითნებურად დაიპყრო ციხე ჭანიხა. იმავე წლის აპრილში მეფე და დედოფალი მივიდნენ იქ და მშვიდობიანობა დაამყარეს და იმავე წლის ივლისში მოაშობინეს კეზრინას ციხეში პილელისი, მისი ვაჟი და სიძე. იმავე 6860 წელს მოვიდა მეფის და, ქალბატონი მარიამი, დიდი კომნენე, და მისობოვდა აგვისტოში ხუტლუბეგს, თურ-ალის ძეს, ამიდელთა ამირას. იმავე წლის იმავე თვეში გაილაშქრეს ვენეციელთა კატარღებმა გენუელების წინა-

¹ პიკერნისი იგივე „ეპიკერნისი“. იხ. ზემოთ შენ. 2.

υἶόν τοῦ Τουρκαλή, ἀμνηρᾶν ὄντα ναοლმდევ და მრავალი ხომალდი
 τῶν Ἄμιτιωτῶν, μηνὶ Αὐγούστῳ. დაწვეს.
 Τῷ αὐτῷ μηνὶ καὶ ἔτει ἤλθαν τὰ βενετικὰ τὰ κάτεργα κατὰ τῶν
 Γενουβίσεων, καὶ ἔκαυσαν καράβια πολλα.

Τῷ αὐτῷ μηνὶ Ἰουνίῳ. ἔτους იმავე ივნისის თვეში, 6892
 , ςωξζ' (6862) ἀπῆλθεν ὁ Σχολά- წელს, სქოლარიისი ვაიქცა კერა-
 ρις φυγαδίας εἰς τὴν Κερκσοῦντα, სუნტში და მას შემდეგ, მომხდა-
 καὶ ἔκτοτε τὰ γενηθέντα διὰ μέ- რი მიმოსვლანი და მოციქულო-
 σον μηνύματα καὶ ἀποκρισι- ბანი ვის შეეძლება აღწეროს?

18. Μηνὸς Μαρτίου κα', ἔτους
 , ςωξγ' (6862) ἤλθεν ὁ μέγας δούξ
 ὁ Σχολάρις καὶ ὁ υἱὸς αὐτοῦ ὁ
 παρακοιμώμενος κατὰ τῆς Τρα-
 πεζοῦντος; μετὰ ἔν κάτεργον καὶ
 βάλκας¹ ἰα', ὅτε ἀπῆλθε σὺν αὐτῷ
 καὶ ὁ πρωτοβεστιάριος Βασίλειος
 ὁ Χούπακος καί, πολλῶν λόγων
 καὶ ὀχλήσεων γενομένων, πάλιν
 ἐγένετο κατὰστασις, καὶ ἀπῆλθον
 εἰς Κερκσοῦντα.

Ἐν τῷ αὐτῷ ἔτει , ςωξγ'
 (6862), μηνὶ Μαίῳ, ἰνδικτιῶνος
 η', ἀρμυτώσας ὁ βασιλεὺς κά-
 τεργα δύο καὶ ξύλα μικρὰ ἰκανά,
 (καὶ) ἀπῆλθεν ἄμα τῇ μητρὶ καὶ
 δεσποίνῃ καὶ τῷ μητροπολίτῃ κα-
 τὰ τοῦ Σχολάρι ἐν Κερκσοῦντι,
 ὅτε καὶ ὁ μὲν Σχολάρις ἦν ἐν
 τῷ Κεχρινᾷ, ὁ δὲ παρακοιμώμε-
 νος ἐν Κερκσοῦντι. Μετὰ δὲ τὴν
 μάχην καὶ τὸν πόλεμον ἐγένετο
 κατὰστασις καὶ προσκυνήσασα ἡ
 Κερκσοῦς τὸν βασιλέα. Ὁ δὲ πα-
 ρακοιμώμενος ἐξελεθῶν ἀπῆλθεν
 εἰς τὸν πατέρα αὐτοῦ ἐν τῷ Κεχ-
 ρινᾷ, καὶ ἦσαν ἅπαντες οἱ περὶ

18. 25 მარტს, 6863 წელს,
 მოვიდა დიდი ღუქსი სქოლა-
 რისი და მისი ძე, პარაკიმო-
 მენოსი, ტრაპიზონში ერთი კა-
 ტარლითა და 11 ნავით, მას-
 თან ერთად მოვიდნენ პროტო-
 ვესტოარისი ბასილი ხუპაკოსი.
 ბევრი ლაპარაკი და დავა მოხდა
 და კვლავ დამყარდა მშვიდობა
 და წავიდნენ კერასუნტში.

იმავე 6863 წელს, მაისში,
 მე-8 ინდიქტიონს, მეფემ აღჭურ-
 ვა ორი კატარლა და საკმაო
 რაოდენობით პატარა ნავები,
 და გაილაშქრა დედით, დე-
 დოფლით და მიტროპოლიტი-
 თურთ სქოლარისის წინააღმდეგ
 კერასუნტში. მაშინ სქოლარისი
 კებრინაში იყო, ხოლო პარაკიმო-
 მენოსი — კერასუნტში. ბრძოლისა
 და ომის შემდეგ ჩამოვარდა
 მშვიდობიანობა და კერასუნტი
 დაემორჩილა მეფეს. პარაკიმო-
 მენოსი კი წავიდა და მივი-
 და მამამისთან კებრინაში და
 იქ იყვნენ სქოლარისის ყველა

¹ აღბათ, βάρκας (=barca).

τὸν Σχολάριον ἔκει. Καὶ ὁ μὲν βασιλεὺς, τὸν στόλον καὶ τὴν δέσποιναν ἀφείξεν ἐν τῇ Τριπόλει, ἤλθεν ἐνταῦθα καὶ λαμβάνει στρατὸν καθ' ἑαυτὸν, καὶ ἀπῆλθε τότε διὰ θαλάσσης, καὶ τὸ διὰ ξηρᾶς διάστημα περιώρισεν ἅπαντας ἐν τῷ Κεχρινῶ· ὅτε καὶ πόλεμος ἐγένετο, προσκυνήσαντες τὸν βασιλέα, καὶ ἀνευφήμησαν. Ὁ μὲν βασιλεὺς καὶ οἱ σὺν αὐτῷ ἅπαντες ὑπέστρεψαν. Ὁ δὲ Σχολάρις καὶ οἱ σὺν αὐτῷ ἀνέμειναν ἔκει· ὅτε ἦλθε καὶ ὁ πρωτοβεστιάριος ἐκ τῶν Λιμνίων καὶ οἱ περὶ αὐτόν.

Περὶ δὲ τὸν Αὐγουστον μῆνα τοῦ αὐτοῦ ,σζϛ' (6863) ἔτους ἐκστρατεύσας ὁ δούξ Χαλδίας Ἰωάννης ὁ Καβαζίτης ἀπῆλθε καὶ ἐπίσπεσε τὴν Χερσίαναν καὶ ἠχμαλῶτευσεν αὐτήν· ὅτε ἐλευθερώθη καὶ ἡ Σορώγαινα, καὶ γέγονεν εἰς τὴν βασιλικὴν ὑποχειρίτητα. Τῷ αὐτῷ ἔτει ἐξῆλθε καὶ ὁ κϛρ Μιχαήλ ὁ μέγας Κομνηνὸς ἐκ τῆς Πόλεως καὶ ἦλθε μέχρι καὶ τοῦ Σουλχατίου, καὶ πάλιν ὑπέστρεψε.

19. Μηνὶ Ὀκτωβρίῳ, ἰνδικτιωνος θ', ἔτους ,σζϛδ' (6864)

მომხრები. მეფემ ფლოტი და დედოფალი ტრიპოლისში¹ გავზავნა. თვითონ წავიდა, წაიყვანა ცხენოსანი ჯარი, განვლო მანძილი ნაწილი წყლით, ნაწილი ხმელეთით და ყველანი კებრინაში ჩაკეტა. მოხდა ბრძოლა და დაემორჩილნენ მეფეს და აღფრთოვანებით მიიღეს. მეფე და ყველა მასთან მყოფნი უკან დაბრუნდნენ, ხოლო სქოლარისი და მისი მომხრენი იქ დარჩნენ. მაშინ მოვიდა აგრეთვე პროტოვესტიარიოსი თავის მომხრეებთანთ ლიპნიდან.

დაახლოებით იმავე 6863 წლის აგვისტოში ხალდიის დუქსმა, იოანე კავაზიტისმა გაილაშქრა; მივიდა ხერსიანას, აიღო იგი და წარტყვევნა. მაშინ იქნა განთავისუფლებული სოროგენაც და მეფის ქვეშევრდომად გადაიქცა. იმავე წელს კონსტანტინეპოლიდან წამოვიდა დიდი კომნენოსი ბატონი მიხეილი, მოვიდა სულხატოსამდე და უკან გაბრუნდა.

19. ოქტომბერში, მეცხრე ინდიქტიონს, 6864 წელს წავიდ-

¹ *Τριπολις*. — ამ ქალაქის სახელი გვხვდება სამჯერ: ა) *ἀπῆλθεν ὁ βασιλεὺς εἰς τὴν Τριπολιν* („მეფე ტრიპოლისში წავიდა“), ბ) *τὴν δέσποιναν ἀφείξεν ἐν τῇ Τριπόλει* („დედოფალი ტრიპოლისში გავზავნა“) და გ) *ἀπῆλθεν... ὁ Σαμφῶν εἰς τὰς Τριπόλεις* („წავიდა სამსონი ტრიპოლისში“). უკანასკნელ წინადადებაში *εἰς τὰς Τριπόλεις* არის *Accus. Pluralis*; ამიტომაც სწერს ლაშბროსი (L) *Τριπολεις*, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი: *Τριπόλεις*-ში *ε* არის *ει-ს* ნაცვლად თანახმად ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკისა. ტ რ ი პ ო ლ ი ს ი არის ახლანდელი „ტ ი რ ე ბ ო ლ ი“, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

ἀπῆλθεν ὁ μέγας δομέστικος ὁ Μειζομάτης καὶ ὁ μέγας στρατοπεδάρχης ὁ Σαμφὼν εἰς τὰς Τριπόλεις καὶ ἕως τοῦ Κεγχρινῆ, καὶ παρέλαβον τὸν Σχολάριον καὶ τοὺς περὶ αὐτὸν, καὶ ἦλθον, καὶ γέγονεν εἰρηναία κατάστασις.

20. Μηνὶ Νοεμβρίῳ κζ', ἡμέρᾳ ε', ἰνδικτιῶνος θ', τοῦ ςωξδ' (6864) ἔτους ἀπῆλθομεν μετὰ τοῦ βασιλέως κατὰ τῆς Χερσιάνας ἀπὸ διαβολικῆς συνεργίας. Καὶ πρῶτον μὲν ἐκουρσεύσαμεν, ἐπολιορκήσαμεν καὶ ἠχμαλωτίσαμεν. Περὶ δὲ τὴν ἕκτην ὥραν ἐφύγομεν φυγὴν ἀκοσμον, ὀλίγων Τούρκων διωκόντων ἡμᾶς. Τότε τοῖνυν ἐσκοτώθησαν Χριστιανοὶ ὥσει ν' καὶ ἐχάωθησαν καὶ ἄλογα πολλὰ, καὶ ὁ δοῦξ Χαλδίος Ἰωάννης ὁ Καβαζίτης ἐπιάσθη. Καὶ εἰ μὴ Κύριος ἦν ἐν ἡμῖν, ἀπολοίμην¹ ἂν καὶ αὐτὸς ἐγώ. Ἄλλὰ θεοῦ εὐδοκούντος ἰσχυρῆ μου ὁ ἥπρος, καὶ κατόπιν βίωνων τῶν βασιλέως ἐλευθερώθημεν, καὶ μετὰ τρεῖς ἡμέρας κατελάμβομεν ἐν Τραπεζοῦντι. Τότε τοῖνυν ἐγέννησε καὶ ὁ βασιλεὺς υἱὸν τὸν κύρ Ἀνδρόνικον ἐξ ἄλλης γαστρὸς καὶ οὐκ ἀπὸ τῆς δευποίνης.

ნენ დიდი დომესტიკოსი მიზმატისი და დიდი სტრატოპედარხისი სამსონი ტრიპოლისში. მივიდნენ კეზონამდე, შეიპყრეს სქოლარისი დმ მისი მომხრენი, წამოვიდნენ და დამყარდა მშვიდობა.

20. 27 ნოემბერს, პარასკევს მეცხრე ინდიქტიონს, 6864 წელს, მეფესთან ერთად ეშმაკის წაქეზებით ვავემგზავრეთ ხერციანას წინააღმდეგ. პირველად მოვაოხრეთ, დავიპყარიოთ და წარვტყვევინეთ, ხოლო მეექვსე საათზე უთავბოლოდ გამოვიქვეციოთ; უკან მცირეოდენი თურქები მოგვდევდნენ. მაშინ დაიხოცა 50-ამდე ქრისტიანი, დაიღუპა მრავალი პირუტყვი და ხალდიის ღუქსი იოანე კავაზიტისი ტყვედ ჩავარდა. ჩვენთან რომ არ ყოფილიყო უფალი, თვით მეც დავიღუპებოდი, მაგრამ ღვთის შეწყვენით ვამიძლო ცხენმა, უკან მივდევდი მეფეს, გადავრჩით და სამი დღის შემდეგ მივალწიეთ ტრაპიზონს. მაშინ დაებადა მეფეს ვაჟიშვილი ბატონი ანდრონიკე სხვა ქალისაგან და არა დღოფლისაგან.

¹ Καὶ εἰ μὴ Κύριος ἦν ἐν ἡμῖν, ἀπολώμην ἂν καὶ αὐτὸς ἐγώ „ჩვენთან რომ არ ყოფილიყო უფალი, თვით მეც დავიღუპებოდი“ გამოცემებში ასეა დაბეჭდილი (ἀπολώμην ἂν), მაგრამ ასეთი ფორმა ბერძნული ვნის განვითარების არც ერთ საფეხურზე არ გვხვდება: თუ ἀπολώμην-ში α არის კავშირგბოთის შემანერთებელი ხმოვანი, მას არ შეიძლება ჰქონდეს -μην (უნდა იყოს -μαι); ხოლო თუ ის თბრთბითი კილოა, უნდა იყოს ἀπωλώμην, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ἂν უფრო მეტად ნატვრით კილოს გვაგულისხმებინებს: ἀπολοίμην ἂν.

21. Μηνὶ Δεκεμβρίῳ ιβ', ἰνδικο-
τιῶνος ι', ἔτους ς'αξε' (6865) ἐπι-
νήσαμεν μετὰ τοῦ βασιλέως εἰς
τὰ Λιμνία. Ποιήσαντες τὴν πρῶ-
κυσψιν τῆς Χριστοῦ γεννήσεως εἰς
Κερασσοῦντα, τῶν δὲ Φώτων εἰς
τὸ Ἰασόνιον· ὅτε ἐσκοτώθησαν καὶ
Τοῦρκοι ιβ'. Ἀπελθόντες γοῦν εἰς
τὰ Λιμνία καὶ πάλιν στραφέντες,
λείψαντες τὰ πάντα τρεῖς μῆνας,
πάλιν κατελάβομεν ἐν Τραπεζοῦντι
ἡγίαις.

22. Περὶ τὸν Ἀπρίλιον μῆνα
εἰς τὰς ξξ', τῆ μεγάλῃ ε', τοῦ
αὐτοῦ ς'αξε' (6865) ἔτους ἐγεν-
νήθη τῷ βασιλεὶ Μυγάτηρ, ἡ κυ-
ρὰ Ἄννα, ἐκ τῆς δεσποίνης ἡμῶν
τῆς κυρᾶς Θεοδώρας, ἰνδικτιῶ-
νος ι'.

23. Μηνὶ Ματίῳ, ἰνδικτιῶνος ι',
ἔτους ς'αξε' (6865) ἀπῆλθεν ὁ
βασιλεὺς μετὰ φασαχτον εἰς τὸν
Παρχάριον, καὶ ἐγύρῃσε τὸν τοιοῦ-
τον Παρχάριον ὄλον.

24. Μηνὶ Νοεμβρίῳ ια', ἡμέ-
ρα ζ', ἰνδικτιῶνος ια', τοῦ ς'αξε'
(6866) ἔτους ἦλθεν ἡ δεσποῖνα

21. 19 დეკემბერს, მე-10 ἰნ-
დიქტიონს, 6865 წელს, წავე-
დიით მეფესთან ერთად ლიმ-
